კვირის პალიტრა

გზა

N25 (2 2005. ფასი 60 თ.

1168
2005

ექსკლუზიური ინტერვიუ ექსპრეზიდენტთან

მეგობრებზე მუშაობა დასრულდა

„ყ ეშმაკად მიხდოდა...“

„ნუ გავებუტებით ერთმანეთს...“

„სპეცანეკდოტი სააკაშვილზე...“

„...მაპატიეთ და, ქალებშიც არ დავსივარ...“

გზავნილები – რას ვუმალავ მეუღლეს ანუ 2:0 ქალების სასარგებლოდ

მარიკა თხელიძე არც ამერიკელებს ეშდურის და არც თავის ლექტორებს...

კულისები –

„მიშა ფულის გამო გახდა ქალი, ვანო კი ნერვიულ კაცად იქცა...“

№13(99) 23.VI.-6.VII.05

ოჯახის მეუნიანური

საშედიცინო ჟურნალი

ფასი 70 თეთრი

როცა პაწიას ერთი შეხედვით უჩვეულო რამ ემართება

ბავშვის ბუმბის დაავადებები და ორსულობა

გვარის შეცვლას შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი მოჰყვეს

მზე და კანის დაავადებები

მთავარი თემა: საშვილოსნოს პათოლოგიები

ქრონიკული ლეიკემიები

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

№25 (263)
23 - 29 ივნისი
2005
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„ძალა ერთობაშია“ ანუ გაერთიანება შესუსტების ხარჯზე 3
საზღვრებს მიღმა
„აგულანტები“, ოპერაცია „კრაგანა“ და ქართული ინტერპოლი 4
ერთი კითხვა 5
რეფორმა
რუსუდან ლორთქიფანიძე: „ერთმმართველობა სადაც არის, იქ მეტი დემოკრატიაა...“ 7
თემა
სტიქიური უბედურება, დაუცველი მოსახლეობა, პროგნოზებით შეიარაღებული ხელისუფლება 9
კრიმინალი
პოლიციის ყოფილ უფროსს მკვლელობისთვის ასამართლებენ 12
სცენა
მარიკა თხელიძე არც ამერიკელებს ემდურის და არც თავის ლექტორებს 16
კადრს მიღმა
„გვირილა“, გვირილების გვირგვინი და ერთი ვარდი 17
გზავნილები
„კაცებო, გააშიშვლეთ ქალები“ 18
პრობლემა
რით დავამარცხოთ კიბო? 22
ოფსაიტი
ედუარდ შევარდნაძე: „ბევრი რამის მოთმენა და ატანა შემიძლია, მაგრამ არსებობს რაღაც ზღვარი...“ 24
ადამიანი. რომელიც...
ევროპულად მოწყობილი სასახლე, ლეოპარდის ტყავი და ბუნჩულა აფრიკელი მმართველი 27
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაზე 28
ჩემი თაობა
რექისორობის მიხეილ ჭიაურელისეული ფორმულა და დემონსტრაციულად გამოღებული სეიფი 29
ტესტი
ერთგული მკითხველი 31
საკითხავი ქალებისთვის
- თვითნებური დიეტა საშინელ გავლენას ახდენს სახის კანზე 32
- რატომ არ უყვართ მამაკაცებს ჭკვიანი ქალები 33

ჯანმრთელობა
- ვებრძოლოთ დერმატიტს 34
- როგორი სათვალე მოგიხდებათ 35

ტაძარი
როგორ მოვიქცეთ განსაცდელის დროს? 36
ფესვები
„აქ მოყვანილი სიმინდი მირჩევნია, როსტოვში მოსულ მგზესუმგზირას...“ 37

სტიქიური უბედურება, დაუცველი მოსახლეობა, პროგნოზებით შეიარაღებული ხელისუფლება...

„რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს ეს, არასასურველი მოვლენები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მთელი წლის განმავლობაში გაგრძელდება. სამწუხაროდ, პროგნოზი, რომელიც გარემოს დაცვის სამინისტროსთან ერთად დღემდე გვქონდა, 100%-ით გამართლდა.“

9

არც ამერიკელებს ემდურის და არც თავის ლექტორებს

კარგა ხანია ქართული შოუბიზნესი ისეთი აქტიურობით ალარ გამოირჩევა ასპარეზი დამწყებ მომღერლებს დაეთმო. ვისაც ფული აქვს და თანაც პირის გაღება არ ეზარება, ყველა „ვარსკვლავია“. როდესაც მარიკა თხელიძეს ინტერვიუსთვის შინ ვესტუმრე, ეკრანიდან სწორედ ასეთი ახალბედა ბიჭები გვაწონებდნენ თავს, რაც, ჩემი არ იყოს, მარიკას ღიმილსაც იწვევდა.

16

„ბევრი რამის მოთმენა და ატანა შემიძლია, მაგრამ არსებობს რაღაც ზღვარი...“

„ახლა ძალიან ცუდი სიტუაციაა და მე თანავუგრძნობ ამ ხალხს. მინდა დავეხმარო, მაგრამ რა ვქნა – რეზიდენციაში ვარ გამოკეტილი... როგორც მითხრეს, პრეზიდენტი ახალ სასახლეს აშენებს. რასაკვირველია, ყოველი ახალი შენობა ჩემს გულს ახარებს, მაგრამ თუ ხალხი შიმშილობს, რა დროს სასახლეა?..“

24

„მიშა ფულის გამო გახდა ქალი, ვანო კი ნერვიულ კაცად იქცა...“

...ცხოვრებაში სერიოზულები ვართ და აღარ გვეხუმრებაო, – ამ ინტერვიუმ ისე მხიარულად ჩაიარა, რომ თავი შოუს ჩაწერაზე მეგონა. ერთადერთი, ვისაც ხმა ვერ ამოვაღებინეთ, ჩაინიკა ანუ კობა ბარათელი გახლდათ: ბიჭებზე გაბრაზებული, კუთხეში მიმჯდარიყო და ბუზღუნებდა...

56

მინდორზე და მინდორს მიღმა
ოლიმპიური ჩემპიონის მედალს თურქეთში გაყიდვას უპირებდნენ 39
რომანი
მიხეილ იაშვილი. მაქცია (გაგრძელება) 42
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 46
ბედი კაცისა
ვითომ „სამოთხის“ კარი, ოცნების მსგავსი რაღაც და ბლატაობა ქუთაისურად 46
ავტო 49
ვარსკვლავი
ლინდსი ლოხანი: „ცხოვრება – რისკია! თუ ეს ასეა, მაშ გავრისკოთ!!!“ 50
ბომონდი 52
სპორტული მოზაიკა 53
გარემო
მეჩვიდმეტე სართულზე „აფრენილი“ მხატვარი და „ქალაქელი“ ფარშავანგები, ბღარბი, ციყვი, მგელი და კაჭკაჭი... 54
კულისები
„მიმა ფულის გამო გახდა ქალი, ვანო კი ნერვიულ კაცად იქცა...“ 56
პირველი პაემანი
ზურა შარია: „ბიჭებს ვურჩევდი, გოგონებს პაემანი წყალქვეშ დაუნიშნონ“ 58
ჰოროსკოპი
კვირის (23-29 ივნისი) ასტროლოგიური პროგნოზი 60
სკანვორდი 61
იუმორი 62
ტესტი
მამაკაცური აზროვნება გაქვთ თუ ქალური? 63
კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

მეჩვიდმეტე სართულზე „აფრენილი“ მხატვარი

ერთი ხოხობი ავად გამიხდა და ცალკე გალიაში გადავიყვანე, უნდა გადავარჩინო. კრუხად უნდა დამჯდარიყო. მისი კვერცხები ჩვეულებრივ სოფლის ქათამს დავუწყვე. მალე პატარა ხოხბები მეყოლება...

54

„ცხოვრება – რისკია! თუ ეს ასეა, მაშ გავრისკოთ!!!“

ლინდსი ლოხანის თაყვანისმცემლებს მსახიობის პირადი ცხოვრება მის შემოქმედებაზე ნაკლებად როდი აინტერესებთ. მისი ყოველი, თუნდაც უმნიშვნელო ნაბიჯი ურთიერთგამომრიცხავი ჭორების მიზეზი ხდება. აღფრთოვანებული ფანატები მას ყოველ კვირას ათხოვებენ, მისი რჩეულის სახელი მუდამ იცვლება.

50

„ბიჭებს ვურჩევდი, გოგონებს პაემანი წყალქვეშ დაუნიშნონ“

მსახიობი ზურა შარია ფიქრობს, რომ იმ თვისებებს შორის, რომლებიც ღმერთმა ადამიანებს უბოძა, ერთ-ერთი გამორჩეული, სიყვარულის ნიჭია... თავად ზურა ამ ბოლო დროს, სერიოზულადაა შეყვარებული წყალქვეშა სამყაროზე. ის უკვე მესამე ხარისხის მყვინთავია. ზურა პირველ პაემანზე წამსვლელებს შესაბამის რჩევას აძლევს...

58

მაქცია

მიხეილ იაშვილი

კარი ეკამ გამიღო!..

გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა. რამდენიმე წამი უტყვად მივჩერებოდით ერთმანეთს. შემდეგ ფერი დაკარგა, თვალები დახუჭა, წაბარბაცდა და მხრით კედელს მიეყრდნო...

– ეკა! – შევყვირე და...

42

„ძალა ერთობაშია"

ანუ გაერთიანება შესუსტების ხარჯზე

ბოლო წლებში, სწავლის განსაკუთრებული სურვილი მოგვეძალა ქართველებს. მაშინდელმა ხელისუფლებამაც, რა თქმა უნდა, გულთან მიიტანა საკუთარი ხალხის პრობლემა და თუ სადმე ცარიელი შენობა, ოთახი ან წვიმის შესაფარებელი ადგილი ნახა, ყველგან უმაღლესი სასწავლებელი გახსნა. შენობები რომ აღარ ეყო, შეთავსების პრინციპსაც მიაგნო და მაგალითად, თუ ოთახში დილის 6 საათიდან სახაშე მუშაობდა, 3 საათზე მოვიდოდა ოფიციანტი და გეტყოდა – დატოვეთ აუდიტორია, ლექცია იწყებაო...

ჩემს კორპუსში კი, კაი 15 წლის წინ ლიფტი გაძარცვეს და კაბინა მესამე და მეოთხე სართულებს შორის იყო გაჩხერილი. მალე წარწერაც გაჩნდა სადარბაზოსთან: „ვალოდია ბაღდავაძის (ჩემი მეზობელია) სახელობის უნივერსიტეტი აცხადებს აბიტურიენტების მიღებას. მისამართი: ეს პადიეზდი, მესამე და მეოთხე სართულებს შორის. თითი მიაჭირეთ წითელ კნოპკას"... თუ სადმე „ბირჟავიკი" იყო უბანში, ყველამ დიპლომი აიღო...

მოკლედ, რა სახისა და სახელწოდების უმაღლეს სასწავლებელს არ ნახავდით: „კულინარიულ აკადემიაში" პირველ კურსზე ბროწეულის გაწურვას გასწავლიდნენ, მეორეზე – ხახვის უცრემლოდ დაჭრას, მესამეზე – კვერცხის აღღვებას, მეოთხე-მეხუთეზე პრაქტიკას გაივლიდი და დიპლომს რომ აიღებდი, უკვე კაი „ულტიმედჩოფერი" იყავი.

განსაკუთრებით, ჟურნალისტები მოგვამრავლა „დიპლომების მფარველმა ნიმფამ": სტატიის წერას ერთი იწყებდა, მეორე ამთავრებდა, მესამე სათაურს წაწერდა, მეოთხე – ავტოგრაფს; ჰონორარსაც ძმურად, ერთი თხილის გულივით ვიყოფდით და თან გვიკვირდა – ჟურნალისტობაში ფული არ იშოვებაო...

ასე გაგრძელება ნამდვილად აღარ შეიძლებოდა და ახალმა ხელისუფლებამაც იმიტომ გამოაცხო განათლების რეფორმა. ბევრი ინსტიტუტი საერთოდ გააუქმა. დანარჩენის კი, გაერთიანებას მიჰყო ხელი და მალე სახელმწიფო უნივერსიტეტსაც მიადგა – რა ამბავია, ამდენი კათედრა და ფაკულტეტიო...

კარგი, რა, ბატონო ალექსანდრე (კახა)!.. ყველა-ყველა და, ამ უდიდესი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა მაინც მიიღოს კონკრეტული, მაგრამ საფუძვლიანი განათლება, კათედრების შემცირება კი არა, პირიქით – გამრავლებაა საჭირო. მე თქვენს ადგილას, მაგალითად, ქართული ენის კათედრას გავზრდიდი და მისგან 3-4 კათედრას შევქმნიდი: „ლ"-ების გამაგრების კათედრა ხომ აუცილებელია, რომ დიპლომიანმა ფილოლოგმა მაინც გითხრას მადლობა და არა „მადლიობა"; ასევე აუცილებელია „ვ"-ების „მ"-ებად გადაკეთების კათედრა. მისმა კურსდამთავრებულებმა მაინც რომ დაწერონ „ვსვამ" და არა „ვსვავ", „ვიზამ" და არა „ვიზავ" და ა.შ.; და მესამე, ყველაზე მთავარი და საჭირო – „ზედმეტი „თ"-ების ამოძირკვის კათედრა არაა საჭირო?! აბა, სანამდე ვიძახოთ: „გამარჯობათ", „დიახთ" და „ნახვამდით"...

ასე რომ, რაშიც გვიჭირს, ბატონო ალექსანდრე (კახა), იმ დარგებში შეერთება-შემცირება კი არა, სპეციალობების გამრავლებაა საჭირო: ხომ გვიჭირს ესტრადაში?! ჰოდა, დავაფუძნოთ ესტრადის აკადემია, რექტორად ქართული ესტრადის უხუცესი, „მშვიდობით – ო, რა კაიას" მეცნიერებათა დოქტორი დავნიშნოთ. ეგება მოუცლელობის გამო მაინც ჩამოვიდეს სცენიდან და მომავალი თაობის აღზრდით დაკავდეს. ვიცი, მეტყვით, ხომ გვაქვს კონსერვატორიაო, მაგრამ რა მერე, რომ გვაქვს? ვისაც ესტრადის ვარსკვლავობა უნდა, კაციშვილი არ მიდის კონსერვატორიაში – იქ მუსიკალურ სმენას ითხოვენო...

ასევე უნდა გავზარდოთ სპორტული აკადემიების რაოდენობაც და გავხსნათ კომენტატორების კათედრა, რომ კარგად თამაში თუ არა, სპორტული სახეობების სწორად წარმოთქმა მაინც ვისწავლოთ. აბა, სანამდე ვითამაშოთ „ფეღბურთი", „კალადბურთი", „ფრენდბურთი" და „ჩონგბურთი"?!

ზედმეტად მაგრები რომ გავხდებით, მერე ავდგეთ და შევამციროთ, როგორც გაგვიხარდება...

P.S. *განათლების სამინისტროს ბრძანება №438 „ჰ" უმაღლეს სასწავლებლებში მონათესავე სპეციალობების გაერთიანების შესახებ:*

სოფელ ბჟინების მეფრინველეობის აკადემიის „ჩინჩვლის" ფაკულტეტი შეუერთდეს „მოკრუხების" ფაკულტეტს და მათ ბაზაზე შეიქმნას ერთიანი, „კვერცხგამოჯდომადობის" ფაკულტეტი. კურსდამთავრებულებს მიენიჭოთ „კვერცხოლოგიის ბაკალავრის" კვალიფიკაცია...

პროვოკატორი

ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ქართველი ე.წ. „აზულანტების“ დასაპატიმრებლად ბოლო დროს, პერმანენტულად ხორციელდება მასშტაბური სპეცოპერაციები. საზღვარგარეთ მყოფ ასობით ქართველ არალეგალს ძირითადად, საკვებისა და ტანსაცმლის ქურდობისთვის იჭერენ. პირველი უწყება, რომელიც ამის შესახებ ინფორმაციას იღებს, ქართული ინტერპოლია. მას უცხოელი კოლეგები საქართველოს მოქალაქეების იდენტიფიკაციის გადამოწმებას სთხოვენ. სავარაუდოა, რომ მათ, ვინც ოპერაცია „კრაზანას“ ახორციელებდა, ტარიელ ონიანის იდენტიფიკაცია ქართველი კოლეგების დახმარების გარეშეც არ გაუჭირდებოდათ. მიუხედავად ამისა, ჩვენში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქართულმა ინტერპოლმა ამ ოპერაციის შესახებ წინასწარ იცოდა... რა სახის ინფორმაციას ანდობენ ერთმანეთს ქართველი და უცხოელი კოლეგები და რატომ უჭირთ საკუთარი მოქალაქეების ამოცნობა ინტერპოლის თანამშრომლებს? ამ კითხვებზე ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელის პირველი მოადგილე გელა მაჭავარიანი გვიპასუხებს.

„აზულანტები“, ოპერაცია „კრაზანა“ და ქართული ინტერპოლი

ხათუნა მაღრაძე

— ინტერპოლის მთავარი ფუნქციაა: პიროვნების ძებნის გამოცხადება, იდენტიფიკაცია და ეკონომიკური სახის დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა. რაც შეეხება საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებს, მათთან შეხება გვაქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქართველი ემიგრანტი რაიმე დანაშაულს ჩაიდენს. როცა სამართალდამცავები მისი წარსულითა და იდენტიფიკაციით დაინტერესდებიან, გვიგზავნიან მის ფოტოს, თითის ანაბეჭდებს, სახელსა და გვარს და გვთხოვენ, გავარკვიოთ, ხომ არ იძებნება ეს ადამიანი. თუმცა, საქართველოდან წასული მოქალაქეების დიდი ნაწილი „აზულანტობას“ არჩევს: ისინი სასურველ ქვეყანაში ჩასვლის შემდეგ, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებს ანადგურებენ, სახელსა და გვარს, ბიოგრაფიულ მონაცემებს იცვლიან და ისე ბარდებიან დევნილთა ბანაკებში. ამის შემდეგ, მათი კვალი ფაქტობრივად, ქრება.

— ფოტოსურათი და თითის ანაბეჭდები იდენტიფიკაციის დასადგენად საკმარისი არ არის?

— თუ ამ პიროვნებას უცხოეთში წასვლამდე, სამართალდამცავებთან შეხება არ ჰქონია, მისი თითის ანაბეჭდები კარტოთეკაში შენახული არ არის. თუ ამას დაემატება შეცვლილი გვარ-სახელიც, ვინაობის დადგენა ფაქტობრივად, შეუძლებელი ხდება.

— საქართველოს მოქალაქეების დაკავება, თქვენ მიერ გაცემული ინფორმაციის შემდეგ ხდება?

— ხშირად, მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე იჭერენ და საიდენტიფიკაციო მონაცემებს მხოლოდ ამის შემდეგ გვიგზავნიან. დაახლოებით 30%-ს თუ შეადგენს იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთა გადამოწმებაც მათ დაკავებამდე ხდება. ისინი საეჭვო ქმედებაში არიან ეჭვმიტანილნი. თუ ჩვენი მხრიდანაც დადასტურდა მათი ძებნილობა, მაშინ დაკავება გარდაუვალია.

— ცნობილია, რომ დაკავებულთა უდიდეს ნაწილს არა აქვს კრიმინალური წარსული და მათ უმეტესად, საკვების ქურდობა ედებათ ბრალად.

— გამოცდილი კრიმინალი, რომელიც საქართველოში ძებნილად არის გამოცხადებული, უცხოეთში განსაკუთრებული სიფრთხილით მოქმედებს. ის არ შევა მაღაზიაში და შარვლის ან მაისურის მოპარვით თავს საფრთხეში არ ჩაიგდებს. მაგრამ საზღვარგარეთ დაკავებულთა უმეტესობა თავის გადასარჩენად იბრძვის. მათ ადგილობრივი ხელისუფლება სასიცოცხლო მინიმუმითაც კი არ უზრუნველყოფს, ამიტომ იძულებული არიან, საკვები ან ტანსაცმელი მოიპარონ.

— ალბათ ამიტომ არის, რომ ე.წ. კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტები, რომლებიც ვარდების რევოლუციის შემდგომ, საზღვარგარეთ წავიდნენ, დაკავებულთა სიაში არ ხვდებიან...

— ინტერპოლისთვის ავტორიტეტი არ არსებობს, ჩვენ ყველა კატეგორიის დამნაშავეს ვებრძვით. მაგრამ გამოცდილი კრიმინალების დაკავება გაცილებით რთულია. ძებნის პერიოდში, ისინი ჩვეულ „პროფესიას“ დროებით თავს ანებებენ და სამართალდამცველების მხედველობის არეში არ ექცევიან.

— ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა ინტერპოლის ფუნქციაში შედის. გავრცელებული

ინფორმაციით, ონიანსა და ლიპარტელიანს სწორედ ამ ბრალდებებს უყენებენ. თუ მათ წინააღმდეგ განხორციელებული ოპერაცია წლების განმავლობაში მზადდებოდა, როგორ მოხდა, რომ ქართული მხარე ამის შესახებ ინფორმირებული არ იყო?

— „კრაზანის" შესახებ ინფორმაცია ნამდვილად არ გვქონია, იმ ადამიანების ვინაობაც კი არ ვიცოდით, რომლებსაც საქართველოს მოქალაქის პასპორტები აღმოაჩნდათ. ესპანეთის სამართალდამცავებს ტარიელ ონიანის იდენტიფიკაციის დადგენა ჩვენთან კონსულტაციის გარეშეც შეეძლოთ. თუმცა, რა მოხდა რეალურად ესპანეთში, ამის გარკვევას დრო დასჭირდება. თუნდაც ის ფაქტი, რომ დააკავეს არასრულწლოვანი ბავშვები, გაუგებარი და უპრეცედენტოა.



— **შესაძლებელია, რომ ეს ტარიელ ონიანზე ზეწოლას ისახავდა მიზნად?**

— სამართალდამცველებმა ზეწოლის მიზნით არასრულწლოვანი რომ დაიჭირონ — ეს ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებლობის დარღვევაა. ამ ასაკის ბავშვს მაშინაც კი არ აპატიმრებენ, როცა მან თვითონ ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული.

— **ერთ-ერთი ცნობის თანახმად, ინტერპოლმა უცხოელ კოლეგებს ქართველი კრიმინალების დაკავება და საქართველოსთვის მათი გადმოცემა სთხოვა, რის შედეგადაც, ევროპის ქვეყნებში ქართველი არალეგალების მასობრივი დევნა დაიწყო...**

— ჩვენ ვითხოვთ ძებნილების გადმოცემას, არალეგალებთან რა გვესაქმება?!. უბრალოდ, ევროპა აქტიურად იძიებს იმიგრანტების საქმიანობას: შეწუხებული არიან ყოველდღიური ქურდობით, კრიმინოგენური სიტუაცია უმართავი ხდებოდა, ამიტომ ხორციელდება პერმანენტული ოპერაციები არა მიზანმიმართულად ქართველების, არამედ დამნაშავეების წინააღმდეგ. ჩვენ ქართველების შესახებ მოგვდის ინფორმაცია, მაგრამ დაკავებულებს შორის, სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც არიან.

— **როგორც ჩანს, ქართველი იმიგრანტებით ევროპა შეწუხებულია. ჩვენთან თუ ჩამოდიან უცხოეთიდან დევნილები?**

— კი, ჩვენმა სამსახურმა ათობით უცხოელი ძებნილი დააკავა და გადასცა თავის ქვეყანას. მაგრამ საქართველოში კანადიდან და მექსიკიდან არავინ ჩამოდის — ძირითადად, თურქეთის, რუსეთისა და დსთ-ის ქვეყნებიდან შემოსულ ძებნილებთან გვიწევს შეხება.

— **რუსეთთან გამწვავებული ურთიერთობის ფონზე, იქაურ კოლეგებთან თანამშრომლობა არ გიჭირთ?**

— ინტერპოლის სამსახური 182 ქვეყანას აერთიანებს. ჩვენ სამხედრო, რელიგიური, ეთნიკური თუ სხვაგვარი პრობლემების მიუხედავად ვთანამშრომლობთ, ჩვენ შორის კონსტრუქციული ურთიერთობაა დამყარებული და კოორდინირებული მუშაობა არ გვიჭირს.

— **და მაინც, პოლიტიკურ კონიუნქტურას ვერც ინტერპოლი აუვლის გვერდს: რუსეთი ხომ, ინტერპოლის მიერ ძებნილ ჩვენს მოქალაქეებს — ლევან მამალაძეს, იგორ გიორგაძესა და სხვებს იფარავს...**

— მათ სავარაუდოდ, საიდენტიფიკაციო ნიშნები აქვთ შეცვლილი, ამიტომ დაკავება ვერ ხერხდება...

■

„...მიუგზავნეს „ნასედკა", რომელმაც ულტიმატუმი შეახსენა..."



— **სულხან მოლაშვილმა ცხინვალში თქვენთან შეხვედრის დროს დაასახელა კონკრეტული ჩინოვნიკების გვარები, რომლებიც ლიკვიდაციით დაემუქრნენ. რას ითხოვდნენ ისინი მოლაშვილისგან?**

თეა თუთბერიძე, *თავისუფლების ინსტიტუტი:*

— მოლაშვილმა ჩემთან შეხვედრა ითხოვა. საუბრისას მითხრა, რომ მის დაშინებას ცდილობენ. კონკრეტულად — ცხინვალის რესპუბლიკურ საავადმყოფოში შევიდა 3 მაღალჩინოსანი, რომლებსაც საკმაოდ კარგად იცნობს; ამ ადამიანებმა გადასცეს მას სხვა, კიდევ უფრო მაღალი თანამდებობის პირების დანაბარები: აღიაროს საკუთარი ბრალეულობა, გადაიხადოს ნახევარი მილიონი დოლარი, გამოიტანოს სარჩელი სტრასბურგის სასამართლოდან. ულტიმატუმის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მას ფიზიკურად გაუსწორდებიან. ბატონმა სულხანმა დაასახელა ამ ადამიანების გვარები. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე, მე მათი ვინაობის ხმამაღლა გამხელა არ შემიძლია, რადგან თვითონ მთხოვა, თავი შემეკავებინა. მოლაშვილის თქმით, ამ შეხვედრის შემდეგ, მას მიუგზავნეს „ნასედკა", რომელმაც ულტიმატუმი შეახსენა. ვინაიდან მომხდარის ფაქტებით დადასტურება არ შეგვიძლია, შესაბამის ორგანოებს ვერ მივმართავ. თუმცა ამ ინფორმაციის გახმაურების შემდეგ, კონკრეტული ადამიანები მიხვდებიან, რომ მე მათი გვარები ვიცი და იმედია, ვეღარაფერს გაბედავენ.

■

„ევრაზჰოლდინგს“ სტრასბურგში ვუჩივლოთ“

— „ევრაზჰოლდინგის“ მიერ „ჭიათურმანგანუმვარციხეჰესის“ შეძენაზე უარის თქმის შემდეგ, პრეფიციტულ ბიუჯეტში სეკვესტრის განხორციელება გარდაუვალი იქნება?

დავით გამყრელიძე, *„ახალი მემარჯვენეები“:*

— საქართველოს წლების განმავლობაში უცხოვრია სეკვესტრირებული ბიუჯეტის პირობებში და ამით ქვეყანა არ დაქცეულა. ხელისუფლებას მაფიოზური გარიგებები ჩაეშალა, საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე იმიჯი შეელახა, ბიუჯეტში ვეღარ შევა წინასწარ გაწერილი თანხები. თუმცა, სიტუაციის გამოსასწორებლად „ჭიათურმანგანუმის“ ნაჩქარევი, ხელახალი პრივატიზება არ უნდა განხორციელდეს. პირველ რიგში, უნდა აღიძრას საქმე ეკონომიკური დარგის პირველი პირების მიმართ, რომელთაც აეროპორტისა და სანაოსნოს მსგავსად, „ჭიათურმანგანუმის“ გასხვისება, აფერაზე ააგეს. საპარლამენტო საგამოძიებო კომისია ზუსტად დაადგენს, იყო თუ არა ეს ინტერესთა ჯგუფების მანიპულაცია და ვინ აპირებდა ფულის გათეთრებას ამ უკანონობით. გარდა ამისა, შესაძლებელია, „ევრაზჰოლდინგს“ ქვეყნის იმიჯის შელახვისთვის სტრასბურგში ვუჩივლოთ და კომპენსაცია მოვითხოვოთ. „ჭიათურმანგანუმის“ პრივატიზება კი, სრულიად გამჭვირვალედ უნდა ჩატარდეს, „დეკამეტალთან“ უკვე გაფორმებული გარიგებებისა და სხვა ათასგვარი მანიპულაციის გარეშე. ■

ინტიმური ტელეფონი

822-009-008
822-009-088
822-009-108

18 წლიდან
მომსახურება ფასიანია

მილიარდები სეპარატისტების წინააღმდეგ

— სეპარატისტების ამჟამინდელი გააქტიურება, შარშანდელი პროვოკაციის მსგავს ნიშნებს შეიცავს. საბრძოლო მოქმედებებში ჩათრევის საფრთხე ამჯერადაც რეალურია?

გიორგი გაჩეჩილაძე, *პოლიტოლოგი:*

— სეპარატისტების უკანონო ქმედებები ომის პროვოცირების წინა პირობას ქმნის, თუმცა, შეიარაღებული კონფლიქტის დაწყება მაინც ნაკლებად რეალური მგონია. გარკვეული პოლიტიკური წრეები ვერ ხვდებიან, რომ ამერიკა, რუსეთზე ზემოქმედების უზარმაზარ ბერკეტებს ფლობს. საჭიროების შემთხვევაში, ეს „რესურსი“ ამოქმედდება. ნახევარი წლის შემდეგ, ნავთობსადენის მილების გავსება და ნავთობის გადაქაჩვა დაიწყება. ამ პროექტის ასამუშავებლად, დასავლეთმა მილიარდები გადაიხადა, ამ თანხას თვითგამოცხადებული მთავრობების უადგილო გამოხდომების გამო ქარს ვერ გაატანს... ნავთობსადენის ამოქმედებასთან ერთად, რუსეთ-ამერიკა-საქართველოს შორის ინტენსიური მოლაპარაკებები დასრულდება, ბაზები გავლენ, ცხინვალში კი, ჩვენი იურისდიქცია აღდგება. ამ შედეგს ნახევარ წელში დავინახავთ. ■

ვინ იქნება „ბუნტისთავი“?..

— მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველის სამსახური კოპაძისა და კემულარიას პასუხისმგებლობაზე ალაპარაკდა, ციხეებში მოსალოდნელ „ბუნტზე“ მინიშნება კეთდება...

სოზარ სუბარი, *სახალხო დამცველი:*

— თუ „ბუნტი“ მართლაც მოხდა, ეს იქნება იმ ადამიანთა შეკვეთის შესრულება, რომლებსაც საკუთარი ბრალეულობის დასამალად ქაოსი სჭირდებათ. კოპაძის მმართველობის პერიოდში, 50 ადამიანი გაიქცა ციხიდან. დეპარტამენტის უფროსს ამის შესახებ წინასწარ ჰქონდა ინფორმაცია. იმის მაგივრად, რომ დროულად გაეძლიერებინა დაცვა, საიდუმლო პატაკი გაგზავნა, რომელიც 6 დღის შემდეგ ჩავიდა დანიშნულების ადგილამდე. დღეს ამის გამო ციხეში რამდენიმე ისეთი ადამიანი იხდის სასჯელს, რომლის ბრალეულობაც პატიმრების გაქცევაში გაცილებით მცირეა, ვიდრე კოპაძის. უფრო მეტიც — დეპარტამენტის უფროსმა ისიც იცოდა, რომელ ოჯახში ინახებოდა იარაღი. ასეთი ადამიანი კვლავ თანამდებობაზე რჩება. ახლა გაჩნდა „ბუნტის“ მუქარაც, ყველა სახის გართულებაზე პასუხს იუსტიციის მინისტრი და დეპარტამენტის ხელმძღვანელობა აგებენ. იმედი მაქვს, ამის გაცნობიერება არ გაუჭირდებათ. ■



ბოლო დროს რაღაც ძალიან მივეჩვიეთ ერთპარტიულობას და ერთპიროვნულ მმართველობას. მოდარაჯე თვალისთვის ეს ავტორიტარული რეჟიმის დაბრუნებას მოასწავებს. თუმცა, ძლიერნი ამა ქვეყნისანი ყველაფერს დემოკრატიის მონაპოვრად მიიჩნევენ. ამ დღეებში, პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაუქმდა დიდი სამეცნიერო საბჭო. თუ აქამდე იტალიაში საქართველოს ყოფილ ელჩს, დიპლომატსა და არქიტექტორ რექტორს, უნივერსიტეტთან შეხება არ ჰქონია, ახლა მას, ფლაგმანი უმაღლესი სასწავლებლის ერთპიროვნული მმართველობა ეგოძა. ბრძანებას ბრძანება მოჰყვა და რექტორმა, მის სამფლობელოში სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მოტივით, 22-ის ნაცვლად 6 ფაკულტეტი დატოვა. როგორც ჩანს, განათლების რეფორმაც უსვად მოიტანს წმენდას და უმუშევრობით დაღვრილ ცრემლს. სწორედ ამის გამო დღეს დედაუნივერსიტეტი ვნებათაღელვის ეპიცენტრში აღმოჩნდა...

რუსუდან ლორთქიფანიძე: ერთმმართველობა საღაც არის, იქ მეტი დემოკრატიაა...

ნანა ფიცხელაური

— ქალბატონო რუსუდან, იმის გარდა, რომ საპასუხისმგებლო თანამდებობა გიკავიათ, რეფორმის წყალობით, თქვენ და უნივერსიტეტი ძალზე „აქტუალურები“ გახდით. თავს როგორ გრძნობთ?

— გმადლობთ, კარგად. მართლაც, ძალიან საპასუხისმგებლო როლი მაკისრია და მაინტერესებს, როგორ გავართმევ თავს. საკმაოდ რთული მომენტები მაქვს, მაგრამ შედეგები მალე სახეზე იქნება.

— კადრების გარდა, რა შეიცვალა წმყვან უნივერსიტეტში თქვენი მოსვლის შემდეგ?

— ძნელი სათქმელია, რა შეიცვალა, ვინაიდან მე არ ვიცი, მანამდე რა იყო. ის, რაც შევისწავლე, ცხადყოფს, რომ ახალ ცხოვრებასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, ბევრი რამ არის შესაცვლელი... მიღწეულის ჩამოთვლა ძნელია. ამ დღეებში, პარლამენტში, მიმდინარე რეფორმების პრეზენტაცია გავმართეთ. იქ ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ ადამინი მეორე ადამიანს ნახევარ საქმეს არასოდეს უჩვენებს — სჯობს, ეს საქმის დასრულების შემდეგ მოხდეს. თუმცა, ჩვენ მზად ვართ შენიშვნებისა და რჩევებისათვის. უნივერსიტეტი ძალიან ფაქიზი ორგანიზმია, სადაც საკმაოდ განათლებულ და გამოცდილ ადამიანებთან გვაქვს ურთიერთობა. ამიტომ, ყველა ცვლილება კარგად აწონილ-დაწონილი უნდა იყოს. განათლების კანონმა საკმაოდ რადიკალური ცვლილებების გატარების საჭიროების წინაშე დაგვაყენა. ეს კანონი რომ არ ყოფილიყო, ყველაფერი უნდა გაგვეკეთებინა, რომ ეს ცვლილებები მაინც მოგვეხდინა.

— პრეზიდენტის 8 ივნისის ბრძანებულების თანახმად, საბოლოოდ გაუქმდა დიდი სამეცნიერო საბჭო ანუ უნივერსიტეტმა დამოუკიდებლობა დაკარგა. თქვენ კი მისი ერთპიროვნული მმართველი გახდით. რატომ არ იქნა ეს საკითხი წინასწარ განხილული უნივერსიტეტში და შეიძლება თუ არა ეს დემოკრატიის ნიმუშად ჩაითვალოს?..

— სამეცნიერო საბჭოს გაუქმება 8 ივნისის ბრძანებულებით კი არა, ახალი კანონის თანახმად მოხდა, რომელიც დეკემბერში თუ იანვარში იქნა მიღებული. კანონში მითითებულია, რომ დროებითი მმართველობა მხოლოდ წელიწად-ნახევრით შემოდის: ჩვენ უნივერსიტეტი ახალ არჩევნებამდე და ახალ სტრუქტურამდე უნდა მივიყვანოთ. ამაში ახალი არაფერია. ახლა რაც ხდება ამის ირგვლივ, მორიგი ხმაურია მხოლოდ. ერთმმართველობა სადაც არის, იქ მეტი დემოკრატიაა... ახლა მე უფრო მეტ პასუხისმგებლობას, ძალას და თავდაჯერებულობას ვგრძნობ. მომავალი არჩევნების დამოუკიდებლობის ხარისხი გაცილებით მაღალი და მიმზიდველი იქნება. ამ კანონში მეტი ავტონომია დევს. ვიცი, გულზე გხვდებათ აღნიშნული ბრძანება, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ ეს არის რეფორმების პერიოდი, რომელსაც ხშირად, ამგვარი ნაბიჯები სდევს თან.

— და რამდენად წარმატებული იქნება რეფორმა უნივერსიტეტში?

— უნივერსიტეტში რეფორმა მთელ რიგ ცვლილებებს ითვალისწინებს. ეს აისახება ძირითადად, სტრუქტურულ ცვლილებებზე: მიმდინარეობს ფაკულტეტების გამსხვილება, ადმინისტრაციის ოპტიმიზაცია, სასწავლო პროცესის შეცვლა, ბაკალავრიატის პროგრამების გადასინჯვა და ახლის შექმნა. პირველკურსელებს წელს ახალ პროგრამებს ვახვედრებთ. შედგა მაგისტრატურის პროგრამები. ვეცდებით, დოქტურანტურაში რამდენიმე სპეციალობაში ახალი საგნები შემოვიღოთ. თვის ბოლოს დაგეგმილია საერთაშორისო კონფერენცია. ცვლილებებია მოსალოდნელი პედაგოგთა დატვირთვაშიც. სტუდენტებისთვის სასწავლო საათები შემცირდება, ხოლო პედაგოგთა ხელფასები გაიზრდება.

— ალბათ ფაკულტეტების გამსხვილებისა და კადრების შემცირების ხარჯზე... ხუმრობა ხომ არ არის — 22-ის ნაცვლად, 6 ფაკულტეტი და შესაბამისად, 6 დეკანი დარჩება!..

— შემცირება თვითმიზანი არ არის.



წელს გათვალისწინებულია 2962 სტუდენტის მიღება. აქედან ნახევარს სახელმწიფო დააფინანსებს

მოგეხსენებათ, უნივერსიტეტში ძალზე გაბერილია შტატები. მათი შემცირება მოხდება ფაკულტეტების საჭიროების მიხედვით — თვითონ ფაკულტეტი გადაწყვეტს, თუ ვინ მეტად საჭიროა და ვინ — ნაკლებად. ხელფასები ოპტიმიზაციის ხარჯზე გაიზრდება და ყველაფერი საკმაოდ აპრობირებული კრიტერიუმების საფუძველზე მოხდება.

— თქვენმა ზოგიერთმა ოპონენტმა ბრძანა — რექტორისთვის 6 დეკანის მართვა უფრო იოლი იქნება, ვიდრე — 22-ისო...

— ვერ გავიგე, ოპონენტები რას გულისხმობენ — ამ რეპლიკაში აზრი არ დევს. პარლამენტმა, რომელსაც ხალხი ენდობა, მიიღო კანონი და ჩვენი მიზანია, ამ კანონის სწრაფად განხორციელება და არა ეტაპობრივად, 20 წელს რომ გაგრძელდება... შეიძლება, ინსტიტუტში ერთი დეკანი დარჩეს და მისი მართვაც რთული იყოს. გამსხვილებული ფაკულტეტების ანალოგები ბევრ ევროპულ ქვეყანაში არსებობს და უფრო კარგად პასუხობს სასწავლო პროცესის ამოცანებს. ამგვარად, სექტემბრიდან უნივერსიტეტში გვექნება: ეკონომიკისა და ბიზნესის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, იურიდიული, მედიცინის, სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა და ჰუმანიტარული ფაკულტეტები. რომის უნივერსიტეტში სულ 3 თუ 4 ფაკულტეტია... ჩვენ ის ფაკულტეტები გავაერთიანეთ, რომლებიც ერთმანეთთან ძირითადად, სასწავლო პროგრამებითაა დაკავშირებული. ბაკალავრიატი უფრო ფართო გაგებით პროფესიის შესწავლის საშუალებას წარმოადგენს, ვიწრო სპეციალიზაცია კი, მაგისტრატურაში ხდება. ბავშვებს 17-18 წლის ასაკში არჩევანის გაკეთება უჭირთ. ეს მათ თანდათან გაუადვილდებათ და იმის მეტი შესაძლებლობა მიეცემათ, რომ არ შეცდნენ გადაწყვეტილების მიღებისას. ამიტომაც არის საგნების 2/3 — აუცილებელი, ხოლო — 1/3 არჩევითი. სტუდენტებისთვის ფაკულტეტის შიგნით სხვა სპეციალობაზე გადასვლა გაცილებით გამარტივებული იქნება.

— როგორც ბატონმა მინისტრმა ბრძანა, ჩვენი განათლების სისტემა 5 წელიწადში ევროპულ სტანდარტებსა და მოდელს უნდა გავუტოლოთო. არის კი საქართველოში საიმისო რესურსი, რომ ამას ასეთ მოკლე ვადაში მივაღწიოთ?

— ზოგადად განათლების სისტემაზე არ შემიძლია ვილაპარაკო. მხოლოდ უნივერსიტეტზე ვიტყვი, რომ აქ არის საკმრისი რესურსი საიმისოდ, რომ 2010 წლისთვის ევროპულ სტანდარტებს მივაღწიოთ და ასეც იქნება.

— რამდენ სტუდენტს მიიღებს წელს საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტი და აქედან რამდენს დააფინანსებს სახელმწიფო?

— წელს გათვალისწინებულია 2962 სტუდენტის მიღება. აქედან ნახევარს სახელმწიფო დააფინანსებს. თანხები უკვე დადგენილია და მეტის დაფინანსება და გამონაკლისების დაშვება შეუძლებელი იქნება. იმედი მაქვს, სახელმწიფო უნივერსიტეტი საუკეთესო კონტინგენტით შეივსება. იმედის საფუძველს ის მაძლევს, რომ კორუფციის შესაძლებლობა ნულზეა დაყვანილი — 1%-ის დაშვებაც კი გამორიცხულია.

— მართალია, რომ ვაუჩერები ერთწლიანია და უფასო სწავლებაზე გადასვლა მეორე კურსიდან, ფრიადოსან სტუდენტებს შეეძლებათ?

— არა. ვინც საერთო ეროვნულ გამოცდებში უმაღლეს ქულებს დაგროვებს, მას უფასო სწავლება 5 წლით ანუ ინსტიტუტის დამთავრებამდე აქვთ გარანტირებული.

— სტიპენდიები თუ დაწესდება წარჩინებული სტუდენტებისთვის და რა ოდენობით?

— სტიპენდიები, რა თქმა უნდა, დაწესდება, მაგრამ სულ სხვა პრინციპით. ეს დამოკიდებულია ბიუჯეტზე. მთელ მსოფლიოში უამრავი ფონდი არსებობს, რომელიც უმაღლეს სასწავლებლებს ეხმარება. ვინაიდან ქვეყნის პრიორიტეტი განათლებაა, დარწმუნებული ვარ, ხელშეწყობაც იქნება — ანუ მსგავსი ფონდები ჩვენშიც ჩამოყალიბდება. ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ იმ სტუდენტებს, ვისაც სწავლა უნდა და არა მხოლოდ დიპლომი — როგორც ეს ადრე ხდებოდა. როგორც კი საზოგადოება გააცნობიერებს, რომ სწავლა საჭიროა ცოდნის შესაძენად, მიხვდება, თუ სად შეიძლება თავის რეალიზაცია. დასავლეთში დაუმსახურებლად მამა შვილს არ უწერს ნიშანს. აქ კი ყველაფერი საპირისპიროდაა...

— დავუშვათ, აბიტურიენტს ქულები არ ეყო და ფასიან სექტორზე მოხვდა, მაგრამ საამისო ფინანსური სახსრები არ გააჩნია. ასეთ შემთხვევაში, მისთვის რაიმე შეღავათის გაწევა თუ იქნება შესაძლებელი?

— ასეთ შემთხვევაში, სტუდენტი ავტომატურად ეთიშება სასწავლო პროცესს და მის ადგილს გადახდისუნარიანი დაიკავებს...

— ქალბატონო რუსუდან, თქვენს მოწინააღმდეგე და რექტორობის მოსურნე ლექტორ-მასწავლებლებთან თუ გამონახეთ საერთო ენა?

— მე არ ვიცნობდი უნივერსიტეტს, უფრო სწორად — კარგად არ ვიცნობდი. მოგეხსენებათ, ტექნიკური უნივერსიტეტი მაქვს დამთავრებული და აქამდე ამ სასწავლებელთან შეხება არ მქონია. ამ რამდენიმე თვეში, აქ ბევრი საინტერესო პიროვნება გავიცანი. იმ ადამიანებს, რომლებიც საკუთარ თავში ლიდერობისთვის საკმარის პოტენციალს ხედავენ, უნივერსიტეტზე ფიქრობენ და მისთვის სიკეთის მოტანა უნდათ, მათ ჩემს მოწინააღმდეგეებს ვერ ვუწოდებ. ჩვენ ყველანი ერთი მიზნით შეპყრობილი ხალხი ვართ და შემიძლია ვთქვა, რომ დავმეგობრდით კიდეც.

— იმას რით ახსნით, რომ თქვენ მრჩეველი, ექსრექტორი, ბატონი როინ მეტრეველია, რომელსაც ბევრი კორუფციაში ადანაშაულებს?

— ვხედები, რასაც გულისხმობთ და საით მიგყავთ საუბარი. მაგრამ გეტყვით, რომ როინ მეტრეველი ყოფილი რექტორია და ხშირ შემთხვევაში, როცა უნივერსიტეტში ახალი რექტორი მოდის, ძველთან ერთად თანამმართველობას ახორციელებს, ეს ჩვეულებრივი ამბავია... ჯერჯერობით, რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ვარ და აუცილებელია, ყველაფრის საქმის კურსში ვიყო. ამიტომაც არის ბატონი როინი ჩემი მრჩეველი.

— წელიწად-ნახევარში, უნივერსიტეტში რექტორის არჩევნები ჩატარდება. იმედი გაქვთ, რომ კვლავ გახდებით უნივერსიტეტის წინამძღოლი?

— ნამდვილად ვერ გეტყვით, რა იქნება წელიწად-ნახევრის შემდეგ... ისე, კაცი იმედით ცოცხლობს და დარწმუნებული ვარ, დრო და აუცილებლობა ყველას და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს... ■

სტიქიური უბედურება, ღაუცველი მოსახლეობა, პროგნოზებით შეიარაღებული ხელისუფლება...

იმაში, რომ ადამიანი ბუნებასთან ჭიდილში უსუსურია, ბოლო დროს მოჭარბებულმა ნალექმაც დაგვარწმუნა. სტიქიასთან ბრძოლა თითქმის წარმოუდგენელია, თუმცა ცივილიზებული სამყარო ცდილობს, საგანგებო სიტუაციებიდან რაც შეიძლება უფრო უმტკივნეულოდ გამოსვლის გზებს მიაგნოს. ამ მხრივ გამონაკლისს არც ის ქვეყანა უნდა წარმოადგენდეს, რომელსაც ნატოსა და ევროკავშირისკენ უჭირავს თვალი.

ემა ტუხიაშვილი

ფორმალურად ყველაფერი წესრიგშია: არსებობს პრეზიდენტის განკარგულება (გრიფით „საიდუმლო“), რომელიც საგანგებო სიტუაციების დროს სახელისუფლებო სტრუქტურების მოქმედებას განსაზღვრავს, ტარდება პრაქტიკული წვრთნა და მომზადება. მაგალითად, შარშან, საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სამსახურის ამერიკელი ინსტრუქტორების დახმარებით ჟინვალის კაშხლის გარღვევის იმიტაცია მოაწყვეს. ოპერაციას „სამხრეთის ვარსკვლავი“ უწოდეს და ისიც კარგად დაითვალეს, თუ ასეთ შემთხვევაში რამხელა ტერიტორია დაიტბორება, რამდენი ადამიანი დაზარალდება და ა.შ. გაირკვა, რომ კაშხლიდან გამორღვეული წყლის სიმაღლე 8 მეტრი მაინც იქნება, თბილისამდე კი წყალი დაახლოებით 2 საათში ჩამოაღწევს. ოპერაციის მონაწილეებს „დაზარალებული მოსახლეობისთვის“ სურსათიც შეურჩევიათ და მომარაგების პრობლემაც მოუგვარებიათ(!). ეს ყველაფერი – „ვითომ“, სინამდვილეში კი, ყველას კარგად გვახსოვს, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდა სტიქიისაგან დაზარალებული მესტიის, ლენტეხისა და ცაგერის მოსახლეობა, რომელიც რამდენიმე დღე ელოდა ხელისუფლების მიერ დაპირებულ დახმარებას.

ჩვენ შევეცადეთ, გავერკვია, თუ როგორ რეაგირებს სახელმწიფო საგანგებო სიტუაციებზე, გვაქვს თუ არა ამგვარი სიტუაციის მართვისა და მიგიტაციის (შემსუბუქების) რეალური შესაძლებლობა და როგორია კატასტროფის შემთხვევაში სახელმწიფო სტრუქტურების კონკრეტული პასუხისმგებლობა. პირველი, ვინც სტიქიისაგან დაზარალებულ მოსახლეობას მხსნელად უნდა ევლინებოდეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სამსახური გახლავთ...

თემურ მელქაძე, *საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სამსახური:*

– არსებული ფორმით ჩვენი სამსახური 2005 წლის 5 იანვარს, მინისტრის, ვანო მერაბიშვილის ძალისხმევით ჩამოყალიბდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს რეორგანიზაციამდე, არსებობდა ჯერ საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტი, შემდეგ – სამმართველო. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ამ უწყების მემკვიდრეები ვართ, ოღონდ, ახალი – ნატოსა და გაეროს სტანდარტებზე აწყობილის.

— როგორია თქვენი სამსახურის მოქმედების პრინციპები?

– როდესაც ინციდენტი ხდება, პირველად, ადგილობრივი რესურსების მოზიდვა ხორციელდება. მაგრამ თუ აღმოჩნდა, რომ საჭირო რესურსები ქალაქის ან რაიონის დონეზე არ მოიპოვება, მივმართავთ რეგიონულ სამსახურებს, შემდეგ – მთავრობას და, ბოლოს – საერთაშორისო ორგანიზაციებს. ყველა ეს პროცესი ორგანიზებასა და კოორდინირებას საჭიროებს, რაც ჩვენი სამსახურის პირდაპირი მოვალეობაა. მისი ძირითადი ფუნქციაა, პირველადი რეაგირება ინციდენტზე. უფრო გასაგები რომ იყოს, ეს ნიშნავს, რომ შსს-ს რესურსების გამოყენებით, ჩვენი სამაშველო ძალები შედიან სტიქიისაგან დაზარალებულ რაიონში და ახორციელებენ გადაუდებელ სამაშველო ოპერაციას, ხდება სპეციალური საინჟინრო ღონისძიებების ორგანიზება, აგრეთვე ვსვამთ შესაბამის მოთხოვნებს ამა თუ იმ სტრუქტურის მიმართ. ჩვენი სამსახური გახლავთ მაკოორდინირებელი ორგანო, რომელიც საგანგებო სიტუაციებში განსაზღვრავს ყველა იმ სამთავრობო თუ არასამთავრობო უწყების მოქმედებას, რომელსაც დებულებით ევალება საგანგებო სიტუაციების მართვაში მონაწილეობა.

— რამდენად მომზადებული შეხვდით ბოლო დროს საქართველოში განვითარებულ სტიქიურ მოვლენებს?

– მინდა გითხრათ, რომ ჩვენი სამსახურისთვის ამ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების პროცესი სტიქიის შემოტევის დროს არ დაწყებულა: საგანგებო სიტუაციების მართვა მხოლოდ რეაგირებასა და მასზე ზემოქმედებას არ გულისხმობს, ჩვენი მუშაობა გაცილებით ადრეულ სტადიაზე იწყება. თუ შესაბამისი დონის ტექნოლოგიებს ფლობ, სტიქიის შესახებ წინასწარ შეგიძლია შეიტყო და მისი მოქმედების შესამსუბუქებელი ზომებიც მიიღო. საქართველოში მოსალოდნელი წყალდიდობის შესახებ დაახლოებით 1 თვით ადრე ვიცოდით. გავატარეთ კომპლექსური ღონისძიებები, გეოლოგების დასკვნის საფუძველზე, სხვადასხვა რეგიონს მივაწოდეთ რეკომენდაციები მოსალოდნელი წყალდიდობისა და ღვარცოფის წინააღმდეგ საბრძოლველად. რეგიონების უმეტესობამ ვერ შეძლო რეკომენდაციების რეალიზება, ერთი მარტივი მიზეზით: აუცილებელი საინჟინრო ღონისძიებების გატარება, დამბებისა და ჯებირების გამაგრებას გულისხმობს, რაც სოლიდურ თანხებთანაა დაკავშირებული. ამ სახის სამუშაოები მთელი წლის განმავლობაში უნდა ხორციელდებოდეს, 1-2 თვეში მათი დასრულება ვერ მოესწრება. ჩვენს შემთხვევაში, სტიქიამ თავისი სიტყვა უკვე თქვა, ახლა მხოლოდ მეორე ეტაპი დაგვრჩა გადასალახავი – კოორდინაცია გავუწიოთ სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

— მერე, ფლობთ კი შესაბამის ტექნიკას, რომ სტიქიური უბედურების ზონაში ჩააღწიოთ?

– შვეიცარიის განვითარების სააგენტოს დახმარებით, ჩვენი ბაზის გაახლება მოხდა. ახლა გვაქვს ტრანსპორტი, საინ-

ჟინრო-ტექნიკური აღჭურვილობა, სამაშველო საშუალებები, ქიმიურ ინციდენტებზე რეაგირებისთვის საჭირო სპეცტანსაცმელი და ა.შ.

— ეი. საერთაშორისო დახმარებების გარეშე რაიმის გაკეთება გაჭირდებოდა...

— რა თქმა უნდა. ჩვენი ქვეყნის რესურსები საკმარისი არ აღმოჩნდა, ამიტომ მივმართეთ ნატოს კატასტროფებზე რეაგირების ცენტრს და გაეროს ჰუმანიტარული დახმარების ოფისს, შემდეგ, მიღებული დახმარება საკუთარი ძალებით მივიტანეთ დაზარალებულ რაიონებში. უკანასკნელი თვეების მანძილზე, დახმარების ხელი გამოგვიწოდა გერმანიამ, რომელმაც 50 ათასი ევრო გადმოგვირიცხა. მხარში ამოგვიდგნენ აგრეთვე: ნორვეგია, იტალია, მოლდავეთი, ლიტვა და სხვა ქვეყნები. ზოგმა დახმარების სახით კვების პროდუქტები და თბილი სამოსი გამოგვიგზავნა, ზოგმა — დიზელ-გენერატორები, სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობა, წყლის ტუმბოები. სწორედ ამ ტუმბოების გამოყენებით გაასუფთავეს ჩვენმა მაშველებმა დუშეთში შლამით დატბორილი სახლები.

— მიღებული დახმარებები საკმარისი აღმოჩნდა სტიქიისგან დაზარალებული ადამიანების დასაკმაყოფილებლად?

— თუ გულისხმობთ პერიოდს 25 აპრილიდან დღემდე, მაშინ შემიძლია გითხრათ, რომ საერთაშორისო დახმარება თანაბრად განაწილდა ყველა დაზარალებულ ოჯახზე. ამჟამად ჩვენი რეზერვები, შეიძლება ითქვას, ამოიწურა. დახმარების სურვილი უკვე გამოთქვა ჩეხეთმა, რომელიც 67 ათასი ევროს გადმორიცხვას აპირებს.

სტიქიისგან დაზარალებული რეგიონები გარემოს დაცვის სამინისტროს საზრუნავის სფეროშიც შედის. საგანგებო სიტუაციების მართვაში, მის სისტემაში შემავალი უწყებაც მონაწილეობს, თუ კონკრეტულად როგორ — ამას მიმდევნო რესპონდენტისგან შეიტყობთ.

სოსო ქარცილაძე, *გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს რეგიონებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი:*

— მოსალოდნელი სტიქიის შესახებ ჩვენი სამსახურის ინფორმირება ერთდროულად რამდენიმე წყაროდან ხდება. გეოლოგიის დეპარტამენტიც და ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურიც გვატყობინებენ, თუ სად არის მოსალოდნელი სტიქია. გარდა ამისა, ჩვენს უწყებას საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ჰყავს წარგზავნილი სპეციალისტი და რაიმე ინფორმაციის მოპოვების შემთხვევაში, ოპერატიულად მათგანაც ვიღებთ ცნობებს. ამის შემდეგ, ინფორმაციის სირთულისა და სიმძიმის გათვალისწინებით, მიეწოდება საგანგებო სიტუაციების სამსახურს, სახელმწიფო კანცელარიას და ყველა იმ უწყებას, ვისაც ამგვარ ვითარებაში რეაგირება ევალება. უნდა გითხრათ, რომ ბოლო დროს, თითქმის ყველა მოსალოდნელი სტიქიის თაობაზე ვიყავით ინფორმირებული და ამის შესახებ ყველა რეგიონიც გახლდათ გაფრთხილებული. გეოლოგიის დეპარტამენტს სოფლებისა და რაიონების დონეზე ჰქონდა გაკეთებული პროგნოზი. მეტსაც გეტყვით, მოსალოდნელი სტიქიის შესახებ განაცხადი ჯერ კიდევ შარშან დეკემბერში გავაკეთეთ, მეორე გაფრთხილება კი ქვეყნის მთავრობამ და რაიონების ხელმძღვანელებმა წლეულს მაისში მიიღეს...

— ყველა პასუხისმგებელი უწყება ირწმუნება, რომ პირნათლად შეასრულა თავისი ფუნქცია, სტიქიამ კი მაინც სულისშემძვრელი სურათი დაგვიტოვა. საინტერესოა, რამდენად უარესი ვითარება გვექნებოდა, ხელი რომ არავის გაეძრია?

— როგორც უკვე გითხარით, გარემოს დაცვის სამინისტროს ფუნქცია ინფორმირებით შემოიფარგლება. მაგრამ იმასაც გეტყვით, რომ დუშეთის შემთხვევაში, რაიმე შემარბილებელი ღონისძიების წინასწარ ჩატარება ძალზე რთული იქნებოდა. რაც შეეხება ბოლო დროს განვითარებულ მეწყერებს — ჩვენი თანამშრომლები ყველა სახიფათო ზონაში თავად დადიოდნენ და აფრთხილებდნენ მოსახლეობას მოსალოდნელი მეწყრის შესახებ, რისი შედეგიც გახლავთ ის, რომ ამ მოვლენამ მსხვერპლი არ გამოიწვია. ჩვენი გეოლოგები ახლაც მუშაობენ სტიქიური უბედურების ზონაში, სწავლობენ მოსალოდნელ საფრთხეს. მეწყერი დუშეთის ერთ-ერთ მთაზეა მოსალოდნელი, ამიტომ მისი მიმდებარე ტერიტორიიდან უკვე გაასახლეს 2 ოჯახი, მაგრამ იქიდან კიდევ 5 ოჯახია გამოსაყვანი. გარწმუნებთ, რომ გეოლოგიური დასკვნა ყველა დაზარალებულ რეგიონზე გვაქვს გაკეთებული. ახლა ჯერი ადგილობრივ ხელისუფლებაზეა, რომ მოსახლეობა სახიფათო ზონებიდან გამოიყვანოს.

ემილ წერეთელი, *ცენტრი „სტიქია“:*

— მცხეთა-მთიანეთი, დუშეთი, მაღალმთიანი აჭარა, რაჭა-ლეჩხუმი და ლენტეხი — ეს ის რეგიონებია, რომლებიც ამჟამად დიდი ეკოლოგიური საშიშროების ზონაშია მოქცეული. საშიშროება კი შესაძლოა, კომპლექსური ხასიათის იყოს: მეწყერები, ღვარცოფები, წყალდიდობები, ადრიან გაზაფხულზე კი — თოვლის ზვავები. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს ეს, არასასურველი მოვლენები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მთელი წლის განმავლობაში გაგრძელდება. სამწუხაროდ, პროგნოზი, რომელიც გარემოს დაცვის სამინისტროსთან ერთად დღემდე გვქონდა, 100%-ით გამართლდა. კომპლექსურია ასევე სტიქიის გამომწვევი მიზეზები. ჯერ ერთი, საქართველო ზედმეტად რთულ გეოლოგიურ რეგიონშია და საქმე გვაქვს მგრძნობიარე, ე.წ. სენსიტურ რეგიონთან. რელიეფიც რთული გვაქვს. ამას ემატება ანომალური კლიმატური მოვლენები და ბუნებრივ პროცესებში ადამიანის არასწორი ჩარევა (ეს შეიძლება იყოს, როგორც ნარგავების მასობრივი ჩეხა, ასევე მიწების ათვისება, ყოველგვარი გეოლოგიური შესწავლის გაეშე). არის კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: ბოლო ათწლეულების განმავლობაში, საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარმა მიწისძვრებმა ჩვენს ქვეყანაში 30 ათასი ახალი მეწყერი გააქტიურა, ამიტომ მათი ინტენსივობა კიდევ უფრო მოიმატებს, რისთვისაც მზად უნდა ვიყოთ. სეისმოლოგთა მონაცემებით, კავკასიაში ასევე გრძელდება სეისმური აქტივობა. მართალია, მათთვის უკვე ცნობილია სეისმურად საშიში ზონები, მაგრამ როდის უნდა ველოდოთ მიწისქვეშა ბიძგებს, მათაც არ იციან.

— ისევ მეწყერსაშიშ ზონებს დავუბრუნდეთ. თუ არსებობს საქართველოში ისეთი რეგიონები, საიდანაც სასწრაფოდ უნდა მოხდეს მოსახლეობის გაყვანა?

— ასეთი რეგიონებია ზოგადად: სვანეთი და ლენტეხის რაიონი, მთიანი აჭარა და დუშეთ-ყაზბეგი. მაგრამ შეუძლებელია, მთა

რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს ეს, არასასურველი მოვლენები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მთელი წლის განმავლობაში გაგრძელდება.

მთლიანად დაცალო მოსახლეობისგან — ამით სხვა უკიდურესობაში გადავვარდებით. მართებული იქნება, რომ გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე, იმავე რაიონში მოიძებნოს მოსახლეობისთვის უსაფრთხო ტერიტორიები და ეტაპობრივად მოხდეს მათი ერთი ადგილიდან მეორეზე საცხოვრებლად გადაყვანა.

საგანგებო სიტუაციების დროს, კრიზისის დაძლევის ღონისძიებათა შორის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას, მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა წარმოადგენს, მაგრამ, როგორც დავადგინეთ, დღეს ჩვენს სახელმწიფოს მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების დაცვა არ შეუძლია და მსგავს შემთხვევაშიც, მხოლოდ საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარებების იმედად ვართ დარჩენილი.

შოთა ჩხეიძე, *სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სურსათის სამმართველოს უფროსი:*

— საგანგებო სიტუაციებში მოსახლეობის სურსათით უზრუნველსაყოფად სახელმწიფოში სასურსათო რეზერვი უნდა არსებობდეს. საყურადღებოა, რომ კომუნისტური მმართველობის დროს, სასურსათო რესურსების შექმნა სახელმწიფო ბიუჯეტში იყო გათვალისწინებული და საქართველოს თავისი მოსახლეობისთვის (5 მლნ კაცი) 3 თვის სასურსათო მარაგი ჰქონდა. დამოუკიდებლობის პირველ წლებში, ცნობილი კრიმინალური და სხვა ნეგატიური მოვლენების შედეგად, სახელმწიფო სასურსათო რეზერვები განადგურდა და მის განახლებაზე ჯერაც არავის უზრუნია. დაახლოებით 3 წელია, რაც ჩვენი სამინისტრო ხელისუფლების წინაშე აღნიშნული რეზერვის შექმნის საკითხს აყენებს. სტიქიური მოვლენების ლოკალური ხასიათის გათვალისწინებით დავიანგარიშეთ ერთთვიანი სასურსათო რეზერვი საქართველოს მოსახლეობის 5%-ისთვის, რომელმაც 6 მლნ 300 ათასი ლარი შეადგინა და ფინანსთა სამინისტროს, ქვეყნის ბიუჯეტში ამ თანხის გათვალისწინება ვთხოვეთ, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. რიგი მიზეზების გათვალისწინებით, აღნიშნული თანხა 1 მილიონ ლარამდე დავიყვანეთ და ამჟამად ვითხოვთ, რომ საგანგებო სიტუაციების პირობებში, მოსახლეობის 5%-ისთვის სასურსათო რეზერვის თუნდაც 4-დღიანი მარაგი გვქონდეს. თითქმის ჩვენხელა ქვეყანაა შვეიცარია, მისი მოსახლეობა 6 მილიონზე ოდნავ მეტ კაცს შეადგენს და საგანგებო სიტუაციებისთვის მთელი მოსახლეობის 6-თვიანი სასურსათო მარაგი აქვს. აღარაფერს ვამბობ გერმანიაზე, რომლის მოსახლეობაც 60 მილიონს აღწევს და ასევე მთელი მოსახლეობისთვის სამყოფი 3-თვიანი მარაგი აქვს. სასურსათო რეზერვის შესაქმნელად არ არსებობს რაიმე საერთაშორისო ნორმატივი, რადგან ექსტრემალურ პირობებში ქვეყნები თავიანთი შეხედულებებისა და შესაძლებლობების მიხედვით გეგმავენ მოსახლეობის უზრუნველყოფას. ბევრი განვითარებული ქვეყანა სარეზერვოდ სურსათს არ ინახავს. სამაგიეროდ, სახელმწიფოს ბიუჯეტში გათვალისწინებული აქვს სათანადო თანხა და საწარმოებთან წინასწარ დადებული ხელშეკრულებებით მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, ექსტრემალურ სიტუაციაში იძენს საჭირო პროდუქციას. ჩვენი სამინისტროს ხელშეწყობით შედგა პროექტი, სადაც აღნუსხულია სარეზერვოდ შესანახი პროდუქტების სახეობები და მწირი სახელმწიფო ბიუჯეტის პირობებში სურსათით მომარაგების ალტერნატიული გზები.

— ბოლო დროს გახშირებულმა წყალდიდობამ მნიშვნელოვნად დააზარალა ჩვენი მოსახლეობის ერთი ნაწილი, ხოლო მათი სურსათით უზრუნველყოფა ყოველთვის სრულყოფილად ვერ ხერხდებოდა.

— გახსოვთ ალბათ სტიქიის პირველ დღეებში დაზარალებული მოსახლეობის უკმაყოფილება, როდესაც ის ხელისუფლებისგან საკვები პროდუქტებით დახმარებას ითხოვდა. სხვადასხვა ქვეყნის დახმარება ჩვენამდე მხოლოდ 4-5 დღეში აღწევს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მივმართავთ ჩვენს მოგვარე მჭედლიშვილებს და თანამოგვარეებს – რომელთა გვარიც დაკავშირებულია სიტყვა „მჭედელთან“ და ვაცნობებთ, რომ შეიქმნა მოგვარეთა და თანამოგვარეთა კავშირი (ასოციაცია) – „გრდემლი“.

ჩვენს ძირითად იდეას და სურვილს წარმოადგენს, განვავითაროთ საქართველოს რესპუბლიკისა და მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოგვარეთა და თანამოგვარეთა კავშირი, რადგან დარწმუნებულნი ვართ, რომ რა ასოებითაც (ანბანით) არ უნდა იწერებოდეს გვარი, რომელშიც ფიგურირებს სიტყვა – „მჭედელი“, ჩვენ ოდითგანვე ერთი გვარისა და ერთი ჯილაგისანი ვართ.

კაცთა მოდგმა გვარებს დამსახურებისამებრ არიგებდა. ჩვენ ერთ-ერთ უკეთილშობილეს შემოქმედთა – „მჭედელთა“ წარმოშობისანი ვართ და დღევანდელი კაცობრიობის უდიდესი ტექნიკური განვითარების ჩანასახი ჩვენს გვართანაა დაკავშირებული. წინაპართა შემოქმედების ტექნიკური მოხმარების საშუალებებს ძირითადად წარმოადგენდა – ზეციდან მოტანილი პრომეთეს ცეცხლი, მიწაზე მყარად დაყრდნობილი გრდემლი და მრავალფეროვანი შემოქმედების იარაღი – ურო.

ჩვენი წინაპრები ომების დროს ხმალს ჭედდნენ და მშვიდობის დროს – გუთანს. დღეისათვის ჩვენ უარვყოფთ ყოველგვარი საომარი იარაღის ჭედვას და ყველა ჩვენი საქმიანობა დაკავშირებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ კაცთა მოდგმისათვის საკეთილდღეო მოხმარების საგნების წარმოებასთან.

ჩვენ ძალიან ბევრნი ვართ მთელ დედამიწაზე და თუ შევძლებთ შეკავშირებას, ჩვენი შესაძლებლობანი უდიდეს საინტერესო მოქმედებათა უსაზღვროებასთან იქნება დაკავშირებული.

მოგვარეთა და თანამოგვარეთა კავშირის სიმრავლემ, მისმა ძალამ, ენერგიამ და უანგარობამ შესაძლებელია შექმნას უდიდესი სიმდიდრის წყარო, რომელიც ყოველი კავშირის წევრს მოუტანს მხოლოდ სიკეთესა და ბედნიერებას, მისცემს იმედის რწმენას, რომ ისინი არასოდეს არ იქნებიან მიტოვებულნი განსაცდელსა თუ გაჭირვებაში და მხარდაჭერას პოვებენ ყველა თავიანთ საკეთილდღეო საქმიანობაში.

დაგროვილი სიმდიდრე საშუალებას მოგვცემს განვახორციელოთ კაცთა მოდგმისათვის ყველა საკეთილდღეო და საინტერესო საქმიანობა; შევქმნათ ერთიანი საწარმოები, ავაშენოთ სასტუმროები, დასასვენებელი და სამედიცინო დაწესებულებები, კულტურული და სპორტული ორგანიზაციები; შევქმნათ და ავაშენოთ ბავშვთა, მოხუცთა და უმწეოთა მომსახურების სახლები; დავეხმაროთ ღარიბებს, ობლებს, ავადმყოფებს და ინვალიდებს; განვავითაროთ ტურიზმი; შევქმნათ საკუთარი ინფორმაციის საშუალებები და სხვ.

საერთოდ, ჩვენი ყოველი საქმიანობის ძირითადი და მთავარი შინაარსი იქნება ზოგადსაკაცობრიო იდეალებისაკენ სწრაფვა.

მსოფლიოს ხალხებთან ერთად ვიმოღვაწეოთ კაცობრიობის იდეალური ცხოვრების ფორმულის შემუშავებაში. ჩავერთოთ ბით სამყაროს შესწავლისა და მისი შემეცნების სივრცეში.

მოგვარენო და თანამოგვარენო, ვთხოვთ, გაერთიანდეთ კავშირში და მხარი დაუჭიროთ მის განვითარებას და შემდგომ განმტკიცებას.

კავშირის გამგეობა

მის: თბილისი, მთაწმინდა-ერწანისი, ლესელიძის 27, II სართ, ოთ. 4.
ტელ: 93-89-37; 899-16-86-72 ზურაბი; 899-15-54-80 თემური.

R

დაზარალებულ მოსახლეობას ფაქტობრივად, 4-5 დღის განმავლობაში მოუხდა საკუთარი ძალებით თავის გატანა. ამ დროს, თბილისში შეიქმნა საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების შტაბი, რომელშიც სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან ერთად, ჩვენი სამინისტროც გაერთიანდა. დაეგზავნა შეტყობინებები უცხო ქვეყნებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს. მიღებული თანხებით სტიქიისაგან დაზარალებულ მოსახლეობას ერთი თვის სასურსათო მარაგი შევუძინეთ. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტი ამჟამად ცდილობს, განადგურებული ნათესების სარეაბილიტაციოდ მოახდინოს თანხების მობილიზება.

დაბოლოს, იმ უწყებას მივაკითხეთ, რომლისგანაც საგანგებო სიტუაციების პროგნოზირებას ველით. ჰიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტი ის სამსახურია, რომელიც საქართველოში მოსალოდნელ ამინდს 1840 წლიდან აკვირდება, ამიტომ მასში ათწლეულების მანძილზე მომხდარი სტიქიური მოვლენების შესახებ არსებული ინფორმაციაა დაცული.

ვ ა ჟ ე მ ა ლ დ ო ლ ი ძ ე, *ჰიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტი:*

— ჩვენს ფონდში შენახულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შემიძლია გითხრათ, რომ ისეთი ძლიერი სტიქიური მოვლენები, როგორიც უკანასკნელ ხანს მოხდა, საქართველოში იშვიათად ხდებოდა. მაგალითად, ბოლოს ასეთი მასშტაბური სტიქია 1987 წლის იანვარში იყო.

— ალბათ მას შემდეგ, თქვენ სამსახურის ტექნოლოგიური შესაძლებლობები საგრძნობლად გაუმჯობესდა, ასე არ არის?

— რა თქმა უნდა, პროგნოზების ხარისხი გაუმჯობესდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ სადამკვირვებლო ქსელი უახლესი ტექნოლოგიებით გვაქვს აღჭურვილი. მიზეზი ის გახლავთ, რომ 1999 წელს, საფრანგეთის მთავრობისგან მივიღეთ საჩუქარი, რაც გამოიხატება იმაში, რომ ქალაქ ტულუზაში მდებარე, წამყვანი მსოფლიო მეტეოროლოგიური ცენტრიდან — „მეტეოფრანსი“ — უფასოდ მოგვეწოდება 3-დღიანი პროგნოზი. სწორედ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით ვაკეთებთ ჩვენს დასკვნებს. გარდა ამისა, ლონდონის გარეუბანში, რედინგში მდებარეობს საშუალოვადიანი პროგნოზების ცენტრი, სადაც ერთკვირიანი პროგნოზები მზადდება. ლონდონიდან ამ ინფორმაციის მიღება სოლიდურ ფინანსურ სახსრებთან არის დაკავშირებული, რის შესაძლებლობაც ჩვენ არ გვაქვს, მაგრამ ამ ინფორმაციის ნაწილს ფრანგები მაინც გვაწვდიან. გარდა ამისა, ჩვენ ვადგენთ წინასწარი ამინდის ერთთვიან პროგნოზს, თუმცა მისი სიზუსტის ხარისხი ისეთი მაღალი არ არის, როგორიც ზემოთ ხსენებული მონაცემებისა. საზღვარგარეთიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მოსალოდნელი ნალექების შესახებ ერთი კვირით ადრე ვიცოდით, ხოლო სტიქიის მასშტაბების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ 3 დღით ადრე გვქონდა.

— ერთი შეხედვით, დუშეთის სტიქია თითქოს ყველაზე ძლიერი იყო მათ შორის, რომლებიც ბოლო თვეებში თავს დაატყდა საქართველოს. როგორია პროფესიონალების აზრი ამასთან დაკავშირებით?

— იმედია, დუშელები არ მიწყენენ, მაგრამ ეს უკანასკნელი, ე.წ. წერტილოვანი სტიქია გახლდათ, რომელმაც მხოლოდ დუშეთსა და მის შემოგარენს მიაყენა ზიანი, ხოლო 25-26 აპრილის მოვლენებმა, ენგურიდან დაწყებული — არაგვით დამთავრებული, ყველა მდინარე აადიდა. დაზარალდა: სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი, ლიახვის, არაგვის და ივრის ხეობები, ალაზნისა და მტკვრის ზემოწელი... თუმცა, დუშეთშიც უჩვეულოდ დიდი ნალექი იყო. გამოვიანგარიშეთ და გაირკვა, რომ საათ-ნახევრის განმავლობაში, 1 კვ/კმ-ზე 700 ათასი ტონა წყალი მოვიდა.

— თქვენი მონაცემებით, როგორია ამინდის მოკლე და გრძელვადიანი პროგნოზი?

— ამ კვირის განმავლობაში, საქართველოში უმეტესად გრილი და ქარიანი ამინდია მოსალოდნელი. რამდენიმე რეგიონში მოსალოდნელია ნალექიც; სამწუხაროდ, მათი მასშტაბები ჩვენთვის ჯერჯერობით, ცნობილი არ არის. მინდა, მკითხველს ავუხსნა, რომ ის, რაც აპრილში მოხდა, თოვლის დნობისა და უხვი ნალექის შედეგი იყო. ახლა თოვლის დნობა აღარ გვემუქრება და თუ ძლიერი წვიმა არ მოვიდა, წყალდიდობა აღარ უნდა მოხდეს... თუმცა ვერც ამას გამოვრიცხავთ.

როგორც ხედავთ, ვერც ჰიდრომეტეოროლოგები გვაიმედებენ და ვერც სხვა, რომ იტყვიან — „კომპეტენტური ორგანოები“ გვეუბნებიან დამამშვიდებელ სიტყვას. ერთი რამ ცხადზე უცხადესია: ბუნება მომავალშიც გვპირდება უსიამოვნო სიურპრიზებს, რადგან როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ბოლო წლებში, საქართველოს კლიმატშიც ბევრი სერიოზული ცვლილება მოხდა და ადამიანმაც არაერთ რეგიონს უარყოფითად დაატყო საკუთარი ხელი, მასშტაბური წყალდიდობისა და ღვარცოფისგან თავდასაცავად პირობების შექმნას კი, კატასტროფულად არ ჰყოფნის ის ხანმოკლე პერიოდი, რომელსაც ამ მოვლენების პროგნოზირება სწვდება...

■

პოლიციის ყოფილ უფროსს განზრახ მკვლელობისთვის ასამართლებენ

თბილისში, დიდ დიღომში მდებარე ერთ-ერთი სასურსათო მაღაზიის წინ მომხდარ საშინელ მკვლელობას ქუჩაში შემთხვევით გამვლელებიც შეესწრნენ. 27 წლის გურამ კირვალიძე ათობით თვითმხილველის თვალწინ დაჭრეს სასიკვდილოდ. მოწმეების თქმით, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად დაჭრილი კირვალიძე ადგილზევე გარდაიცვალა. შემთხვევის ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა მკვლელობაში ეჭვმიტანილი იქვე დააკავეს. ის სასურსათო მაღაზიის მეპატრონე წარსულში მცხეთის, შემდეგ კი გლდანი-ნაძალადევის ერთ-ერთი პოლიციის სამმართველოს უფროსი — 65 წლის მირზა გოლეთიანი აღმოჩნდა. მას სწორედ ფაქტის თვითმხილველებმა დაადეს ხელი. თუმცა, როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, პოლიციელებს არც თავად ეჭვმიტანილი შეწინააღმდეგებია. თავად გოლეთიანი ჩადენილ მკვლელობას ადასტურებს, მაგრამ დანაშაულის წინასწარ განზრახვას კატეგორიულად უარყოფს. ის ამასთანავე აცხადებს, რომ პოლიციას თავად შეატყობინა მომხდარის შესახებ და მკვლელობის იარაღიც თვითონ გადასცა სამართალდამცავებს

მეგი ცანავა

როგორც პროკურატურა აღნიშნავს, დანაშაული შურისძიების მოტივით მოხდა. გოლეთიანი და მისი დამცველი ადვოკატი აცხადებენ, რომ აწ გარდაცვლილმა კირვალიძემ, რომელიც სხვათა შორის, დაოჯახებული და ორი მცირეწლოვანი შვილის მამა გახლდათ და იმ პერიოდში არსად მუშაობდა, როგორც კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელმა მაღაზიის მეპატრონისთვის ანუ გოლეთიანისათვის ფულის შეწერა მოინ-

მოკლული გურამ კირვალიძე

დომა. გოლეთიანის ადვოკატის თქმით, ამ მიზნის განხორციელებაში კირვალიძეს მისი მეგობარი, წარსულში კანონიერი ქურდი, აწ გარდაცვლილი ბესარიონ მეჩეხია უწყობდა ხელს. შელაპარაკება მხარეებს შორის სწორედ ამის გამო მოხდა, თუმცა როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მომხდარ მკვლელობას წინ ძარცვის ფაქტიც უძღოდა. დაზარალებული მხარე კატეგორიულად უარყოფს გოლეთიანისა და მისი ადვოკატის სიტყვებს. მიუხედავად იმისა, რომ თვითმხილველი მრავლად ჰყავს, მკვლელობა მაინც ბურუსით მოცული რჩება. საქმის განხილვა უკვე ერთი წელია მიმდინარეობს. პროკურატურამ პენსიონერ მირზა გოლეთიანს 108-ე განზრახ მკვლელობის მუხლი მიუყენა და საქმე განსახილველად თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს გადასცა. თუმცა, მოგვიანებით, სასამართლო სისტემის შეცვლის გამო, აღნიშნულმა სისხლის სამართლის საქმემ თბილისის საქალაქო სასამართლოში გადაინაცვლა. გოლეთიანი და მისი ადვოკატი კატეგორიულად უარყოფენ ბრალდებას და საქმის განხილვის გაჭიანურებას მოსამართლის ტენდენციურობას უკავშირებენ.

მკვლელობა 2003 წლის 20 დეკემბერს მოხდა. პოლიციის ყოფილ უფროსს, წოდებით პოლკოვნიკს – მირზა გოლეთიანს „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი შენახვის უფლებით 2001 წლის 14 სექტემბრიდან ჰქონდა. პისტოლეტს გოლეთიანი თბილისში, იოანე პეტრიწის ქუჩაზე მდებარე, მეუღლის სახელზე გაფორმებული სასურსათო მაღაზიის სეიფში ინახავდა. შემთხვევის დღეს გოლეთიანი შინ იმყოფებოდა. დაახლოებით 12.20 საათზე მას ელსმენით დაუკავშირდა მაღაზიის თანამშრომელი და უთხრა, რომ დიმიტრი თავდადებულის ქუჩაზე მცხოვრებმა ბესარიონ მეჩეხიამ რამდენიმე წუთის წინ მაღაზია გაძარცვა. განაწყენებული და ანერვიულებული გოლეთიანი მაშინვე მაღაზიისკენ გაეშურა. იქ მისულს დეტალებში აუხსნეს ვითარება. აღმოჩნდა, რომ მაღაზიიდან ძარცვის შედეგად მხოლოდ ორი ბოთლი არაყი „უშბა“ იყო წაღებული. მაღაზიის მეპატრონე ვერ დაშოშმინდა. გაბრაზებულმა სეიფიდან პისტოლეტი გამოიღო, საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანა და შარვლის საქამრეში ჩაიდო. იქვე შეკრებლი ხალხისგან შეიტყო, რომ მეჩეხია გურამ კირვალიძესთან ერთად მაღაზიიდან წაღებულ არაყს მოპირდაპირე მხარეს მდებარე პურის საცხობში სვამდა. გოლეთიანი მეჩეხიასთან ურთიერთობის გარკვევის მიზნით საცხობისკენ გაემართა. მას თან გაჰყვა მაღაზიის გამყიდველი ქალი.

ირაკლი ზაქარეიშვილი, მირზა გოლეთიანის ადვოკატი:

„სხვათა შორის, გურამ კირვალიძესთან გოლეთიანს ნორმალური, კარგი ურთიერთობა ჰქონდა. კირვალიძე ხშირად შედიოდა მის მაღაზიაში და თუკი ფული არ ჰქონდა, გოლეთიანი მას ყოველთვის ჩუქნიდა ხოლმე ამა თუ იმ პროდუქტს. რაც შეეხება მეჩეხიას, ის ყოფილი კანონიერი ქურდი იყო. ე.წ. „პრაშლიაკი“ და ცდილობდა, უბნელებზე ზეგავლენა მოეხდინა. როცა გოლეთიანი საცხობში მივიდა, კირვალიძესა და მეჩეხიას ერთი ბოთლი არაყი უკვე დალეული ჰქონდათ. გოლეთიანმა მეჩეხიას მიმართა – პატივს გცემ, არასდროს შენთვის უარი არ მითქვამს არც სასმელზე, არც სხვა რამე პროდუქტზე და რა წესია, გამყიდველ ქალებს რომ ძალით ართმევ არაყს, მაინცდამაინც უნდა დავაჭერინო შენი თავი? რახან ასეა, აქედან პირდაპირ პოლიციაში წავალთო. მოულოდნელად მეჩეხიას იქვე მყოფი კირვალიძე გამოესარჩლა და გოლეთიანს უთხრა – შენ ყოველთვიურად 50 ლარი გაქვს შეწერილი და გირჩევნია, ის გადაიხადო, აქ ნუ ბლატაობო. რა თქმა უნდა, გოლეთიანი ამაზე საშინლად გაბრაზდა და განაწყენებულმა ორივეს მიაძახა – ვის რა აქვს შეწერილი, ამას პოლიციაში გავარკვევთო. ამ სიტყვების შემდეგ მან და გამყიდველმა ქალმა საცხობი დატოვეს“.

თუმცა, სულ სხვაგვარად აღწერს მოვლენებს საცხობის ერთ-ერთი თანამშრომელი – **გურამ დიდებაშვილი** წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში:

„საცხობში ორი ბიჭი შემოვიდა. ერთ-ერთის სახელი ვიცოდი – გურამი ერქვა. მათ ხელში 2 ბოთლი არაყი და 2 პატარა „კოკა-კოლა“ ეჭირათ. მთხოვეს, თონეში დავლევთო და მეც დავთანხმდი. თონის კარი ღია იყო. დაახლოებით 10-15 წუთში 55-60 წლის მსუქანი მამაკაცი შემოვიდა, შავი ტყავის ქურთუკი ეცვა. მას საშუალო სიმაღლის ქალი ახლდა თან. ამ კაცმა, თონეში შემოსვლისთანავე, გურამს და მის მეგობარს გინება დაუწყო. შემდეგ კისერში სწვდა მეჩეხიას და მის გარეთ გაყვანას შეეცადა. მეჩეხია წაიქცა, მაგრამ ის კაცი, როგორც შემდეგ შევიტყვე – გოლეთიანი, მაინც განაგრძობდა ლანძღვა-გინებას და გარეთ ექაჩებოდა მას. ამ დროს უბიდან პისტოლეტი ამოიღო. შევეცადეთ მის შეჩერებას და ბოლოს, როგორც იქნა, მისი საცხობიდან გაყვანა გამყიდველმა ქალმა მოახერხა. კირვალიძე და მეჩეხია კარის შიგნიდან ჩაკეტვას შეეცადნენ. გოლეთიანმა გასვლის შემდეგაც რომ არ შეწყვიტა გინება, გურამმა კარი გამოაღო და საცხობიდან გავიდა. გოლეთიანი მისკენ იწევდა პისტოლეტის მუქარით. დავინახე, რომ მირზამ, რომელიც ფეხზე იდგა და არ წაქცეულა, იარაღიდან გაისროლა. გურამი მაშინვე წაიქცა. მირზამ გურამის ხელიდან გავარდნილი დანა აიღო. მე შიშის გამო კარი შიგნიდან დავკეტე და ამის შემდეგ რა მოხდა, არ ვიცი“.

გამოძიებამ დადგენილად ჩათვალა ის ფაქტი, რომ მირზა გოლეთიანმა საცხობში შესვლისთანავე მოახდინა პისტოლეტის დემონსტრირება და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მეჩეხიასა და კირვალიძეს. საქმის მასალების მიხედვით, ამით განაწყენებულმა კირვალიძემ საცხობიდან დანა აიღო და გოლეთიანს გაეკიდა, იმის გასარკვევად, თუ რატომ აგინებდა გოლეთიანი მათ. ბრალდების თანახმად, გოლეთიანმა 3-4 მეტრის მანძილიდან, საცხობიდან გასულ კირვალიძეს, შურისძიების მოტივითა და განზრახ მოკვლის მიზნით, ესროლა პისტოლეტიდან. ტყვია კირვალიძეს მუცლის არეში მოხვდა და მარცხენა თეძოს არტერია და ვენა დაუზიანა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების თქმით, ამის შედეგად მწვავე სისხლნაკლებობა განვითარდა და დაჭრილი ადგილზევე გარდაიცვალა. ამის შემდეგ, გოლეთიანი გარდაცვლილის დანას დაეუფლა და საკუთარ მაღაზიაში გადავიდა. სწორედ იქ დააკავეს ის პოლიციელებმა.

ირაკლი ზაქარეიშვილი:

„საბრალდებო დასკვნაში მოყვანილი ფაქტები სიმართლეს არ შეესაბამება. წინასწარი გამოძიების პერიოდში მოწმეებს ზეწოლის შედეგად არასწორი ჩვენებები მიაცემინეს და ამ გზით გაყ-

ალბებული მტკიცებულებების საფუძველზე შეკერეს საქმე. არ შეესაბამება სიმართლეს ის ფაქტი, თითქოს გოლეთიანმა 3-4 მეტრის მანძილიდან, განზრახ მოკვლის მიზნით ესროლა კირვალიძეს. სინამდვილეში, ადგილი ჰქონდა კირვალიძის მხრიდან თავდასხმას, ამ დროს გოლეთიანი იძულებული გახდა, საკუთარი სიცოცხლე დაეცვა. მას შემდეგ, რაც გოლეთიანმა და გამყიდველმა ქალმა საცხობი დატოვეს, დაახლოებით 18 მეტრი ექნებოდათ გავლილი, როცა თონიდან დანით შეიარაღებული კირვალიძე გამოვარდა და მოსაკლავად დაედევნა მას. რამდენიმე წამში მოგროვდა ხალხი იმ ადგილზე, მაგრამ ვერავინ გაეკარა გაშმაგებულ კირვალიძეს. ის მივარდა გოლეთიანს და რამდენჯერმე მოუქნია კიდეც დანა. ამის შედეგად გოლეთიანს ქურთუკიც დაუზიანდა, რაც ექსპერტიზის მიერ დადასტურებულიცაა. გოლეთიანი უკან იხევდა, სწორედ ამ დროს, ფეხი წამოსდო ბორდიურს და წაიქცა. კირვალიძემ წაქცეულსაც მოუქნია დანა, მაგრამ მისი დაჭრა ვერ შეძლო. მაშინ გოლეთიანს სხვა გზა არ ჰქონდა, თავი ხომ უნდა დაეცვა, რადგან ხედავდა, რომ კირვალიძე კვლავ აპირებდა მისთვის დანის ჩარტყმას და თავდაცვის მიზნით, პისტოლეტიდან გაისროლა. აღსანიშნავია ისიც, რომ გოლეთიანმა თვითონ შეატყობინა პოლიციას მომხდარის შესახებ. შემთხვევის ადგილზე მისულ სამართალდამცველებს მან თავის პისტოლეტთან ერთად კირვალიძის დანაც გადასცა, მაშინვე აუხსნა პოლიციელებს ვითარება და თავიდანვე უარყო მკვლელობის განზრახვა. თუმცა, გამოძიება ტენდენციურად წარიმართა. როგორც ჩანს, პროკურატურის თანამშრომლებმა იფიქრეს, რომ გოლეთიანს, რახან ის პოლიციის ყოფილი უფროსი გახლდათ, ბევრი ფული ექნებოდა და თანხის გამოძალვის მიზნით განგებ დაუმძიმეს მდგომარეობა. კონკრეტული თანხაც დაუსახელეს; ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს აქვს აუდიოკასეტა, რომელზეც ჩაწერილია, თუ როგორ გადასცემს გოლეთიანს ადვოკატი პროკურატურის დანაბარებს – ამ საქმეს 50 ათასი დოლარი სჭირდებაო. გოლეთიანმა, რა თქმა უნდა, თავისი პოზიცია არ დათმო, ფული არ გადაიხადა და საპყრობილეშიც აღმოჩნდა. იქამდე მიიყვანეს ამ ხნის კაცი, რომ მან თვითმკვლელობაც კი სცადა და წნევის წამლის აბები დალია. საბედნიეროდ, მაშინ სიკვდილს გადაარჩინეს. აღსანიშნავია მისი უმძიმესი მდგომარეობა ოჯახშიც. გოლეთიანი სამი შვილის მამაა. ცოტა ხნის წინ მას მეუღლეც გარდაეცვალა და შვილები მამის კმაყოფაზე დარჩნენ. მას ერთი არასრულწლოვანი, ერთი კი – ადრეული ასაკიდან ინვალიდი და საწოლს მიჯაჭვული შვილი ჰყავს. ყოველივე ამის მიუხედავად, არ დაინდვეს და ისიც დააბრალეს, რაც არ ჩაუდენია. მოწმეებზე საშინელი ზემოქმედება მოახდინეს. ჯერ კიდევ წინასწარი გამოძიების პერიოდში, იმ შემთხვევაში თუკი მოწმე გოლეთიანის საწინააღმდეგო ჩვენებას არ აძლევდა, წყვეტდნენ მის დაკითხვას. ამის შემდეგ ატერორებდნენ მას, სცემდნენ, სახლში უვარდებოდნენ, ოჯახს უწიოკებდნენ. ყოველივე ამას, კირვალიძის მეგობრები – კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები ახორციელებდნენ, ამით თავად პროკურატურაც იყო დაინტერესებული და მოწმეების დაშინებას მათ არავინ უშლიდა. ამიტომაც გაჩნდა საქმეში არარეალური ჩვენებები. თუმცა, ვაკე-საბურთალოს სასამართლოში მოწმეებმა ყველაფერი აღიარეს. პირდაპირ განუცხადეს მოსამართლეს მათზე განხორციელებული ზეწოლის შესახებ. თავად მეჩეხიაც დაჰკითხეს, თუმცა მას გოლეთიანის საწინააღმდეგო არაფერი უთქვამს. მაღაზიაში ჩადენილი ძარცვის გამო მან სასჯელი – 1 წელი მოიხადა ციხეში. ციხიდან ახალგათავისუფლებული კი ღვიძლის ციროზით დაავადდა და მალევე გარდაიცვალა. როგორც ვიცი, მასაც ჰპირდებოდნენ – თუკი გოლეთიანის საწინააღმდეგო ჩვენებას მისცემ, სასჯელისგან გიხსნითო“.

დაზარალებული მხარე, ისევე, როგორც პროკურატურა, კატეგორიულად უარყოფს განსასჯელის ადვოკატის სიტყვებს. პროკურატურის წარმომადგენელი მოწმეებზე ზეწოლის შესახებ ადვოკატის განცხადებას აბსურდულს უწოდებს. სხვათა შორის, როგორც ადვოკატმა გვითხრა, ზემოთ ხსენებული აუდიოკასეტა, სადაც მისივე თქმით, 50 ათას დოლარზეა საუბარი, გოლეთიანს სამართალდამცველებისთვის არ წარუდგენია. ადვოკატი აღნიშნავს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი ამ კასეტას განსაკუთრებული მომენტისთვის ინახავს.

ჯერ კიდევ ვაკე-საბურთალოს სასამართლოში გამართულ პროცესზე პროკურატურამ გოლეთიანის 12 წლით, ხოლო დაზარალებულმა მისი 13 წლით თავისუფლების აღკვეთით დასჯა მოითხოვეს.

პროცესის საქალაქო სასამართლოში გადატანის შემდეგ, საქმის განხილვა თავიდან დაიწყო. საქმეს ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, მოსამართლე მამუკა ნოზაძე განიხილავს. განსასჯელის ადვოკატი მას ტენდენციურობაში სდებს ბრალს და მისი აცილების მოთხოვნით ზედიზედ აყენებს შუამდგომლობებს. ის გოლეთიანის განზრახ მკვლელობაში გამართლებასა და წაყენებული მუხლის გადაკვალიფიცირებას მოითხოვს. ადვოკატის თქმით, გოლეთიანმა დანაშაული აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ჩაიდინა.

რაც შეეხება მკვლელობის მოწმეთა მოსყიდვის ფაქტს, ამაში დაზარალებული მხარე განსასჯელის ადვოკატს ადანაშაულებს. მოკლულის ნათესავების თქმით, გოლეთიანის დამცველმა არა მარტო ჩვენებები შეაცვლევინა თვითმხილველებს, არამედ სასამართლო პროცესზე ცრუმოწმეებიც კი მიიყვანა.

მაია კირვალიძე, მოკლულის აღმზრდელი მამიდა:

„გურამი ჩემი გაზრდილია. ორი თვის იყო, როცა ის დედამ მიატოვა და მას შემდეგ, როგორც საკუთარ შვილს, ისე ვზრდიდი. ყველა, როგორც მის მშობელს, ისე მიცნობდა და თავადაც დედად მაღიარებდა. ძალიან წესიერი, ზრდილობიანი და კეთილშობილი ადამიანი იყო. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩემი გაზრდილია. უბანშიც რომ იკითხოთ, ყველა დაგიდასტურებთ ამ სიტყვებს. არასდროს ჰქონია შეხება პოლიციასთან, რადგან არანაირ უკანონო ქმედებასა და დანაშაულში არავის შეუმჩნევია. არც კრიმინალურ სამყაროსთან ჰქონია რაიმე კავშირი. ეს მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარის მონაგონი და მონაჭორია. სკოლის დასრულების შემდეგ, სტომატოლოგიურ ტექნიკუმში სწავლობდა, თუმცა თავისი პროფესიით არ უმუშავია. ძალიან ადრეულ ასაკში დაოჯახდა, 15 წლისა იყო, როცა ცოლი შეირთო და ამ ფაქტმაც თავისებური გავლენა იქონია მის პროფესიულ მომავალზე. ტყუილია, თითქოს უბანში ძველბიჭობდა და მაღაზიას ფულს აწერდა. გურამს ერთი ბინძური თეთრიც კი არასდროს შემოუტანია ოჯახში. თუკი რაიმეს იშოვიდა, მხოლოდ პატიოსანი შრომით, არანაირ სამსახურს არ თაკილობდა, თუკი რამე გამოჩნდებოდა, ფიზიკურ დატვირთვასაც არ ერიდებოდა და ასე არჩენდა ოჯახს. თუმცა, ჩვენც ვეხმარებოდით, როგორც შეგვეძლო. წლების მანძილზე, დიდ დიდომში 187-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ ვმუშაობ. განსასჯელის მეუღლე ჩემი თანამშრომელი გახლდათ და ძალიან კარგად მიცნობდა მეც, ჩემს ოჯახსაც და უშუალოდ გურამსაც. საუბარში ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა ხოლმე მის წესიერებას და როგორც გადმოცემით ვიცი, მომხდარ ამბავს ძალიან განიცდიდა.

თავად მირზა გოლეთიანსაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა გურამთან, არასდროს მოსვლია მასთან კონფლიქტი. თუმცა, რაც მან შემთხვევის დღეს და მას შემდეგაც ჩაიდინა, ყოვლად წარმოუდგენელია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენებები შეცვლილია, ბევრი ფაქტი მიუთითებს განზრახ მკვლელობაზე. როგორც მაღაზიის მენეჯერი ამბობდა, გოლეთიანი ძირითადად მეჩეხიაზე გაბრაზებულა. საერთოდ, აგრესიული კაცია და თავისი ხასიათის გამო ხშირად მოსდიოდა ჩხუბი უბანში. მაშინაც გაშმაგებული შესულა თავის კაბინეტში, რომელიც იმავე მაღაზიაში ჰქონდა და სეიფიდან პისტოლეტი აუღია. უთქვამს – მე მოვუვლი ამ საქმესო. მენეჯერი, რომელიც გოლეთიანის ნათესავია, აღელვებულა, რადგან კარგად იცოდა მისი ხასიათის შესახებ და გამყიდველი ქალისთვის უსაყვედურია კიდეც – ამას რატომ დაურეკე? ხომ იცი, ერთ ამბავს ატეხს, მე თვითონ მოვაგვარებდი ამ საქმესო. იმისთვის, რომ სიტუაცია როგორმე განემუხტა, იქვე, ახლოს მდებარე ტოტალიზატორ „კროკოშიც“ კი გადასულა და იქ მყოფი უბნელი ახალგაზრდებისთვის უთქვამს – თუ იცით, მეჩეხია სად არის? ახლავე გააფრთხილეთ, მირზას მოერიდოსო. მეჩეხია, როგორც ამბობენ, წარსულში მართლაც იყო ქურდი, თუმცა ბოლო წლებში, უბანში მას არავინ აღიქვამდა ე.წ. ავტორიტეტად, არც ის შეეფერება სინამდვილეს, თითქოს უბნელი ახალგაზრდების, თავისი გავლენის ქვეშ მოქცევას ცდილობდა. თავისთვის დადიოდა და სულაც არ იქცეოდა გამაღიზიანებლად, პირიქით, ბოლო პერიოდში ავადმყოფობდა და დაბეჩავებულად გამოიყურებოდა. თუმცა, ზოგი მართლაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მაღაზიიდან დაუკითხავად პროდუქტის წაღება სჩვეოდა. რაც შეეხება გურამს, ის მეჩეხიას ძმაკაცი არასდროს ყოფილა. იმ დღეს შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს და როგორც ჩანს, მეჩეხიას შეთავაზებაზე – თითო ჭიქა დავლიოთო – უარი ვერ თქვა. თონეში შევარდნილმა, პისტოლეტით შეიარაღებულმა გოლეთიანმა, მეჩეხიას ჩხუბი რომ დაუწყო, ბუნებრივია, გურამი გულხელდაკრეფილი, მშვიდად ვერ უყურებდა ამ ფაქტს. მაშინვე გაშველება დაუწყო თურმე მათ. აღსანიშნავია, რომ იმ დროისათვის გურამს მირზას ვალი – 50 ლარი ემართა. უცებ ფული დასჭირდა და მირზასაც მიუცია, გურამს კი „ზალოგში“ ოქროს ბეჭედი დაუტოვებია. გარკვეული პერიოდი გავიდა და გურამი ვერ ახერხებდა მირზასთვის ამ თანხის დაბრუნებას, ამიტომაც ცდილობდა, მორიდებოდა მასთან შეხვედრას. მაშინ ჩხუბისას, მირზას მისთვის უხეშად შეუხსენებია ამ ვალის შესახებ და გურამსაც, განაწყენებული ტონით უთქვამს – მალე დაგიბრუნებ, ნუ გეშინიაო. თორემ, ის, თითქოს გურამმა მირზას ყოველთვიურად 50 ლარის გადახდა „შეაწერა“, სიმართლე არ არის. ამას თავიდან მეთონე – დიდებაშვილიც ადასტურებდა, მაგრამ შემდეგ, ჩვენება მასაც შეაცვლევინეს და დღეს ეს კაცი საერთოდ არ ჩანს. მისი სიდედრი, რომელიც მცხეთაში ცხოვრობს, ადასტურებს იმ ფაქტს, თუ როგორ დაემუქრა მის სიძეს განსასჯელის ადვოკატი და ძალით შეაცვლევინა ჩვენება. თავდაპირველად, წინასწარი გამოძიების პერიოდში, ყველა მოწმე ისე აღწერდა მკვლელობის დეტალებს, როგორც სინამდვილეში მოხდა. აფიქსირებდნენ, თუ როგორ აბრახუნებდა თონის კარზე და ივინებოდა გოლეთიანი. იმასაც ამბობდნენ, რომ გურამმა მეთონის დანა მართლაც აიღო, მაგრამ ის გოლეთიანს მოუქნიაო – არავის უთქვამს. ერთ-ერთი მოწმე – კირკიტაძე დეტალურად აღწერდა თავის პირველ ჩვენებაში, თუ როგორ ესროლა ფეხზე მდგარმა გოლეთიანმა 3-4 მეტრის მანძილიდან გურამს ტყვია, იმასაც ამბობდა, გურამი ჩემს ფეხებთან დაეცა, ჩემ თვალწინ გადააგდო თავი და გადაატრიალა თვალებიო. ისიც გაუგონიათ იქ მყოფებს, როგორ უთქვამს გურამს – მგონი, მომკლაო, – და შემდეგ ჩაკეცილა. აი, ასეთი ჩვენების შემდეგ, კირკიტაძე სასამართლოში გამოცხადდა და ყველაფერი გადათქვა. განაცხადა – საერთოდ არ ვყოფილვარ შემთხვევის ადგილზე, იმ ჩვენებაში ის დავწერე, რაც ხალხისგან შევიტყვეო. ცხადია, განსასჯელის მხარემ მასზეც მოახდინა გავლენა. თავიდან არც ის უთქვამს ვინმეს, თითქოს გოლეთიანი წაიქცა და მას ზევიდან, დანით შეიარაღებული გურამი დაახტა. გამაოგნებელია თავად გოლეთიანის საქციელი, მომხდარი მკვლელობის შემდეგ. წარმოუდგენლად გულგრილად მოიქცა, თურმე, იმის ნაცვლად, რომ მომხდარით შეშფოთებული (თუკი ეს უნებლიე ან თავდაცვის მიზნით ჩადენილი დანაშაული იყო) დაჭრილს მივარდნოდა და მის გადარჩენაზე ეზრუნა ან შეწუხება მაინც გამოეხატა, წაქცეულ, მომაკვდავ გურამთან მივიდა, დანა გამოაცალა ხელიდან და მაღაზიაში გადავიდა, თან უთქვამს – ეს დანა პოლიციასთან ნივთმტკიცებად მჭირდებაო. როცა პოლიცია მისულა, მაღაზიაში იჯდა, „ბორჯომს“ სვამდა და ტელევიზორს უყურებდა, თურმე. შესაძლებელია, მისი ასეთი საქციელი შოკითაც ყოფილიყო გამოწვეული, მაგრამ ამას ვერ ვიფიქრებ, რადგან სასამართლო პროცესზე ძალზე გამაღიზიანებლად იქცევა. ჩვენი მხარის მიმართ აშკარა ცინიზმს გამოხატავს. მისმა ადვოკატმა პირდაპირ, მოურიდებლად მითხრა, თუ როგორ მოისყიდა მოწმეები – ცოლ-ქმარი ვალიკო და მაია ბიჩინგაურები. სასამართლო პროცესზე ისინი პირველად ვნახე. ბიჩინგაურებმა ჩვენება მისცეს იმის შესახებ, თუ როგორ მიუცვივდნენ მათ სახლში გურამის მეგობრები, დაახლოებით 15 კაცი და დაემუქრნენ – აგაწიოკებთ, თუკი გოლეთიანის საწინააღმდეგო ჩვენებას არ მისცემთ სასამართლოსო. რა თქმა უნდა, ეს სიცრუეა, რაც ადვოკატმა ზაქარეიშვილმა ჩემთანაც აღიარა“.

ადვოკატი ზაქარეიშვილის თქმით, სწორედ ბიჩინგაურებმა წაიყვანეს შემთხვევის ადგილიდან დაჭრილი საავადმყოფოში და მათი ყოველი სიტყვა სიმართლეს შეეფერება. თუმცა, როგორც ერთ-ერთმა სამართალდამცველმა გვითხრა, ბიჩინგაურებს ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ. სხვათა შორის, ამას ადასტურებს ერთ-ერთი სასამართლო პროცესი, რომელიც „გზის“ ფუცლებზეც გაშუქდა. მაშინ ცოლ-ქმარი ერთ-ერთ სამშობიაროს, ახალშობილის გარდაცვალების შესახებ ცნობების გაყალბებას ედავებოდა, ირწმუნებოდა, რომ მას სამშობიაროში ბავშვი გაუყიდეს... პროკურატურაში ამბობენ, რომ ბიჩინგაურების შესახებ მათთვის კარგადაა ცნობილი. სამართალდამცველთა თქმით, ისინი პერიოდულად ჩნდებიან მოწმის სტატუსით, სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეში და როგორც ამბობენ, ამ გზით არჩენენ თავიანთ მრავალშვილიან ოჯახს. ამას ბიჩინგაურები ყოველთვის კატეგორიულად უარყოფდნენ.

ირაკლი ზაქარეიშვილი:

„ბიჩინგაურების სხვა პროცესებში მონაწილეობის შესახებ მე ინფორმაცია არ გამაჩნია, მაგრამ თუკი ეს სიმართლეს შეეფერება, მაშინ თავად პროკურატურისგან შესაბამისი რეაგირებაა საჭირო. უნდა გამოიკვლიონ და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი დააყენონ. არც მე, არც გოლეთიანი ამ ცოლ-ქმარს ადრე არ ვიცნობდით. ვალიკო ბიჩინგაური ერთ-ერთი პირველია, რომელმაც შემთხვევის დღეს სამართალდამცავებს ახსნა-განმარტება მისცა. ჩემზე კი, როგორც ადვოკატზე, ორდერი იმ დღეს, 22 საათზეა გამოწერილი. რაც შეეხება მოწმეების დაშინებას დაზარალებული მხარისგან, ამას საქმეში არსებული ჩვენებები მოწმობს და ყოველი ჩემი სიტყვა დოკუმენტურად დასტურდება“.

■

მარიკა თხელიძე

არც ამერიკელებს ემდურის და არც თავის ლექტორებს

თითქმის წელიწადია, რაც ქართული შოუბიზნესი ისეთი აქტიურობით აღარ გამოირჩევა, როგორიც ადრე ახასიათებდა. ცნობილი ქართველი მომღერლები აღარც კლიპებს იღებენ და მგონი, სიმღერის ჩაწერაზეც აიღეს ხელი. სამაგიეროდ, ასპარეზი დამწყებ მომღერლებს დაეთმო და ვისაც ფული აქვს და თანაც პირის გაღება არ ეზარება, ყველა „ვარსკვლავია“...

როდესაც წარსულში ძალზე აქტიურ და პოპულარულ მომღერალს, მარიკა თხელიძეს ინტერვიუსთვის შინ ვესტუმრე, ეკრანიდან სწორედ ასეთი ახალბედა ბიჭები გვაწონებდნენ თავს, რაც, ჩემი არ იყოს, მარიკას ღიმილსაც იწვევდა... როგორც ახალგაზრდა მომღერალმა აღნიშნა, მისი ხანგრძლივი პაუზა უნივერსიტეტში ჩაბარებით ყოფილა გამოწვეული, ხოლო დანარჩენ „საჭირბოროტო“ საკითხებზე თავად გვესაუბრება.

ნათია ქივიძე

— მარიკა, რაიმე სიახლე თუ არის შენს კარიერაში?

— ახლა ვაპირებ ერთი ახალი სიმღერის ჩაწერას, მაგრამ ზუსტად როდის მოხდება ეს, წინასწარ ვერ გეტყვით. აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ წინასწარ არც ამ სიმღერის ავტორის ვინაობას გავამხელ. ალბათ, ძალიან მალე, ისევ დავუბრუნდები შემოქმედებით ცხოვრებას. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ბოლო დროს, რაღაც რეჟიმიდან ამოვვარდი და ვპასიურობ — მოკლედ, შემოქმედებითი პაუზა მაქვს. ეს იმან განაპირობა, რომ მოგეხსენებათ, წელს პირველი კურსი დავხურე უნივერსიტეტში და მთლიანად სწავლაზე ვარ გადართული.

— გამოდის, შენ საპატიო მიზეზები გქონია. მაგრამ ფაქტია, რომ თითქმის ყველა სხვა მომღერალსაც დიდი პაუზა გამოუვიდა. ხომ არ გვეტყვი, რისი ბრალია ეს?

— საქართველოში სიტყვა „შოუბიზნესი“ ყოველთვის ხმამაღალი ნათქვამი იყო, რადგან საზღვარგარეთთან შედარებით, ჩვენთან ეს სფერო, შეიძლება ითქვას, განვითარებული არ არის. დღეს ისეთი დრო დადგა, რომ მომღერალმა ძალიან უნდა იაქტიუროს, რომ საზოგადოებაში გამოჩნდეს. ზოგს აქვს ამის საშუალება, მაგრამ ეს უმეტეს შემთხვევაში, საქართველოს ფარგლებს გარეთ ხდება, რადგან ჩვენში ვინც ნიჭიერია, მას მხოლოდ საზღვარგარეთიდან ჩამოსვლის შემდეგ აფასებენ, რატომღაც ყოველთვის ასე ხდება... ამ ბოლო დროს, რატომღაც ჩვენთან უფრო ნაკლები კონცერტი ტარდება, ვიდრე ადრე ტარდებოდა. ამას ისეთი ადამიანი უნდა აქცევდეს ყურადღებას, ვისაც ესმის ეს საკითხი, რადგან ბევრი მომღერალი, შემოსავლის თვალსაზრისით, თავის სიმღერაზეა დამოკიდებული: თუ მას კონცერტზე არ მიიწვევენ, შესაძლოა, რომ ლუკმაპურის ფულიც არ ჰქონდეს...

— შენს შემთხვევაშიც, სიმღერა ხომ არ არის შემოსავლის წყარო?

— ჯერ ერთი, მე ისეთ ასაკში არ ვარ, როგორშიც ვთქვათ, სხვა მომღერლები. გვყავს ძალიან კარგი უფროსი თაობა, რომლის წარმომადგენელთა რიცხვსაც მე არ მივეკუთვნები. მე კი, ჩემი ოჯახი ყველაფერში მიწყობს ხელს. როცა ჰონორარს მიხდიან, რა თქმა უნდა, იმით, რასაც მინდა, იმას შევიძენ. მაგრამ ეს იშვიათად ხდება, რადგან უმეტეს შემთხვევაში, კონცერტი საქველმოქმედოა ან მისი ორგანიზატორი მეგობარია და მთხოვს, რომ უფასოდ ვიმღერო...

— ადრე ხშირად დადიოდი საზღვარგარეთ რაღაც ფესტივალებზე და ამანაც გარკვეული პოპულარობა მოგიტანა. ახლა აღარ აპირებ სადმე გამგზავრებას?

— ფესტივალზე წასვლა ჯერ არ მინდა, რადგან უკვე იმდენ კონკურსში მაქვს მონაწილეობა მიღებული, რომ სიმართლე გითხრა, ამის სურვილი აღარ მაქვს. ეს ეტაპი უკვე გავიარე და რაც ამ კონკურსებს შემოქმედებითი თვალსაზრისით უნდა მოეცათ ჩემთვის, ის უკვე მივიღე და რაღაც გარკვეული შემოქმედებითი საფეხურები გავიარე, უფრო დავიხვეწე. ახლა საზღვარგარეთ წასვლას ჯერჯერობით არ ვაპირებ, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ უახლოეს მომავალში რაიმე მიწვევა მივიღო და წავიდე. საქართველოში რაც კონცერტები ტარდება, ერთ-ერთიდან მქონდა შემოთავაზება, რომ მონაწილეობა მიმეღო, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო, უარი ვთქვი. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი ის იყო, რომ უნივერსიტეტში გამოცდები მაქვს და არ მცალია.

— ეი. ახალ, შეპირებულ სიმღერას გამოცდების შემდეგ ჩაწერ?

— დიახ, ალბათ ასე იქნება. ვფიქრობ, რომ ეს არის ძალიან ლამაზი სიმღერა. ის არ არის თანამედროვე სტილის, არც „პაპსაა“ და არც რიტმიანი. უფრო, სერიოზული სამღერაა...

— ეი. თუ სწორად გავიგე, კომერციული არ არის?

— კომერციული ალბათ ვერ იქნება.

— საერთოდ, არ გეწყინოს, მაგრამ ვფიქრობ, შენ კომერციულ სიმღერებს თითქმის არ მღერი...

— აბსოლუტურად მართალი ხარ და არც მწყინს. მე თავს კომერციულ მომღერლად არ მივიჩნევ, იმ თვალსაზრისით, რომ ნაკლებად მაქვს შემოქმედებაში პოპ-სიმღერები და უფრო, სხვა მიმართულებით მივდივარ...

— იმის თქმა გინდა, რომ შენ პროფესიონალი მომღერალი ხარ?..

— საკუთარ თავზე ლაპარაკს არ დავიწყებ...

— სულ ცოტა ხნის წინ, საკმაოდ დიდი და სერიოზული პროექტი — „კოსმოპოლიტანი“ — წარ-

მოადგინე მაყურებლის სამსჯავროზე. მაშინ ითქვა, რომ ეს არ იქნებოდა ერთჯერადი პროექტი და საზღვარგარეთაც გავიდოდა. რატომ არ მოხდა ასე და ხომ არ აპირებ კიდევ რაიმე ახალი პროექტის განხორციელებას?

— „კოსმოპოლიტანი“ ჩემი ვოკალის პედაგოგის, რუსიკო ბახტაძის იდეა იყო. ამ პროექტში სულ 14 სიმღერა შედიოდა, აქედან 2, ჩემთვის ძალიან „გადაღეჭილი“ და ნაცნობი იყო, მაგრამ დანარჩენი 12 სიმღერა სულ ახალი იყო და ასათვისებლად საკმაოდ რთული გახლდათ, მაგრამ რატომღაც ძალიან მოკლე დროში მოვასწარი მათი შესწავლა და ათვისება. ახლაც აღვნიშნავ, რომ ეს პროექტი ერთჯერადი არ იყო და არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთაც განხორციელდეს. თუმცა, ამწუთას, კონკრეტულ დროსა და ადგილს ვერ დაგისახელებ. რაც შეეხება ახალ პროექტს, ჯერჯერობით, ამაზე საუბარიც არ არის. მომავალში რა იქნება, არ ვიცი.

— **მაშინ ისიც ითქვა, რომ ამ პროექტიდან ორ სიმღერაზე კლიპიც უნდა გადაღებულიყო, მაგრამ არც ეს განხორციელდა...**

— იყო ამაზე ლაპარაკიც. ორივეზე კლიპს ვერ გადავიღებთ, რადგან დღეს იმის საშუალება არ არის, რომ ერთდროულად ორ სიმღერაზე გადავიღო კლიპები. მირჩევნია, ერთი კლიპი მქონდეს და კარგი ხარისხის, ვიდრე ორი და უხარისხო. ასე რომ, ერთ-ერთ ამ სიმღერაზე ან კლიპს გადავიღებ, ან კიდევ, საკონცერტო ვიდეომასალით იტრიალებს ტელეეკრანებზე.

— **კიდევ ერთი რაღაც მინდა, შეგახსენო: რამდენიმე წლის წინ, ამერიკაში გამართული ფესტივალიდან გამარჯვებული რომ ჩამოხვედი, აღნიშნე, რომ იქაურებმა მიუზიკლის — „სიმბას“ გახმოვანება შემოგთავაზეს. შედგა თუ არა ეს პროექტი?**

— არა. „სიმბა“ ვერ გავახმოვანე, რადგან იმის შემდეგ, ჩემი ამერიკაში წასვლა ვეღარ მოხერხდა. რამდენჯერაც წასვლა დავაპირე, იმდენჯერ წინ რაღაც გადამეღობა და ვერ მოვახერხე. ასე რომ, ეს ჩემი ბრალია და არა ამერიკელების. ბოლო მიზეზი, ისევ და ისევ, ის იყო, რომ უნივერსიტეტში ჩავაბარე, დიპლომატიის ისტორიის ფაკულტეტზე. სკოლაში როცა ვსწავლობდი, ყველაფერი ადვილი იყო, მასწავლებლები ხელს მიწყობდნენ ყველაფერში. უნივერსიტეტში სწავლა რთულია.

— **ლექტორები ხელს არ გიწყობენ?**

— არა. სკოლა ხომ არ არის, რომ მითხრან — კარგად მღერი და მოდი, ხუთიანს დაგიწერთო. იქ მაინც ჩემი ცოდნის შეფასებით მიწერენ ნიშანს და არა — სიმღერის. თუმცა, რაღაც-რაღაცები შეიძლება მაპატიონ. ■

„გვირილა“, გვირილების გვირგვინი და ქრთილი ვარდი

ამ უკლიპობა-უკონცერტობის დროს, აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებით გამორჩეული საბავშვო ვოკალური ანსამბლის — „გვირილის“ ცხოვრებაში საინტერესო სიახლეა: მისი ერთ-ერთი სოლისტი, სალომე აფციაური კლიპზე მუშაობს. მისი რეჟისორია ნატო დოლიძე (ცნობილი კინორეჟისორის, სიკო დოლიძის შვილიშვილი). სიმღერა ხალხურია და იგი მთიულურ მოტივებზეა აგებული, რომლის ახლებური ინტერპრეტაციაც ანსამბლის ხელმძღვანელს, ქალბატონ ერნა წიფურიას ეკუთვნის, ხოლო ხალხურ ტექსტში ცვლილებები ცნობილმა პოეტმა, ნანა ცინცაძემ შეიტანა.

კლიპის შინაარსის მიხედვით, პატარა გოგონას სკოლაში ბებია და ბაბუა მიაცილებენ, რომელთა როლებსაც ცნობილი მსახიობები, გურანდა გაბუნია და ბორის წიფურია ასრულებენ. გაკვეთილის მიმდინარეობისას, გოგონა ოცნებებით XIX საუკუნეში გადაინაცვლებს და თავს მთის მკვიდრად წარმოიდგენს, რომელსაც მისი თანაკლასელი, დათუნა ალიმბარაშვილი მოსწონს (სხვათა შორის, დათუნაც ანსამბლ „გვირილის“ წევრია), ის კი ნატოს გვირილების გვირგვინს დაადგამს თავზე. ამ ოცნებებიდან სალომეს მასწავლებელი გამოაფხიზლებს, ხოლო სკოლიდან გამოსულს, დათუნა კართან დახვდება და ვარდს მიართმევს...

კლიპში ანსამბლ „ფრესკის“ მოცეკვავეები მონაწილეობენ, ხოლო კოსტიუმების მხატვარი სერგო იმერლიშვილია. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თავად სალომე წარმოშობით მთიულია და ამის გამო ეს სიმღერა თავის რეპერტუარში მას ყველაზე მეტად მოსწონს. თვის ბოლოს, ნორჩი მომღერლის ამ კლიპს ტელემაყურებლები იხილავენ. ■

რას ვუმალავ ჩემს მეუღლეს

„კაცებო, გააშიშვლეთ ქალები“

დამალული და მოპარული ყველაფერი რომ გემრიელია, ამას ჯერ კიდევ მაშინ მივხვდით, როცა ბავშვობაში ბებოს განჯინიდან „დათრეულ“ მურაბასა თუ ჩურჩხელას მივირთმევდით ხოლმე. უკვე ზრდასრულ ადამიანებს კი პირის ჩაგემრიელება „დიდური“ ნუგბარით ურჩევნიათ. მკითხველთა მესიჯებიდან დავასკვენი, რომ თურმე, ქმრები ცოლებს ხელფასს, მეგობრისთვის დახარჯულ ფულსა და ათასგვარ წვრილმანს უმალავენ. ცოლები კი ქმრებს — ძირმიმწვარ ქვაბებს, უთოობისას დამწვარ შარვლებსა და სატელეფონო საუბრების გადასახად ქვითრებს. მაგრამ ყველაზე საგულდაგულოდ ორივე მხარე მალავს... რას? რას და „ლევი“ სიყვარულს. თქვენ არ გაეჭვებთ, ცოლს „მზითვად“ მოყოლილი, ბლოკნოტში ჩადებული გამხმარი ყვავილი ან გაცრეცილი ბარათების შეკვრა?.. თუ დარწმუნებული ხართ, რომ მას მართლაც უზომოდ უყვარხართ?.. გაეცანით ჩვენი რესპონდენტის ნაამბობს — იქნებ, გამოგადგეთ.

მარი ჯაფარიძე

„ქმრის ოჯახში ზალიკოს ნაჩუქარი ვარდი წავიღე...“

„მერვე კლასში ვიყავი, როცა ზალიკო შემიყვარდა. თავიდან ბავშვური გატაცება იყო, მაგრამ მერე სერიოზულ გრძნობაში გადაიზარდა. ვიცოდი, რომ მისი მშობლები ჩვენი ქორწინების წინააღმდეგი იყვნენ. მთელი 8 წელი გვიყვარდა ერთმანეთი. ეს ხომ ძალზე დიდი დროა! რას მიწუნებდა სადედამთილო, ახლაც არ ვიცი. ზალიკო ჩემზე 3 წლით უფროსი გახლდათ. უკვე 25 წლის ბიჭი კიდევ ვერ წყვეტდა, მოვეყვანე თუ არა ცოლად და წასულიყო თუ არა დედის წინააღმდეგ. მისმა ასეთმა უნიათობამ სისხლი გამიშრო, მაგრამ ისე ძლიერ მიყვარდა, რომ ყველაფერზე თვალს ვხუჭავდი. უკვე იმდენ ხანს გვიყვარდა ერთმანეთი, რომ ყველას მოჰბეზრდა ჩვენი ასეთი ურთიერთობა. რაღაც უნდა შეგვეცვალა. ის კი ისეთი მორიდებული იყო, რომ ჩემთვის ნაკოცნიც კი არ ჰქონდა. 22 წლის რომ ვხდებოდი, დიდი დაბადების დღე გადავიხადე, უამრავი სტუმარი დავპატიჟე, მათ შორის იყო დედაჩემის მეგობარიც, რომელსაც სარძლოდ მოვწონდი. იმ დილას, სილამაზის სალონში მივდიოდი. ზალიკოს ვთხოვე, გამყოლოდა. გაჩერებასთან ყვავილების თაიგულით შემეგება. სალონიდან გამოსულები ცოტა ხნით სკვერში ჩამოვსხედით. კი არ ვთხოვე, ვუბრძანე — მაკოცე-მეთქი! რაღას იზამდა? როგორც იქნა, მოახერხა... ეს ჩემი პირველი კოცნა იყო. წარმოიდგინეთ, 22 წლის გოგოს, 8 წელი შეყვარებული მყავდა და ერთხელაც კი არ უკოცნია. შინ ფრთებშესხმული დავბრუნდი. მოუთმენლად ველოდი საღამოს დადგომას. რატომღაც მეგონა, რომ იმ საღამოს ზალიკო ხელს მთხოვდა. სტუმრები მოგროვდნენ, მაგრამ ის არ ჩანდა. მისი ნაჩუქარი თაიგულიდან ერთი ვარდი ამოვიღე და ბლოკნოტში ჩავდე, ხშირ-ხშირად რომ შემევლო თვალი. მეგონა, უფრო მალე მოვიდოდა ზალიკო... ბოლოს, ველარ მოვითმინე და დავურეკე. მოსვლაზე უარი მითხრა. მივხვდი, შინ იყო, რადგან დედამისის ხმა მესმოდა ყურმილში. უზომოდ გავბრაზდი. ავდექი და მაგიდის წევრებს გამოვუცხადე — ეს ქალბატონი და მისი შვილი (დედაჩემის მეგობარი მყავდა მხედველობაში) ორი წელია, ხელს მთხოვენ და გადავწყვიტე, თანხმობა ვუთხრა-მეთქი. სადედამთილომ იმწამსვე მოიძრო ოქროს რგოლი თითიდან და მე მომარგო. სასიძო იქ არ გახლდათ. ის მეორე დილით, ბედნიერი სახით მოვიდა. კარი რომ გავუღე, მაშინვე დერეფნის კუთხეში მიმიმწყვდია და ისე მაკოცა, რომ ცხოვრებაში არ დამავიწყდება... მალე ქორწილიც გადავიხადეთ. თითქოს ბედნიერი ვარ, თითქოს დავივიწყე ზალიკო, მაგრამ მგონი, ჩემს გრძნობებში ჯერ კიდევ ვერ გავრკვეულვარ. ქმრის ოჯახში წავიღე ზალიკოს ნაჩუქარი გამხმარი ვარდი, მისი წერილების მთელი შეკვრა და პირველი მხურვალე კოცნის მოგონება. ვარდისა და ბარათების შესახებ ჩემმა ქმარმა ყველაფერი იცის. კოცნის ამბავს კი საგულდაგულოდ ვუმალავ და მთელი ამ ხნის განმავლობაში ჰგონია, რომ პირველი მამაკაცია, რომელმაც მაკოცა. მგონი, ჯობს, რომ ასე ეგონოს. თქვენ რას იტყვით?..“

ამრიგად, ჩვენს „მოედანზე“ ანგარიშია 1:0 ცოლების სასარგებლოდ... ვინ იცის, კიდევ რამდენი ქალი უმალავს ქმარს პირველი კოცნის ამბავს და — არა მარტო კოცნის... ვნახოთ, რას გვეტყვიან საპასუხოდ მამაკაცები... სტიქიური უბედურება სწორედ იმას ნიშნავს, რომ ის ყველაზე არასასურველ მომენტში, იმდენად არასასურველ დროს უნდა მოხდეს, რომ ვერც ერთი კომპანიის სადაზღვევო პოლისი ვერ გიშველით.

ერთი სიტყვით, ცხოვრებაში ხანდახან დგება მომენტი, როცა საკუთარი ძალებით უნდა უშველო თავს...

ვირთხასავით გამომწყვდეული ქმარი და ძვირფასი საჩუქარი ცოლისთვის

„35 წლის ვარ. 18 წელია, რაც ცოლი მოვიყვანე. არასოდეს მიცხოვრია ძალზე მდიდრულად, მაგრამ არც დიდი გაჭირვება გამომიცდია. ყოველთვის მქონდა კარგი ანაზღაურება და საკუთარი, არცთუ ისე დიდი, მაგრამ შემოსავლიანი ბიზნესი. ერთხელ, სრულიად შემთხვევით, ძალზე სათნო და ლამაზი ქალი გავიცანი. თითქოს ერთბაშად შემიყვარდა. დავიწყეთ მალული შეხვედრები. ამისათვის კი, ბინა ვიქირავეთ წერეთლის გამზირზე, ერთ-ერთი კორპუსის მეორე სართულზე. ცოტა ხნის

შემდეგ ბინის პატრონს დიდი თანხა დასჭირდა და იგივე ბინა ვიგირავე. შემდეგ კი, ვიყიდე კიდეც. რაღა თქმა უნდა, ჩემმა ოჯახმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. ის კი არა და, მეგობრებსაც არ ვუმხელდი. მერე დაიწყებოდა – გასაღები მათხოვე, ერთი ღამით ბინა დამითმეო და ა.შ. ჩვენ კი იქ ჩვენი მყუდრო ბუდე გვქონდა მოწყობილი და ერთმანეთის სიყვარულში ვილეოდით... ჩემი ბინის ქვეშ სურსათის მაღაზია გახლდათ. ერთ დილით, როცა მე აბაზანაში ვიყავი, ჩემს მობილურზე სწორედ მაღაზიის მეპატრონემ დარეკა. ჩემმა ცოლმა უპასუხა და მე მესმოდა, როგორ ელაპარაკებოდა: „ნუგზარი აბაზანაში გახლავთ... თქვენ შეგეშალათ, ჩვენ მეოთხე სართულზე ვცხოვრობთ და ჩვენს ქვემოთ მაღაზია არ არის... წერეთელზე? ა-აა, დიახ, დიახ... ძალიან ჩამორეცხა? ეტყობა, ონკანი დარჩა მოშვებული... უკაცრავად, წერეთლის რომელ ნომერშია თქვენი მაღაზია?..“ ხომ წარმოგიდგენიათ, რა მომივიდოდა?!. არადა, ონკანი შევამოწმე წამოსვლისას, მაგრამ როგორც ჩანს, მილი გასკდა და მაღაზია წყლით დაიტბორა... მთელი ორი საათი ვიჯექი აბაზანაში და მესმოდა ცოლის წივილ-კივილი, ჩემი მობილურის კედელზე მიხეთქების ხმა, წყევლა-კრულვა. ხმას ვერ ვიღებდი და ვირთხასავით გამომწყვდეული, ღმერთს მადლობას ვწირავდი, რომ სააბაზანოს კარი საგულდაგულოდ იყო ჩარაზული... აბანოს ხალათი შემოვიცვი და ხელსაყრელ მომენტს დაველოდე, რომ შინიდან გავპარულიყავი. მართლაც, დრო ვიხელთე, სააბაზანოდან ჩუმად გამოვედი, დერეფანში დადებულ მანქანის გასაღებს დავწვდი და გამოვიპარე შინიდან. ასე ხალათით მივედი ჩემს ბინაში, იქაურობა მოვაწესრიგე, ტანისამოსი ჩავიცვი (რამდენიმე მაისური და შარვალი იქ მქონდა დატოვებული) და სასწრაფოდ დავტოვე იქაურობა... მთელი თვე სამსახურში ვრჩებოდი დასაძინებლად. ბინა გავყიდე, ცოლს ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი ვუყიდე და მუხლისთავები დავუკოცნე, შინ რომ შევეშვი...“

ვფიქრობ, მკითხველი დამეთანხმება, რომ ანგარიში უკვე 2:0 გახდა ცოლების სასარგებლოდ. ახლა კი, ისეთ ამბავს მოგიყვებით, რომ ქალბატონები ერთბაშად რამდენიმე ქულით დაწინაურდებიან.

4 წელი რუსეთის ციხეში

„19 წლის ასაკში საშინელი ამბავი გადამხდა თავს. მაშინ მოსკოვში ცხოვრობდი მშობლებთან ერთად. დისკოთეკაზე ვიყავი. იქ ერთი ახალგაზრდა მამაკაცი გავიცანი. ღამის 2 საათზე შინ წასვლა გადავწყვიტე და ჩემმა კავალერმა შემომთავაზა, ჩემი მანქანით გაგაცილებო. უარი არ მითქვამს. ერთ-ერთი შენობის ეზოში გააჩერა და შემომთავაზა – მესტუმრე, ყავა დავლიოთ, ვიდეოს ვუყუროთო. უარი რომ ვუთხარი, იარაღი ამოიღო და შუბლზე მომადო... ასე ძალისძალად ამიყვანა ბინაში, სადაც ჩვენ გარდა, არავინ იყო. დამიწყო მოფერება და რომ გავუძალიანდი, გაუპატიურება დამიპირა. ბევრი ვიჭიდავეთ. მერე, როგორღაც მოვახერხე მისი ქამრიდან იარაღის ამოღება, ერთი გავისროლე და მოძალადე მოწყვეტით დაეცა. წარბიც არ შემიხრია, შემოხეული ტანისამოსი გავისწორე, კაცის საბუთები გულის ჯიბეში მოვძებნე. აღმოჩნდა, რომ მილიციის მაიორი ყოფილა. მერე მის კარის მეზობელს მივუკაკუნე, და ვთხოვე, მილიციაში დაერეკა. უმალ მოვიდნენ და დამაკავეს. ბევრი იბრძოლა ჩემმა ადვოკატმა, მაგრამ 6 წელი მაინც მომისაჯეს. წარმოიდგინეთ, რუსეთის ციხეში გატარებული წლები როგორ დაღს დასვამდა ჩემს ცხოვრებას... მგლური კანონები მოქმედებდა საპყრობილეში. ბევრი ვიბრძოლე იმისათვის, რომ არ დავჩაგრულიყავი. შეწყალების თხოვნა დავწერე პრეზიდენტ ელცინის სახელზე და მხოლოდ 4 წლის შემდეგ გამათავისუფლეს. როცა საპატიმროში ვიყავი, დედაჩემი გარდაიცვალა. მამა სამუშაოდ წავიდა უცხოეთში და იქიდან მპატრონობდა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ, თბილისში დავბრუნდი. სრულიად ახალი ცხოვრება დავიწყე. მოსკოვის ბინა გავყიდე, იმ ფასად თბილისში 3 ბინა ვიყიდე. ერთში თვითონ ვცხოვრობდი, ორი – გავაქირავე. ცოტაოდენი თანხა საქმეშიც ჩავდე და უზრუნველად ვცხოვრობდი, ვიდრე ამირანი არ შემიყვარდა. სანერვიულო მხოლოდ ის მქონდა, რომ მას არ შეეტყო ჩემი წარსულის შესახებ. ბევრი ვიყოყმანე, მეთქვა თუ არა მისთვის, რომ 4 წელი ციხეში მქონდა გატარებული. ეს ჩემთვის დიდ სატანჯველს წარმოადგენდა. ბოლოს გადავწყვიტე, არ გამემხილა... დავქორწინდით. ჩემი პირველი მამაკაცი ჩემი მეუღლე გახლდათ. უზრუნველად ვცხოვრობთ. ახლა შვილიც გვყავს, მაგრამ მუდმივად შიშის ქვეშ ვცხოვრობ. რა მოხდება, ერთ დღესაც ჩემმა ქმარმა ჩემი საიდუმლო რომ გაიგოს? იქნებ, მაპატიოს კიდეც, მაგრამ ვაითუ... პატივისცემით, ჯუნა“.

ჯუნასთან ვრცელ ინტერვიუს, იმის შესახებ, თუ როგორ იხდიდა სასჯელს რუსეთის ციხეში და რა გადახდა თავს, „გზის“ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ. ახლა კი ახალგაზრდა მამაკაცს მივუსმინოთ, რომელიც ცოლს საკმაოდ მნიშვნელოვან ამბავს უმალავდა.

„ვეველრებოდი, შვილი გამიჩინე-მეთქი...“

„ცოლი რომ მოვიყვანე, ვოცნებობდი მყუდრო ოჯახზე, ბევრ შვილსა და სიყვარულზე აგებულ ურთიერთობებზე. რაც მართალია, მართალია – მე და ჩემს მეუღლეს უზომოდ გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ ჩვენს ურთიერთობას ბზარი მაშინ გაუჩნდა, როცა 3-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ, ექიმმა გვითხრა – ძალზე სათუოა, რომ შვილი შეგეძინოთ, თქვენს მშველელად მხოლოდ ღმერთი იგულეთო. ეს შოკის მომგვრელი ინფორმაცია კაცურად გადავიტანე – ისე, რომ ჩემს მეუღლეს არც კი შეუტყვია, ვნერვიულობდი თუ არა. თვითონ დღე და ღამე ტიროდა. მე – ვამშვიდებდი. ყველაფერზე მეტად შენი დაკარგვის მეშინიაო, – ამბობდა. პირობა მივეცი, რომ ვიდრე სიკვდილი არ გაგვყრიდა, ერთად ვიცხოვრებდით... გავიდა წლები. როგორც ყველა ქართველ მამაკაცს, მეც მიყვარდა ქალებში „გაძრომა“. ერთ მშვენიერ დღეს, ჩემმა 21 წლის საყვარელმა გამომიცხადა, ფეხმძიმედ ვარო. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ლამის დავუჩოქე, ისე ვევედრებოდი, შვილი გამიჩინე-მეთქი. როცა ნინო 6 თვის ფეხმძიმე იყო, ჩემმა ცოლმა მახარა – ორსულად ვარო... რა თქმა უნდა, არ მწყენია, მაგრამ (ღმერთო, მაპატიე!) ვინანე, რომ ნინოს მივეცი უფლება, ბავშვი გაეჩინა, მაგრამ რაღას ვიზამდი?!. ჯერ ბიჭის მამა გავხდი, 6 თვის შემდეგ კი – გოგონასი. ორივე შვილს ერთნაირად ვუვლიდი. ნინოს ბინა ვუყიდე, საცხოვრებლად ცალკე გადავიყვანე და ასე, ორმაგ ცხოვრებას ვეწეოდი. ერთ მშვენიერ დღეს ჩემი მეუღლე დაეჭვებულა, რომ საყვარელი მყავდა, თუმცა ბავშვის არსებობის შესახებ არც უფიქრია. კარგა ხანს მითვალთვალებდა თურმე. ჩემი მობილურიდან ტელეფონის ნომრებიც ამოუწერია და ერთ მშვენიერ დღეს, როცა მე ნინოსთან ვიყავი, დარეკა კიდეც... ყურმილი ბავშვმა აიღო. მაშინ ლუკა 5 წლის იყო. ცოლმა მე მიკითხა. ბავშვმაც არ დააყოვნა და – მამა, ტელეფონთან გეძახიანო, – დამიძახა. ყურმილი რომ ავიღე, იქიდან წყვეტილი ზუმერი ისმოდა. გულმა რეჩხი მიყო და სასწრაფოდ შინ წავედი. იქ ისეთი ამბავი დამხვდა, რომ მტერს არ ვუსურვებ. ჩემს ცოლს გული წასვლია, მეზობლებს მოუბრუნებიათ და ჩემი მისვლისას „სასწრაფო დახმარების“ ექიმი უკვე წნევას უსინჯავდა... მარტონი რომ დავრჩით, სულ ტირილ-ტირილით ვუამბე ყველაფერი. მაპატია. ახლა ნინო საზღვარგარეთ ცხოვრობს, შვილი მე დამიტოვა. ჩემი მეუღლე ორივე ბავშვს ზრდის. ისინი უკვე 15-15 წლისანი არიან და ნამდვილი დამმასავით უყვართ ერთმანეთი. კარგია, როცა ყველაფერი კარგად მთავრდება“...

მკითხველთა მესიჯებით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ცოლები მშვენივრად ახერხებენ ქმრებისთვის რაღაც ამბის დამალვას, ქმრები კი თითქოს ცდილობენ დამალვას, მაგრამ არაფერი გამოსდით. ნახეთ, თუ რა მოხერხებული აღმოჩნდა ამ მხრივ ეკაც, რომელმაც მეუღლეს არ გაუმჟღავნა, რომ ქალწული არ იყო. დარწმუნებული ვარ, მისი ქმარი სიმართლეს ვერც მომავალში შეიტყობს...

„ვნანობდი წარსულში დაშვებულ შეცდომებს...“

„18 წლის ასაკში, ყოველგვარი განცდისა და ნერვიულობის გარეშე დავუწექი ბიჭს, რომელიც ჭკუის „გადაკეტვამდე“ მიყვარდა. ულამაზესი ბიჭი იყო. მთელ უნივერსიტეტს აბოდებდა მასზე. ის კი მხოლოდ რამდენიმე გოგოს თუ ხდიდა თავისი ყურადღების ღირსად... მაგრამ როგორც მოფრინდა ჩემი უფლისწული, ისევ ისე გაფრინდა: ერთ წელიწადში დავცილდით. არც იმას დაგიმალავთ, რომ ამის შემდეგ კიდევ ერთი, ფულიანი და ჩემზე 21 წლით უფროსი საყვარელი მყავდა. მერე ის კაცი დაიჭირეს და... გამოჩნდა ვაჟა. სწორედ ამის შემდეგ გავიგე, რა ყოფილა ნამდვილი სიყვარული. ვნანობდი, წარსულში ასეთი შეცდომები რომ დავუშვი. არაფრით არ მინდოდა ვაჟას დათმობა. ამიტომ გადავწყვიტე, ექიმები ჩამერია საქმეში. ერთი სიტყვით, ქალწულობა აღვიდგინე და ბედნიერად გავთხოვდი. აი, რას ვუმალავ ჩემს ქმარს. იმედია, ვერც ვერასოდეს გაიგებს, რომ ის ჩემთვის პირველი მამაკაცი არ იყო. ძალიან მიყვარხართ. ჩემი ისეთი საიდუმლო გაგანდეთ, რომელსაც საკუთარ თავსაც კი არ ვუმჟღავნებ“.

ახლა კი მესიჯი, რომელიც იტალიიდან მივიღეთ. მართალია, ამბავი დღევანდელ თემას არ შეესაბამება, მაგრამ საკმაოდ საინტერესოა და ალბათ, ბევრისთვის ჭკუის სასწავლებელიც აღმოჩნდება.

„ისევ ქართველმა მიღალატა...“

„მარი, გამარჯობა, მე იტალიიდან გეხმიანები. უკვე 2 წელია, აქ ვცხოვრობ. საქართველოდან გამოგზავნილ პრესას ცოტა დაგვიანებით ვეცნობი ხოლმე. ეს წუთია, „გზავნილების“ კითხვა დავამთავრე. ძალიან მომინდა, თქვენთვის მესიჯი გამომეგზავნა. იტალიაში ჩამოსვლიდან 3 კვირაში მუშაობა დავიწყე. ერთ ჩვეულებრივ ოჯახში მოხუც ქალს ვუვლიდი. მას მხოლოდ დეპრესია აწუხებდა. ამის გამო ლოგინად იყო ჩავარდნილი. ეს კი მას შემდეგ დაეწყო, რაც პატარა შვილიშვილი, ერთ წელიწადში კი — უცოლშვილო ვაჟი დაეღუპა. მას მეორე, დაოჯახებული შვილი უვლიდა (სწორედ ის, რომელსაც პატარა შვილი დაეღუპა). მათ სამსართულიანი სახლი აქვთ, სადაც მეორე სართულზე მე და მოხუცი ვიყავით, მესამეზე — თვითონ, თავისი ცოლ-შვილით, პირველ სართულზე კი — ფარეხები და სათავსები ჰქონდათ. ერთი სიტყვით, საკმაოდ შეძლებული და მშრომელი ოჯახი გახლდათ. რამდენიმე ხნის შემდეგ, ოჯახის უფროსისგან გადამეტებული ყურადღება ვიგრძენი. იმდენი ქნა, რომ მის მიმართ გრძნობა გამიჩნდა. დედამისი ერთ თვეში გარდაიცვალა. დამიჯერეთ, დედამისი ნამდვილად გულით დავიტირე... ამის შემდეგ მან და მისმა ცოლმა სხვა სამსახური მიშოვეს, მაგრამ დასვენების დღეებში კვლავ მათთან მივდიოდი ხოლმე. თუ სადმე მიდიოდნენ, თან მყავდი. ვგრძნობ, რომ მისი ცოლის წინაშე დამნაშავე ვარ. მინდა, გადავიყვარო, მაგრამ არ შემიძლია. სიმართლე რომ გითხრათ, არ მინდა, რომ ცოლი მიატოვოს. მხოლოდ მისი დანახვით, მესიჯებითა და ტელეფონზე ლაპარაკით ვკმაყოფილდებოდი და ახლაც იმასვე დავჯერდები, მაგრამ... როგორც ყოველთვის, ქართველი ქართველს, ღალატობს. მეც ასევე მიღალატა. იტალიაში ჩამოსვლისთანავე ერთი ქართველი, დედის ტოლი ქალი გავიცანი, რომელსაც საქართველოში ძალზე დიდი ვალები ჰქონდა დაგროვებული. გიგო, რომ მე ვალით არ ვიყავი ჩასული და ჩემი გამოყენება მოინდომა. დამიახლოვდა და როცა ზედიზედ ორჯერ ფული მთხოვა, მივხვდი, რომ ცბიერი ადამიანი იყო. სამწუხაროდ, ამ დროს მისთვის უკვე გამხელილი მქონდა ჩემი და იტალიელი კაცის სიყვარულის ამბავი. ყველაფერი დაწვრილებით გამომკითხა და შევნიშნე, რომ შეცბა, მაგრამ მაშინ ამას ახსნა ვერ მოვუძებნე. თურმე, სადაც თვითონ მუშაობდა, იმ კაცთან სექსი ჰქონია გაჩაღებული. ის კაცი კი ჩემს შეყვარებულთან მუშაობდა და არ უნდოდა ამის შესახებ მე შემეტყო. ადგა და ანონიმურად დარეკა ჩემი შეყვარებულის ოჯახში, მის ცოლს დაელაპარაკა და ჩვენი სიყვარულის შესახებ ყველაფერი დაწვრილებით ჩაუკაკლა. როცა მათთან ისევ მივედი სტუმრად, ქალმა ყველაფერი მიამბო და არც ის დაუმალავს, თუ საიდან იცოდა ეს ყველაფერი. თუმცა, ბოროტი ქალის მონაჩმახი არ დაიჯერა, რადგან დარწმუნებულია, მას ოჯახს არ დავუნგრევ... ახლა კი ძალიან ვიტანჯები, რადგან მათთან სტუმრად ვეღარ მივდივარ. მხოლოდ ვრეკავ ხოლმე და ცოლს ვესაუბრები. ცხოვრებას დავთმობ, ოღონდ მისი დანახვა და ხმის გაგონება შევძლო. ის გაბრაზებულია. ეს ტანჯვა სიკვდილამდე გამყვება. ბოროტმა დედაკაცმა ჯერ კიდევ არ იცის, რომ მისი ზარის შესახებ გავიგე. შური ისე უნდა ვიძიო, რომ ღმერთს ეხვეწებოდეს, მალე მომკალიო. თურმე, საკუთარი გრძნობები ყველას არ უნდა გაუმჟღავნო და მხოლოდ საკუთარ თავს გაანდო“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

„არ იცის, რომ სიყვარულს ვეძებ...“

„ძალზე სარისკო საქმეა იმის თქმა, რასაც მეუღლეს ვუმალავ. მეორე კვირაა, რაც საყვარელ ადამიანს ჩემი შეცდომებისა და მდგომარეობის გამო დავცილდი. ნინო, საყვარელო, ვერ წარმოიდგენ, როგორ მიჭირს უშენობა. გთხოვ, ნუ გამწირავ. გისურვებ ბედნიერებას“.

„გრძელ კაბებსა და დახურულ საყელოს თავიდანვე შევეჩვიე, ჯერ მეუღლე არ მყავს და ხომ მიხვდით, რასაც ვუმალავ მომავალ ქმარს?.. არ გეგონოთ, გაღუნული ფეხები ან რაიმე სხვა ნაკლი მქონდეს, უბრალოდ, ჩვევად მექცა დახურული სამოსის ტარება. მართალია, „მღვდელი ჭილოფშიც იცნობა“, მაგრამ ზოგი ხომ მართლაც, მალავს რაღაც ნაკლს. ამიტომ კაცებო, გააშიშვლეთ ქალები, სანამ ცოლად მოიყვანდეთ, თორემ, ვინ იცის, რას გიმალავენ?!. მარი, უკვე წესად მექცა „გზავნილებში“ მესიჯის წერა. ასე მგონია, დაბეჭდავ თუ არ დაბეჭდავ, შემოთავაზებულ თემას პასუხი უნდა გავცე. საზღვარგარეთ წასვლას ვაპირებ. უთქვენოდ მართლა გამიჭირდება. ბევრი „გზა“ გამიგზავნია ერთ-ერთ კუნძულზე, ნობათთან ერთად იმ ქართველებისთვის, ვინც მოწყვეტილია ყველაფერ ქართულს. მეც გამომიგზავნიან ალბათ. ძალზე შეგეჩვიეთ. პატივისცემით, თქვენი ნინო მ.“

„ამ მესიჯს რომ ვწერდი, მეუღლემ მკითხა — სად აგზავნიო. დავუმალე, რადგან მინდოდა, მხოლოდ ჟურნალში წაეკითხა: ჩემო სიცოცხლევ, 20 ივნისს 8 წელი სრულდება ჩვენი (როგორც შენ ამბობ) ბედნიერების. სულ ტკბილად გაგვეტარებინოს დარჩენილი სიცოცხლე. კახა+მაცაცო“.

„ცხოვრებაში ყველაზე მეტს შინაბერა ქალები ტირიან ქალწულად დარჩენის გამო... ლენა — „სტერვა“.

„მესიჯების წერა დიდად არ მეხერხება, მაგრამ ძალზე გამიხარდება, თუ გზავნილი თქვენს ჟურნალში მოხვდება. ჩემი მეუღლე უზომოდ მიყვარს და მზად ვარ, მის გამო ყველაფერი ჩავიდინო. არ მინდა, გული ვატკინო და პირადად ვუთხრა, რომ არ მსიამოვნებს, როცა ჩემს დაზე ცუდს ამბობს, თავისი სიდედრი კი, წმინდა წყლის ჰგონია. მართალია, მისი სიდედრი დედაჩემია, მაგრამ არ არის ღირსი, ვაპატიო ის, რაც მე და ჩემს დას გაგვიკეთა. ახლა

ჩემი მეუღლე მეუბნება – გზააბნეულს ზურგი არ შეაქციოო. მართალია, მაგრამ რა დააშავა ჩემმა დამ?.. მე ის ძალიან მიყვარს და მას არავის დავაჩაგვრინებ. ნინა, ბათუმი".

,,ძველი შეყვარებული რომ მირეკავს და მესიჯებს მწერს, ჩემს ქმარს ამას ვუმალავ, თორემ საწყალს ცემა არ ასცდება. თიკო".

,,ჩემს ქმარს არაფერსაც არ ვუმალავ, უბრალო წვრილმანსაც კი. ამიტომაც გვაქვს შესანიშნავი ურთიერთობა. თუმცა, ბევრი მეუბნება, ქმარს ყველაფერი არ უნდა უთხრაო... ჩვენ ძალზე გვიყვარს ერთმანეთი. ღმერთო, ასე გვამყოფე სიცოცხლის ბოლომდე და საიქიოშიც!.. თამო".

,,მე მეუღლე არ მყავს. ძალიან მიყვარს ერთი მამაკაცი, მაგრამ ცუდად ვექცევი. როცა ჩემს სამუშაო ოთახში შემოდის, მიუხედავად იმისა, რომ საშინლად მენატრება ხოლმე, ოთახიდან გავდივარ. იცით, რატომ? მე მას ვუმალავ, რომ ავად ვარ..."

,,გზავნილები" რომ არ იყოს, არ ვიცი, რა მეშველებოდა. მე გიოს ვუმალავ, რომ მომწონს, გიო რომ დამინახავ, რატომ გარბიხარ? გეშინია? მარიკო".

,,ჩემს მეუღლეს იმას ვუმალავ, რომ ჩვენს ამბებს სხვებს ვუყვები. ,,გზავნილებში" დამესიჯების მერე კი, სულიერად ვმშვიდდები ხოლმე. მინდა, ოთომ გაიგოს, რომ ძალიან მიყვარს. კარგად!"

,,გამარჯობა, მარი. მე SMS-სოფიკო ვარ. გახსოვარ? მე ჩემს მეუღლეს არაფერს ვუმალავ, ფიქრსაც კი. გარდა ერთისა – მან არ იცის, რომ შენთან ვმესიჯობ".

,,ყველაფერი ფული არ არის. ყოველდღიურმა ფარულმა პაემნებმა და მალულმა მესიჯებმა თუ ზარებმა ნევროზი დამმართა. გთხოვ, ეს მესიჯი დამიბეჭდო, დარდი შემიმსუბუქდება. ,,გზის" მკითხველს კი ვთხოვ, ჩემი და იკას სიყვარული ცუდად არ გაიგოს. ერთმანეთი მე-5 კლასიდან გვიყვარს. ჩვენ შორის მხოლოდ წმინდა, პლატონური სიყვარულია. კაცებს კი ერთ რჩევას მივცემ. რაც არ შეგეფერება – შეეშვი! მე 18 წლის ვიყავი. ის? ის – 43-ის. უკვე ყველაფერი გვიანია. იმდენად უფროსი ასაკის კაცს რატომ გავყევი ცოლად? მე ხომ იკა მიყვარდა!.. არ დავმალავ – ფულის გულისთვის, მაგრამ ახლა მივხვდი, რომ სიმდიდრე, მთავარი არ ყოფილა. ახლა ჩემმა მეუღლემ მკითხა – ივლისის ბოლოს დასასვენებლად სად წავიდეთო? მე კი, ბათუმის გარდა, არსად წასვლა არ მინდა: ვიცი, იკა თავისი სახსრებით საზღვარგარეთ ვერ წამოვა... აი, ასე საგულდაგულოდ ვუმალავ ჩემს ქმარს ჩემს სიყვარულს. რას ვფიქრობდი, როცა გამდიდრების მანიამ შემიპყრო?.. ,,ვიზმანები", ვიპრანჭები და ჩემი ქმარი ვერ ხვდება, რატომ არ მყოფნის კვირაში ერთხელ თხუთმეტლარიანი დეპოზიტი მობილურ ტელეფონზე"...

,,სწორედ ამ თემას ველოდი ,,გზავნილებში" და გამიმართლა. ჩემს მეუღლეს არაფერს ვუმალავ, გარდა ერთისა – იცის, რომ არ მიყვარს, მაგრამ არ იცის, რომ ვეძებ ისეთ სიყვარულს, რომელიც ბედნიერებას მომიტანს. ერთი კარგი, სანდომიანი და შეძლებული ქალბატონი დამხატავდა".

,,თეატრალური ინსტიტუტის ერთი სტუდენტი გოგო მიყვარს, მაგრამ ვერ ვუმხელ. ის რომ ჩემი არ გახდეს, ალბათ გავაფრენ. ნატა, ულამაზესი ხარ. ვგიჟდები შენზე. მე კი ერთ გოგოს ვუყვარვარ და ვუმალავ, რომ სხვა მიყვარს: ცოდოა, გული ეტკინება. ნატა, შენ კი მომეცი იმის საშუალება, რომ ყველაფერი გითხრა და დამალული არაფერი მქონდეს. მარი, გემუდარები, დაბეჭდე ჩემი მესიჯი, რომ მთელმა ქვეყანამ გაიგოს, როგორ მიყვარს".

,,ჩემს ქმარს ვუმალავ, რომ როცა ვტირი, მართლა ნევროზი კი არ მაქვს – 8 წლის უნახავ სიყვარულს მივტირი"...

,,მეუღლეს არა, მაგრამ ჩემს ერთ ნაცნობს ვუმალავ, რომ ძალიან მიყვარს. მინდა, დავივიწყო, მაგრამ არ გამომდის. ა-ი, მიყვარხარ. ნინო".

,,ქმარს ისეთ საშინელ რამეს ვუმალავ, რასაც პირისპირ ვერასოდეს ვეტყვი. სიყვარულით შევქმენით ოჯახი 5 წლის წინ. შვილაც გვყავს, მაგრამ სრულიად წარმოუდგენელი რამ მოხდა. მე და ჩვენს მეზობელს ერთმანეთი შეგვიყვარდა. ყველასგან მალულად გვიყვარს ერთმანეთი. ჩემმა ქმარმა ეს რომ გაიგოს, წარმოიდგინეთ, რას იზამს. ღმერთს ვთხოვ, ვიდრე ამ ამბავს შეიტყობს, ვინმე გოგო შეუყვარდეს, რომ ცოტა იოლად გამიგოს ეს გასაჭირი. სიყვარულით, ანა".

,,ქმარს რას ვუმალავ და სხვას რომ ვხვდები, იმას. რა ვქნა, ბევრი ფული აქვს და ჩემს ყველა კაპრიზს ასრულებს..."

,,ჩემს ბავშვობის მეგობარს, რომელსაც ძმად ვთვლიდი, შევუყვარდი. ახლა შეყვარებულები ვართ და ვუმალავ, რომ სიგარეტს ვეწევი. რომ გაიგოს, ძალიან ინერვიულებს. ლილე".

,,ქმარს რას ვუმალავ, ამას ვერ გეტყვით, მაგრამ ვაღიარებ, რომ სისტემატურად მიწევს ტყუილის თქმა. თანაც ყოველთვის ვახერხებ, ჩემს თავს გამართლება მოვუძებნო და ყველაფერი მას გადავაბრალო. არც კი ვიცი, რა ვქნა".

,,გზავნილები" მაგრად მახალისებს. რაც შეეხება მეუღლეებს, ისინი ერთმანეთს ყველაზე ხშირად ალბათ საყვარლებს უმალავენ. ბუჩი".

,,რაღა არ გავაკეთე, რომ ერთად კარგად ვყოფილიყავით, მაგრამ არ დამიფასა და არც მადლიერი დარჩენილა. ახლა გადავწყვიტე, გავერთო და 1-2 კარგი ბიჭი გავიცანი. სერიოზული არაფერია, მაგრამ კარგად ვხალისობ. ჩემს ქმარს კი ვუმალავ. რომ გაიგოს, გაგიჟდება. უარესის ღირსი ხარ პაპუნა".

,,მინდა, ხმა მივაწვდინო ჩემს სიცოცხლეს! დაკარგულ სიყვარულს, თაფლისფერთვალება გიოს, რომელსაც იმედდაკარგული, თითქმის 4 წელია, ველი. ახლა გავიგე, რომ შეყვარებული ჰყოლია. გიო, იცი, ბავშვს რომ მეძახდი, თურმე ბავშვსაც შესძლებია იმის გაგება, რომ საბუდამოდ დაგკარგა. ქეთი".

,,გწერთ საბერძნეთიდან. მინდა, გაგიმხილოთ ჩემი დიდი სიყვარული და იმედი, რომლსაც ყოველ კვირადღეს მოუთმენლად ველი *(საბერძნეთში ქართული პრესა კვირას ჩადის. – ავტ.)*. ძალიან მიყვახართ და როცა საქართველოში ჩამოვალ, აუცილებლად გაგიცნობ, მარი. გიამბობ ჩემი უცნაური, მაგრამ უდიდესი სიყვარულის ამბავს. აქ ერთი პაკისტანელი კაცი შემიყვარდა".

,,როცა ჩემს ქმარს სასწრაფო ოპერაციას უკეთებდნენ, გვერდიდან არ მიშორებდა. ჩემი იმედი ჰქონდა. მას რომ არ ენერვიულა, ერთი ცრემლიც არ გადმოვაგდე. მაშინ, ნერვიულობის ნიადაგზე სანახევროდ დავყრუვდი და დავბრმავდი, მაგრამ დროთა განმავლობაში გამიარა. ახლა კი ზაზა იმხელა ტკივილს მაყენებს, რომ ვერანაირი დრო ვერ განკურნავს. 5 წელია, ცოლქმარი ვართ და ახლა მივხვდი, რომ ნარკომანია. ისე ვენდობოდი, რომ ეჭვი არასოდეს გამჩენია. ახლა კი ამ საქმეს ცრემლი რას უშველის?!. ზაზა ბი-შვილო, ან ოჯახი, ან – წამალი, არჩევანი შენზეა! სოფო".

,,ჩემს ცოლს იმას ვუმალავ, რომ ხელფასი მაქვს 600 ლარი. ეს რომ გაიგოს, მერე ბევრს მომთხოვს. ასე რომ, თვეში 300 ლარი ჩემს ,,შოტზე" ზის და ისე ვხარჯავ, როგორც მინდა".

,,ჩემს ცოლს რომ გავაგებინო, მისი მანქანის ,,პაკრიშკა" მე მოვიპარე და გავყიდე, იცით, რას მიზამს? აუჰ, ღმერთმა ნუ წარმოგადგენინოთ, მაგრამ აბა, რას გაიგებს?! მარი, არ ჩამიშვა, ხომ? ვიცი, ,,ძმაკაცობა" გეხერხება და ჩათვალე, ეს ჩვენი ,,ძმური" და ,,კაცური" საიდუმლოა".

,,თამუნა ვ-ძეს გადაეცით, რომ ძალიან მიყვარს. რა მეშველება, სოფელში რომ წავა და 2 თვე ვეღარ ვნახავ?.. თამო, იცოდე, რომ სულ მახსოვხარ და არ დავივიწყებ. შენი ქერა ბესო".

დღეს ,,გზავნილებს" ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ – როცა არჩევანის წინაშე დავდექი... გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. მოგვწერეთ, კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი არჩევანით. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

■

როთ დავამარცხოთ კიბო?

დასავლეთში ონკოდაავადებებთან ბრძოლის იარაღს მიაგნეს



კიბო არცთუ ისე ძნელი განსაკურნავია, თუ ის გვიან არ აღმოაჩინეს. მაგრამ ჩვენში ეს იშვიათად ხდება, უფრო ხშირად, ძალზე გვიან ვიწყებთ მკურნალობას. ამ მხრივ, გაცილებით უკეთესადაა საქმე აშშ-ში. იქაურ მედიკოსებს საერთოდ, ამერიკელთათვის დამახასიათებელი თვისება ახასიათებთ — უყვართ პრევენციული დარტყმები, მათ შორის — სიცოცხლისთვის საშიში დაავადებების მისამართით.

ამერიკელმა ექიმებმა უკვე დაამარცხეს ერთ-ერთი ვერაგი მტერი – მკერდის კიბო: უკანასკნელ წლებში ისინი ახერხებენ, ამ სენით დაავადებულ ქალთა 85% განკურნონ. კლინიკებში შედგენილია ქალაქების მცხოვრებთა კარტოთეკები, რომელიც შეიცავს რისკჯგუფებს, ექიმები ურეკავენ მოქალაქეებს და სთხოვენ, მივიდნენ ონკოლოგთან გასასინჯად... ამ თხოვნას ამერიკელ ქალთა 3/4 ასრულებს. როგორც პრაქტიკამ დაადასტურა, აღნიშნული ღონისძიებები ყოველგვარ მკურნალობასა და ნებისმიერ წამალზე გაცილებით შედეგიანია. ალბათ ამიტომაც, სულ რაღაც ერთი თვის წინ, აშშ-ის მთავრობამ ახალი მასშტაბური პროექტის – „ადამიანის კიბოს გენომი“ – განხორციელება დაიწყო. მასზე 1,5 მლრდ დოლარია გამოყოფილი. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ამ პროექტის შედეგებს მოკლე ხანში როდი შევიტყობთ: სხვადასხვაგვარი ონკოლოგიური დაავადების შესახებ მასალის შეგროვებას მეცნიერები 9 წელს მოანდომებენ. ამ ფაქტის კომენტირებისას, რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის კანცეროგენეზის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა დავით ზარიძემ ასეთი კომენტარი გაუკეთა: „დღესდღეობით, კიბოსგან სიკვდილიანობის შემცირება მხოლოდ დაავადების ადრეულ სტადიაზე აღმოჩენითაა შესაძლებელი“. რუსეთში კიბოთი ყოველწლიურად, ნახევარ მილიონამდე ადამიანი სნეულდება, უფრო სწორად – იგებს იმას, რომ დაავადებულია, მაშინ, როცა რთული ოპერაცია მისთვის გარდაუვალია. ამის გამო, რუსეთში იმავე მკერდის კიბოთი (რომლის 85%-იანი განკურნებაა დაფიქსირებული აშშ-ში,) დაავადებულ პაციენტთა 30%-ის გამოჯანმრთელება ხდება. ამის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად, სპეციალისტები გასინჯვის ჩვევის უქონლობას მიიჩნევენ, რომელიც შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების არარსებობიდან გამომდინარეობს. „თუ ადამიანს ადრეულ სტადიაზე აღმოვუჩენთ სიმსივნეს, პრაქტიკულად უმტკივნეულოდ შეგვიძლია არა მარტო განკურნოთ იგი, არამედ ცხოვრების ხარისხიც შევუნარჩუნოთ“, – ამბობს მოსკოვის ონკოლოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ძალზე ძვირად ღირებული კომბინირებული მკურნალობაც კი ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს, თუკი სნეულების აღმოჩენა დაგვიანდა. მაგალითად, ფილტვების კიბოს მძიმე ფორმის შემთხვევაში, რა სამკურნალო საშუალებებსაც არ უნდა მიმართო, 5 წელიწადზე მეტხანს მხოლოდ პაციენტთა 10-% იცოცხლებს.

„ჩემს ერთ-ერთ პაციენტს, – ჰყვება დავით ზარიძე, – არ სჯეროდა, რომ სერიოზული დაავადება ჰქონდა. ის პერიოდულად იტარებდა ფლუოროგრამას და ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ჯანმრთელი იყო, უბრალოდ, დროდადრო ხველება აწუხებდა, რომელსაც სიგარეტს აბრალებდა. მაგრამ ფლუოროგრამაზე უფრო სრულყოფილმა – ფილტვების რენტგენის პროცედურამ უჩვენა, რომ კიბოს უკანასკნელი სტადია სჭირდა. ასეთ შემთხვევაში ოპერაციას აღარ აკეთებენ და მას ქიმიოთერაპია დაუნიშნეს. პაციენტმა იცის, რომ ეს პროცედურები მას თითზე ჩამოსათვლელ წლებს აჩუქებს... ფლუოროგრამაც და ფილტვების რენტგენიც კი, ადრეული დიაგნოსტიკისთვის ერთობ სუსტი საშუალებებია. გაცილებით შედეგიანია სპირალური კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგრამ ის ბევრად უფრო ძვირიც ჯდება“. დავაკონკრეტებთ – უფრო ძვირი, 120 დოლარს ნიშნავს, ეს თანხა კი, რუსეთის (ისევე, როგორც საქართველოს) მოქალაქეთა უმრავლესობისთვის ნაკლებად ხელმისაწვდომია. თუმცა, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მწეველი სიგარეტზე წელიწადში გაცილებით მეტს ხარჯავს(?!).

მეორე პრობლემა, რომელიც რუსეთში (სამწუხაროდ, ამ მხრივაც, არ გაგვისწრია, თუ არ ჩამოვრჩენილვართ ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს) მწვავედ დგას, პაციენტებს გამოსაკვლევად ზოგჯერ, თვეობით ლოდინი უწევთ: მოსკოვში მსგავსი დიაგნოსტიკის ჩასატარებლად საჭირო აპარატურა ათიოდე ცენტრს აქვს, რადგან ის ძალზე ძვირად ღირებულია – 3 მლნ დოლარი ღირს. არადა, სპირალური ტომოგრაფია უწვრილეს, სულ ახალაღმოცენებულ სიმსივნესაც კი ავლენს, რომელთა მოცილება თითქმის უმტკივნეულოდ, ხშირად ქირურგიული ჩარევის გარეშეც კია შესაძლებელი.

დასავლეთის ქვეყნებში ადამიანთა მასობრივ გამოკვლევას XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ახორციელებენ. ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ეს ინდივიდუალურად ხდება: გინდა – წადი და ჩაეწერე ექიმთან მიღებაზე, არ გინდა და იჯექი შინ იმ იმედით, რომ

უბედურება გვერდს აგივლის. ყოველ შემთხვევაში, ექიმი თავს არ შეიწუხებს იმით, რომ დაგირეკოს და გთხოვოს – მობრძანდი, გაესინჯეო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დასავლეთში მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა მასობრივ და სისტემატურ ხასიათს ატარებს. 15 წლის წინ აშშ-ის ხელისუფლებამ დაამტკიცა მკერდის კიბოსთან ბრძოლის ნაციონალური პროგრამა, გამოყო საამისოდ საჭირო სახსრები, რომლის წყალობითაც ამ დაავადების პროფილაქტიკური გამოკვლევა პაციენტთათვის ფაქტობრივად, უფასო გახდა. მიმდინარე წელს ამერიკა ამ მიზნით სულ 200 მლნ დოლარს დახარჯავს. დაგეგმილია 400 ათასი ქალის გასინჯვა.

მსგავს გზას დაადგნენ განვითარებული ევროპული ქვეყნებიც. მაგალითად, ფინეთსა და ესპანეთში შედგენილია მონაცემთა უნიკალური ბაზები, რომლებიც 1953 წლიდან კიბოთი გამოწვეულ სიკვდილიანობას ასახავს. ამ ინფორმაციამ ფინელ ონკოლოგებს იმაში შეუწყო ხელი, რომ საშოს ყელისა და მსხვილი ნაწლავის კიბოსგან მომხდარი სიკვდილიანობის მაჩვენებელი 50-80%-ით შეემცირებინათ.



ექიმთა რჩევით, პროფილაქტიკის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად „მამაპაპური“ მეთოდიც გამოდგება. მაგალითად, აშშ-ში ძალზე პოპულარულია თვითდიაგნოსტიკა. „როცა გასასინჯად გინეკოლოგთან მივდივარ, ის აუცილებლად მეკითხება ხოლმე, ვიტარებ თუ არა თვითგასინჯვას და მარიგებს, თუ როგორ უნდა გავაკეთო ეს, ამასთანავე დასძენს, რომ ხელით გასინჯვა თვეში ერთხელ უნდა ჩავიტარო“, – ამბობს ერთ-ერთი ახალგაზრდა ამერიკელი პაციენტი. სტატისტიკური მონაცემებით, სარძევე ჯირკვლის კიბოს შემთხვევათა რაოდენობა აშშ-ში სამჯერ აღემატება დსთ-ის ანალოგიურ მაჩვენებელს, მაგრამ იქაური პაციენტები ამისგან გაცილებით იშვიათად კვდებიან, ვიდრე ყოფილი საბჭოელები. „ამერიკაში ძალზე სწრაფად უმჯობესდება სტატისტიკა, რომელიც რუსეთში განუხრელად უარესდება“, – აღნიშნავს დავით ზარიძე.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ის ადამიანებიც, რომლებსაც ერთი-ორჯერ ჩაუტარებიათ ადრეული დიაგნოსტიკის პროცედურა, ვერ იქნებიან მშვიდად. ჩვენში არ არსებობს სისტემა, რომელიც იმ პაციენტების ჯანმრთელობისათვის თვალყურის მიდევნებას ითვალისწინებს, ვისთვისაც ადრე კიბო აღმოუჩენიათ და მკურნალობის კურსი ჩაუტარებიათ. თავად პაციენტებიც ამ მხრივ სიფრთხილით არ გამოირჩევიან. ქალი, რომელსაც ცალი მკერდი მოჰკვეთეს, ამბობს, რომ მას შემდეგ 6 წლის მანძილზე აღარ მისულა ექიმთან და ამას ასე ხსნის: „მეშინოდა – ვაითუ, ისევ აღმომჩენოდა რამე!.. მერე კუჭმა შემაწუხა, ტკივილებს ვითმენდი და ვფიქრობდი, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. მაგრამ როცა მოთმენა გაუსაძლისი გახდა, გამოსაკვლევად მივედი და... ჩემი შიში გამართლდა...“

ამერიკული პროფილაქტიკური სისტემის ეფექტიანობა არავისში ეჭვს არ იწვევს. მაგალითად, რუსეთის ონკოლოგიური სამეცნიერო ცენტრის გენერალური დირექტორი მიხაილ დავიდოვი ამბობს: „თუ გვსურს, მკურნალობის შემდგომ რაც შეიძლება მეტ პაციენტს გავუხანგრძლივოთ სიცოცხლე, უპირველესად, კვალიფიციური სამედიცინო კადრები უნდა მოვამზადოთ. ამასთან უნდა დაერთოს თანამედროვე დიაგნოსტიკური აპარატურით ჩვენი საავადმყოფოების აღჭურვა. სანამ ეს არ მოხდება, სკრინინგზე – მოსახლეობის მასობრივ გამოკვლევა-გასინჯვაზე ლაპარაკიც ზედმეტია“. პრობლემის არსს უფრო ხატოვნად აყალიბებს ზემოთ უკვე რამდენჯერმე ნახსენები დავით ზარიძე: „დღეს, ჩვენში შექმნილი მდგომარეობა, უფსკრულის თავზე გაჭრილი გზის მონაკვეთს ჰგავს: იმის ნაცვლად, რომ გზა შევაკეთოთ, უფსკრულის ძირას „სასწრაფო დახმარების“ მანქანების მობილიზებას ვახდენთ...“ ■

პროფილაქტიკური გამოკვლევა-გასინჯვა

ჯერჯერობით ყველაზე შედეგიანი იარაღია ონკოლოგიურ დაავადებებთან ბრძოლისას

მოსახლეობის მასობრივ გასინჯვას სკრინინგი ეწოდება. დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში ამ სისტემის წყალობით, ზოგიერთი ონკოდაავადებისგან სიკვდილიანობა 80%-ით შემცირდა. რაც უფრო ასაკოვანია ადამიანი, მით უფრო ვრცელია საჭირო ანალიზის სახეობათა ნუსხა. საქმე ის გახლავთ, რომ მაგალითად, ყველასათვის ცნობილი ფლუოროგრაფია საწყის სტადიაზე ფილტვის კიბოს ვერ აღმოაჩენს.

♂ *ფილტვების სპირალური კომპიუტერული ტომოგრაფია (მწეველთათვის)*

♂ **პროსტატის ანტიგენის ანალიზი (წელიწადში ერთხელ)**

♂ **მსხვილი და სწორი ნაწლავის გამოკვლევა (5 წელიწადში ერთხელ)**

გასტროსკოპია (2 წელიწადში ერთხელ)



♀ **საშოს ყელის ნაცხის ციტოლოგიური გამოკვლევა (2 წელიწადში ერთხელ)**

♀ **მკერდის თვითგასინჯვა (თვეში ერთხელ)**

♀ **მამოგრაფია (2 წელიწადში ერთხელ)**

♀ **რეპროდუქციული ორგანოების ულტრაბგერითი გამოკვლევა (2 წელიწადში ერთხელ)**

♀ **მსხვილი და სწორი ნაწლავის გამოკვლევა (5 წელიწადში ერთხელ)**

♀ **ფილტვების სპირალური კომპიუტერული ტომოგრაფია (მწეველთათვის)**

ედუარდ შევარდნაძე: ბევრი რამის მოთმენა და აგვანა შეიძლება, მაგრამ არსებობს რაღაც ზღვარი...



საქართველოში ზოგი ძალიან კმაყოფილია ახალი ხელისუფლებით, ზოგიც — ერთობ უკმაყოფილოა... და რადგან ყველაფერი შეფარდებითია, საზოგადოება ნებსით თუ უნებლიეთ, ერთმანეთს ადარებს წინამორბედ და ამჟამინდელ მმართველთ... ამასობაში, გადამდგარმა პრეზიდენტმა უკვე დაასრულა მუშაობა მემუარების წიგნზე, რომელსაც უთუოდ ექნება დიდი ისტორიული მნიშვნელობა. როგორია ბატონი ედუარდ შევარდნაძის ერთი დღე, რას ფიქრობს იგი საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე და რას ელის მომავლისგან? — ეს და კიდევ ბევრი სხვა კითხვა, მას კრწანისის რეზიდენციაში შეხვედრისას დავუსვით.

სოფო ყარალაშვილი

— ბატონო ედუარდ, როგორ იწყება თქვენი დღე?

— უწინ, როცა პრეზიდენტი ვიყავი, უთენია ვდგებოდი და სამუშაო დღის შემდეგ, სახლში გვიან ვბრუნდებოდი. ახლა სხვა დღის რეჟიმი მაქვს. ადრე ვდგები, ღამღამობით ცოტა მძინავს და უნდა ვაღიარო, რომ დაღლილი, ზოგჯერ დღისითაც წავუძინებ ხოლმე. ძირითადად მემუარებზე ვმუშაობ. დამთავრებული მაქვს, მაგრამ ჩასწორება, რედაქტირება და გამოცემა უნდა. საქართველოში ჩამოსვლის დღიდან, ყოველ ორშაბათს ანგარიშს ვაბარებდი ხალხს — ამას ორშაბათის რადიოინტერვიუ ერქვა. მაშინ პრესის კორპუსი ჯერ კიდევ არ იყო კარგად ჩამოყალიბებული. ვცდილობდი, რადიოინტერვიუების მეშვეობით მედიისთვის მეუწყებინა, თუ რას აკეთებდა ქვეყნის მეთაური... გადადგომის შემდეგ, რაც ახალი ცხოვრება დავიწყე, თავი მოვუყარე ორშაბათის რადიოინტერვიუებს — 12 ტომი გამოვიდა. აქედან მასალების ამორჩევა შეიძლება და სწორედ ისინი მოიყრის თავს ჩემს მეორე წიგნში.

— პრესასთან ურთიერთობა არასოდეს გიჭირდათ, რევოლუციის დღეებშიც კი...

— იმიტომ, რომ არ არსებობდა კითხვა, რომლის დასმაც ჩემთვის არ შეიძლებოდა. სხვათა შორის, გადადგომის შემდეგ, როდესაც ჩემს მეგობრებს თუ ოპონენტებს (არ ვიცი, როგორ ვუწოდო) დავშორდი, შევთავაზე, რომ პრესას პირველად ისინი შეხვედროდნენ. არა, როგორ გეკადრებათო?! — მიპასუხეს. — კეთილი, ეს ჩემთვის ჩვეული ამბავია-მეთქი, — და წავედი... დამესივნენ ჟურნალისტები — რა მოხდა, რაშია საქმეო?.. — სულ პრეზიდენტი ხომ არ ვიქნები, გადავდექი-მეთქი, — მივუგე. — სად მიდიხართო? — მკითხეს, — კი, მაგრამ გიშვებენ ეგენიო? — რას ჰქვია, მიშვებენ? მე ხომ დანაშაული არ ჩამიდენია!.. სახლში მივდივარ-მეთქი... იქვე შევახსენე მედიას — გახსოვთ, ჩემი საქართველოში დაბრუნების პირველ ხანებში რა გულუბრყვილო კითხვებს მისვამდით? ხომ ხედავთ, როგორ შეიცვალეთ, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში უკვე შეიქმნა ჟურნალისტთა კორპუსი-მეთქი... ამის შემდეგ შეხვდნენ მედიის წარმომადგენლებს ჟვანია და სააკაშვილი. ტელევიზორში ვნახე ეს შეხვედრა და როგორც შევატყვე, ვერ იყვნენ მაინცდამაინც კარგ ხასიათზე. თუმცა ეს ბუნებრივიც იყო, რადგან ფიქრობდნენ, როგორ შეხვდებოდა ხალხი ამ ყველაფერს, როგორ შეფასდებოდა მათი როლი... ამით დამთავრდა ის დღე. ჩემი თვალსაზრისით, ეს შეიძლება იყოს არათუ ისტორიული, არამედ ძალიან მძიმე დღე — ამას დრო გვიჩვენებს...

— კრწანისის რეზიდენციიდან გამოსვლისას, თქვენს ოპონენტებს მართლაც, დაბნეული სახეები ჰქონდათ. ასეთი მოულოდნელი იყო მათთვის თქვენი გადაწყვეტილება?

— ისინი დაჟინებით არ მოითხოვდნენ, გინდა თუ არა წადიო. არ ვიცი, შესაძლოა, რაიმე კომპრომისული ვარიანტი ჰქონდათ, თუმცა, არჩევნების შედეგებს რომ არ ეთანხმებოდნენ, ეს ფაქტია. მე ვუთხარი, რომ ტყუილად კარგავდნენ დროს, რადგან გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება წინადამეს მივიღე. ისიც დავძინე: თუ თქვენ მზად ხართ იმ დიდი საქმისათვის, რომ საქართველო მართოთ, უპატრონოთ და წინ წაიყვანოთ, როცა დაგჭირდებით, კონსულტაციას გაგიწევთ, რადგან არ მაქვს ისეთი განწყობილება, თითქოს მტრები ვიყოთ; ნუ გავებუტებით ერთმანეთს, ჯობია, ვითანამშრომლოთ-მეთქი... მინდა გითხრათ, რომ ზურაბ ჟვანია იყო უნიჭიერესი, შესანიშნავი პიროვნება. როცა შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალზე ვლაპარაკობდით, ჟვანიამ თქვა, რომ ყველაზე უმტკივნეულო გამოსავალი, პრეზიდენტის გადადგომა იქნებოდა და დასძინა — მაგრამ მე ამას როგორ გაგიბედავთ, 7 წელი თქვენთან ვმუშაობდი, თქვენთან გავიზარდეო...

— ბატონო ედუარდ, თქვენი თვალსაზრისით, რა შეიცვალა ქვეყანაში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ?

— ვერ გეტყვით, რომ სასწაული მოხდა და უკეთესობისკენ მიდის საქმე. ხელისუფლებას ბევრი სირთულე შეხვდა. ჩემს დროს, ხელფასები იყო 200, 300, 400 ლარი და ბიუჯეტიდან მცირე თანხა იხარჯებოდა ამაზე. ახალმა ხელისუფლებამ ასე მოიფიქრა: შევამცირ-

ოთ, რაც შეიძლება მეტი ხალხი, ამით გაიზრდება ბიუჯეტი და შესაბამისად, ხელფასებიც. არადა, ძალიან ბევრი ადამიანი უმუშევარი დარჩა. ახლა ძალიან ცუდი სიტუაციაა და მე თანავუგრძნობ ამ ხალხს. მინდა დავეხმარო, მაგრამ რა ვქნა – რეზიდენციაში ვარ გამოკეტილი... როგორც მითხრეს, პრეზიდენტი ახალ სასახლეს აშენებს. რასაკვირველია, ყოველი ახალი შენობა ჩემს გულს ახარებს, მაგრამ თუ ხალხი შიმშილობს, რა დროს სასახლეა?.. არ ვაკრიტიკებ. ალბათ პრეზიდენტს ეს სჭირდება. სხვათა შორის, ერთ დროს, მეც მთავაზობდნენ, კანცელარიის გვერდით, ბაღში 4-5-სართულიანი სასახლის აშენებას. არ დავთანხმდი. ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო, სამების ტაძრის აგება, რაც მე და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, მისმა უწმინდესობამ ჩავიფიქრეთ. ყველა საუკუნეში, ყოველი თაობა ხომ რაღაცას ტოვებდა! ჩემი ერთ-ერთი მიზანი იყო, ისეთი ტაძრის აშენება, რომელიც წინაპრების მიერ აგებულს არ ჩამოუვარდებოდა.

— როცა ქვეყნის მეთაური ბრძანდებოდით, გურულები წუხდნენ, რომ იქ ჩასვლას ვერ ახერხებდით. ახლა თუ მოიცალეთ ამისთვის?

– სიმართლე გითხრათ, ძალიან მენატრება გურიაც, კახეთიც, შიდა ქართლიც... ალბათ დადგება დრო, როცა უფრო თავისუფალი ვიქნები და მათი დახმარების საშუალებაც მექნება... ჩემს სოფელში ძალიან გაჭირვებულია ხალხი. ბოლოს იქ 8 წლის წინ ვიყავი. ბათუმიდან ოზურგეთზე გამოვლით წამოვედი, მშობლებისა და ძმის საფლავი მოვინახულე. გამგებელს იმ სკოლის შესახებაც ვკითხე, სადაც ვსწავლობდი. წყალი ჩამოდისო, – მიპასუხა... საერთოდ, არ მიყვარს ჯიბით ფულის ტარება, მაგრამ მაშინ 600 ლარი მქონდა და სახურავის შესაკეთებლად მივეცი. მერე გლეხებმა თურმე, ჰკითხეს – პრეზიდენტმა რა მოგცაო? – 600 ლარიო, – უპასუხა. – შენ რა მიეციო? – მე ყაბალახი ვაჩუქეო, – თავი მოიწონა. – კი, მაგრამ ორი ვერ აჩუქეო?.. ალბათ იგულისხმეს – მაშინ ხომ მეტ ფულს მოგცემდაო!.. ყაბალახი რა ეშმაკად მინდოდა, მაგრამ მან ასე მოინდომა...

— ამერიკისაკენ გზა თქვენ გაკვალეთ. მიუხედავად ამისა, ბუშის საქართველოში ვიზიტის დროს, თქვენი შეხვედრა არ შემდგარა. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ამერიკა ძველ მეგობრებს ივიწყებს?..

– არა, ამას არ ნიშნავს. ბუშმა

მე გამოცდილება მეტი მქონდა, რადგან დიდი სკოლა გავიარე... ნელ-ნელა გამოცდილებას ესენიც შეიძენენ

თავიდანვე განაცხადა, რომ მხოლოდ ერთი დღით ჩამოვიდა. მისთვის შეხვედრა არ მითხოვია. რომ მეთხოვა, აუცილებლად შემხვდებოდა. მაგრამ მინდოდა, რაც შეიძლება მეტი დრო ჰქონოდა ახალ ხელისუფლებასთან სასაუბროდ... ბუშს უთქვამს – საქართველოში მარტო ერთი დღით შემიძლია დავრჩეო, – რაზეც სააკაშვილს მიუგია – მაგაზე მეტხანს ვერც მე დავრჩებიო... ეს ანეკდოტია. ისე კი, ბუნებრივია, რომ პრეზიდენტს მართლაც ბევრი საქმე აქვს.

— გადადგომის შემდეგ, თქვენ ბრძანეთ, რომ საქართველოს პრეზიდენტი — მიხეილ სააკაშვილი, პრემიერ-მინისტრი — ზურაბ ჟვანია, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარე — ნინო ბურჯანაძე გახდებოდა. მაშინ ეს პროგნოზი გამართლდა. როგორია თქვენი ახალი პროგნოზი?

– მაშინდელი პროგნოზი მთლად არ გამართლდა, იმიტომ, რომ ზურაბი დაიღუპა და კაცმა არ იცის, რა მოხდა. ვერც მე მოვისვენებ, ვერც პრეზიდენტი სააკაშვილი და ვერც ნინო ბურჯანაძე, რადგან უახლოესი თანამებრძოლი დაკარგეს და არავინ იცის, მოკლეს თუ სხვა უბედურება დატრიალდა... ნინოც და სააკაშვილიც ნიჭიერები არიან. ხშირად ამბობენ – ზოგს კალიფორნიაში აქვს დამთავრებული, ზოგს – ქუთაისში, მაგრამ თუ ქვეყნის სიყვარულმა არ გაიძულა, რომ შენი სამშობლოს სამსახურში ათენ-აღამო, კალიფორნია ვერ გიშველის... ბოროტად კი არ ვამბობ – უბრალოდ, ჯერ კიდევ ახალგაზრდები არიან და ბევრი რამის სწავლა სჭირდებათ... მე გამოცდილება მეტი მქონდა, რადგან დიდი სკოლა გავიარე... ნელ-ნელა გამოცდილებას ესენიც შეიძენენ. ბევრ საქმეს ახლაც კარგად აკეთებენ, თუმცა, პრობლემაც ბევრი აქვთ გადასაწყვეტი. არ შეიძლება, ბედნიერი იყოს ის ქვეყანა, სადაც ხალხი უმუშევარი და მშიერია. დარწმუნებული ვარ, ახალი ხელისუფლება მიხვდება, რომ ეს უმთავრესი პრობლემაა.

— თქვენზე ამბობენ, რომ ძლიერი და უშიშარი პიროვნება ბრძანდებით. თუ გიტირიათ ოდეს-

მიტირია... როცა ჩემი მეგობარი, თანამოამრე, მოსიყვარულე მეუღლე გარდაიცვალა

მე?

— მიტირია... როცა ჩემი მეგობარი, თანამოაზრე, მოსიყვარულე მეუღლე გარდაიცვალა. ბუნებით მართლა ძლიერი ვარ და ბევრი რამის მოთმენა და ატანა შემიძლია, მაგრამ არსებობს რაღაც ზღვარი, როცა ადამიანი შენს თავს ვეღარ ფლობ. ასე მოხდა მაშინაც. მართალია, მეუღლე ჩემს საქმეებში არ ერეოდა, მაგრამ ხშირად, ისეთ რჩევას მაძლევდა, რომელიც უთუოდ ანგარიშგასაწევი იყო. გადადგომა რომ გადავწყვიტე, ამაში ნანულისაც მიუძღვის წვლილი. მითხრა: კარგად ვიცი, საგანგებო მდგომარეობა რაც არის, რა, სისხლი უნდა დაიღვაროსო?!. სისხლის ღვრას არც ერთ შემთხვევაში არ დავუშვებდი. რა მნიშვნელობა ჰქონდა, აქეთ დაიღუპებოდნენ ქართველები თუ იქით?!. ამიტომ გავაუქმე ბრძანება საგანგებო მდგომარეობის შესახებ. ღმერთმა ხელი მომიმართა, რომ არ ვიკადრე და არ გავაკეთე ის, რის გაკეთებასაც სხვა პრეზიდენტები ახერხებენ. მითხარით, რამდენი ფაქტია მსოფლიოში პრეზიდენტის გადადგომის?..

— რა მიგაჩნიათ თქვენი ცხოვრების ყველაზე დიდ წარმატებად და ყველაზე დიდ შეცდომად?

— წიგნში ყველაფერი გულახდილად მიწერია — წარმატებებზეც და შეცდომებზეც. როგორც ბუში ამბობს, დამოუკიდებელი საქართველო ავაშენე მეგობრების, მეუღლისა და თანამოაზრეების დახმარებით. აღმოსავლეთ ევროპის გათავისუფლებაში ვმონაწილეობდი. წარმატებად მივიჩნევ ცივი ომის დასრულებას, საბჭოთა კავშირის დემოკრატიზაციას და ავღანეთიდან ჯარების გამოყვანასაც. 80 ათასი კაცი ისე გამოვიყვანეთ, ერთი კაციც



მაშინდელი პროგნოზი მთლად არ გამართლდა, იმიტომ, რომ ზურაბი დაიღუპა და კაცმა არ იცის, რა მოხდა

არ დაღუპულა. ერთ-ერთი შეცდომა იყო, არძინბას რომ შევთავაზე, ქართველებსა და აფხაზებს ერთად გაგვეცილებინა მატარებლები, რადგან მათ გზაში ძარცვავდნენ: 12 მილიარდი მანეთის პროდუქცია წაიღეს!.. კიტოვანი და სიგუა ჩამოვლენ სოხუმში და ერთად შეთანხმდით-მეთქი. ვკითხე კიდეც, საკმარისი იყო თუ არა ამ ორი კაცის ჩასვლა? — საკმარისიაო, — მიპასუხა. ერთსაც და მეორესაც, ორი დღით დაუგვიანდათ იქ ჩასვლა. მერე უკვე არძინბამ აარიდა თავი ამ შეხვედრას. წიგნშიც ასე მიწერია — ჩემი შეცდომა იყო, რომ როგორც კი ტელეფონით ველაპარაკე არძინბას, მაშინვე არ ჩავჯექი თვითმფრინავში და სოხუმში არ გადავფრინდი-მეთქი. უნდა ჩავსულიყავი, იმიტომ, რომ მისთვის ჩემთან ურთიერთობა უფრო ადვილი იყო, ვიდრე ჩემს კოლეგებთან... სხვა შეცდომებიც მქონია. სამწუხაროდ, ამ გაჭირვებულ და გაუბედურებულ ქვეყანაში ისე ვერ იმუშავებ, რომ ყველაფერი საათივით იყოს აწყობილი.

— რა არის თქვენი უპირველესი ნატვრა?

— ქვეყნის ერთიანობა, აფხაზეთის, სამაჩაბლოს დაბრუნება, რაც არც ისე შორეული მომავლის პერსპექტივაა. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ტერიტორიებს დავიბრუნებთ და საქართველოც განვითარდება, როგორც დემოკრატიული სახელმწიფო.

— შეგიძლიათ თქვათ, რომ არასდროს გითქვამთ სიცრუე?

— შეიძლება, უნებლიეთ კაცს ასეთი რამ მოგივიდეს: არასწორი ინფორმაცია მიიღო და გაიმეორო. საერთოდ კი, ვლაპარაკობდი იმას, რაც გულსა და გონებაში მქონდა და თუ ხანდახან მცდარ ინფორმაციას ვეყრდნობოდი და ვიმეორებდი, შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ მითქვამს სიცრუე.

— შესაძლებელი რომ იყოს, ადამიანურ მანკიერებათაგან რომელს აღმოფხვრიდით?

— ბოროტებას. თუ ადამიანი ბოროტია, ის თავისი ხალხის მტერია.

— რას უსურვებდით ამჟამინდელ პრეზიდენტს?

— ბედნიერებას. თუ თავის ფუნქციას, მისიას წარმატებით შეასრულებს, ბედნიერი იქნება. ნიჭიერი, უნარიანი კაცია და დარწმუნებული ვარ, ასეც მოხდება.

— როგორ მთავრდება თქვენი დღე?

— წიგნებს და გაზეთებს ვკითხულობ, ტელევიზორს ვუყურებ... ქეიფში დროს არ ვხარჯავ, ღვინოს ბევრს არ ვსვამ, მაპატიეთ და, ქალებშიც არ დავდივარ...

■

ახლა ძალიან ცუდი სიტუაციაა და მე თანავუგრძნობ ამ ხალხს. მინდა დავესმარო, მაგრამ რა ვქნა — რეზიდენციაში ვარ გამოკეტილი...

ევროპულად მოწყობილი სასასტე, ლოკარდის ტყავი და ბუნიკული აფრიკელი მამართველი

მხატვარი თამარ ფოცხიშვილი დასავლეთ აფრიკაში, კერძოდ, კოტ-დ'ივუარში იმ პერიოდში მოხვდა, როდესაც ეს ფრანგული კოლონია ცდილობდა, მსოფლიოსთვის ეჩვენებინა, რომ ქვეყანაში კარგი საინვესტიციო გარემო იყო შექმნილი და ის აღმშენებლობის გზაზე იყო დამდგარი. ამ თემასთან დაკავშირებით, აბიჯანში ჩატარდა ფორუმი, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტები იყვნენ მიწვეული. საქართველოდან ფორუმის გადაღება სტუდია „1-2-3"-ს შეუკვეთეს. ფილმი ამ თემასთან დაკავშირებით თამრიკოს ყოფილ ქმარს — გიორგი გურგულიას უნდა გადაეღო. მასთან ერთად აბიჯანში თამრიკოც გაემგზავრა.

ხათუნა ჯავახიშვილი



კოტ-დ'ივუარის ამჟამინდელი პრეზიდენტი ლორან გბაგბო

— აფრიკაში უამრავი ფოტო გადავიღე და ამ სურათებით ძალიან ლამაზი კალენდარიც გამოვეცი. პოლიტიკა არასდროს მაინტერესებდა, მაგრამ ამ ვიზიტის წყალობით, ქვეყნის დათვალიერების საშუალება მომეცა. აფრიკა, ჯუნგლები, ოკეანე, ქვიშიანი პლაჟი... ერთი სული მქონდა, როდის დამთავრდებოდა ოფიციალური შეხვედრები, რომ ბუნებაში გავვარდნილიყავი... ფორუმი რამდენიმე დღე გაგრძელდა და ჩვენც მოგვიწია მიღებებსა და სადილებზე სიარულმა. იქ შევხვდი ქვეყნის პრეზიდენტს, დანიელ კაბლან დუნკანს. ერთი შეხედვით ძალზე „ტკბილი და გემრიელი" კაცი ჩანდა, პუტკუნა ლოყებით. სამთავრობო დაწესებულება თანამედროვე არქიტექტურულ შენობას წარმოადგენდა და არა ბუნგალოს ტიპისას. ინტერიერიც სუფთა ევროპული სტილის გახლდათ. პრეზიდენტიც კლასიკურად — კოსტიუმში იყო გამოწყობილი და ჰალსტუხი ეკეთა. მაგრამ სკამზე, რომელზეც ის ჯდებოდა, ქვეშევრდომები ლეოპარდის ტყავს აფარებდნენ. მათ გრძელსახელოიანი, გრძელი კაბები ეცვათ და თავზე ოქროსფერი, სპილოს ფორმის თავსაბურავები ედგათ. ისინი სხვადასხვა ტომის ბელადები არიან და დაახლოებით იგივე ფუნქცია აქვთ, რაც ჩვენში — რეგიონების რწმუნებულებს. სანახაობრივად ძალზე ლამაზი იყო და პრეზიდენტმაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. მან რაღაცნაირად გამომარჩია და გადასაღებად ახლოსაც მიმიშვა. მე თვითონ, მისი გარემოცვა უფრო მაინტერესებდა და მათ გადასაღებად ვიწევდი წინ. ხელჯოხიანი დაცვა ჰყავს და ახლოს რომ მიხვიდე, პირდაპირ თავში გირტყამენ. იმის გადაწყვეტა, თუ ვინ მიუშვან ახლოს გადასაღებად, უბრალოდ ემოციურ, მენტალურ დონეზე ხდება. როგორც ჩანს, პრეზიდენტს ეგონა, რომ მისი ინტერესი მქონდა და დაცვას ანიშნა, გამოატარეთო. წინ გადავინაცვლე და საშუალება მომეცა, იმ ადგილიდან გადამეღო ფოტოები, სადაც ჩვეულებრივ, არავის უშვებდნენ. სამწუხაროდ, დღეს ეს ფოტოები არ მაქვს, რადგან ჩვენი სტუდია გაქურდეს... ჩვენი ჩასვლიდან ერთი კვირის თავზე, სასტუმროდან გავედი და მთელი ქალაქი პარალიზებული დამხვდა. ყველგან სამხედროები იდგნენ. აღმოჩნდა, რომ ეს პუტკუნა პრეზიდენტი, საშ-

3-4 თვის ჩამოსული ვარ თბილისში. მივიწყებული მაქვს ეს ამბავი და უცებ... (თამრიკო (მარცხნივ) დასთან ბასასთან ერთად)

ტესტი ერუდიციაზე

1. ლეგენდარული მეკარე ლევ იაშინი ფეხბურთის მატჩის დროს ყოველთვის შავ ტრუსსა და მაისურს იცვამდა. რას ეძახდნენ მას ამის გამო?

ა) შავ ობობას;
ბ) ავაზას;
გ) შავ კატას.

2. რომელია ადამიანის ყველაზე ძლიერი კუნთი?

ა) მკერდის კუნთი;
ბ) ბარძაყის უკანა კუნთი;
გ) ენა.

3. რომელ ქვეყანაში ეკრძალებათ თოვლის წამოსვლისას მოსწავლეებს სკოლაში წასვლა?

ა) იტალიაში;
ბ) იორდანიაში;
გ) მექსიკაში.

3. რას ეძახდნენ ძველ რომში ჰომოსექსუალები ერთმანეთს?

ა) და-ძმას.
ბ) ცოლ-ქმარს;
გ) ნათესავებს.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ამ სურათებით ძალიან ლამაზი კალენდარიც გამოვეცი

ინლად კორუმპირებული ყოფილა, ქვეყანა გაძარცული ჰქონდა და მას თანამდებობიდან გადაყენება ემუქრება... როგორც იქნა, მივაღწიეთ სამთავრობო შენობამდე, სადაც ამჯერად, პრეზიდენტს მის კაბინეტში უნდა შევხვედროდით. ვზივართ მისაღებში, პრეზიდენტი კი არ ჩანს. დრო გაიწელა. სიგარეტის მოწევა მომინდა. ამისთვის მე და გიორგის, სახანძრო კიბეზე გასვლამ მოგვიწია. სანამ ერთი ღერი მოვწიე, კიბეზე გასასვლელი კარი ჩაკეტეს. როგორც მერე შევიტყვე, ამ დღეს დაწყებულა აჯანყება და ყველა კარი პრეზიდენტის მოსვლის მომენტისთვის ჩაკეტეს იმის შიშით, რომ მისი უსაფრთხოება სათანადოდ ჰქონოდათ დაცული... ვდგავარ მეცხრე სართულის კიბეზე ჩემი ფოტოაპარატით და სიგარეტს ვეწევი. კიდევ კარგი, მთელი კოლოფი სიგარეტი მქონდა, იმიტომ, რომ კარგა ხანს მოგვიწია იქ დარჩენამ. ბოლოს, როგორც იქნა, ვიღაცამ გაგვიღო კარი და გამოგვიშვა. პრეზიდენტთან შეხვედრა უკვე დამთავრებული იყო. ასე რომ, პირადად მისი გაცნობა ვერ მოვახერხე... 3-4 თვის ჩამოსული ვარ თბილისში. მივიწყებული მაქვს ეს ამბავი. პოლიტიკა საერთოდ არ მაინტერესებს, მით უმეტეს — აფრიკასთან დაკავშირებული. ვზივარ ჩემთვის სახლში და ტელევიზორში არხებს ვათვალიერებ. უეცრად, CNN-ზე რაღაც ნაცნობმა სურათმა მიიქცია ჩემი ყურადღება. დავაკვირდი და ვიცანი იქაურობაც და კოტ-დ'ივუარის პრეზიდენტიც, რომელიც საფრანგეთის საელჩოში შეჰყავდათ... არეულობა, რომლის დასაწყისშიც მეც მომიხდა იქ ყოფნა, სახელმწიფო გადატრიალებით დასრულებულა. დანიელ კაბლან დუნკანი ფრანგებმა გამოაპარეს და ამგვარად, სერიოზულ ხიფათს გადარჩინეს. არადა, ფორუმზე კეთილი, ბუნჩულა, საყვარელი კაცის შთაბეჭდილება მოახდინა. იქ ნაჩვენებ მასალებში ყოველთვის უკანა პლანზე იყო გადასული. წინა პლანზე კი, ამერიკის პრეზიდენტი ან საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ჩანდა, ის კი უკან — ვალოდია ჯინჭარაძესავით... როგორც მივხვდი, გადატრიალება იმ დღეს იყო დაგეგმილი, როცა ფორუმის მონაწილენი მას პირისპირ უნდა შევხვედროდით და იმასაც მივხვდი — ეს რომ მაშინ განხორციელებულიყო, კიბეზე დავრჩებოდით... მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტთან უშუალო კონტაქტი არ მქონია, ის სამუდამოდ დარჩა ჩემს მეხსიერებაში. მსგავსი ამბები ყველას თავს ალბათ არ გადახდენია. მე კი, შემთხვევით მოვხვდი „ამ გაუგებრობაში“ და დაუვიწყარ მოგზაურობად და მოგონებად დამრჩა. ■

ერთი სული მქონდა, როდის დამთავრდებოდა ოფიციალური შეხვედრები, რომ ბუნებაში გავვარდნილიყავი...

რეჟისორობის მიხეილ ჭიპურელისეული ფორმულა და დემონსტრაციულად გამოლეპული სეიფი

რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი იმ თაობას მიეკუთვნება, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ხელოვნების განვითარებაში. ამ თაობის წარმომადგენლებმა ღირსეულად გააგრძელეს წინამორბედთა მიერ დამკვიდრებული ტრადიციები. არადა, მძიმე პერიოდში მცხოვრებთ, ბევრი განსაცდელი არგუნა ბედმა. თუმცა, ტკბილად გასახსენებელიც ბევრი აქვთ. მათ შორის ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა „ხალხის მტრის“ შვილის ხვედრიც და დიდი წარმატებებიც, ბატონი მერაბიც გახლავთ.

ეკა მინდაძე

— როგორ გახსოვთ თქვენი ახალგაზრდობის დროინდელი თბილისი?

— ულამაზესი იყო ჩემი ბავშვობის დროინდელი თბილისი. მინდა, დიდი სიამაყით აღვნიშნო, რომ მე ახალშობილი, დედასთან ერთად, სახლში ფა-

ბატონ მიხეილს სჩვეოდა რაღაცნაირად, მოხდენილად, უცენზურო სიტყვების ხმარება, ჰოდა, ერთი ასეთი სიტყვის გამეორება მომიწევს...

ეტონით მიმაბრძანეს... მართლაც რომ სხვა ელფერი ჰქონდა ჩვენს დედაქალაქს. მაშინდელი თბილისი გაცილებით პატარა იყო, მაგრამ მეტი ნაცნობობა, პატივისცემა და სიყვარული იგრძნობოდა ირგვლივ. იმ დროს უფრო მეტი ნაღდი თბილისელი, წარმოსადეგი და კოლორიტული პიროვნება დადიოდა. ვსწავლობდი I საშუალო სკოლაში და ვამაყობდი იმით, რომ ამ სკოლაში წინათ სწავლობდნენ ილია ჭავჭავაძე და ნიკოლოზ ბარათაშვილი. მიუხედავად უდიდესი გაჭირვებისა (ომის პერიოდი იყო), ცხოვრება უფრო ლაღი იყო, ხალხს უფრო თბილი დამოკიდებულება ჰქონდა ერთმანეთთან. ადამიანები ისე ჩაკეტილები არ ვიყავით ჩვენ-ჩვენს სახლებში, როგორც დღეს ვართ. ვცხოვრობდით აბაკელიას ქუჩაზე, მთაწმინდაზე და კარგად მახსოვს, ჩვენს ეზოში მეზობლებს რა თბილი დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთთან. ორი ხე იდგა — ჭერმის და თუთის. გაზაფხულზე მთელი ეზოს ბავშვები ამ ხეებზე ვიყავით ამძვრალი და დაუმწიფებელ ნაყოფს ვჭამდით. მკვახე ხილის ჭამით კი, ყველას კუჭი გვქონდა აშლილი *(იცინის)*... ომის პერიოდში მახსოვს, სკოლაში ყოველდღე პატარა, მრგვალი პურის კვერს გვაძლევდნენ თითოეულ მოსწავლეს. ამ კვერს შუაში ერთი ბეწო შედედებული რძე ან გარგარის ჯემი ჰქონდა. აი, ასე ცდილობდა ამ მძიმე პერიოდში ჩვენს გამოკვებას სკოლის ხელმძღვანელობა.

— რა სხვაობას ხედავთ თაობებს შორის?

— რა თქმა უნდა, ჩვენი თაობა უფრო განათლებული, უფრო ნაკითხი იყო. მეჩვენება, რომ უკანასკნელ წლებში ძალიან დაეცა განათლების დონე. ინფორმაციულობის დონე გაცილებით მაღალია, გარემოს და ტელევიზიის წყალობით მოზარდები უფრო მეტს იგებენ, მაგრამ იმის გამო, რომ დღევანდელ ახალგაზრდებს ნაკლებად უყვართ კითხვა, განათლებული ადამიანი თითქმის აღარ არსებობს. ამის თქმის უფლებას მაძლევს ალბათ ის, რომ სტუდენტებთან განუწყვეტელი ურთიერთობა მაქვს. ჩვენი თაობა უფრო განათლებული იყო, მიუხედავად დიდი გაჭირვებისა. ბევრის მამა ომში იყო წასული, ბევრის, მამაჩემივით, რეპრესირებული გახლდათ. ამავე დროს, კლასში ისეთებიც იყვნენ, ვისი მამებიც ქვეყანას მართავდნენ. მიუხედავად ამისა, ჩვენ შორის განსხვავება არასოდეს გვიგრძნია. ვფიქრობ, ჩემი კლასი არაჩვეულებრივი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ საბოლოო ჯამში, ერთ-ერთი, ლენინური პრემიის ლაურეატი გახდა (კინოოპერატორი ლომერ ახვლედიანი), ერთი — სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (კომპოზიტორი გურამ ბზვანელი) და ორი — რუსთაველის პრემიის ლაურეატი



(არქიტექტორი ლევან ჯანდიერი და მე). ამას გარდა, კლასიდან რამდენიმე პროფესორი და მეცნიერი გახდა... ახალგაზრდებს, განათლების დონის დაცემასთან ერთად, დაბალი გემოვნებაც ჩამოუყალიბდათ. გარკვეულწილად ეს პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ბრალია. მინდა, გულისტკივილით აღვნიშნო, რომ ტელევიზია ყველაზე ნაკლებად არის დაინტერესებული მაღალი ხელოვნებით. ისევე, როგორც კინოთეატრები, ზოგ შემთხვევაში, მაღალი კლასის მასობრივი კულტურის ნიმუშებს უჩვენებენ, მაგრამ უფრო მეტად, დაბალი ხარისხის ფილმები ტრიალებს. ჩვენს დროს გაცილებით მეტ ყურადღებას აქცევდნენ მაღალ ხელოვნებას. დღეს კი, ოღონდაც კომერციულად მომგებიანი იყოს, არ ანიჭებენ მნიშვნელობას ხარისხს. როდესაც იაფფასიანი, დაბალი ხარისხის შოუზე უამრავი ადამიანი მიდის, შეუძლებელია, იმ ხალხს დახვეწილი გემოვნება ჰქონდეს. იმისათვის, რომ მსმენელის და მაყურებლის დონემ აიწიოს, თავდაპირველად უნდა ამაღლდეს ამა თუ იმ სანახაობის ხარისხი.

— ახლა თქვენს თაობას დავუბრუნდეთ და მოგვიყევით,

როგორი მეგობრობა იცოდით?

— ჩემი სამეგობრო წრე რამდენიმე კატეგორიად იყოფა: პირველია ბავშვობის მეგობრები, რომლებთანაც ტკბილი მოგონებები მაკავშირებს; მეორე — სკოლის მეგობრები, ხოლო მესამე — ინსტიტუტის. ბედნიერი ვარ, რომ ვმეგობრობ ისეთ ადამიანებთან, როგორებიც არიან: ელდარ შენგელაია, გიორგი შენგელაია, ირაკლი კვირიკაძე, გენო წულაია, ოთარ იოსელიანი, ბორია ანდრონიკაშვილი, ბაადურ წულაძე, რეზო ჩხეიძე, ლანა ღოღობერიძე, ნანა მჭედლიძე. ჩემი მეგობრები იყვნენ თამაზ

კადრი ფილმიდან „დიდი მწვანე ველი“. რეჟისორი: მერაბ კოკოჩაშვილი

მელიავა და ოთარ აბესაძე, თენგიზ აბულაძე, კოტე მიქაბერიძე.

— სიყვარული როგორი იყო თქვენი ახალგაზრდობის დროს?

— ჩვენს თაობაში სიყვარულს უფრო ძლიერად გამოხატავდნენ. დღეს კი, ეს გრძნობა გაუბრალოებულია. ჩვენს დროში შეყვარებული გაცილებით შეზღუდული იყო. დღეს კი, ამ უდიდესი გრძნობით შეპყრობილი ადამიანი უფრო თავისუფალია. სხვა მხრივ, ყველა თაობის შეყვარებული კაცი ერთნაირია. თუ სიყვარული გულწრფელია, არა მგონია, რომ რაიმე პრინციპი შეიცვალოს. წარმოუდგენელია პრინციპების შეცვლა სექსშიც, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ დღეს გაცილებით მეტი სხვადასხვა ორიენტაციის ადამიანია, ვიდრე ჩვენს თაობაში იყო. თუმცა, ალბათ მაშინაც იყვნენ განსხვავებული ორიენტაციის ადამიანები, ოღონდ ეს ყველაფერი დაფარული იყო. ალბათ იმიტომ, რომ მაშინ საზოგადოებრივი აზრი მათ მიმართ მკვეთრად უარყოფითი იყო. როცა ახალგაზრდობის წლებს ვიხსენებ, ყოველთვის სიამაყით მაგონდება ჩვენი დამოკიდებულება ქალის მიმართ. მაშინ მამაკაცს ქალი თუ შეუყვარდებოდა, აუცილებლად ყველა ღონეს იხმარდა, რომ ამ ქალის გული მოენადირებინა. მისი გულისთვის შეიძლება, საგმირო საქმეც ჩადენა. სხვათა შორის, იმ დროს უფრო ხშირი იყო ქალის გულისთვის ჩხუბი. დღეს კი ასეთი რამ საერთოდ აღარ ხდება. ხშირ შემთხვევაში, მამაკაცის მაგივრად, ქალი აქტიურობს. სამწუხაროდ, ეს არის ჩვენი რეალობა... ძალიან ლამაზად მახსენდება სტუდენტობის პერიოდი მოსკოვში, სადაც თითქმის ნახევარმა ჩემმა ჯგუფმა იქორწინა. მაგალითად: ელდარ შენგელაიამ იქ მოიყვანა არიადნა, გიორგი შენგელაია და სოფიკო ჭიაურელი იქ დაქორწინდნენ, ოთარ იოსელიანმაც იქ შეირთო რიტა, შესანიშნავი ქალბატონი...

— როგორი ურთიერთობა ჰქონდა წინა თაობის ადამიანებთან თქვენს თაობას ახალგაზრდობის პერიოდში?

— საერთოდ, ყველა თაობა ამბობს: ჩვენ უკეთესები ვიყავითო. პირადად მე, ჩემსა და სტუდენტებს შორის დიდ სხვაობას ვერ ვხედავ. სხვათა შორის, ჩვენც არ გვქონდა დიდი პრობლემა უფროს თაობასთან ურთიერთობისას. ძალიან ხშირად, როცა სახლში მეგობრები მიმყავდა, საღამოს, ჩაიზე, დედასთან და დეიდასთან ერთად სიამოვნებით ვთამაშობდით კარტს, გულახდილად ვუზიარებდით ერთმანეთს აზრებს. იმ დროს, ჩვენ შორის ასაკობრივი სხვაობა არ არსებობდა. რა თქმა უნდა, ყველა თაობას აქვს თავისი მინუსიც და პლუსიც. ვფიქრობ, ჩვენმა თაობამ უფრო მეტად იცოდა უფროსების პატივისცემა. მათგან ბევრ რამეში მაგალითს ვიღებდით. მათი დამსახურებაა, რომ ქართული სუფრა თავისი ტრადიციული სახით დღემდე შემორჩა. ბედნიერები ვიყავით ახალგაზრდობაში, როცა მათთან ერთად ქეიფი გვიწევდა. სწორედ მათი წყალობით გაჩნდნენ ჩემს თაობაში განუმეორებელი თამადები. მე არაერთხელ მიქეიფია მათთან და დაუვიწყარი დრო მიტარებია, თუმცა დიდი მსმელი არასოდეს ვყოფილვარ. სხვათა შორის, ჩემთან ერთად სუფრაზე სიამოვნებით დადიან შვილები და სიძეები. ოჯახშიც არაერთხელ უთამადიათ ჩემს უახლოეს მეგობრებს — თემიკო ჩირგაძეს და დოდო აბაშიძეს (ის ჩემი ქალიშვილის ნათლია იყო). მათი თამადობისას სუფრა ულამაზეს სანახაობად იქცეოდა. ჩვენს დროს, სუფრაზე ქართულ ხალხურ, თბილისურ ან სუფრულ სიმღერებს მღეროდნენ. დღევანდელ თაობას კი ევროპულ სიმღერაზე (ისიც — მაგნიტოფონის საშუალებით) გართობა ურჩევნია... ისე, საერთო ჯამში, მე მომწონს ჩემი სტუდენტების თაობა. დღევანდელი ახალგაზრდობა, ჩვენგან განსხვავებით, უფრო რისკიანია, ეს კი, ჩემი აზრით, ძალიან კარგია. კარგია ისიც, რომ ისინი ზედმეტად თავისუფლები არიან, თუმცა, ზოგჯერ ეს თავისუფლება უზრდელობაში გადადის...

— ახლა თქვენს ოჯახზე გვიამბეთ.

— საკმაოდ მძიმე პერიოდში მომიხდა ცხოვრება. 2 წლის ვიყავი, როცა მამა დააპატიმრეს და გადაასახლეს. მას შემდეგ, ის თვალით არ მინახავს. დედა — მაკა ჯორჯაძე, ჭავჭავაძეებისა და ჯორჯაძეების შთამომავალი, ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილთაშვილი გახლდათ. ბებიაჩემი — ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილიშვილი, მეფის კარზე გავლენიანი ქალი იყო. რაც შეეხება კოკოჩაშვილებს — წარმოშობით ქუთაისიდან იყვნენ. პირველი აფთიაქი ქუთაისში კოკოჩაშვილებმა გახსნეს. სწორედ ამ აფთიაქში სწავლობდა მომავალში სახელგანთქმული ბიზნესმენი და მეცენატი მიტროფანე ლაღიძე... მამაჩემის დედამ, სიმონ ყაუხჩიშვილის ქალიშვილმა, ქუთაისში ერთ-ერთი ქალთა გიმნაზია დააარსა. მაგრამ ჩემმა მშობლებმა თავისი დედამამისგან განსხვავებული პროფესია აირჩიეს — ორივე მუსიკოსი გახლდათ. აი, მე კი, მსახიობობაზე შევაჩერე არჩევანი *(ბ-ნმა მერაბმა სამსახიობო ფაკულტეტი დაამთავრა. — ავტ.).*

— ახლა უშუალოდ კინოსთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ: რა დაგიტოვათ რეჟისორთა წინა თაობამ და თავად რას უტოვებთ შვილების თაობას?

— თუკი რაიმეს წარმოვადგენთ, ეს უპირველესად, ჩვენი წინა თაობის დამსახურებაა. მათ ჩვენ ნამდვილი ქართული ფილმი და კინოკულტურა დაგვიტოვეს, გაგვიზიარეს უზარმაზარი ცოდნა, გამოცდილება, გვაზიარეს ტრადიციებს, გვასწავლეს ის, რომ შემოქმედისთვის, რეჟისორისთვის, პირველ რიგში, საჭირო სიმართლის თქმის უნარი და ნიჭი. რადაც არ უნდა დაუჯდეს, თუ ის ნამდვილი პროფესიონალია, უნდა გა-

დაიღოს ის, რაც სინამდვილეს შეეფერება. ჩვენ შევეცადეთ, რაღაც ახალი სიტყვა გვეთქვა ქართული კინოში. სხვათა შორის, არა მარტო კინოში, არამედ თეატრში, მუსიკაში, ცეკვაში, მხატვრობაში და მწერლობაშიც ძალზე წონადი სიტყვა აქვს ნათქვამი ჩემს თაობას. რაც შეეხება მომავალ თაობას – მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ისინი ჩვენ მიერ დაწყებულ საქმეს ღირსეულად გააგრძელებენ და ახალ სიტყვას იტყვიან.

— რამდენად ფასობდა პოპულარობა თქვენი თაობისთვის?

– მინდა, გურამ რჩეულიშვილის სიტყვები გავიხსენო: ბედნიერება შემოქმედების პროცესშია და არა დასასრულით ტკბობაშიო... ის, რაც კარგია საზოგადოებისთვის, არასოდეს მოკვდება. ამით იმის თქმა მსურს, რომ პოპულარულობა წლებს მოაქვს. დღეს ახალგაზრდებში სიტყვა „პოპულარობა“ გაუბრალოებულია იმიტომ, რომ თითქმის ყოველი მეორე „ვარსკვლავია“, მაგრამ სულ მალე, იმედი მაქვს, მათგან მხოლოდ ღირსეული შემოქმედნი დარჩებიან. მინდა, ჩემი ახალგაზრდობის დროინდელი ეპიზოდი გავიხსენო. როცა რეჟისორობა გადავწყვიტე, მოსკოვში ჩავედი და პირდაპირ მიხეილ ჭიაურელს ვეწვიე სახლში. ჩემი ნამუშევარი ვაჩვენე. მან კი ასეთი პასუხი გამცა: „აქ რა გინდა, გიჟი ხომ არ ხარ?! შენ იცი, რომ დღეს სულ 20 ფილმს იღებენ; აქედან ერთს – მე, მეორეს – დოვჟენკო, მესამეს – გერასიმოვი“, – ჩამოთვალა ხმაურიანი გვარები, 20 რეჟისორი, რომელთა შორისაც მხოლოდ ერთი ქართველი იყო და დასძინა: ამ დროს შენ რა უნდა გადაიღოო?!. შემდეგ განაგრძო: ასე რომ გსურს რეჟისორობა, თუ იცი, ამისათვის რა არის საჭიროო? ვუპასუხე – ზუსტად ამის სასწავლებლად მოვედი აქ-მეთქი... ბატონ მიხეილს სჩვეოდა რაღაცნაირად, მოხდენილად, უცენზურო სიტყვების ხმარება, ჰოდა, ერთი ასეთი სიტყვის გამეორება მომიწევს... მან გვერდით დამისვა და მითხრა: პირველი – რეჟისორს უნდა ჰქონდეს ტრ... შენ შეიძლება, გაქვს – აბა, ამ სიშორეზე რას ჩამეეთრეოდიო *(იცინის)*?!. მეორე, აუცილებელია ზურგი და მე შენ ახლავე აგიხსნი, თუ ეს სიტყვა რას ნიშნავსო, – ჭიაურელი წამოდგა, შებრუნდა და მის უკან, კედელზე დაკიდებულ, სტალინის სურათზე მიმითითა; სურათს ასეთი წარწერა ჰქონდა: „ჩემს მიხეილს“, – აი, ეს არის ზურგიო!.. მისი ნათქვამით ისე დავითრგუნე, ავიღე ჩემი ნაწერი და ვუთხარი: წავალ, აბა, მაშინ-მეთქი... – მოიცა, მესამე რა არის საჭირო, არ გაინტერესებს?.. მესამე ნიჭიაო... აი, თუ ეს სამი თვისება გაქვს, მაშინ ჩათვალე, რომ სწორ გზაზე ხარ და ინსტიტუტში მოხვდებიო... როგორც შემდეგ გავიგე, მიხეილ ჭიაურელი თურმე, დამხმარებია: როგორც რეპრესირებული კაცის შვილს, ინსტიტუტში არ მიღებდნენ და მხოლოდ ბატონი მიშას სიტყვის წყალობით აღმოვჩნდი დამატებით სიაში. მაშინ ის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა რუსეთში... ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, ჩამოვედი თბილისში და პირველი ფილმის გადასაღებად, ბუნებრივია, კინოსტუდიაში მივედი. საუბარია მოკლემეტრაჟიან ფილმზე, რომლის სახელწოდებაა „მიხა“. ავიღე სცენარი და მივიტანე კინოსტუდიის მაშინდელ დირექტორთან. ჩვენი საუბარი დიდხანს გაგრძელდა, ბოლოს მან ასეთი შეკითხვა დამისვა: მაინც რომელ სტუდიაში აპირებ გადაღებასო? მეც მაშინვე ვუპასუხე: როგორ თუ რომელ სტუდიაში? რა თქმა უნდა, თქვენთან – „ქართულ ფილმში“-მეთქი. ეს სიტყვები ბოლომდე დამთავრებული არც კი მქონდა, როცა ის წამოდგა, მივიდა კაბინეტის კუთხეში, სადაც სეიფი იდგა, გააღო და მკითხა: აბა, მითხარი, შიგ რა დევსო? მეც ვუპასუხე – ორი საბუთი-მეთქი. მანაც გამიღიმა და მითხრა – აი, ხომ ხედავ, ფული არ არისო... ამ შემთხვევას დღემდე გულდაწყვეტით ვიხსენებ... ასეთია ცხოვრება – კარგი და ცუდი ყველა თაობაშია. საბედნიეროდ, რამდენიმე თვეში ეს კაცი მოხსნეს და კინოსტუდიის დირექტორად დანიშნეს შესანიშნავი პიროვნება – მიხეილ კვესელავა, რომელმაც ჩვენი თაობა გადაარჩინა. ის ჩვენი ფარი იყო. მან 4 წელი გვამუშავა და ამის შემდეგ წამოვიდა ის შესანიშნავი ფილმები, რომლებიც ჩვენმა თაობამ გადაიღო. ამრიგად, ყველა დროს საჭიროა მოთმინება. თუ გინდა, რომ ხელოვნებაში რაიმეს მიაღწიო, ამისათვის საჭიროა დაუღალავი შრომა. როგორც პედაგოგმა, მინდა სიამაყით აღვნიშნო, რომ ახალგაზრდებშიც ბევრია ნიჭიერი. მაგრამ იმისათვის, რომ მათ რაიმე გადაიღონ, საჭიროა პირველ რიგში, სახელმწიფოს დახმარება. ფინანსების გარეშე შეუძლებელია ფილმის გადაღებაზე ფიქრიც კი. თუ მხარდაჭერა იქნება, მჯერა, რომ ახალგაზრდა თაობა ჩვენს საქმეს ღირსეულად გააგრძელებს.

■

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. პირველყოფილი ადამიანები გამოძვაგულის კედლებზე ძირითადად ხატავდნენ ცეცხლს, ცხოველებსა და...

ა) მთვარეს;
ბ) ქალებს;
გ) ღმერთებს.

2. XVII საუკუნის იტალიელი მისიონერის, დონ ჯუზეპე ჯუტიჩე მილანელის ცნობით, სამეგრელოში ფულის მაგივრობას ხშირად სწევდა...

ა) წიწაკა;
ბ) ნიჟარები;
გ) გახვრეტილი ქვები.

3. რას ეძახიან მამლის კუდის გრძელ გუმგულს?

ა) ძუას;
ბ) საყივარს;
გ) დეზურას.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

თვითნებური დიეტა საშინელ გავლენას ახდენს სახის კანზე



ამბობენ — სახის კანი ადამიანის ორგანოების სარკეაო. აქედან გამომდინარე, ცხადია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მის მოვლას. როგორ მოვუაროთ სახის კანს, განსაკუთრებით ზაფხულში და მით უმეტეს, ზღვაზე ყოფნისას, — ამ საკითხზე კვალიფიციური რჩევების მისაღებად კოსმეტოლოგს, ნინო მაისურაძეს მივმართეთ.

ეკა მინდაძე



— ქალბატონო ნინო, დავიწყოთ პირდაპირ იმით, რაც ბევრ ქალს აწუხებს: რამ შეიძლება გამოიწვიოს გამონაყარი?

— გამონაყარი შეიძლება იყოს ორგანული: ნევროზისგან, კუჭ-ნაწლავის, ნაღვლის ბუშტის, საშვილოსნოს დაავადებისგან, მაგრამ შეიძლება გარემო პირობებით იყოს გამოწვეული — მაგალითად, სხვადასხვა ინფექციისგან. ზაფხულში მზის სხივები, კანში პიგმენტის მომატებას უწყობს ხელს. ხშირ შემთხვევაში, ჩნდება ჭორფლი, ლაქა და გამონაყარი. ამიტომ, ვისაც გარუჯვა გაქვთ გადაწყვეტილი, გირჩევთ, გამოიყენოთ მზისგან დამცავი მალამოები — ეს შეასუსტებს პიგმენტური ლაქებისა და ჭორფლის გაჩენას. თუ თქვენი კანი მზის სხივისგან ძლიერაა დაზიანებული, ამ შემთხვევაში უმჯობესია, ექიმს მიმართოთ. მცირედი გაღიზიანებისას კი, შეგიძლიათ, თავად გაიკეთოთ კეფირის, მაწვნის ან მჟავე რძის ნიღაბი. ამავე დროს, საცხი ყოველ 5 წუთში უნდა იცვალოთ. მთელი პროცედურის ხანგრძლივობა 30-40 წუთია. ამის შემდეგ, კანი წყლით არ ჩამოიბანოთ, წყლის მაგივრად, სახის კანის გასაწმენდად, მჟავე რძე ან კეფირი გამოიყენეთ. კანის სრულ გამოჯანმრთელებამდე კი, მოერიდეთ მზეს.

გამონაყარი შეიძლება გამოიწვიოს ავრეთვე ავიტამინოზმა, რაც უმადობით, სახის კანის სიმშრალითა და საერთო სისუსტით გამოიხატება. კანისათვის მავნებელია თვითნებური დიეტაც, ის მხოლოდ და მხოლოდ ექიმის მიერ უნდა იყოს დანიშნული. თვითნებური დიეტა ყოვლად დაუშვებელია, ის საშინელ გავლენას ახდენს კანზე. განსაკუთრებით მიუღებელია რაციონიდან პურის ამოღება. პურს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ორგანიზმისთვის, მათ შორის კანისთვის. საერთოდ, გასახდომად უფრო სასურველია, სპორტი, ვარჯიში, აბაზანები და მასაჟი გამოიყენოთ.

სახის კანისათვის კარგია ჯანსაღი ძილი: კანს დასვენება სჭირდება. ამასთანავე, საჭიროა კვების რეჟიმის დაცვა. ადამიანმა უნდა იკვებოს დღეში ოთხჯერ: დილის 9, 12 საათზე, საღამოს 6-სა და 8 საათზე. ეცადეთ, 8 საათის შემდეგ აღარ მიირთვათ. შეზღუდეთ შოკოლადი და ყავა. მართალია, ისინი ორგანიზმის ტონუსს მაღლა სწევს, მაგრამ ამავე დროს, კანზე გამონაყარს იწვევს. მირთვით ყავა მხოლოდ რძიანი, რადგან რძე მავნე ნივთიერებების მოქმედებას ანეიტრალებს. თუ გსურთ თქვენი კანი ჯანსაღად გამოიყურებოდეს, ნუ მოსწევთ სიგარეტს — ნიკოტინი ნაადრევად აბერებს მას.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მზის ხელოვნური აბაზანების მიღება. მზეზე გასარუჯად კი, 20 წუთზე მეტხანს ნუ გაჩერდებით, რადგან მზის სხივების რადიოაქტიურობა თმიანობას, პიგმენტაციას და სიმსივნეს იწვევს. ■

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 009 005
ზარი ფასიანია, 18 წლიდან

დაკავშირება შესაძლებელია
ტელეკომ-ბარათებითაც

| „ქუქუნა წვიმა მოვიდა, დიდი მინდორი...“ | | |

რატომ არ უყვართ მამაკაცებს ჭკვიანი ქალები

სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა ბევრჯერ დაამტკიცა, რომ მამაკაცთა უმრავლესობას ჭკვიანი ქალები არ უყვარს, ერიდება მათთან ურთიერთობას, სულელებს კი შედარებით კარგად ეწყობა.

მაინც რა განსხვავებაა ჭკვიან და სულელ ქალებს შორის?!

● სულელები, როგორც წესი, ბუნებრივად მიმზიდველები არიან და შეუძლიათ ცხოვრების დინებას მშვიდად მიჰყვნენ. ჭკვიანმა ქალებმა კი, გარეგნული ნაკლი უნდა დაფარონ და წინა პლანზე პიროვნული ღირსებები წამოსწიონ.

● სულელებს შეუფერებელ საქციელს ყოველთვის აპატიებენ, იტყვიან, — ეს უნებლიეთ, სისულელით მოუვიდაო, ჭკვიანებს კი, შეცდომებს თითქმის არასოდეს მიუტევებენ.

● სულელები უსიამოვნებებს ოსტატურად არიდებენ თავს. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, რთული სიტუაციიდან თავის დასაძვრენად, ერთადერთ და სწორ გზას პოულობენ. ჭკვიანები კი, იმის შიშით, რომ შეცდომა არ დაუშვან, თავიანთ მოქმედებას წინაწარ წონიან, აანალიზებენ, მაგრამ მერყეობის გამო ხშირად გაუგებარ სიტუაციებსა და ინტრიგებში ეხვევიან — თანაც სერიოზულად და ხანგრძლივად.

● *სულელებს იღბალი აქვთ, წარმატებით* თხოვდებიან და ბედნიერადაც ცხოვრობენ — რადგან მზად არიან, ყველაფერი მოითმინონ. ჭკვიანები ცხოვრებაში საკუთარ ადგილს ეძებენ, იბრძვიან, გზას იკვლევენ და ქორწინებაში უმთავარესად, ქმრისგან პატივისცემასა და დფასებას მიიჩნევენ.

● სულელებს ყველა კითხვაზე მზად აქვთ პასუხი, მათ არ ღრღნით ეჭვები, მუდამ დარწმუნებულნი არიან თავიანთ განუმეორებლობაში. ჭკვიანებს კი, საკუთარ შესაძლებლობებში ხშირად ეჭვი ეპარებათ და იტანჯებიან.

● სულელები, მოულოდნელი პრობლების გაჩენისას ბედზე ჩივილს იწყებენ და ცრემლებს აღვარღვარებენ.



გარშემო მყოფებს მათ მიმართ სიბრალულის გრძნობა უჩნდებათ, ამიტომაც ცდილობენ, დაეხმარონ. ჭკვიანები არასოდეს ტირიან და ცდილობენ, *სიძნელეებს დამოუკიდებლად გაუმკლავდნენ.*

● სულელები, როგორც წესი, მშვენივრად გამოიყურებიან, სილამაზის სალონებში დიდ დროს ატარებენ და საყვარელსა და ქმარს სიამოვნებით აკოტრებენ. ჭკვიანები პრაქტიკულები არიან, იციან ფულის ფასი, არასოდეს ფლანგავენ მას და ხშირად საკუთარ თავს სიამოვნებაზე უარს ეუბნებიან.

როგორც ჩანს, სულელებს მართლაც უმართლებთ და ცხოვრებაც ეიოლებათ. მაგრამ ჭკვიან ქალებს, მათთნ შედარებით, ერთი დიდი უპირატესობა აქვთ: ჭკვიანს ყოველთვის ეყოფა ჭკუა იმისთვის, რომ საჭირო მომენტში თავი მოისულელოს. სულელს კი ეს არასოდეს გამოუვა. ■

სასარგებლო რჩევები

● შებოლილი, მაგარი ძეხვი იოლად გაიფცქვნება, თუ მას ცოტა ხნით საყინულეში მოათავსებთ;

● არ შეიძლება ღვინის (განსაკუთრებით თეთრი ღვინის) მაცივარში დიდხანს გაჩერება — ის მალე დაკარგავს არომატს;

● თუ პურს რამდენიმე წუთით მაცივარში გააჩერებთ, ის ადვილად და თანაბარ ნაწილებად დაიჭრება;

● თხილის გული ან არაქისი რომ გაასუფთავოთ, ცოტა ხნით მარილწყალში გააჩერეთ, შემდეგ კარგად გაავლეთ, გააშრეთ და გაარჩიეთ;

● გალაქული ავეჯიდან თეთრ ლაქებს იოლად ამოიყვანთ მარილიან ზეთში დასველებული ტილოთი;

● თუ ოთახის სიცრმეში მდგარ ქოთნის ყვავილებს განათება არ ჰყოფნის, ფანჯრის რაფაზე დადეთ სარკე და მზის სხივების ანარეკლი ყვავილებისკენ მიმართეთ;

● მიმწვარი რძე სხვა ქვაბში უნდა გადაიღოთ, სველი ნაჭერი დაიფაროთ და წამოადუღოთ. სუნი სწრაფად გაქრება;

● ზეთის საღებავებით შესრულებული ნახატი კარგად იწმინდება ნიშადურიან წყალში დასველებული ტილოთი;

● თუ გინდათ ახალი ცოცხი დიდხანს გემსახუროთ, პირველი გამოყენების წინ, 2-*3 საათით ცხელ მარილწყალში* გაჩერეთ (1 ს/კ მარილი 1 ლ წყალზე).

თუ ხელების გათეთრება გსურთ

ხელებს მშვენივრად ათეთრებს მაწონი. კიდევ უფრო კარგ შედეგს მიიღებთ, თუ მოხარშულ, კანგაცლილ, ცხელ კარტოფილს ცოტაოდენ მაწონში ჩაჭყლეტთ და მიღებულ მასას ხელებზე, 15-20 წუთის მანძილზე გაიჩერებთ. ხელის მტევნებზე, იდაყვებსა და მუხლისთავებზე კანი დაგირბილდებათ, თუ შუაზე გაჭრილ ლიმონს დღეში რამდენჯერმე გადაისვამთ. ■

ტყის „სანიტარი“ ფრინველი	ბერძნულ მითოლოგიაში: ... შრომა	რხევა, თრთოლა	ოპერა „პიკის ქალი“ პერსონაჟი	ლაბორატორიაში მომუშავე ტექნიკური მუშაკი



	ქალაქი აშშ-ში, სადაც მოკლეს კენედი	გამის ნოტი	მცენარის ნიადაგში განვითარებული ნაწილი	კედლის შანდალი	მოვლენა — ჩრდილოეთის ...	დიდი ოთახი (მოძვ.)	მსახ. ... დერეკი	ფეხსაცმელზე შემოყოლებული ტყავის ბოლი

ვებრძოლოთ დერმატიტს

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

„დიათეზი“, „ეგზემა“, „ალერგოდერმატოზი“, „ბავშვთა ეგზემა“, „ატოპიური ნეიროდერმიტი“ — დასახელება მრავალგვარია, პრობლემა კი ერთი, რომელსაც სამედიცინო ენაზე ატოპიური დერმატიტი ეწოდება. დღეისათვის მიიჩნევენ, რომ მის საფუძველს კანის ალერგიული ანთება და მომატებული რეაქტიულობა წარმოადგენს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის გარე და შიდაგამაღიზიანებელთა ზემოქმედებაზე კანის არაბუნებრივი რეაქცია, რაც ქავილით, ანთებითა და გამონაყარის სახით ვლინდება. პრობლემა უმრავლეს შემთხვევაში მემკვიდრულია. თუ ოჯახში ორივე მშობელს აქვს რომელიმე ალერგიული დაავადება, მაშინ ატოპიური დერმატიტის განვითარების რისკი ბავშვებში 60-70%-ია. თუ ერთ მშობელს აქვს, მაშინ — 40-45%; ხოლო თუ მემკვიდრული წინასწარგანწყობა არ აღინიშნება, ამის მიუხედავად, 13-15%-ში მაინცაა მოსალოდნელი ატოპიური დერმატიტის განვითარება.

როგორ ვლინდება

დაავადების პირველი ნიშნები ბავშვს სიცოცხლის პირველსავე თვეებში შეიძლება გაუჩნდეს. კანი წითლდება, შუპდება და იფარება წვრილი ბუშტუკებით, რომლებიც შემდგომში, სკდება და მოწითალო სითხე გამოდის. ამის მერე მათ ადგილას მოყვითალო-მოყავისფრო ქერქები წარმოიქმნება. დერმატიტს თან ახლავს ქავილი, რაც ადამიანს აღიზიანებს, ნევროზულს ხდის, ურღვევს ძილის პროცესს. ასეთი ქერქები და ნახეთქები ვითარდება სახსრის ზედაპირებზე, ტერფებისა და მტევნის ზურგზე, პატარა ბავშვებში – სახეზე, ცხვირტუჩის სამკუთხედის არეში. თავდაპირველად, ასეთი რეაქცია ალერგიული პროდუქტების (ძროხის რძის, კვერცხის, თევზის) მიღებას უკავშირდება.

3-4 წლის ასაკში კვებითი ალერგენების მიმართ მგრძნობელობა რამდენადმე ქვეითდება, მაგრამ მატულობს მგრძნობელობა ოთახის მტვრის ტკიპისა და ყვავილების მტვრის მიმართ. შემდეგ ამას ერთვის ალერგია მატყლზე,

შინაურ ცხოველებსა და ბუმბულზე: მათთან კონტაქტისას ძლიერდება კანზე გამონაყარი.

ატოპიური დერმატიტის გამწვავება შეიძლება გამოიწვიოს ობის სოკომაც, რომელიც ნესტიან შენობებში მრავლდება.

სამწუხაროდ, ასაკის მატებასთან ერთად ატოპიური დერმატიტი შეიძლება გაქრონიკულდეს. მას დაერთვის ალერგიული რინიტი, ბრონქული ასთმა.

დაავადების რისკ-ფაქტორებად მიიჩნევა არახელსაყრელი ეკოლოგიური პირობები შენობასა და გარემოში, სტრესები, დიეტის დარღვევა, კანის მოვლის წესების დაუცველობა ე.წ. სამრეწველო რისკ-ფაქტორები (შენობაში ტემპერატურა +23^{0}C-ზე მეტი, ტენიანობა კი 60%-ზე ნაკლები). ბავშვებში ატოპიური დერმატიტის მიზეზებად ასახელებენ ბუნებრივ (დედის რძით) კვებაზე უარის თქმას და მწვავე ვირუსულ ინფექციებს.

ბოლო წლებში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ფარულ ალერგენებს. მაგალითად, ძეხვსა და სხვა პროდუქტებში შეიძლება იყოს ძროხის რძისა და კვერცხის ალერგენები. ყველსა და ხილის წვენებში – სოკოვანი ალერგენები. კანის გამონაყარის გაძლიერება შეიძლება გამოიწვიოს ტექსტილურ წარმოებაში გამოყენებულმა საღებავებმა. ამიტომ ამ პათოლოგიის მქონე ადამიანებს ურჩევენ, ატარონ ნატურალური ბოჭკოსაგან წარმოებული შეუღებავი ტანსაცმელი. არ არის სასურველი მათი შეხება ტყავეულთანაც.

გონივრული შეზღუდვა

დაავადების გამოვლენისას ალერგოლოგსა და დერმატოლოგს უნდა მიმართოთ. ალერგოლოგი დააზუსტებს დიაგნოზს, დერმატოლოგი კი კანის სინჯების მეშვეობით დაგიდგენთ, რომელი ალერგენია თქვენი ალერგიის მიზეზი და თუ მოერიდებით გამაღიზიანებელ ალერგენს, კანისმხრივი მოვლენებიც მოგეხსნებათ.

მკურნალობა გულისხმობს ალერგენზე ზემოქმედებას, დიეტის დაცვას, კანის სწორად მოვლას და მედიკამენტების გამოყენებას.

დიეტა

რაციონიდან უნდა გამოირიცხოს ალერგიის გამომწვევი პროდუქტები. დღეისათვის ასეთებადაა მიჩნეული: კვერცხი, თევზი, ზღვის პროდუქტი, სხვადასხვა სახის თხილი, თაფლი, შოკოლადი, მარწყვი, ციტრუსები, ყურძენი, ტომატი, სტაფილო, ჭარხალი, სოკო. ბოლო დროს გვხვდება ალერგია ბანანზე, კივიზე, ავოკადოზე, ხურმაზე, ბროწეულზე. ატოპიური დერმატიტის ნიშნებს შეიძლება აძლიერებდეს კომბოსტოს მწნილი, ხორცის ბულიონი, ოხრახუშის, ნიახურისა და ხახვის უმად მიღება. მაგრამ გახსოვდეთ! ამა თუ იმ პროდუქტის გამორიცხვა რაციონიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მოხდეს, თუ დადასტურდება, რომ სწორედ იგია დაავადების გამომწვევი მიზეზი. ხშირად ავადმყოფები ან მათი მშობლები (თუ პაციენტი ბავშვია) მეტისმეტ გულმოდგინებას იჩენენ და ისეთ პროდუქტებზე ამბობენ უარს, რომლებიც დაავადების განვითარებასთან საერთოდ არ არის კავშირში. სამკურნალო დიეტის შერჩევა განსაკუთრებით საფრთხილოა ბავშვებში, რადგან საჭირო პროდუქტთა შეზღუდვამ შესაძლოა ორგანიზმის ნორმალური ზრდა-განვითარება შეაფერხოს.

გაითვალისწინეთ რამდენიმე რჩევა, რომელიც დაგეხმარებათ ატოპიური დერმატიტის რისკის შემცირებაში:

- ნუ მოსწევთ სახლში სიგარეტს;
- საწოლის თეთრეული კვირაში 1-2-ჯერ გამოცვალეთ;
- ბავშვების ოთახიდან გაიტანეთ ტელევიზორი და კომპიუტერი;
- ებრძოლეთ ოთახის მტვერს;
- ტანსაცმელი გარეთ გააშრეთ;
- უარი თქვით ნატურალური ბეწვისა და მატყლისაგან დამზადებულ ტანსაცმელზე;
- გამორიცხეთ ყვავილის მტვერთან კონტაქტი;
- უარი თქვით ყვავილის ექსტრაქტებით მკურნალობაზე.

რა უნდა წაისვათ?

რაც შეეხება მედიკამენტებს, ატოპიური დერმატიტის დროს ინიშნება ანტიჰისტამინური პრეპარატები (ზირტეკი, დიაზოლინი, სუპრასტინი, ფენკაროლი, კლარიტინი).

აუცილებელია კუჭ-ნაწლავის პრობლემების (დისბაქტერიოზის, სანაღვლე გზების პათოლოგიების და სხვა) მოგვარება, რადგან ეს მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ატოპიური დერმატიტის მკურნალობაზე.

ადგილობრივი მკურნალობა გულისხმობს საცხებისა და კრემების გამოყენებას. გლუკოკორტიკოიდების შემცველი საცხების (სინაფლანი, ფლუცინარი, ფტოროკორდი, აპულეინი, ადვანტანი) გამოყენება მხოლოდ ხანმოკლე ვადითაა რეკომენდებული, მოსალოდნელი გვერდითი ეფექტების გამო. ექიმები უფრო ხშირად ნიშნავენ ანტიბიოტიკებისა და გლუკოკორტიკოიდების კომბინირებულ პრეპარატებს (ცელესტოდერმს, ტრიდერმს, ოქსიკორტს, გიოქსიზონს). ისინი აქრობს კანის ალერგიულ ანთებას, ამცირებს ქავილს.

უნდა ვიცოდეთ, რომ სოკოვანი დაავადებისას ძლიერი სტეროიდული პრეპარატების დანიშვნა არ არის რეკომენდებული. ფტორის შემცველი კორტიკოსტეროიდები არ ენიშნებათ სამ წლამდე ასაკის ბავშვებს.

რაც მთავარია, თუ ალერგენთან კონტაქტი გრძელდება, საცხები და სხვა გარეგანი საშუალებები არაეფექტური იქნება. ■

სხვადასხვა აქსესუარი ადამიანის სახეს სხვადასხვაგვარად წარმოგვიჩენს. მათ რიცხვში შედის სათვალეც.

როგორი სათვალე მოგიხდებათ

● მრგვალ სახეს ყველაზე მეტად დიდი, წვრილჩარჩოიანი სათვალე უხდება.

● ქერათმიანები უნდა მოერიდონ ღია ვარდისფერ და მუქი ტონის ჩარჩოიან სათვალეს.

● თუ ოპტიკურმინებიან სათვალეს ხმარობთ, რომლის მიღმა სახის ნაკვთები დიდდება ან პატარავდება, თვალები განსაკუთრებით ფაქიზად უნდა მოიხატოთ.

● თუ სამკუთხა სახე, განიერი ღაწვები და წვეტიანი ნიკაპი გაქვთ, მოგიხდებათ პეპლის ფორმის სათვალე, რომლის ჩარჩოს ზედა მხარე ქვედაზე განიერია.

● თუკი რქის ჩარჩოს აჯობინებთ, თვალებზე ყავისფერი, ჩალისფერი ან გამომწვარი თიხისებრი ჩრდილი გადაისვით.

● თუ ლურჯი ჩარჩო მოგწონთ, თვალების შესაღებად მოლურჯო-იისფერი ტონები იხმარეთ.

● ოვალურ სახეს ნებისმიერი მოყვანილობის ჩარჩო უხდება.

● თუ მოგრძო ცხვირი გაქვთ, აჯობებს, ისეთი სათვალე შეიძინოთ, ღრმად ჩამჯდარი ტიხარი რომ ექნება, ხოლო თუ პირიქით, მოკლე და პაჭუა ცხვირი გამშვენებთ — მაღალტიხრიანი.

● წვრილი ჩარჩო ლამაზ თვალებს კიდევ უფრო ეფექტურს გახდის. ■

ხმაურიანი ქალაქები და ჯანმრთელობა

ხმაური, რომელიც ქალაქის მკვიდრთა არსებობის მუდმივი თანამგზავრია, უფრო მეტად ვნებს ჯანმრთელობას, ვიდრე გამონაბოლქვით დაბინძურებული ჰაერი და ცხოვრების არაჯანსაღი წესი — ასეთი დასკვნა გამოიტანეს გერმანელმა მეცნიერებმა. მათ გამოიკვლიეს ევროპის დიდი ქალაქების 22 ათასი მცხოვრები და დაადგინეს, რომ მათ, ვინც თავს ვერ არიდებს ხმაურს, ხშირად აწუხებს ჰორმონული დარღვევები, მაღალი არტერიული წნევა და ქოლესტერინი. მკვლევარებმა ისიც გაარკვიეს, რომ რაც უფრო მეტად ხმაურიანია ჩვენი ცხოვრება, მით მაღალია მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარების რისკი. ამის გამო დიდი ქალაქების მკვიდრთათვის მკურნალობისა და პროფილაქტიკის საუკეთესო გზა ბუნების წიაღში დასვენებაა. ■

ქორწინება ჯანმრთელობის საწინდარია

ამერიკის შეერთებული შტატების სამედიცინო სტატისტიკის ნაციონალური ცენტრის მეცნიერებმა ჩაატარეს რამდენიმე გამოკვლევა, რომელთა მეოხებითაც გაირკვა, რომ დაქორწინებული მამაკაცები და ქალები უფრო ჯანმრთელნი არიან და უფრო იშვიათად ხდებიან ნიკოტინური თუ ალკოჰოლური დამოკიდებულების მსხვერპლნი, ვიდრე მარტოხელები.

საინტერესოა ერთი თავისებურებაც: ადამიანებს, რომლებიც ოფიციალურად არიან დაქორწინებულნი, უკეთესი ჯანმრთელობა აქვთ, ვიდრე იმ წყვილებს, რომლებიც თავიანთი ურთიერთობის ოფიციალურ აღიარებას არ ჩქარობენ. თუმცა, იმავე მონაცემების თანახმად, მარტოხელები ნაკლებად არიან მიდრეკილნი სიმსუქნისკენ.

ამ განსხვავებათა მიზეზს მეცნიერებმა ჯერჯერობით ვერ მიაგნეს, თუმცა ორი ვერსია მაინც აქვთ: ჯერ ერთი, ქორწინება ადამიანს ფინანსურ და ფსიქიკურ სტაბილურობას ანიჭებს, რაც ჯანმრთელობაზე სასიკეთოდ აისახება, მეორეც, მხოლოდ ფიზიკურად ჯანმრთელ ადამიანებს შეუძლიათ გაუძლონ იმ დატვირთვას, რასაც ოჯახური ცხოვრება წარმოადგენს. ■

მამაკაცებს თუთია სჭირდებათ

გოგრის თესლი თუთიის ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა. ეს ელემენტი ყველაზე მეტად მამაკაცებს სჭირდებათ, თანაც ნებისმიერ ასაკში — მოზარდებსაც, რომელთაც გამოანაყარი, სებორეა, ცხიმიანი ქერტლი აწუხებთ და ხანდაზმულებსაც, რომელთაც პროსტატიტი ემუქრებათ. გამოკვლევამ დაადასტურა, რომ დილით და შუადღისას, ჭამის წინ, გოგრის ოც-ოცი თესლის მიღება ამ დაავადების თავიდან ასაცილებლად სავსებით საკმარისია. ■

როგორ მოვიკეთ განსაცდელის დროს?

განვაგრძობთ „გზის“ წინა ნომერში დაწყებულ რჩევა-მითითებების შემოთავაზებას, რომლებიც მომზადებულია წმინდა მამათა სწავლა-მოძღვრებაზე, მათ შეგონებებზე დაყრდნობით.

შორენა მერკვილაძე

მიწიერ სამოთხეში ყოფნისას, პირველი ადამიანები ანგელოზთა მსგავსად ცხოვრობდნენ, მათ არც ვნებები ამოძრავებდა და არც განსაცდელი აწუხებდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც პირველმშობლებმა შესცოდეს და განიდევნნენ სამოთხიდან, ყველაფერი შეიცვალა, გაჩნდა მრავალი ცხოვრებისეული განსაცდელიც. ამიტომაც ბრძანა ერთ-ერთმა ღვთისმეტყველმა: ცხოვრება სამოთხე არ არის, არამედ სამოთხიდან განდევნილთა ყოფა, ამიტომ ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ მწუხარებისა და განსაცდელისთვის. მართლაც, რა ფუფუნებაშიც არ უნდა ცხოვრობდეს ადამიანი მიწიერი ცხოვრების დროს, მაინც ხშირად აღმოჩნდება განსაცდელის წინაშე...

ნებისმიერი განსაცდელი ადამიანს უფლისგან ეძლევა, ის ღვთისგან მოვლინებული ჯვარია, ამიტომ მოვალენი ვართ, დავითმინოთ. ღმერთს მადლობა უნდა შევწიროთ არა მხოლოდ სიხარულისა და ბედნიერების მონიჭებისთვის, არამედ განსაცდელისთვისაც, რადგან რაც უფლისგან მოდის, ყოველივე კეთილადაა მომადლებული: „ნურასოდეს შეწყვეტთ ღვთის მადლიერებას, განსაკუთრებით კი მწუხარებისა და განსაცდელის ჟამს და ეს სხვებსაც ასწავლეთ“, — გვმოძღვრავს წმინდა იოანე ოქროპირი.

რატომ გვევლინება სხვადასხვა ცხოვრებისეული განსაცდელი უფლისგან?

უფალმა განსაცდელი შეიძლება მოგვივლინოს ჩვენი ცოდვების გამო ან როგორც ეპიტიმია (სასჯელი), რათა ამ გზით განვიწმინდოთ ცოდვებისგან, ამიტომ არასდროს არ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენ ესა თუ ის განსაცდელი არ დაგვიმსახურებია: „როგორი განსაცდელის წინაშეც არ უნდა აღმოჩნდეთ, ნურავის დავადანაშაულებთ მასში გარდა საკუთარი თავისა და თქვი: „ეს ჩემი ცოდვების გამო შემემთხვა“, — გვმოძღვრავს ღირსი ამბა ორი. განსაცდელს უფალი ზოგჯერ გვაძლევს, როგორც მკურნალი — წამალს, რათა გამოგვაფხიზლოს და გამოგვიყვანოს ცოდვილი მდგომარეობიდან, ზოგჯერ კი გამოსაცდელად, როგორც ეს მოხდა მართალი იობის შემთხვევაში, რომელიც ჩ.წ.აღ-მდე ცხოვრობდა არაბეთში. იობი ძალიან მდიდარი იყო, მაგრამ ძალიან კეთილი და მოწყალე ადამიანი გახლდათ. დღისით შრომობდა, საღამოს კი მხურვალე ლოცვაში ატარებდა. ეშმაკს შეშურდა იობის ასეთი ცხოვრება და ღმერთს უთხრა: იობი იმიტომაა ასეთი კეთილი და გულუხვი და იმიტომ ლოცულობს ასე მხურვალედ, რომ მდიდარია და არაფერი აკლიაო. გამოსაცდელად ღმერთმა იობს წყალობა აღარ მისცა; ერთ დღეში მრავალი განსაცდელი დაატყდა თავს, მაგრამ იობს ღვთის მადლიერება არ შეუწყვეტია და არც ფულის იმედი დაუკარგავს. ეშმაკმა კვლავ მიმართა ღმერთს: იობი იმიტომ არ გგმობს, რომ მის ხორცს ტკივილი არ უგრძნია. ღმერთმა იობს ავადმყოფობაც მოუვლინა, თუმცა, ვერც ამან შეარყია მისი რწმენა. მიუხედავად მრავალი დაუმსახურებელი განსაცდელისა, იობი ყოველივეს მორჩილად და უდრტვინველად იტანდა და არც სულიერი სიმშვიდე დაუკარგავს. რაკი იობის რწმენა ვერავითარმა განსაცდელმა ვერ შეარყია, სულ მალე იობი კვლავ ბედნიერ ადამიანად იქცა. აქედან ჩანს, რომ განსაცდელის უდრტვინველად და მადლიერებით დამთმენნი ღვთისგან მადლსა და შეწევნას მიიღებენ. ამიტომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ განსაცდელთა მოვლინებით უფალს ჩვენი ტანჯვა და წამება სურს, არამედ ყოვლად ბრძნულად გვაძლევს მათ ჩვენივე სულის საკურნებლად. თვით მწუხარებაც კი, მწარე წამლის მსგავსია, რომელიც ჩვენი სულის მომაკვდინებელი წყლულების საკურნებლად გვეძლევა: „ოქრო განიწმინდება ცეცხლით, ხოლო სული განსაცდელითა და მწუხარებით, განსაცდელი ბოროტება კი არაა, არამედ სიკეთეა“, — ბრძანებს წმინდა იოანე ოქროპირი.

რა შეიძლება მოჰყვეს განსაცდელთა დაუთმენლობას?

ამას ხშირად მოსდევს მრისხანება, მოწყენილობა და ნაღველი. ზოგჯერ ადამიანი იმდენად განიცდის მომხდარს, რომ სასოწარკვეთილებაში ვარდება, რასაც ხშირად მოჰყვება ფსიქიკური აშლილობა ან უმძიმესი და უპატიებელი ცოდვა, როგორიცაა თვითმკვლელობა. გარდა ამისა, განსაცდელთა დაუთმენლობას შეიძლება მოჰყვეს ღვთის სამართლიანობაში დაეჭვება და ღვთის გმობაც კი (ვასაჭირში მყოფთაგან ხშირად გვსმენია გამოთქმები: ღმერთი უსამართლოა, თორემ მე ეს არ უნდა დამმართვოდა; ღმერთი რომ არსებობდეს, ეს არ შემემთხვეოდა, — ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ღვთის გმობა და დაეჭვება მის სამართლიანობაში). განსაცდელთა დაუთმენლობის გამო, შესაძლოა, უფრო მძიმე განსაცდელიც შეგვემთხვას და რაც მთავრია, ღვთის განსაცდელთა დაუთმენლად, ადამიანი ცათა სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებს.

მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანული სარწმუნოება ადამიანისგან მოითხოვს განსაცდელთა დათმენას და შეგნებას იმისას, რომ ასეთია ღვთის ნება, ფაქტის წინაშე დამდგარ — ეი. განსაცდელში ჩავარდნილ ადამიანთა უმეტესობას უჭირს, იხელმძღვანელოს ამ სიბრძნით, მით უმეტეს, მადლობა შესწიროს უფალს განსაცდელის მოვლინების გამო... ეს ძირითადად, ურწმუნო ან მცირედ მორწმუნე ადამიანებს უჭირთ, რადგან მათ ასეთ ვითარებაში ავიწყდებათ ღმერთის არსებობა და არ მოუხმობენ მას შემწედ ან საერთოდ უარყოფენ ღმერთს. ჭეშმარიტად მორწმუნე ადამიანებს კი გაცილებით უადვილდებათ განსაცდელის დათმენა, რადგან მაღალი სულიერების ადამიანებმა იციან, თუ რა გზით და რა საშუალებებით გაუმკლავდნენ და სძლიონ განსაცდელს. აი, როგორი ლოცვებით მიმართავდნენ ოპტინელი მამები უფალს ყოველდღიურად: „ღმერთო, მომეც ძალა, რათა სულიერი სიმშვიდით შევეგებო ყოველივეს, რასაც მომიტანს დღევანდელი დღე“; „რა ამბავიც არ უნდა შევიტყო მთელი დღის განმავლობაში, მსწავლე მივიღო იგი სულიერი სიმშვიდითა და მყარი რწმენით, რომ ყოველივე შენი წმინდა ნებითაა, ყოველ ჩემს საქმესა და სიტყვაში — მიწინამძღვრე ჩემს აზრებსა და გრძნობებში. ყველა გაუთვალისწინებელ შემთხვევაში არ მომცე უფლება დავივიწყო, რომ ყოველივეს შენ მიგზავნი“. თუკი ადამიანი ყოველდღიურად გულმხურვალედ წარმოთქვამს ამ ლოცვებს, ერთბაშად თუ არა, ნაბიჯ-ნაბიჯ, მაინც მიაღწევს იმას, რომ განსაცდელის მოვლინების ჟამს შეინარჩუნოს სულიერი სიმშვიდე და მადლიერებით დაითმინოს ყოველივე უფლისგან მოვლენილი.

რა შეიძლება გავაკეთოთ უშუალოდ განსაცდელის ჟამს?

ასეთ დროს შეიძლება ვიკითხოთ ფსალმუნები, განსაკუთრებით 90-ე ფსალმუნი, ვიგალობოთ ან ვიკითხოთ საგალობლები, რადგან მათი კითხვა გულს ათბობს, სიხარულით ავსებს და სულს სიმშვიდეს ანიჭებს. შეიძლება ვიკითხოთ „მამაო ჩვენო“ ან შემდეგი ლოცვა: „ღმერთო, შეწევნასა ჩემსა მომხედენ, უფალო შეწევნად ჩემდა ისწრაფვე“. ასევე შეიძლება განუწყვეტლივ ვიმეოროთ „იესოს ლოცვა“. მთავარია, არ დავკარგოთ უფლის იმედი და გავითვალისწინოთ, რომ უფალი ყოველგვარ ვითარებაში შეგვეწევა და გვაპოვნინებს გამოსავალს. თუკი შევატყობთ, რომ ვერ ვუმკლავდებით განსაცდელს და გვიჭირს მისი დათმენა, აუცილებლად უნდა მივმართოთ სულიერ მოძღვარს ან რომელიმე ღვთისმსახურს, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოგვცემს სათანადო რჩევა-დარიგებას და გვიჩვენებს იმ გზებს, რომელთა საშუალებითაც მოვახერხებთ განსაცდელის დაძლევას. ■

ვფიქრობ, ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობები მრავალ საუკუნეს ითვლის. ალბათ ამანაც განაპირობა, რომ დღეს ყველაზე მეტი ე.წ. ემიგრანტი საქართველოდან რუსეთის სხვადასხვა ქალაქში ცხოვრობს. სწორედ ამ ფაქტორს გვადენენ ცხვირში ძმრად რუსი პოლიტიკოსები, როდესაც საქმე მათი „ნარჩენებისგან" საქართველოს გათავისუფლებას ეხება. შესაძლოა, გულმავიწყობის ბრალია, მაგრამ არავის გახსენებია ის რუსი ეროვნების მოქალაქეები, ვისთვისაც უკვე წლებია, საქართველო ქცეულა სამშობლოდ. შურა ბებო საქართველოში მეორე მსოფლიო ომის დროს ჩამოვიდა, ქართული ოჯახი შექმნა და ისეთი ხინკლის მოხვევა ისწავლა, ბევრ ქართველ ქალს რომ შეშურდება.

შურა ბებო დასთან გალინასთან ერთად

„ახ ეოუეეანილი სიეინდი ეიჩჩევნია, ჩოსტოვეი ეოსეულ ეგესუეგიჩას...“

ემა ტუხიაშვილი

– დავიბადე 1927 წელს, როსტოვის მხარეში, სოფელ დევიატკინოში. შურას მოვერებით მეახიან, ჩემი ნამდვილი სახელი კი ალექსანდრა ატლანოვა გახლავთ. მამაჩემი სოფლის მეურნეობაში აგრონომად მუშაობდა, დედა კი დიასახლისი იყო. საქართველოს შესახებ მხოლოდ გეოგრაფიის გაკვეთილებზე მქონდა მოსმენილი. სხვათა შორის, მეზობელ სოფელში ცხოვრობდა ცნობილი რუსი მწერალი მიხაილ შოლოხოვი. სახლში უზარმაზარი ბიბლიოთეკა ჰქონდა, ამიტომ ბავშვები ამა თუ იმ წიგნის წასაკითხად ან უბრალოდ გაკვეთილის მოსამზადებლად მის ბიბლიოთეკაში ხშირად ვიკრიბებოდით. ლიტერატურა სკოლაში ჩემი საყვარელი საგანი იყო, საერთოდაც, ვიდრე ომი დაგვატყდებოდა თავს, ფრიადოსანი ვიყავი. ამის გამო მიხეილ შოლოხოვმა ახალი სასკოლო სახელმძღვანელოების მთელი წყება მაჩუქა. კარგად მახსოვს, რომ წიგნების გარდა შოლოხოვის კარ-მიდამოში „ავჩარკის" ჯიშის ძაღლების სიმრავლე მოგხვდებოდა თვალში, თურმე მწერალს ამ ჯიშის ძაღლები განსაკუთრებულად უყვარდა.

ქალბატონი შურა შვილებთან ერთად

— მეორე მსოფლიო ომმა სად მოგისწროთ?

– როდესაც ომის დაწყების შესახებ გავიგეთ, სკოლაში ვსწავლობდი. მამაჩემი ახლომხედველი იყო, ამიტომ ფრონტის წინა ხაზზე არ წაიყვანეს და შრომითი ბატალიონის ხელმძღვანელობა მიანდვეს. როგორც მახსოვს, მათ ევალებოდათ სანგრების გათხრა და სხვა მსგავსი სამუშაოების შესრულება. 1942 წლის ზამთარში კი, ჩვენი სოფლის თავზე გერმანულ და საბჭოთა გამანადგურებლებს შორის შეტაკება მოხდა. ბავშვები გაკვეთილებზე ვიმყოფებოდით, როდესაც ციდან ტყვიების წვიმა წამოვიდა. ამ შეტაკების შედეგად ნახევარი სოფელი ამოწყდა, გადარჩენილებმა კი სარდაფებს შევაფარეთ თავი. ბრძოლის შემდეგ, სოფელი ნანგრევების გროვას დაემსგავსა, ამიტომ იმ სახლებში, სადაც ჯერ კიდევ შეიძლებოდა ცხოვრება, 3-4 ოჯახი ერთად შესახლდა. ასე გადავიტანეთ ზამთარი, რა თქმა უნდა, აღარც სკოლა არსებობდა და აღარც ჩვენი წიგნები. გაზაფხულზე კი გერმანელები მდინარე დონს მიუახლოვდნენ, ეს მდინარე კი ჩვენს სოფელში ჩამოდიოდა. გერმანელებს შეტევაზე სურდათ გადმოსვლა, მაგრამ მდინარის გადმოლახვაში ხელს ჩვენს სოფელში გამაგრებული წითელი არმია უშლიდა. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ასე ორცეცხლშუა, სოფლის მოსახლეობამ თითქმის წელიწადი გავატარეთ. ისევ ჩავედით სარდაფებში და ერთადერთი საკვები, რაც გაგვაჩნდა, კალოდან წამოღებული ხორბალი იყო. ამ არეულობაში დედაც დავკარგე და მე და ჩემი 2 წლის და, სრულიად მარტონი, თანასოფლელების იმედად აღმოვჩნდით. მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ერთადერთი საზრდო ხორბალი იყო, რომელსაც უმად ვღეჭავდით და ისიც კი გვეგემრიელებოდა. ჩემი და თავისი პატარა კბილებით ხმელ ხორბლის მარცვლებს ვერ უმკლავდებოდა, ამიტომ ჯერ მე ვღერღავდი მას კბილებით, შემდეგ კი ფაფის მსგავსი მასით პატარას ვკვებავდი. მახსოვს, რომ ერთ-ერთ სარდაფში რუსი ოფიცრების ნასუფრალზე მოვხვდით, მაგიდაზე შაქრისა და თეთრი პურის ნამცეცები ეყარა. მე უკვე დიდი ვიყავი, ალბათ, ამიტომ შიმშილს სიამაყის გრძნობამ სძლია და ნანატრ ნამცეცებს მხოლოდ ალმაცერად შევცქეროდი, ჩემი პატარა და კი „ნუგბარს" სველი თითით იღებდა და

სხვათა შორის, ჩემი აღსაზრდელი იყო სერგო ორჯონიკიძე, იგივე ზურიკელა, ფილმში – „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“...

პირში იყრიდა. რამდენჯერმე ჩემი და სამხედრო ჩაჩქანშიც კი ვაბანავე. მეც ბავშვი ვიყავი, ამიტომ მიჭირდა მისი მოვლა, ვიღლებოდი ძალიან და ამას ჩემი დაც ხვდებოდა, ამიტომ მეკითხებოდა ხშირად: „Папы нету, мамы нету, ты не бросиш меня?“.

— დედა როდის იპოვეთ?

– დედაჩვენს მხოლოდ 6 თვის შემდეგ შევხვდით, ძლივს ვიცანით, ისე შეცვლილიყო დარდისა და შიმშილისგან. ომის დამთავრების შემდეგ კი სოფელში მამაც დაბრუნდა. მშვიდობამ კი დაისადგურა, მაგრამ აღარც სახლი გვქონდა და არც იმის იმედი, რომ ვიღაც დაგვეხმარებოდა. მამამ გვიამბო, რომ შრომით ბატალიონში ერთი მცხეთელი კაცი გაუცნია, რომელიც საქართველოში ჩამოსვლის შემთხვევაში, ჩვენს ოჯახს სამუშაოსა და თავშესაფარს დაჰპირებია. მამამ ეს ამბავი რამდენიმე მეგობარს გაუზიარა და რუსეთიდან საქართველოში 6 ოჯახი გამოვემგზავრეთ. მთელი ეს მანძილი სატვირთო მატარებლით დავფარეთ, გაუსაძლისი პირობები იყო, მაგრამ უკეთესი ცხოვრების მოლოდინი ყველაფერს გვატანინებდა. საქართველოში ჩამოსულები მცხეთის რაიონში სოფელ მუხრანში დავსახლდით და აგერ უკვე 60 წელია, მუხრანელი ქალი ვარ, მჭადის ჭამაც ვისწავლე და ხინკლის მოხვევაც.

— თქვენი მშობლებიც საქართველოში დარჩნენ საცხოვრებლად?

– დედაჩემი აქ, სოფელ მუხრანშია დაკრძალული. ჩვენგან განსხვავებით, ის ქართულად არ ლაპარაკობდა, თუმცა შესანიშნავად ესმოდა ყველაფერი. თბილი ქალი იყო, ამიტომაც მოფერებით ყველა ბებუსიას ეძახდა. რაც შეეხება მამას, ის 1953 წელს თავის სამშობლოში, როსტოვის მხარეში გარდაიცვალა. როგორც გითხარით, მამა განათლებული კაცი იყო და აგრონომად მუშაობდა, მუხრანში კი ყარაულის ადგილს უნდა დასჯერებოდა, თავის „თანამდებობაზე“ ხშირად ხუმრობდა კიდეც და ნაცნობ-მეგობრებს სწერდა რუსეთში: „Мой адрес: станция Ксани, село Мухрани. Служу в охране“. მე და ჩემმა დამ კი ცხოვრება საქართველოს დავუკავშირეთ, მე მუხრანში შევქმენი ოჯახი, გალინა კი სამეგრელოში გათხოვდა. ხალხს ჩემი ქართული აკვირვებს: რა კარგად ლაპარაკობო, თქვენ ჩემი დის მეგრული უნდა მოისმინოთ, „კარენნოი“ ზუგდიდელი გეგონებათ. ცოტა რამ ჩემი დის შესახებაც მინდა გიამბოთ. ის ველოსპორტით იყო გატაცებული და რამდენიმე წლის განმავლობაში სპორტის ამ სახეობაში საქართველოს ჩემპიონიც იყო, სხვა ქვეყნებში კი საქართველოს სახელით ასპარეზობდა.

ხალხს ჩემი ქართული აკვირვებს: რა კარგად ლაპარაკობო, თქვენ ჩემი დის მეგრული უნდა მოისმინოთ, „კარენნოი“ ზუგდიდელი გეგონებათ... შრომის არაერთი ორდენით ვარ დაჯილდოებული...

— ოჯახის მოვლისა და შვილების აღზრდის გარდა, კიდევ რას საქმიანობდით?

– თავდაპირველად, საბავშვო ბაღში ვმუშაობდი აღმზრდელად, მე ქართველ ბავშვებს რუსულს ვასწავლიდი, მათგან კი ქართულ სიტყვებს ვსწავლობდი. სხვათა შორის, ჩემი აღსაზრდელი იყო სერგო ორჯონიკიძე, იგივე ზურიკელა, ფილმში – „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. მისი მშობლები იმ დროს მუხრანში მუშაობდნენ. დედა ექიმი იყო, მამა კი სოფლის მეურნეობის სპეციალისტი. წარმოშობით ხარაგაულიდან იყვნენ. ამიტომ ზამთარში ბევრი ხურმა ჩამოჰქონდათ და ხშირად მიმასპინძლდებოდნენ. წლების წინ, მუხრანში იყო საცდელი მეურნეობა, სადაც ზაფხულობით სტუდენტები გადიოდნენ პრაქტიკას. მოგვიანებით, მართალია, აშენდა მათთვის საცხოვრებელი კორპუსი, მანამდე კი ზოგი ახლობლებთან, ზოგი კი ქირით ცხოვრობდა. სტუდენტობის პერიოდში ჩვენს სახლში მეგობრებთან ერთად ჯუმბერ პატიაშვილი ცხოვრობდა. მისი გუნდი ყოველთვის მოწინავე იყო ნორმებისა თუ სხვა დავალებების შესრულების თვალსაზრისით, ამიტომ გამარჯვებულის დროშა სულ ჩვენი სახლის სახურავზე ფრიალებდა. წლების განმავლობაში გახლდით მუხრან-ბატონის სასახლის კომენდანტი. იმ დროს სასახლეში დაცული იყო მუხრანელი ბაგრატიონების ნაქონი ნივთები: თეთრი ავეჯი, როიალი, ჭურჭელი, ხალიჩები. უამრავი დამთვალიერებელი სტუმრობდა სასახლეს, რამდენიმე რუსმა რეჟისორმა ამ სასახლის კედლებსა და პარკში ფილმიც გადაიღო. ეს არეულობის დროს კი, სასახლეში გვარდიელები დაბინავდნენ და ნივთებიც უკვალოდ გაქრა... შრომის არაერთი ორდენით ვარ დაჯილდოებული, ახლა ხშირად ხუმრობენ ამაზე, მაგრამ იმ დროს „სტახანოველობა“ ძალიან საამაყო იყო.

— როსტოვის მხარეში დაბრუნების სურვილი არ გქონიათ?

– 60 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ვიყავი შვილებთან ერთად, ჩემს სოფელ დევიატკინოში. ბავშვებს დონი ვუჩვენე და მამიდა მოვინახულე. საქართველოა ჩემი სამშობლო და აქ მოყვანილი სიმინდი მირჩევნია როსტოვში მოსულ მზესუმზირას. შვილიშვილები ხშირად დამცინიან იმის გამო, რომ ჯერ კიდევ „საკარტველოს“ ვამბობ, თუმცა სამშობლოსადმი ჩემი სიყვარული იმაშიც ვლინდება, რომ უმცროსებმა რუსულად ერთი სიტყვაც არ იციან. ახლა, როდესაც ქართულ-რუსულ ურთიერთობებში ბზარი გაჩნდა და რუსეთში მყოფ ქართველებზე მავანნი თითით მიანიშნებენ, იმდენი კეთილგონიერება მაინც უნდა ეყოთ, რომ წამით მაინც დაფიქრდნენ საქართველოში მცხოვრებ რუსებზე. როგორც ხედავთ, თავის დროზე რუსეთიდან მეც გაჭირვებას გამოვექეცი. გვაცადონ ცოტა ხანს, ღმერთის იმედით ჩვენი ქვეყანაც დადგება ფეხზე და კიდევ ბევრ რუსს მოუნდება ქართული ოჯახის შექმნა. ■

ოლიმპიური ჩემპიონის მედალს თურქეთში გაყიდვას უპირებდნენ

გელა კეტაშვილი სიკვდილს გია ყარყარაშვილმა გადაარჩინა

ფეხბურთში ერთადერთ ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონს გელა კეტაშვილს საკუთარმა ქვეყანამ გარჯა ნამდვილად ვერ დაუფასა. საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროში მომუშავე კეტაშვილი კორუფციაში დაადანაშაულეს და თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ამ ბრალდებამ ბატონი გელა დეპრესიაში ჩააგდო და ოჯახთან ერთად საქართველოს დატოვებაც კი გადაწყვიტა. თან კეტაშვილმა, სახელმწიფო მუზეუმში დაცული თავისი ოლიმპიური მედლის უკან დაბრუნებაც მოითხოვა. გასათვალისწინებელია, რომ ყოფილი ფეხბურთელი თავად მივიდა პოლიციის მაღალჩინოსნებთან და მისი ბრალეულობის დამტკიცების შემთხვევაში, არც ციხეში ჩაჯდომაზე უთქვამს უარი. მაგრამ კეტაშვილის ბედ-ილბლით არავინ დაინტერესებულა და იგი ამჟამადაც უმუშევარია.

გიორგი ლანჩავა

კარიერის დასაწყისი და ბლოხინთან ჩაბარებული „გამოცდა"

– ნაძალადევში ვარ დაბადებულ-გაზრდილი და დილიდან საღამომდე ეზოში ბურთს დავდევდი. მამაჩემი ფეხბურთზე ფანატიკურად იყო შეყვარებული და როდესაც 7 წლის გავხდი, გაზეთი „ლელო" მაჩვენა, სადაც ეწერა, რომ „ნორჩი დინამოელის" საფეხბურთო სკოლა ბავშვების მისაღებად კონკურსს ატარებდა. ამ კონკურსში მივიღე მონაწილეობა და სერგო კოტრიკაძემ სკოლაში მიმიღო. ჩემი პირველი მწვრთნელი, აწ გარდაცვლილი სერგო აპრესიანი იყო, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ჩემს ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში. თავიდან თავდასხმაში ვთამაშობდი და ყველა ტურნირში, სადაც ჩვენი გუნდი მონაწილეობდა, საუკეთესო ბომბარდირი ვხდებოდი. 1982 წელს, ქუთაისის „ტორპედოს" მთავარმა მწვრთნელმა მურად წივწივაძემ გუნდში მიმიწვია და საშუალო სკოლის დამთავრება ქუთაისში მომიხდა. „ტორპედოს" ძირითად შემადგენლობაში დებიუტი კიევის „დინამოსთან" შეხვედრისას მქონდა. მატჩის წინ, გუნდის მარჯვენა მცველი გიორგი გვაძაბია ავად გახდა და ცხონებულმა გივი ნოდიამ გადაწყვიტა, ამ პოზიციაზე დავეყენებინე, მაშინ კიეველთა ლეგენდარული თავდასხმელის ოლეგ ბლოხინის წინააღმდეგ მომიწია თამაშმა და ქუთაისელ გულშემატკივარს ის შეხვედრა დღესაც ემახსოვრება, რადგან კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩავატარე. ბლოხინს ბურთის პირველსავე მიღებაზე ფეხებში ისე ჩავუვარდი, რომ სარბენ ბილიკზე გადავაგდე. იგი გაკვირვებული მიყურებდა და ალბათ, ფიქრობდა: შე ლაწირაკო, ეს რა გამიკეთეო?!. საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრებთან ერთად მაშინდელ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გავემგზავრე და ეს ჩემი პირველი გასვლა იყო საზღვარგარეთ. სულ სხვა სამყაროში მოვხვდი და ბუნებრივია, ნანახმა გამაკვირვა. მიუხედავად იმისა, რომ სახარჯოდ ნაკრებში ბევრ ფულს არ გვაძლევდნენ, ხელი არაფერზე წამცდენია. არადა, გუნდში ორი ხარკოველი ბიჭი იყო, რომელმაც გერმანიაში უნივერმაღში იქურდა. ისინი პოლიციამ დააკავა და ამ

გელა კეტაშვილი
საბჭოთა კავშირის ნაკრებში

ამბის გამო სასტუმროში, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, საშინელი პანიკა ატყდა. პოლიციიდან მათ გამოსაშვებად საქმეში საბჭოთა კავშირის საელჩო ჩაერია.

მოწინააღმდეგეს თავი დაანებეთ – კეტაშვილი აიყვანეთო!

– 1983 წელს, ქუთაისში თბილისის „დინამოს" ვხვდებოდით და „ტორპედოს" მთავარმა მწვრთნელმა თემურ გრძელიშვილმა ვლადიმერ გუცაევის პერსონალურად მეურვეობა დამავალა. ის თამაში საკმაოდ კარგად ჩავატარე და სეზონის დასრულების მერე, „დინამოში" აღმოვჩნდი. გუნდში ჩემი მისვლა „დინამოდან" ნოდარ ახალკაცის წასვლასა და მთავარ მწვრთნელად დავით ყიფიანის დანიშვნას დაემთხვა. გუნდში პირველი ოფიციალური მატჩი კიევში ჩავატარე, სადაც საბჭოთა კავშირის თასზე ადგილობრივ არმიის სპორტულ კლუბს შევხვდით. ის შეხვედრა, რომელიც გაყინულ მოედანზე გაიმართა, 3:0 მოვიგეთ და საკუთარი დებიუტი გოლით აღვნიშნე. „დინამოში" ადაპტაცია არ გამჭირვებია და ამაში ვლადიმერ გუცაევიც დამეხმარა, რომელიც დიღმის საწვრთნელი ბაზის ოთახში ჩემთან ერთად ცხოვრობდა. გუნდში უკვე კარგად რომ მოვიკიდე ფეხი, მახსოვს, დნეპროპეტროვსკში ადგილობრივ „დნეპრს" თავსხმა წვიმაში ვეთამაშებოდით. ერთ მომენტში ლიტოვჩენკომ მარჯვენა ფრთიდან გამჭოლი გადაცემა გააკეთა და ვინაიდან, აშკარად წამგებიან პოზიციაში ვიმყოფებოდი, გადავწყვიტე, ვარდნაში ჩამეჭრა ბურთი, მაგრამ ჩვენი კარის მიმართულებით მომეჭრა და ოთარ გაბელიამ სასწაულებრივ ნახტომში აშკარა გოლისგან გვიხსნა... ფეხზე რომ წამოდგა, ხელთათმანიანი ხელები დაიფერთხა და „დინამოს" სხვა მცველებს უთხრა: „დნეპრის" თავდამსხმელებს თავი დაანებეთ – კეტაშვილი აიყვანეთო!..

ლენინგრადის „ზენიტთან" გასვლით შეხვედრაში რამაზ შენგელია შეცვლაზე შემოსასვლელად ემზადებოდა და აუტის ხაზთან მოთელვას აკეთებდა. ამ დროს იმ ფლანგზე, სადაც შენგელია იმყოფებოდა, გოჩა გოგრიჭიანი აღმოჩნდა ბურთიანად. გოჩამ რომ დაინახა, რამაზმა აჩქარება გააკეთა, ბურთი გადააწოდა და თან დაუძახა: „კედელი" მეთამაშე ბიჭოო. აუტის ხაზს იქით მდგომმა შენგელიამ ბურთი გააჩერა და სიცილი აუტყდა. ტრიბუნებზე ამას რა ამბავი მოჰყვებოდა, თქვენც კარგად მოგეხსენებათ.

ტრავმები, ტრავმები, ტრავმები...

– საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე ყველაზე მძაფრი დაპირისპირება მოსკოვის „ტორპედოს" ფორვარდ კობზევთან მქონდა,

რომელმაც ხელის ნეკა თითი სამუდამოდ დამისახიჩრა. „ტორპედოს“ სტუმრად, გაყინულ მოედანზე ვეთამაშებოდით და მაღალი ბურთისთვის ორთაბრძოლა კობზევს მოვუგე. ორივენი მიწაზე დავეცით, მაგრამ მეტოქემ წამოდგომა დამასწრო და ფეხი თითის მყესზე დამაჭირა, თან მოატრიალა. როცა თითი ყინულიდან ამოვგლიჯე, იგი ხელის მტევანზე იყო გადმოწოლილი. მოტეხილი თითი მეორე ხელით გადმოვწიე და ჩემი ჭკუით, ვითომ ადგილზე ჩავსვი. მას მერე, ნეკზე ფრჩხილი აღარ მეზრდება... დნეპროპეტროვსკში თამაშისას ოლეგ პროტასოვი, რომელიც ფიზიკურად ძალიან ძლიერი იყო, იმ მომენტში დამეჯახა, როდე-

საც ცალი ფეხი ჰაერში მქონდა და – ხელის მოხრაც ვეღარ მოვასწარი. მაშინ მინდორზე დაცემულს ლავიწის ძვალი მომტყდა. როდესაც მხარი მოვირჩინე და პროტასოვს საბჭოთა კავშირის ნაკრებში კვლავ შევხვდი, მან ის ეპიზოდი გაიხსენა და გამეხუმრა: კეტა, შენ რა, ტანკის ქვეშ ხტებოდიო?.. იუნიორებს შორის ევროპის ჩემპიონატის ფინალში, რომელიც მოსკოვში ჩატარდა, მატჩის მე-16 წუთზე მყესი გამიწყდა და თამაშს ნაადრევად გამოვეთიშე. იმ შეხვედრის რეპორტაჟი ვლადიმერ მასლაჩენკოს მიჰყავდა და მას ასეთი რამ უთქვამს: მოედნიდან კეტაშვილის გასვლა, ჩვენი გუნდისთვის დიდი დანაკლისიაო. ის ფინალი უნგრელებთან დავთმეთ, მაგრამ ევროპის ჩემპიონატზე საუკეთესო მცველად მაღიარეს. ამის შემდეგ, ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატზე ვითამაშე, სადაც გუნდის კაპიტანი ვიყავი და ამის შემდეგ, ანატოლი ბიშოვეცმა ოლიმპიურ ნაკრებში მიმიწვია. ოლიმპიურ გუნდში მხოლოდ ორი შესარჩევი მატჩი ვერ ჩავატარე, რადგან ძალიან რთული ოპერაცია გადავიტანე. 1988 წელს, სეულის ოლიმპიადის წინ, თბილისში „დინამო“ ხარკოვის „მეტალისტს“ ხვდებოდა და მეტოქის რიგებში მოთამაშე ბოიკომ მარჯვენა ფეხის კოჭი მომტეხა. ტრავმა იმდენად სერიოზული იყო, რომ სეულში ჩემი წასვლა ფაქტობრივად, გამოირიცხა. თან ეს ეპიზოდი „საფეხბურთო მიმოხილვაში“ აჩვენეს და საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ვიაჩესლავ კოლოსკოვმა ოლიმპიური გუნდის სიიდან ამომიღო. ალბათ, ანატოლი ბიშოვეცს გუნდში იმდენად ვჭირდებოდი, რომ მეორე დღესვე, თბილისში, ოლიმპიური საფეხბურთო ნაკრების ექიმი ზურაბ ორჯონიკიძე გადმოფრინა. მან გასინჯვის შემდეგ, სამკურნალოდ მოსკოვში წამიყვანა და ბოლოს, სეულში მაინც გავემგზავრე. ოლიმპიადაზე ყოველი მატჩის წინ, გამაყუჩებელ ნემსს მიკეთებდნენ და კოჭზე ამერიკულ პლასტირს მახვევდნენ. ფაქტობრივად, ფეხს ვერ ვატრიალებდი. ჩემი საცოდაობა უნდა გენახათ, როდესაც თამაშის შემდეგ, წამლის მოქმედების დრო გავიდოდა, ისეთ ტკივილს განვიცდიდი, ლამის იყო, კედლებზე მერბინა.

ბიშოვეცის საჩუქარი და ნაადრევი სიხარული

– სეულის ოლიმპიადაზე მოსკოვის „დინამოს“ მარჯვენა მცველ ლოსევთან „ორი ნომერი“ მაისურის ჩაცმაზე შეხლა-შემოხლა მომივიდა. ლოსევი გუნდის კაპიტანი იყო და ამბობდა, რომ ეს მაისური მას უნდა რგებოდა. მე ვუთხარი: შე უპატრონო, ბავშვობიდან „ორი ნომერი“ მაცვია და აქ რატომ უნდა დაგითმო?! თუ ამ მაისურს აიღებ, სახლში მივდივარ-მეთქი. საბოლოოდ, ეს პრობლემა ანატოლი ბიშოვეცმა მოაგვარა, რომელმაც ლოსევს აუხსნა, რომ ჭაბუკთა ნაკრებიდან მოყოლებული, ასეთი ნომრიანი მაისურით ვასპარეზობდი. ოლიმპიადის ნახევარფინალში იტალიელებს შევხვდით და ერთ-ერთ ეპიზოდში მოწინააღმდეგის თავდამსხმელი რიციტელი ჩვენს მეკარესთან პირისპირ რომ არ დარჩენილიყო, მთელი ძალით ფეხი ფეხში ჩავარტყი. ამას დღესაც სინანულით ვიხსენებ, რადგან რიციტელის საშინელი ტკივილი მივაყენე, მაგრამ მაშინ ამაზე არ ვფიქრობდი. ჩემკენ წამოსულ მსაჯს ჯიბეზე ვუყურებდი და როდესაც მან ყვითელი ბარათი ამოიღო, გავიფიქრე: ავაშენა ღმერთმა-მეთქი, რადგან არბიტრმა არ გამაძევა. იტალიელებთან თამაშის დღეს, 27 სექტემბერს, ჩემი დაბადების დღე იყო, ხოლო პირველ ოქტომბერს, ოლიმპიადის ფინალი გახლდათ დანიშნული. გემზე, სადაც ჩვენი გუნდი ცხოვრობდა, ასევე საბჭოთა კავშირის ცნობილი მომღერლები და მსახიობები იმყოფებოდნენ. მომსახურე პერსონალს კი 147 ახალგაზრდა გოგონა შეადგენდა. ფინალის წინ, ბიშოვეცმა საკუთარ კაიუტაში დამიძახა და მითხრა, რომ დაბადების დღისთვის ჩემთვის საჩუქარი ჰქონდა გამზადებული. ბუნებრივია, გამიხარდა, რადგან ვიფიქრე, ბიშოვეცი რაიმე ნივთს მაჩუქებდა. მან კი შემომხედა და ასეთი ფრაზა თქვა: რომარიოს გჩუქნი – პერსონალურად აიყვანო!.. ამის გაგონებაზე თავში ხელი შემოვიკარი, რადგან, რომარიოს წინააღმდეგ თამაში, ნებისმიერი მცველისთვის უდიდეს სირთულეს წარმოადგენდა. რამდენი თავდამსხმელი ამიყვანია, მაგრამ მსგავსი არაფერი მინახავს. საკმარისი იყო, წამით ბურთისკენ გამეხედა, რომ რომარიო მყისვე ჩემ ზურგს უკან აღმოჩნდებოდა. თამაშის დასრულებისას ბუცებზე არც ერთი „შიპი“ აღარ მქონდა და ფეხებიდან „ბოლი გამდიოდა“. მეორე გოლი პირველი დამატებითი ტაიმის ბოლო წუთზე გავიტანეთ და ისეთ ეიფორიაში ვიყავი, დამავიწყდა, მეორე დამატებითი ტაიმიც რომ სათამაშო გვქონდა. გახარებული დავრბოდი და ვყვიროდი: „მოვიგეთ. მოვიგეთ!“ თანაგუნდელები გაკვირვებული მიყურებდნენ და მეკითხებოდნენ: რამ გაგახარაო?.. მათ ვპასუხობდი: ჩემპიონები გავხდით და არ გიხარიათ-მეთქი?!. მერე, ერთ-ერთმა მითხრა: შენ ხომ არ გაგიჟდი?!. კიდევ 15 წუთი რომარიოსთან ერთად სარბენი გაქვსო!.. მეორე დამატებითი დრო, ჩემი ცხოვრების 15-წუთიანი კოშმარი აღმოჩნდა, რომელსაც ყველამ გავუძელით და ჩემპიონები გავხდით. გემზე როდესაც დავბრუნდით, ერთი ქალი დაგვახვედრეს, ტრადიციული რუსული პურითა და მარილით. სხვა გოგოების ჭაჭანება არ იყო. გემის კაპიტანს მიშოვს მომსახურე პერსონალი კაიუტებში ჩაუკეტავს. მე, დობროვოლსკი და მიხაილიჩენკო მიშოვს კაიუტაში შევუცვივდით და ვუთხარით: ჩემპიონები გავხდით და შენ რას შვრებითქო?! ამის მერე, კაპატანმა მეგაფონით დაიძახა: აბა, გოგოებო, უნდა მოვილხინოთო! შემდეგ რაც მოხდებოდა, თქვენც კარგად მიხვდებით... იმ გემზე ჩვენთან ერთად იყვნენ გენადი ხაზანოვი, ალა პუგაჩოვა, ვლადიმირ ვინოკური და გამარჯვება ყველამ ერთად აღვნიშნეთ. ოლიმპიური ჩემპიონობისთვის, სეულში თითოეულ ფეხბურთელს 6.430 დოლარი მოგვცეს. მოსკოვში ჩამოსულებს 11.200 მანეთთან ერთად „გაზ-24“-ის ტალონები დაგვირიგეს, რომ ავტომანქანები გვეყიდა. თან იმ ქალაქებში, სადაც ნაკრების წევრები ვცხოვრობდით, პერსონალურად ჩვენთვის აწყობილი „ვოლგები“ გამოგვიგზავნეს. მე თეთრი ფერის „გაზ-24“ მერგო, რომლის საჭის მარჯვნივაც ჩემი სახელი და გვარი იყო ამოტვიფრული. ის „ვოლგა“ 3 თვეში ისე დავამტვრიე, რომ აღარც გაკეთდებოდა...

ყარიერაზე ხაზის გადასმა

— როდესაც საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება გადაწყდა, ვალერი ლობანოვსკი დღეში ათჯერ მირეკავდა, რომ კიევის „დინამოში“ გადავსულიყავი და საბჭოთა კავშირის ნაკრებში მეთამაშა. ხან კი ახრიკ ცვეიბას არეკვინებდა, რომელიც მაშინ უკვე თამაშობდა მის გუნდში. ლობანოვსკი მეუბნებოდა, რომ ნაკრების ძირითადი შემადგენლობისთვის ვჭირდებოდი და კიევში ყველაფრით უზრუნველყოფილი ვიქნებოდი. ლობანოვსკი იმასაც კი მთავაზობდა, რომ 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მეთამაშა და თუ ჩემი სურვილი იქნებოდა, შემდეგ ისევ საქართველოში დავბრუნებულიყავი. მაგრამ აქ ძალიან მძიმე პოლიტიკური სიტუაცია იყო და ისეთი ხმებიც მომივიდა, რომ თუ საქართველოს ფარგლებს გარეთ სათამაშოდ წავიდოდი, ერის მღალატედ გამომაცხადებდნენ. ცხადია, ასეთი რამ არ მსურდა. ლობანოვსკის წინადადებაზე უარის თქმით, საკუთარ საფეხბურთო კარიერას ხაზი გადავუსვი. თან საქართველოს ჩემპიონატზე აკლიმატიზაცია ვერ გავიარე, რადგან უმაღლეს დონეზე თამაშს ვიყავი შეჩვეული და ფაქტობრივად, ისე მოხდა, რომ მწვერვალიდან დაბლა დავეშვი. ყველაფერს ეროვნული პირველობის გახსნის მატჩში, ფოთის „კოლხეთის“ წინააღმდეგ ასპარეზობისას საკუთარ კარში გატანილი გოლი და ყოფილი თანაგუნდელის მწარე გამონათქვამები დაემთხვა, რასაც შემდეგ, სერიოზული შეხლა-შემოხლა მოჰყვა, აქედან გამომდინარე, ფეხბურთიდან ნაადრევად წავედი.

„შეგძლებიათ, თქვენი!..“

— თბილისის „დინამომ“ საბჭოთა კავშირის პირველობაზე ზედიზედ 7 მატჩი წააგო და გულშემატკივრებმა ლანძღვით აგვიკლეს. მე-8 შეხვედრა თბილისში ერევნის „არარატთან“ გვქონდა, რომლის პირველი ტაიმის შემდეგ, 0:1 ვაგებდით. შესვენებაზე გასახდელში მაღალი თანამდებობის პირები შემოვიდნენ. მათ გვითხრეს, რომ ხალხს, რომელიც მოედანზე გადმოსვლას და ჩვენს ცემას აპირებდა, ველარ აკავებდნენ. ბუნებრივია, ამ ამბავმა შეგვაშინა, რადგან ამდენ გულშემატკივარს სად გავასწრებდით. მატჩის არბიტრის ხოხრიაკოვის ოთახში შევედი და ვუთხარი: ჩვენ ქართველები ვართ და მარტო ცემას გვაკმარებენ, შენ კი სიკვდილს ვერ გადაურჩები-მეთქი... მეორე ტაიმში ხოხრიაკოვი გვეხვეწებოდა: ხალხი არა ხართ? რომელიმე „არარატის“ საჯარიმოში წაიქეცითო... ის თამაში ძლივძლივობით მოვიგეთ 2:1 და მსაჯს ჩვენზე მეტად უხაროდა. გასახდელისკენ ბოლოს წამოვედი და თან გულშემატკივარს ვულიმოდი, რომელიც ტაშით გვაცილებდა. ის იყო, გვირაბში ფეხი უნდა შემედგა, რომ ამ დროს ერთ-ერთი ქომაგი წამოდგა და დაიძახა: „შეგძლებიათ თამაში, თქვენი!..“ ისე შეგვიკურთხა, ადგილზე გაღიმებული დამტოვა.

ყარყარაშვილის ბრძანება და ბარამიძის ბრალდება

— გია ყარყარაშვილი ჩემი ძალიან ახლო მეგობარია. დღეს ცოცხალი რომ ვარ, ეს მისი დამსახურებაა. აფხაზეთის ომის დროს, ოლიმპიური ოქროს მედალი ქართველი მებრძოლების დასახმარებლად შექმნილ ფონდში ჩავაბარე, ავტომატი გადავიკიდე მხარზე და საომრად წასვლა გადავწყვიტე. აეროპორტში მისული, სწორედ იმ თვითმფრინავში ავედი, რომელიც შემდეგ, სოხუმში, ბაბუშერის აეროდრომზე დაშვებისას ააფეთქეს და შიგ ქართველი მებრძოლები ცოცხლად დაიწვნენ. თვითმფრინავი უკვე გასაფრენად ემზადებოდა, როცა სალონში გვარდიელი შემოვიდა და მითხრა, თვითმფრინავიდან ჩამოვსულიყავი. როგორც მან ამიხსნა, ეს ბრძანება ყარყარაშვილს გაუცია. გიას ამ ნაბიჯმა, მე სიცოცხლე შემინარჩუნა... მინდა გითხრათ, რომ ჩემ მიერ ჩაბარებული მედალი სარფის საბაჟოზე მომუშავე ყოფილმა ფეხბურთელმა, ვახტანგ ქორიძემ ერთ ქალს ჩამოართვა, რომელსაც მისი თურქეთში გატანა უნდოდა. დღესდღეობით, ეს მედალი ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში დევს. მე მისი დაბრუნება მინდოდა, რადგან კავკასიაში ერთადერთი ფეხბურთელი ვარ, რომელიც ოლიმპიური ჩემპიონი გახდა და უმუშევრად დატოვეს. თან ეს ყველაფერი ერთი პირის, გიორგი ბარამიძის გამო მოხდა, რომელსაც ჩემს ადგილზე თავისი ყოფილი თანაკლასელის დანიშვნა უნდოდა და შინაგან საქმეთა სამინისტროდან კორუფციის ბრალდებით გამათავისუფლა. მე ერთ-ერთ ტელეგადაცემაში საკუთარი საცხოვრებელი პირობები მაყურებელს განგებ ვანახვე, რათა დარწმუნებულიყვნენ ჩემს უდანაშაულობასა და არაკორუმპირებულობაში. ბარამიძემ ხალხს საკუთარი სახლ-კარი აჩვენოს და მერე მელაპარაკოს.

„სამპდორია“ არა — უშიშროება

— საზღვარგარეთული კლუბებიდან ბევრი მიწვევა მქონდა, მაგრამ ახლა ამ თემაზე საუბარი არ მსურს. რადგან მომიწევს იმ პიროვნების ხსენება, რომელიც ამჟამად გარდაცვლილია. დავით ყოფიანთან კონფლიქტი რომ მომივიდა, ალბათ ეს ჩემი გამოუცდელობის ბრალი იყო, მაგრამ ვფიქრობ, მასაც უნდა დაეთმო. ამ შემთხვევაში, მხედველობაში მაქვს კონფლიქტური სიტუაცია, რომელიც ყოფიანთან შემექმნა, როდესაც სხვა კლუბში წასვლას ვაპირებდი. მანამდე, სეულში ყოფნისას, იტალიური „სამპდორიისაგან“ მქონდა მიწვევა. მართალია, საბჭოთა კავშირს სამხრეთ კორეასთან დიპლომატიური ურთიერთობა არ აკავშირებდა, მაგრამ უშიშროების წარმომადგენლები ჩუმად გვადევნებდნენ თვალს. იტალიელთა დაინტერესება რომ დაინახეს, „კაგებეს“ ორმა თანამშრომელმა ხელკავი გამომდო და მითხრა: კეტაშვილო, შენ აქ რა მოლაპარაკებას აწარმოებ? სასწრაფოდ გასახდელში შედიო!

ოლიმპიური ჩემპიონი ვეტერანთა შეხვედრაზე კაფე „მსოფლიო სპორგში“

ჩაშუშული ძაღლის ხორცი

— სეულში ერთ-ერთი სასტუმროს ბოლო სართულზე რესტორანი იყო განთავსებული, რომლის უზარმაზარ დარბაზში მაგიდებზე მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის სამზარეულოს კერძები ელაგა. მე ხან ერთი კერძი გავსინჯე, ხან — მეორე, მაგრამ არ მომეწონა, ბოლოს, ჩვენებურად ჩაშუშულ ხორცს მივაგენი, რომელიც ცხარე წიწაკით იყო შეზავებული. მეც, რამდენჯერაც იმ რესტორანში შევიდოდი, იმდენჯერ ჩაშუშულს ვჭამდი. მე-5 თუ მე-6 დღეს, თარჯიმანმა როდესაც დამინახა, ისევ ამ კერძს ვიღებდი, მითხრა: ფრთხილად, ყეფა არ დაიწყოო!.. რა თქმა უნდა, გამიკვირდა, ვერ მივხვდი, ყეფა რატომ უნდა დამეწყო, მაგრამ თარჯიმანმა ამიხსნა, რომ ეს კერძი ძაღლის ხორცისგან იყო დამზადებული. რა ხასიათზე დავდგებოდი, ალბათ თავადაც მიხვდებით, რადგან მთელი კვირა ძაღლის ხორცს „მგელივით“ ვჭამდი. სხვათა შორის, გემოთი ის ხბოს ხორცს არ ჩამოუვარდებოდა.

■



მიხეილ იაშვილი

(დასაწყისი „გზა“ №14-24)

იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებით დაპატიმრებული ჟურნალისტი ზურა მჭედლიძე, მისი მეგობრის, იუსტიციის მინისტრის მოადგილის, ოთარ ცაგარეიშვილის წყალობით, წინასწარ პატიმრობას ციხის საავადმყოფოში, ხანდაზმულ კანონიერ ქურდთან, გოგი ჩხეიძესთან ერთ პალატაში ატარებს. ზურა და მისი ადვოკატი შალვა საყვარელიძე იმაზე იმტვრევენ თავს, თუ ვის დასჭირდა ჟურნალისტის იზოლირება... რამდენიმე თვის წინ, პანკისის თემაზე მუშაობისას, ზურა შეხვდა ჩეჩენ მუსას, რომელსაც საბჭოთა ჯარში სამსახურის დროს დაუმეგობრდა. მუსა, რომლის ოჯახმა პანკისს შეაფარა თავი, ჟურნალისტს გატაცებული ადამიანების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ჰპირდებოდა, მაგრამ შემდეგ კარგა ხნით გადაიკარგა. ზურას დაპატიმრების წინადღეს კი, მას ოციოდე წლის, რუსულად მოლაპარაკე ბიჭი ეძებდა, რომელიც სავარაუდოდ, მუსას გამოგზავნილი უნდა ყოფილიყო... ამასობაში, ჟურნალისტს კიდევ ერთ ბრალდებას წაუყენებენ — რამდენიმე თვის წინ მომხდარ, ორი პოლიციელის მკვლელობაში დაადანაშაულებენ...

ზურას საცოლე ეკა პანკისში მუსას საპოვნელად გაემგზავრება და შეიტყობს, რომ ის იძულებული გამხდარა, დედასა და შვილთან ერთად ღამით მიეტოვებინა დროებითი თავშესაფარი, რადგან შეიარაღებული პირები ეძებდნენ... ადვოკატი ზურას აცნობებს, რომ ავტოავარიაში იუსტიციის მინისტრის მოხვედრის შემდეგ, მის გამოჯანმრთელებამდე, ყველა ტიპის საპატიმროში სასტიკად გამკაცრებულია რეჟიმი და მასაც კი უჭირს ხოლმე თავისი კლიენტის სანახავად ციხის საავადმყოფოში შესვლა... ციხის საავადმყოფოს პალატაში გამომწყვდეული პატიმრები დროს იმით კლავენ, რომ გოგი ჩხეიძე თანამესაკნე ჟურნალისტს საკუთარი ქურდული ბიოგრაფიის საინტერესო ეპიზოდებს უყვება...

ამასობაში ეკა და შალვა მუსას კვლას მიაგნებენ და მის სანახავად დაღესტანში წავლენ. მუსა მათ გადასცემს ვიდეოკასეტას, რომელზეც ფარული კამერით გადაღებული არიან 3 ბოროტმოქმედი და მათ მიერ გატაცებული 3 ადამიანი. ჩანაწერი სულ რაღაც 4-წუთიანი, თან შავ-თეთრი და ძალზე უხარისხოა. შალვა ფირს გაამრავლებს და ზურას თხოვნით, რამდენიმე კადრს, ფოტოსურათის სახითაც ამობეჭდავს. სამეულიდან ერთ-ერთი, ჟურნალისტის თქმით, მის დაპატიმრებაში მონაწილეობდა, დანარჩენ ორს კი ზურა არ იცნობს.

მეორე დღეს, შალვა რეზბალნიცაში უჩვეულო დროს — საღამოს მოდის და ზურას აცნობებს, რომ მას დაურეკეს და დაემუქრნენ, რომ თუ კასეტას არ გადასცემს, ზურასაც და შალვასაც მოკლავენ... ბევრი ფიქრის შემდეგ, ისინი გადაწყვეტენ: ადვოკატი რჩევისთვის, პატიოსანი სახელით ცნობილ მინისტრს, რომან გიორგაძეს მიმართავს (რომელიც ბოლოს და ბოლოს, ავარიის შემდეგ გამოკეთდა და დღე-დღეზე, საავადმყოფოდან გამოწერენ), ზურა კი — გოგი ჩხეიძეს... გამობრძმედილი კანონიერი ქურდი, ვიდეოჩანაწერიდან ამობეჭდილ ფოტოებზე გამოსახულ გამტაცებლებს შორის, რომან გიორგაძის ძმას ამოიცნობს. ზურასთვის ნათელია, თუ როგორ ცდებოდნენ ის და მისი ადვოკატი, როდესაც გადაწყვიტეს, საშველად იუსტიციის მინისტრისთვის მიემართათ... ახლა აუცილებელია, რაღაცნაირად აცნობონ შალვას, რომ გიორგაძესთან მისვლა არაფრით არ შეიძლება. გოგი ჩხეიძე გადაწყვეტს, წერილი მისწეროს მინისტრს და აცნობოს, რომ ზურა მჭედლიძის საქმესთან დაკავშირებით მასთან დალაპარაკება სურს...

— ხომ მშვიდობაა? — ვახო ნამძინარევი ჩანდა, ცხვირ-პირი ჰქონდა დაჭმუჭნილი. საკნის კედელზე დაკიდებულ საათს მიაშტერდა. — ვაა, უკვე პირველი საათია... რა მოხდა ამ შუაღამისას?

გოგი ჩხეიძემ დაკეცილი ფურცელი გაუწოდა:

— ვახოჯან, ერთ კაცთან უნდა გამეგზავნო.

— გოგი იასონოვიჩ, — ხელები გაასავსავა ნადზირატელმა, — ახლა აქედან როგორ გავიდე? დეჟურნი ვარ და პრავერკა რომ დამადგეს, მაგრა დამერხევა.

— მაშინ ერთი ჩემი კურიერის ტელეფონის ნომერს მოგცემ. დაურეკე და...

— როგორ, კაცო?!. ტელეფონი ხომ ექიმის კაბინეტშია ჩაკეტილი, — კვლავ იუარა ვახომ.

— ქუჩაში გადი და ავტომატიდან დარეკე, შე გამოსირებულო! — აფეთქდა მოხუცი. — ამ ბოლო ხანს რაღაც ძალიან გამიბლატავდი. იცოდე, პავაროტებში ცოტა ფრთხილად შედი, თორემ...

— კაი, კაი, იასონოვიჩ, — მაშინვე უკან დაიხია ზედამხედველმა. — უარი როდის მითქვამს? მითხარი ნომერი და დავურეკავ, მაშ, რას ვიზამ...

ჩხეიძემ მაგიდიდან ასანთის კოლოფი აიღო, ზედ რამდენიმე ციფრი დაწერა და ვახოს შეუბღვირა:

— გაფრთხილებ, რამე რომ შეგეშალოს, ყურებს აგაგლეჯ!.. სოსო იკითხე. უთხარი, სასწრაფოდ მოვიდეს. ეს ქსივა ჩააბარე. რესპუბლიკურ საავადმყოფოში გავარდეს და რადაც არ უნდა დაუჯდეს, რომანა გიორგაძეს პირადად გადასცეს. ისიც უთხარი, აუცილებლად გამაგებინოს, რას იზამს...

— კი, გოგი იასონოვიჩ, — ამოიკნავლა ზედამხედველმა, — ზუსტად ეგრე ვეტყვი, რა... — მერე თითქოს გამოფხიზლდაო და სახეზე გაოცება აღებეჭდა,

— ჩვენს მინისტრთან უნდა მიიტანოს?!

— ჰო, ჯიგარო, იმასთან...

— ბატონო გოგი, — მივმართე თანასაკნელს, როცა ვახომ კარი გაიხურა, — საყვარელიძე გაგვეფრთხილებინა, არ მისულიყო საავადმყოფოში...

— მადროვე, ძმობილო, — მეგობრულად შემომკრა მკლავზე ხელი. — თუ რამ გამეგება ამ ცხოვრების, რამდენიმე საათში ძალიან საინტერესო ამბების მოწმენი შევიქნებით და თუ ვინიცობაა ვცდები, შენს ვექილს დილით შევუთვლით...

— თქვენ ფიქრობთ, რომ გიორგაძე აქ მოვა?

— მოიფიქრებს, როგორ დამიკავშირდეს, — თავდაჯერებით გამომიცხადა ჩხეიძემ. — და რის თქმას აპირებთ?

ბერიკაცი საწოლზე მოკალათდა და კრიალოსანი აათამაშა.

— აირია, ზურაჯან, ქვეყანა, — წარმოთქვა დინჯად. — ხომ ხედავ, რა ხდება ირგვლივ! ბეზპრედელია და სხვა არაფერი. გაგიჟდა ახალგაზრდობა, ცხვრებივით იტაცებს ხალხს... ჩემს ჯეელობაში ძველი ბიჭები ასეთ ბინძურ საქმეებს ხელს არ ჰკიდებდნენ. ესეც ერთგვარი დაუწერელი კანონი იყო. კრუხს რომ კალთიდან წიწილა გამოჰგლიჯო, ისიც კი გადაირევა, გეცემა და თავსაც შეგაკლავს... ხალხი შეგიძულებს და ყოფასაც გიტირებს... მახსოვს, დიდი ხნის წინ კაკაბეთში ბავშვი მოიტაცეს და მთელი ქვეყანა ფეხზე დადგა. გაოგნდა ხალხი. მოხუცი ქალები დამნაშავის ლინჩის წესით გასამართლებას ითხოვდნენ! ახლა კი თვე არ გავა, ვინმე არ გაიტაცონ და ვითომც არაფერიო... შეიცვალა, ძმობილო, ყველაფერი. ღირსება და სითბო დაიკარგა... — მოხუცმა ხელი ჩაიქნია. — რის თქმას ვაპირებ გიორგაძისთვის? ყოველ შემთხვევაში, მორალის კითხვას ნაღდად არ დავუწყებ...

ხუთი საათი სრულდებოდა, საკანში აქოშინებული ვახო რომ შემოვარდა. ხელში მობილური ტელეფონი ეჭირა...

ჩხეიძეს გაეღიმა, მრავალმნიშვნელოვანი მზერა მტყორცნა და თვალი ჩამიკრა.

— გოგი იასონოვიჩ, ეს წუთია, სოსო დაბრუნდა. მინისტრმა მობილური გამოატანა თქვენთან და თან შემოგითვალათ, თვითონვე დავურეკავო...

29.

ცოტა ხანიც და ტელეფონი ხმამაღლა აწკრიალდა. დაძაბულობისგან ლამის უკვე თავი მისკდება, მოხუცი კი საოცრად მშვიდი ჩანს.

— გისმენთ... დიახ, ბატონო რომან... არა მიშავს, თქვენ როგორ გიკითხოთ?..

შემდეგ მოსაუბრის სიტყვების განგებ გამეორებას მოჰყვა, მეც რომ გამეგო.

— რისთვის შევწუხებულვარ?.. სათხოვარი მაქვს თქვენთან, ზურა მჭედლიძის თაობაზე... ეგ ვინაა?.. ბატონო რომან, ჟურნალისტზე მოგახსენებთ, ერთი თვის წინ ვიღაც პოლიციელებმა გასვრილი ფიშტო რომ ჩაუგდეს... გაგახსენდათ?.. ძალიან კარგი. ჰოდა, იმას ვამბობდი, კარგი ბიჭია, უმიზეზოდ ზის და ცოდოა აქ... თქვენ რა შუაში ხართ?.. არც არაფერში, მაგრამ თქვენისთანა ავტორიტეტის კაცი საქართველოში ბარე ორი არ დადის და რომ გეშუამდგომლათ, ღმერთმანი, ხვალვე გაუშვებდნენ. თავდებში მე ჩავუდგები. ვიღაცის რაღაც მართებს და მიუტანს, სიტყვას არ გადავა... ეგ რაში გაინტერესებთ?.. არა, ისე ვამბობ... ციხის აბუნტებას ხომ არ ვგეგმავ?.. აბა, სად მე და სად — ბუნტი!.. უბრალოდ ვიფიქრე, რა კარგი იქნებოდა, ხვალ დილით ჩემი ახალგაზრდა მეგობარი სვაბოდაზე რომ გავიდეს, რაც კი ტყუილუბრალოდ აჰკიდეს გრეხები, ყველაფერი ჩამოსცილდეს და სუფთად დარჩეს-მეთქი. მოკლედ, ოცნება მაქვს ეგეთი... ეცდებით, დამეხმაროთ?.. აგაშენათ ღმერთმა, მაგაზე კარგს რას იზამთ!.. დიდი მადლობა და კარგად ბრძანდებოდეთ...

გოგი ჩხეიძემ ტელეფონი გათიშა და ირონიული მზერა მტყორცნა.

— ძმობილო, მგონი, თავისუფლება გაგიჩალიჩე. ეგ გიორგაძე შებერტყილი ვინმეა, ეგრევე მოხარშა, რომ ყველაფრის საქმის კურსში ვარ, საპატიმროების ყირაზე დაყენებაც შემიძლია და მამენტ, იმასაც მოვახერხებ, მთელმა ქვეყანამ გაიგოს მისი არაკაცობის ამბები.

— ბატონო გოგი, არც კი ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა...

— არხეინად იყავი, ზურაჯან და მაგის დარდი ნუ გაქვს...

ცოტა ხნის შემდეგ მობილურს დავწვდი და ხელის კანკალით ავკრიბე ეკას ნომერი, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩამივარდა: გიორგაძის გამოგზავნილი ტელეფონი ცალმხრივად იყო გათიშული.

30.

საკანში კარგა ხნით სიჩუმემ დაისადგურა. ბერიკაცი ჩეფირს მირთმევდა, მე ფანჯარას მივაშურე და გარეთ გავიხედე. ირიჟრაჟა, მავთულხლართებს იქით საოცრად ლამაზი ჩანდა ყველაფერი... ოცნებებმა გამიტაცა. ჩემს მდგომარეობაზე ფიქრის თავი აღარ მქონდა, ეკა მახსენდებოდა... ალბათ, სძინავს. ნეტავ, წამით მაინც დამანახვა... ერთხელ, ბორჯომიდან რომ ვბრუნდებოდით, გზაში ბავშვივით ჩაეძინა. მანქანა გავაჩერე და დიდხანს, ძალიან დიდხანს მდუმარედ ვუმზერდი. ოდნავ გვერდზე გადახრილს, თავი სავარძლის საზურგისთვის მიებჯინა. ოქროსფერი თმა, რომელიც მუდამ ჟრუანტელს მგვრიდა, შუბლზე ჩამოშლოდა. კალმით ნახატი ბაგეები, უნებურად, ოდნავ გაჭპობოდა... ქურთუკი გავიძვრე და მუხლებზე ფრთხილად გადავაფარე. გაეღვიძა, გრძელი წამწამები ააფახულა და ალერსიანი თვალებით გამიღიმა... ნეტავ, იმ დროს!.. საკუთარი თავი გავკიცხე — ვიღაც ნაძირალების ფოტოები მეწყო და ამდენ ხანს ის ვერ მოვიფიქრე, საყვარელიძისთვის ეკას სურათის მოტანა მეთხოვა...

— ზურიკო, ყავა მაინც დაგელია.

ჩხეიძის ხრინწიანმა ხმამ უმალვე რეალობაში დამაბრუნა.

— გმადლობთ, არ მინდა... ბატონო გოგი, გიორგაძეს საკუთარ თავზე რად არ სთხოვეთ რამე?

— რა უნდა მეთხოვა? — გაიკვირვა მოხუცმა.

— რა და თავისუფლება! თქვენც ხომ ტყუილუბრალოდ ხართ აქ!

— ეჰ, ჩემო კარგო, — ამოიოხრა. — მე რა მიჭირს, გინდ აქ ვმჯდარვარ და

გინდაც – შინ. მივეჩვიე უკვე – ხუმრობა საქმე როდია 37 წელი საპატიმროში... – მერე წამით ჩაფიქრდა და ეშმაკურად გამიღიმა. – ისე, შენი იმედიც მაქვს. გახვალ, ჩემზეც დაწერ – უდანაშაულო კაცი გასროკესო, – შერცხვებათ და გამიშვებენ... ხუმრობა იქით იყოს და რომ გაგათავისუფლებენ, ეცადე, შენს საქმეში უცხოური ორგანიზაციებიც ჩართო, თორემ ის ახვრები არ მოგასვენებენ.

ისე ლაპარაკობდა, თითქოს დარწმუნებული გახლდათ, რომ მამაძაღლი რომან გიორგაძის ერთადერთ საზრუნავს, ციხიდან ჩემი დახსნა წარმოადგენდა. ძალიან მსურდა, მართლაც ასე ყოფილიყო, მაგრამ ეჭვი მეპარებოდა... უცებ, მისი უკანასკნელი წინადადებაც გავიაზრე და ბერიკაცს გაოცებული მივაჩერდი.

– უცხოელები?.. კი, მაგრამ თუ გამიშვეს და კასეტებიც გადავეცი, ვინ და რისი გულისთვის უნდა ჩავრიო?

– რა გულუბრყვილო ბიჭი ხარ! – გაცხარდა ჩხეიძე. – შენ რა, მართლა ფიქრობ, რომ ფირის მოპოვების შემდგომ, თავს დაგანებებენ? არა, ძმობილო, არ დაიჯერო! მაგათ უნდა დაასწრო, ყველაფერი ხმამაღლა, საჯაროდ განაცხადო, რომ დაფრთხნენ, ვირთხებივით შეძვრნენ სოროებში ან კიდევ, ჯანდაბაშიც გადაიხვეწონ, მაგრამ აღარ შეგეხონ! მეგონა, ამას თავადაც მოხარშავდი, შენ კი თურმე, ტყემალზე ზიხარ... მოიწვიე პრესკონფერენცია, დაპატიჟე რაც შეიძლება მეტი ჟურნალისტი, დიპლომატი, პარლამენტარი, თუ გინდა... უშიშროებაც. სხვებთან შედარებით, ნაკლებად გაფუჭებული უწყებაა. იქვე უჩვენე ფირიც, კასეტებიც დაურიგე და იქნებ, ამით ცოტათი მაინც დაიცვა თავი... ისე, მაგარია, არა? – ჩაიხითხითა. – კაცი მთელი სიცოცხლე ქურდობაზე ვდებ თავს და ამ სიბერეში, ჩეკისტებთან ურთიერთობას გირჩევ... რას ვიზამთ? სხვა გზას ვერ ვხედავ...

– გიორგაძეს სიტყვა რომ მიეცით, ჩანაწერის დაბრუნებაზე პასუხისმგებელი ვარო?

– ერთი მაგის ოხერი დედაც!.. – აიქნია ხელი. – ჩემს სიტყვებს თავად მივხედავ, შენ კი შენს თავზე იზრუნე!.. – მერე, ცოტა ხნით დადუმდა და შერბილებული ტონით დაამატა: – არ გეწყინოს, ზურიკო, ასე მკვახედ რომ გითხარი. კარგი ადამიანი ხარ და გულით განვიცდი, ვშიშობ, რამე არ დაგიშავონ... წუხელ შენთვის აღარ მითქვამს, მაგრამ ახლა უნდა გითხრა: გუშინ ადვოკატთან რომ ჩახვედი, შენს თაობაზე ამბავი მომიტანეს – ადმინისტაცია ადინოჩნი კამერაში უპირებს გადაყვანასო. ეტყობა, გონებაზე მოსულმა გიორგაძემ მიიჩნია, რომ აქამდე მთლად კარგ იზოლაციაში არ ჰყავდი და მარტოდ გამომწყვდევა დაგიპირა. ასე იქცევიან ხოლმე, როცა პატიმრის გაქრობას გადაწყვეტენ... იქ ზედმეტი თვალისგან დაცულები არიან და ერთ მშვენიერ დღესაც აღმოჩნდება, რომ მოულოდნელად ტვინი გეღრძო და თავი ჩამოიხრჩე...

რა მეთქმოდა? არც არაფერი... თავადაც მშვენივრად მესმოდა, ცამდე მართალი რომ იყო... ის კი განაგრძობდა:

– აქ შენმა ძმაკაცმა გადმოგიყვანა, არა? ზამმინისტრა რომ არის?

– დიახ, ოთარ ცაგარეიშვილმა.

– ჰოდა, შენ გამო ახლა გიორგაძე ყურებს აუწევს... ის, როგორც ჩანს, თავისი შეფის საქმიანობის შესახებ ბაიბურშიც არ არის და ბლატნოი კამერა გაგიჩითა... რომ გახვალ, მასაც დაუკავშირდი, წესიერი ვინმე ჩანს... ჰოდა, რაც მთავარია, ერთი ან ორი ფირი აუცილებლად საიმედო ადგილზე გადამალე – კაცმა არ იცის, რაში გამოგადგება...

კვლავ გავიფიქრე, ჩემს დროულად გათავისუფლებაზე რა დარწმუნებით ლაპარაკობს-მეთქი... სწორედ ამ დროს, რკინის კარი ფართოდ გაიღო და საკანში პოლიციელისფორმიანი სამი მამაკაცი შემოვიდა. ერთ-ერთი – პოლკოვნიკისსამხრეებიანი – მომიახლოვდა და რაღაც ფურცლები გამომიწოდა:

– მჭედლიძე, ამ დოკუმენტებზე ხელი გაქვს მოსაწერი.

– რაშია საქმე? – ვკითხე დაბნეულმა.

– გიშვებენ, ძმაო, გიშვებენ...

31.

ის, რაც შემდეგ მოხდა, გონებაში მხოლოდ ფრაგმენტულად ჩამრჩა. სიზმარში მეგონა თავი... უფრო სწორად – სიზმარში გახლდით, ირგვლივ კი სქელი ნისლი ჩამოწოლილიყო და იქიდან დროდადრო, საკანში მყოფთა სახეები ამოცურდებოდნენ... აი, ის პოლკოვნიკი, მახარობელი... თითქოს რაღაცას ბურტყუნებს, მაგრამ ყურები მაქვს დახშული და არაფერი მესმის... აგერ, ვახო – ნადზირატელის გაკრეჭილი ფიზიონომიაც ამოტივტივდა... მხარზე ვიღაც ხელს მიტყაპუნებს, მილოცავენ, ალბათ... ყველაზე ბოლოს, გოგი ჩხეიძე ჩნდება. მეხვევა და ვგრძნობ, რომ ისიც რაღაცას მეუბნება, მაგრამ მგონი, მართლა დავყრუვდი, მხოლოდ საკუთარი გულის ბაგაბუგის ხმა ჩამესმის... მოხუცი მიღიმის და ხელში ჭრელ ქსოვილს თუ პირსახოცს მაჩეჩებს... ნეტავ, რაში მჭირდება?..

შემდეგ ქათქათა ნისლმა ყველაფერი ერთბაშად შთანთქა, წინ გავცურე და უცებ, რკინის ვეება ჭიშკრის მახლობლად აღმოვჩნდი. ბურუსი თანდათან იფანტება და თითქოს სმენაც მიბრუნდება... ძირს დავიხედე – ასფალტზე ვიდექი!.. აი, წინ, ცისფრად შეღებილი ვიწრო კარი გამოიკვეთა, მას უჩინარი ხელი აღებს, წამიც და – გარეთ ვარ. მაგრამ ეს რა არის?.. მკლავზე მექაჩებიან... ნუთუ, უკან მაბრუნებენ?!

– მოიცა, ბრატ, ჯერ არ გახვიდე... სანამ ზღურბლზე ფეხს გადადგამ, მანამდე უნდა გაიწმინდო მაგ ტრიაპკით ტუფლის ძირები. ეგრეა წესი და მერე აქ აღარასოდეს დაბრუნდები, – მიხსნის ახალგაზრდა მეციხოვნე...

ზურგჩანთას იქვე, ძირს ვაგდებ, ზედ ვჯდები და ბერიკაცის მიერ მოცემული პირსახოცით საგულდაგულოდ ვიხეხავ ფეხსაცმლის ლანჩებს...

შემდეგ – ორი თუ სამი საფეხური და – ხრეშიან გზაზე ვდგავარ... თავისუფალი ვარ, თავისუფალი! – მინდა, რომ ხმის ჩახლეჩამდე ვიყვირო, თუმცა არც ენა მემორჩილება და თან, სწორედ ამ დროს ორ მოხუც ქალს ვხედავ. ჩემგან ხელმარჯვნივ დგანან, სავსე პარკები და ჩანთები უკავიათ, სახეზე სევდა აღბეჭდვიათ და უცნაურად შემომყურებენ... თვალს ვარიდებ... ნუთუ ყველაფერი დასრულდა?!

ქვემოდან, პატიმრებისთვის განკუთვნილი სატვირთო ავტომანქანა მიახლოვდება. უჭირს ხრეშიანი აღმართის დაძლევა, აღმუვლებს ძრავას. როგორც იქნა, ჩამიარა და ჭიშკართან შეჩერდა. თვალს ვაყოლებ...

ჩქარა, ჩქარა, რაც შეიძლება შორს აქედან!.. მოსახვევამდე სწრაფი ნაბიჯით მივემართები, მერე – თავქუდმოგლეჯილი გავრბივარ...

32.

კარი ეკამ გამიღო!..

გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა. რამდენიმე წამი უტყვად მივჩერებოდით ერთმანეთს. შემდეგ ფერი დაკარგა, თვალები დახუჭა, წაბარბაცდა და მხრით კედელს მიეყრდნო...

– ეკა! – შევყვირე და ხელი ვტაცე.

– ზურა, არ მჯერა... – ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა და თავი დიდი გაჭირვებით წამოსწია. თვალის უპეები ერთიანად ჩაშავებოდა...

კარი იდაყვით მივხურე, მარჯვენა წელზე შემოვაჭდე, ოთახში შევიყვანე, დივანზე დავსვი, გვერდით მივუჯექი და გულში ჩავიკარი... მკერდი საშინე-

ლი სისწრაფით უფეთქავდა, ღაპაღუპით სცვიოდა ცრემლები...

— ეკა, ჩემო ანგელოზო... ნუ ტირი... გემუდარები... ხომ ხედავ, ყველაფერი კარგადაა... — ვკოცნიდი და ვცდილობდი, დამემშვიდებინა, თუმცა, თავადაც ძლივს ვიკავებდი ცრემლს...

ღმერთო ჩემო, როგორ შეცვლილა ამ ხნის მანძილზე! უსაშველოდ გამხდარა და თითქოს დაპატარავებულა კიდეც... რა დღეში ჩაგაგდე, ჩემო სიცოცხლევ!.. გულმოკლული შევყურებდი დარდისგან დამდნარსა და დალეულს. ჩემს მწარე შეგრძნებებს მისი ბიჭურად შეჭრილი თმაც ამძაფრებდა... დედას გიტირებ, რომან გიორგაძე! სიმწრისაგან მუშტები შევკარი...

— რომ იცოდე, როგორ მენატრებოდი... — სლუკუნებდა დედამიწის ზურგზე ყველაზე სათნო და ლამაზი არსება. — მეგონა, ვეღარასოდეს განახავდი...

არც კი ვიცი, რამდენ ხანს ვისხედით ასე, შეიძლება — ერთი საათი, შეიძლება — რამდენიმეც... მეტ-ნაკლებად რომ დავწყნარდით, მოკლედ ვუამბე ჩემი გამოშვების ამბავი, მერე ვკითხე:

— ეკა, შინ არავინ არის?

— არა. ჩემები გუშინ ერთი კვირით ბორჯომში წავიდნენ. ჩემი წაყვანაც უნდოდათ, მაგრამ... — და თვალები ისევ ცრემლით აევსო.

— გევედრები, აღარ იტირო, ცუდი ამბები დასრულდა, — რაც შემეძლო, მხნედ ვუთხარი და თავზე ხელი გადავუსვი. — ცოტაც და დასასვენებლად წავალთ.

ნაზად მაკოცა. თვალებში კვლავ ცრემლი უბრწყინავდა.

— ზურა, ბათუმში წავიდეთ, რა. ყველაზე ბედნიერები ხომ იქ ვიყავით...

— ჰო, ჩემო პატარავ, ბათუმში, რა თქმა უნდა... ორი-სამი დღეც და დავკრათ ფეხი და ზღვისკენ ჰერი-ჰერი!.. თუ გინდა, შენ მატარებლით გაემგზავრე, მე კი ჩემი დრანდულეტით გავვარდები და იქ დაგხვდები... როგორც მაშინ!

თავი მკერდზე მომადო, ჩაფიქრდა და მომიგო:

— არა, ზურა, აღარ მინდა უშენოდ ყოფნა...

— აღარც მე. ჯვარი ბათუმშივე დავიწეროთ?

— დავიწეროთ!

თავი ავუწიე, ორივე ხელი წელზე მოვხვიე და მის ხავერდივით უნაზეს ტუჩებს თავდავიწყებით დავეწაფე...

33.

საღამოა. ისევ ეკასთან ვარ. ღრმა საკარძელში მოკალათებული შალვა საყვარელიძე ჩემთან ერთად უკვე მერამდენედ უყურებს ვიდეოჩანაწერს და თავისი გრძელი, გამხდარი თითებით სანთებელას ნერვიულად ათამაშებს. ადვოკატი ხმას არ იღებს, დაბალი ფიქრობს რაღაცას. მეც მშვენივრად მესმის, რომ ჯერ ყველაფერი როდია დასრულებული, მთავარი ბრძოლა წინ გველის, მაგრამ ჩემდა უნებურად, სრულიად მშვიდად ვარ. რა ბედნიერებაა თავისუფლება!.. მით უფრო, როცა უსაყვარლესი ადამიანი გიმშვენებს გვერდს... წარმომიდგენია, რა გრძნობა ეუფლებათ, როცა მრავალწლიანი სასჯელის მოხდის შემდეგ უბრუნდებიან ოჯახს... ნეტარებით მივირთმევ ყავას და წამდაუწუმ ეკას შევავლებ ხოლმე თვალს. ისიც თითქოს მომჯობინდა. ჩემს ნაცოდვილარ ხუმრობებზე, დროდადრო მდგომარეობის განსამუხტავად რომ ვიყენებ, რამდენჯერმე გაეცინა კიდეც, თუმცა ვგრძნობ, რომ შინაგანად კვლავ დაძაბულია...

ადვოკატს უკვე ვუამბე წუხანდელი თავგადასავლების თაობაზე და ისიც დავძინე — გიორგაძისთვის კასეტების გადაცემის ნაცვლად, პრესკონფერენციის გამართვას ვაპირებმეთქი. ჩემს თავს გადახდენილ ამბებში იუსტიციის მინისტრის მონაწილეობის ფაქტმა იმდენად გააოგნა, კარგა ხნით მეტყველების უნარი დაკარგა. განცვიფრებული მომჩერებოდა და თხრობა რომ დავასრულე, ისღა მოახერხა, — ხედავ შენო! — ამოეღერღა... მესმის მისი, სულ ცოტა ხნის წინ იგივე განცდა მქონდა...

ამჟამად სამომავლო გეგმებზე ვმსჯელობთ. ხვალ საღამოსთვის გიორგაძე ჩანაწერებს ელოდება, მერე კი, რა თქმა უნდა, ჩვენს ძებნას შეუდგება, ამიტომ პრესკონფერენციის გამართვა მანამდე უნდა მოვასწროთ. სამუშაო ბლომად გვაქვს — კასეტები გასამრავლებელია, საჭირო ხალხი დროულად უნდა მოვიწვიოთ, ჩვენი ღონისძიებისთვის სათანადო ადგილიც შესარჩევია... თანაც ყველაფერი დიდი სიფრთხილით უნდა გაკეთდეს — თუ რამე იყნოსეს, შეტევაზე გადმოვლენ... ვინ იცის, იქნებ, ახლაც გვწყემსავენ?..

ეკას ბორჯომიდან მშობლები ურეკავენ. სანამ ლაპარაკობს, მდგომარეობით ვსარგებლობ, სამზარეულოში პურის საჭრელ დანას ვპოულობ, მაისურის ქვეშ ვმალავ, კარს ფრთხილად ვაღებ და ლიფტით ქვემოთ ვეშვები. სადარბაზოს მახლობლად კაციშვილის ჭაჭანებაც არაა. იქვე გაჩერებულ მანქანებსაც ვათვალიერებ და სწრაფადვე ვბრუნდები უკან. საეჭვო, მგონი, არაფერია. ეკა საუბარს განაგრძობს, ადვოკატი კვლავ ტელევიზორთანაა მიმჯდარი. ჩემი გასვლა არც კი გაუგიათ...

გადავწყვიტეთ, რომ პრესკონფერენცია ჩვენი გაზეთის რედაქციაში გავმართოთ — ვიდეომაგნიტოფონით, ფართოეკრანიანი ტელევიზორითა და ხმის გამაძლიერებელი აპარატურით აღჭურვილი დარბაზი სამოცამდე ადამიანს იტევს და მსგავსი ღონისძიებისთვის სწორედ რომ მისწრებაა. დილით ეკა და საყვარელიძე რედაქციაში მივლენ, რედაქტორს შექმნილ ვითარებას აუხსნიან, შემდეგ ჩვენს რომელიმე თანამშრომელს ტელეფონთან დასვამენ და ჟურნალისტებს, პარლამენტის წევრებს, პრეზიდენტის ადმინისტრაციის, ადამიანის უფლებათა დამცავი ორგანიზაციების, სამართალდამცავი ორგანოებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების საელჩოების წარმომადგენლებს 6 საათისთვის დააპატიჟებინებენ. ამასობაში მე შინიდან მეორე ვიდეოს მოვიტან და ჩანაწერის გამრავლებაზე ვიზრუნებ, რათა საღამოს სტუმრების ნაწილს ფირის თითო ეგზემპლარი გადავცეთ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის „ბების წიგნაკიდან:“

1. ყველა ამორძალი კაცის მკვლელია.
2. ჩერჩილს ცალი თირკმელი ჰქონდა ამოკვეთილი.
3. ჰოლანდიას ევროპელები ნარკოსანაგვეს ეძახიან.
4. რიო-დე-ჟანეირო 1502 წელს დააარსეს კოლონიზატორებმა.
5. ვახუშტი კოტეტიშვილს 45 წლის პედაგოგობის სტაჟი აქვს.
6. „სამაგონ ნაშ ვრაგ, განიტე ევო“, – მოგვიწოდებს ევგენი პეტროსიანი.
7. ფროიდმა ქალებს ვერაფერი გაუგო. იგი მათ ბნელ კონტინენტს ეძახდა.

8. ნონა გაფრინდაშვილს თამაშის წინ დიდი რაოდენობით შავი ყავა ჰქონდა მომარაგებული.
9. ჩინეთში სამორინეები აკრძალულია. ჩინელები სათამაშოდ ყველაზე ხშირად რუსეთში დადიან.
10. „ქალს, რომელსაც ცუდი სუნამოს სურნელი ასდის, მომავალი არა აქვს“, – ამბობდა კოკო შანელი.
11. „მე რომ სიმღერა ვიცოდე, მთელი კახეთის ღვინო არ მომერევა,“ – ამბობდა ლუარსაბ თათქარიძე.
12. ომის ღმერთი მარსი ქალაქ რომის დამაარსებელი ტყუპი ძმის, რომულუსის და რემის მამად ითვლება.
13. ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდა“ ლუვრში ჰელიუმით სავსე შუშის ტყვიაგაუმტარ ყუთშია მოთავსებული.
14. ძველი ეგვიპტელები სვავებს ფარაონის ქათამს ეძახდნენ და მათ ეთაყვანებოდნენ, როგორც დედაშვილური სიყვარულის სიმბოლოს.
15. განთქმული ყაჩაღი არსენა ოძელაშვილი, ხშირად იყალთოში იმალებოდა, რაც კახელ გლეხობას ძალზე ახარებდა, რადგანაც მისი შიშით ლეკები ვეღარ გადმოდიოდნენ სათარეშოდ.
16. ამერიკის პრეზიდენტმა მონროომ დამწვარი სამთავრობო რეზიდენცია აღადგინა და თეთრად შეაღებვინა. ეს შენობა დღეს თეთრი სახლის სახელწოდებით არის ცნობილი.
17. „ჰომოსექსუალების, ტრანსვესისტებისა და ლესბოსელების მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა და ეშმაკმა უწყის, რას აკეთებენ ახლა იქ“, – ჰყვებოდა მიხაილ ზადორნოვი.
18. „მამაკაცის უკანალი, მისი ზომა და ფორმა ქალებშიც ისეთსავე ინტერესს იწვევს, როგორსაც მამაკაცებში – ქალების უკანალი“, – ამტკიცებენ სექსოლოგები.

ვიდოდ „საბოდნის“ ყარი, ოცნების ბანკი ალბო და ბლატოვა ჟუთისურად

მარიო მერონი: „არ გავხვალი მე ჩემს სამშობლოს!“

ფრაგმენტები წიგნიდან

თბილისელი გოდერძი კაციტაძე, მარიო მერონად მას შემდეგ იქცა, რაც 20 წლის ასაკში შეიტყო, რომ იტალიელი ქალის შვილი იყო. მამამ გოდერძის უამბო, რომ მეორე მსოფლიო ომის დასასრულს, იტალიელი კლავდია მერონი შეირთო ცოლად და 1945 წელს, საქართველოში გამომგზავრებისას, მისი ცოლი თვითმფრინავში მშობიარობას გადაჰყვა... გოდერძი კაციტაძე ბაბუის — მარიო მერონის გვარ-სახელზე დაიწერა, მილანში მცხოვრებ ბებიასა და ბიძებს დაუკავშირდა და მათთან სტუმრობაც მოახერხა, თუმცა იქ საცხოვრებლად ვერ გადავიდა... საბჭოთა კავშირიდან წასვლა მან მოგვიანებით, თანაც არა იტალიაში, არამედ — ამერიკაში სცადა. 1988 წელს, ხალხური ცეკვის ანსამბლთან ერთად, ინდოეთში გასტროლებზე ყოფნისას, აშშ-ის საელჩოში შეღწევა მოახერხა და პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა. მაგრამ მიზანთან ახლოს, უკვე ვაშინგტონში მყოფმა, უარი თქვა ემიგრანტობაზე და სამშობლოში დაბრუნდა...

ეს ორი ამბავი გოდერძი კაციტაძის — მარიო მერონის წიგნშია მოთხრობილი, რომლის ორი თავი ფრაგმენტულად უკვე გაგაცანით. მესამე თავში ბატონი გოდერძი, გერმანიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში მის თავს გადახდენილ თავგადასავალს გაგვანდობს. „გზის“ წინა ნომერში მოთხრობილი იყო გერმანიაში არსებულ ბანაკზე, სადაც არალეგალურად ჩასულ ადამიანებს უყრიან თავს. ახლა მცირე ხნით, ავსტრიაში გადავინაცვლებთ.

(დასაწყისი იხ. №17-24)

ავსტრია, ვენა – ევროპის ერთ-ერთი უძველესი და ულამაზესი ქალაქი, იოჰან შტრაუსის სამშობლო და აი, ისიც, „მექსიკო პლატცი“. ეს ის მოედანია, სადაც ერთხელ კიდევ „დაძმობილებულან“ ქართველები და ებრაელები და აგრძელებენ 26-საუკუნოვან ტრადიციებს. მათ ხომ არც ენის ბარიერი აწუხებთ, რადგან ამ მოედანზე არსებული უმეტესი მაღაზიის მეპატრონე საქართველოდან 70-80 წლებში ჩამოსული ებრაელია და ქართულ ენას სუფთად ფლობს თავისი „ყველგანმავალი დაგენაცვლეთი“. ქართველ ლტოლვილებს კი რა გამოლევს, მოდის და მოდის ახალგაზრდების ნაკადი საქართველოდან.

...დიახ, ქართველი იპარავს, მაგრამ ეს მის ხასიათში არ ზის, ეს მისი გენეტიკური კოდი არ არის. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, არც ამაში უქნია იგი ღმერთს. ასე რომ არ იყოს, განა იგი მოპარულ ასევროიან საქონელს ოც ევროდ „აჩუქებს“ გადამყიდველებს? იპარავს-თქო კი ვამბობთ, მაგრამ ვაი იმ მოპარვას, ეს ხომ უდიდესი სტრესის ქვეშ ჩატარებული ოპერაციაა. ერთმა ახალგაზრდამ გამანდო, ყოველ მოპარვაზე ერთი წლის სიცოცხლე მაკლდებაო. არ გაგეცინოთ და, ეს ნამდვილად ასეა. და იცით, სად მიდის ის გროშები, რომელსაც ქართველები ამ გზით შოულობენ? სად და „აფრიკაში,“ იქვე „მექსიკო პლატცის“ მიმდებარე ტერიტორიაზე დაძრწიან ზანგები; როგორც აფთრები სავანაში ეძებენ დაჭრილ და დაუძლურებულ მხეცს შესაჭმელად, ისე ისინიც ეძებენ გონებადაბნელებულ, „ლომკაში“ მყოფ ნარკომანებს და პირის ღრუში წინასწარ დაფასოებული ნარკოტიკით ამარაგებენ. აქ კი ოპერაცია მთავრდება, რომლის სრული სქემა ასე გამოიყურება: ქართველი–მაღაზია–მოპარვა–გაყიდვა–ზანგი–ნარკომანი.

ძალიან ბევრ ნარკომან ახალგაზრდასთან მომიწია შეხვედრამ და წარმოიდგინეთ საოცრება, მათ შორის ვერ აღმოვაჩინე ერთი ისეთი, რომელიც უშვერი სიტყვებით არ აგინებდეს წამლის გამყიდველს ანუ „ბარიგას“ და თვითონ წამალს (ნარკოტიკს).

ალბათ, გადაგღალეთ ნარკომანებზე საუბრით, მაგრამ რას ვიზამთ, ეს ხომ ჩვენი უბედურებაა და თუ არა სააშკარაოზე ყოველივე ამის გამოტანა, საერთოდ გადავშენდებით. აქ თითქმის ყველა ნარკომანი ხომ „ც“ ჰეპატიტით არის დაავადებული.

ქართველი ქურდი!

ქართველი ნარკომანი!

ქართველი მრუში!

რა ვქნათ, ადამიანებო, პატიოსანო ხალხო, ვიცინოთ თუ ვიტიროთ?

იქნებ დადგა დრო, საგანგაშო ზარების დარისხებისა? რომ ევროპაში ჩასულმა ბევრმა ახალგაზრდამ ასე გაგვიტეხა სახელი?

თუ ჩამოთვლილს დავამატებთ „ქართველ ბარიგას“, ქართველ „ნოვატორ ნარკომანს“, ვფიქრობ, დაგვიანებულიც არის განგაშის ატეხა.

დიახ, ნოვატორობა და გამომგონებლობაც არავის დავუთმეთ ქართველებმა.

ვაჭარბებ? ბევრს ვიღებ ჩემს თავზე? არა მაქვს ამის თქმის უფლება?

კარგი, რაც უკვე ვთქვით, ვთქვით. მოდით ახლა იმ ორი ახალგაზრდის საუბარი მოვისმინოთ, ევროპისკენ ბედის მაძიებელთა გზას დაუფიქრებლად რომ დაადგნენ და სასიკვდილო განაჩენი თავადვე რომ გამოუტანეს საკუთარ თავს.

– სიმონ, გუშინ ორასი ევრო გოუშვი ვენაში, – ეუბნება ერთი მეორეს.

– ყოჩაღ, უბედნიერესი კაცი ხარ, ძმაო.

– სიმონ, ბაზელში „სახარშში“ თუ იყავი?

– გრძელდება დიალოგი.

რა სახარშზე იყო საუბარი, მე რასაკვირველია, ვერ გავერკვიე. არადა თურმე შვეიცარიის ბევრ ქალაქში ოფიციალურად არსებობს ე.წ. „სახარშები“ ანუ დაწესებულებები, სადაც უმაღლეს დონეზე მოგემსახურებიან. პირველად მისვლისას უფასოდ გადაგიღებენ სურათს, რომელსაც აკრავენ დიდ ალბომში, შენი გვარისა და სახელის მითითებით და იმ წუთიდან შენ ამ დაწესებულების ოფიციალური წევრი ხდები.

ამ სახარშის ეზოში შესასვლელ კართან გადამყიდველებისაგან შეგიძლია, შეიძინო ნებისმიერი ნარკოტიკი ნებისმიერი რაოდენობით. შემდეგ შედიხარ შიგნით ფოიეში, სადაც არის პატარა ბარი, რომელშიც იყიდება ჩაი, ყავა, „კოკა-კოლა“, პიცა და სხვა.

ბარმენისგან მოითხოვ ნომერს, ეს არის რიგითი ნომერი, რომლის გამოძახებაც ხდება ტელევიზორის ეკრანის საშუალებით. და აი აქ იღება იმ „სამოთხის“ კარი, რომელსაც „სახარში“ ჰქვია.

კართან დგას თეთრ ხალათში გამოწყობილი პირი, რომელიც გამოგართმევს ამ ნომერს და მიგაცილებს შიგნით ოთახში დახლთან, სადაც აწყია კოვზი, სპირტიანი ბამბა, ორნარი, „ბაიანი“ სხვადასხვა ზომის და გამოხდილი წყალი, ყველაფერი ეს სტერილიზებულია.

სანიტარი ამ საჭირო მასალების აღების შემდეგ, მიგითითებს მაგიდაზე, სადაც

ბარმენისგან მოითხოვ ნომერს, ეს არის რიგითი ნომერი, რომლის გამოძახებაც ხდება ტელევიზორის ეკრანის საშუალებით. და აი აქ იღება იმ „სამოთხის“ კარი, რომელსაც „სახარში“ ჰქვია

ვიფიქრე, ალბათ, გერმანიიდან ოჯახში ფულის გაგზავნას მოერიდა ეს ახალგაზრდა, რადგან შეიძლება ეკითხათ მისთვის, ლტოლვილს ამდენი ფული საიდან გაქვსო და ვინმე ნაცნობს თუ გაატანა ქ. ვენაში, საიდანაც საქართველოში გადააგზავნიან მის ნათესავებთან-მეთქი.

ეჰ, თქვენც არ მომიკვდეთ, თურმე ის ახალგაზრდა ვენაში ორასი ევროს გაშვებაში, ნარკოტიკის ვენაში გაკეთებას გულისხმობდა.

გეწყინათ თუ გეტკინათ?

ალბათ, ერთიც და მეორეც, რადგან ჩვენს შვილებზე ვლაპარაკობთ, მათ გაუკულმართებულ ცხოვრებაზე, მაგრამ ჯერ სადა ხარ? აი, თურმე შვეიცარიაში ყოფილა, რაც ყოფილა.

ადგილი თავისუფალია, მაგიდაზე ისე, როგორც რესტორანში, დევს ასკორბინის ფხვნილი, ჰეროინის გამხსნელი და იწყება ის თავბრუდამხვევი პროცესი, რასაც წამლის მოხარშვა და გაკეთება ჰქვია. ამ პროცედურის დამთავრების შემდეგ „პაციენტი“ ვალდებულია, მიალაგოს მაგიდაზე თავისი „სამუშაო ადგილი“ და ნახმარი ინსტრუმენტები ურნაში ჩაყაროს. ამ დაწესებულების ზღურბლი დაკეტილია პოლიციის თანამშრომლებისათვის. ამ „სახარშში“ შეგიძლია, დღეში რამდენჯერმე შეხვიდე, გააჩნია, თუ როგორ გაგიმართლა იმ დღეს და რამდენი იშოვე. რასაკვირველია, გამოცდილ ქურდებს უფრო უმართლებთ, ისინი იქ შესვლას დღეში რამდენჯერმე ახერხებენ.

ინფორმაციულ-შეეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალის **უბის წიგნაკიდან:**

19. ლოურენს ოლივიეს ბავშვობაში სკოლის სცენაზე შექსპირის „ჭირვეულის მორჯულებაში“ კეტრინის როლი აქვს შესრულებული. ამაზე უკეთესად შესრულებული კეტრინი არც მინახავსო, ამბობდა მასზე მასწავლებელი.

20. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ მატყუარებს ცხვირი ეზრდებათ. საქმე ის არის, რომ ტყუილის თქმის დროს წნევა იწევს. ამის გამო, მატყუარა ადამიანის ცხვირის სიგრძე ცხოვრების ბოლოს დაახლოებით ერთი სანტიმეტრით მატულობს.

21. ლას-ვეგასის სასტუმროთა სახურავებზე სპეციალურ მტვერს ყრიან, რომელიც მზის სხივებს ირეკლავს. ამის გამო შენობაში ნაკლებად ცხელა, კონდიციონერებიც ნაკლები დატვირთვით მუშაობს და ენერგიაც ნაკლები იხარჯება.

22. მხატვრული ფილმის, „იღბლიანი ჯენტლმენების“ გადაღებისას ყველაზე ბოლოს ტაქსის სცენა გადაიღეს. „ვოლგა“ პავილიონში, ეკრანის წინ იდგა, ეკრანზე კი მოსკოვის ქუჩები „მოძრაობდნენ“. მიუხედავად მსახიობთა ოსტატობისა, უამრავი დუბლი გაფუჭდა, რადგან საველი კრამაროვის უბრალო შეხედვაზეც კი მისი კოლეგები სიცილით იხოცებოდნენ, ხოლო მისი რეპლიკა „ვო, დერევნია!.. კტო ჟე ივო პასადიტ, ონ ჟე პამიატნიკ!“ – სრულებით შეუძლებელს ხდიდა გადამღები ჯგუფის მუშაობას.

23. რემბრანდტის ტილოებზე ძალზე სქლად არის დადებული საღებავი. ჰოლანდიელი ფერმწერის ნახატებზე თანამედროვენი ხუმრობით ამბობდნენ, მისი პორტრეტები კაცმა ცხვირით შეიძლება ასწიოსო.

24. ორი განქორწინების შემდეგ ლეონიდ ბრეჟნევის ქალიშვილი, გალინა ბრეჟნევა ცნობილ ილუზიონისტ იგორ კიოსთან ერთად გაიპარა. უშიშროების თანამშრომლებმა ერთ კვირაში მიაგნეს შეყვარებულ წყვილს და გალინა სახლში დააბრუნეს.

25. „მთავრობა აცხადებს, აღლუმის დროს ტანკები რუსთაველზე რომ გავატაროთ, გზა გაგვიფუჭდებაო. შემდეგ გადაწყვიტეს, გლდანში გავატაროთო, მაგრამ გადაიფიქრეს – გლდანში ტანკები გაგვიფუჭდებაო“, – ჰყვებოდა „ღამის შოუში“ დავით გოგიჩაიშვილი.

აი, კვირადღეს კი უჭირთ ჩვენს „ძმებს“ აქ შესვლა. ეს დაწესებულება კვირაობით ისვენებს, დაკეტილია და იწყება სხვადასხვა „ლვიჟენიები“ სადარბაზოებსა თუ პარკებში. სწორედ აქ ამ დროს ეძლევათ ნარკომანებს „ც“ ჰეპატიტით დაავადების „საუკეთესო“ საშუალება, თორემ, იმ ოფიციალურ „სახარშებში“ ნურას უკაცრავად, იქ ყველაფერი სტერილიზებული და ერთჯერადია.

ქ. კარლსრუედან ერთი კვირის თავზე „მერსედესის“ მარკის კომფორტული ავტობუსით წავიყვანეს ქ. როიტლინგენში, სადაც ორმოცამდე ქართველმა მოვიყარეთ თავი, რვა-რვა კაცი ვცხოვრობდით თითო ოთახში. პირობები ოდნავ უკეთესი იყო, ოთახში გვქონდა „ბოშის“ მარკის მოზრდილი მაცივარი, კორიდორის ბოლოში იყო კეთილმოწყობილი სამზარეულო, სადაც შეიძლებოდა ყველანაირი საჭმლის მომზადება. ორ დღეში ერთხელ გვირიგებდნენ პროდუქტებს, დაწყებული კვერცხიდან, დამთავრებული გაყინული ქათმით.

ერთ საღამოს, ვახშმის შემდეგ, ყველა ვისვენებდით. ზოგი ჭადრაკს თამაშობდა, ზოგი გასული დღის შთაბეჭდილებებს ჰყვებოდა, ზოგი „კარგ“ მაღაზიას ასწავლიდა თავის ნაცნობს, ზოგიც ავტობუსის ბილეთის გადაკეთებით იყო დაკავებული, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ „იუველირს“ ზედმიწევნით ზუსტად უნდა შეეცვალა ბილეთზე თარიღი, სხვა რიცხვის დაწებებით და მორჩა, მეორე დღეს უფასოდ ხუთი ადამიანი ერთად მგზავრობდა ამ ბილეთით, აბა, რას მიხვდებოდა გერმანელი მძღოლი ქართველი „იუველირის“ თაღლითობას.

და მაინც, ნარკოტიკები, ნარკომანია იყო იმ საღამოს მსჯელობის საგანი. ახალგაზრდების უმეტესობა გაიძახოდა: მორჩა, გათავდა, ხვალიდან წამალი უნდა გადავაგდოო, მაგის ასე და ისეო.

ვაი, რომ დამახინჯებულ სულს ეგრე იოლად არ შეუძლია დაუსხლტეს ეშმაკს. ერთ-ერთს გინება დამთავრებულიც არ ექნებოდა, რომ ოთახში ვიღაც შემოვიდა და დაიყვირა – მოიტანესო. მერწმუნეთ, ისეთი ზემოქმედების ძალა ჰქონდა ამ ერთ სიტყვას, რომ მისი აღწერა შეუძლებელია. შეუძლებელია, მიახლოებით მაინც ისაუბრო იმ მეტამორფოზაზე, მათ გონებას რომ დაეუფლა.

წარმოიდგინეთ, გადაცემა რომ არის ტელევიზიით, „ცხოველთა სამყარო“, როცა მდინარის პირას წყლის დასალევად მისულია მოწყურებული ასობით ბიზონი და უცბად წყლიდან ამოხტება ექვსმეტრიანი ალიგატორი და ეს უბედური არსებები ელდანაკრავივით რომ გარბიან და არ იციან – ვინ საით. აი, სწორედ ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა ჩვენს ოთახში სიტყვა „მოიტანეს“ გაგონებაზე. თვალის დახამხამებაში ერთი წამოვარდა ლოგინიდან, მეორეს, რომელიც მაცივრიდან რაღაცას ვიღებდა, ამის გაგონებაზე სიჩქარისაგან ყველაფერი ძირს გადაუცვივდა. იმ ორმა, რომლებიც ჭადრაკს თამაშობდნენ, ფიგურებს გაჰკრეს ხელი და იატაკზე გადაყარეს, ერთმა, ჩანგლით ხელში, ჭამა მიატოვა და გასასვლელ კართან შეიქმნა ზედახორა, ვინ ვის გაასწრებდა... მოკლედ, ათ წამში ოთახი დაცარიელდა და მე მარტო დავრჩი. უცებ ვიღაც გიჟივით შემოვარდა და თავის ლოგინს ეცა, თან ყვიროდა, ჩემი „ბაიანი“ ვინ აიღო, იმის დედაო, მე მკითხა, – თქვენ ხომ არ დაგინახავთო? – და გინებ-გინებით გავარდა ოთახიდან. გაოცებული დავრჩი, დარწმუნებული ვარ, მიწისძვრა რომ მომხდარიყო, ასეთ მოკლე დროში ოთახი არ დაიცლებოდა.

და აი, ისევ საოცრება: გადის დაახლოებით ათი-თხუთმეტი წუთი და ოთახში სრულიად სახეშეცვლილნი, სულ სხვა პოლუსზე მყოფი ადამიანები შემოდიან. დადინჯებულნი, ნახევრად ღია თვალებით, ტანის სხვადასხვა ნაწილის ქავილით, ოდნავ დაბოხებული „ბლატნოი“ ხმით. იფიქრებდი, ეს ცხელსისხლიანი ქართველები ნეტავ, ასე რამ დაამუნჯაო. მოძრაობებით, როგორც ისინი იტყვიან – „ლვიჟენიებით“ ყველანი ერთმანეთს ჰგავდნენ. აი, თურმე, რა შესძლებია ამ სატანურ წამალს – ჰეროინს, გავიფიქრე მე. ის ღამე „ჩემი დედას“ გინებით და ერთმანეთთან პატარა, მცირე წაკინკლავებით დამთავრდა, ყველამ წყნარად დაიძინა.

და აი, ისევ უბედურება, მეორე დილა, ვითომდა „ძველი ბიჭები“ იღვიძებენ და იწყება ე.წ. „ლომკა“ და ისევ იწყება საუბარი, – დღეს რას ვაკეთებთო. თურმე, ისევ საღამოზე ფიქრობენ, ზოგი წელის ტკივილს უჩივის, ზოგსაც რაღაც გაურკვეველი მოძრაობები ეწყება ზედა და ქვედა კიდურების არეში და მეორდება ერთი და იგივე, დღეს ღამე ცვლის, ღამეს კი – დღე.

და კვლავ ტრაბახი, ოცნების მსგავსი – წამალს თავი უნდა დავანებო. აი, ნახავ, თუ არა, აუცილებლად, ყოველ მიზეზს გარეშე!

შემდეგ ვიღაც კვლავ დაიყვირებს – „მოიტანესო“ და ყველაფერი ისევ თავიდან იწყება. იმათ, ვინც ამ საქმეს სახლში, საქართველოშიც მისდევდა, შეიძლება, რაღაც ერთი პროცენტი გამართლების მაგვარი მოუნახო, მაგრამ ვერ გამიგია იმათი, ვინც ევროპაში ჩამოდის ნარკოტიკის გემოს გასასინჯად, მოკლედ რომ იტყვიან, „წამალზე ჯდება“.

ერთ დღეს, შუადღისას ოთახის კარი იღება და შემოდის ვიღაც, დაახლოებით ორმოცდახუთი წლის მამაკაცი, ლაპარაკის კილოზე ეტყობა ქუთაისელია. გამარჯობათო, ერთი კი თქვა და პირდაპირ მაცივარს ეცა, გამოიღო საჭმელი, რაც ხელში მოხვდა და მაგიდასთან დაჯდა.

ჩვენ ყველამ ერთი რამ გავიფიქრეთ, ალბათ, ვიღაცა ჩვენგანის ნაცნობია-თქო და არაფერი გვითქვამს.

გუშინ მაგარი „ზახოდი“ დავირტყიო, დაიწყო ტრაბახი, თან ორი ყბით იცოხნებოდა. ერთმა ახალგაზრდამ ჰკითხა, დიდი ხანია, რაც იკეთებო? რაზეც მან უპასუხა: „კაიფი“, შვეიცარიაში რომ ჩამოვედი, იქ დავიწყეო და ორ თვეში თითქმის ოცდაათიათას ევრომდე მაქვს ვენაში გაშვებულიო, თან აქანე-იქანეთი წაიღო ყურები. მერე ჯიბიდან რაღაცა ამოიღო, „ეცე“ კარტაც გავაკეთე, ახლა „ტავარს“ გამოვიტან, გავყიდი, „ბმვ-500“-ს ვიყიდი და ქუთაისში დაუბერავო, თან ჩემს ახლობლებს ერთი, ას კაკალ სუბოტექსსაც ჩავუტანო. ჭამა დაამთავრა, დასვრილი თეფში მაგიდაზე მიატოვა, აბა, მე წავედიო, თქვა და ერთი მადლობაც კი არ გადაუხდია, ისე გავიდა ოთახიდან.

ერთმანეთს მივაშტერდით, იმ იმედით რომ ვიღაცა იტყოდა, ჩემი ნაცნობიაო. ყველა ვდუმდით, ბოლოს მივხვდით, რომ არავის ნაცნობი არ ყოფილა. ერთი ახალგაზრდა, ასე 35 წლამდე, სერიოზული კაცი, სახელად ბაჩი, წამოვარდა საწოლიდან, კარი გააღო და კორიდორის ბოლოში გასულ ქუთაისელს სიტყვა დააწია – ძმაო, რაღაცა დაგრჩაო. ის, მართლაც „გოიმი“, მობრუნდა და ბაჩიმ ოთახში შემოიყვანა. იქ ამბავი დატრიალდა, ნუ იკითხავთ. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ქუთაისელი თავის დღეში ასე ალბათ, აღარასოდეს მოიქცევა... ■

შემოდიან დადინჯებულნი, ნახევრად ღია თვალებით, ტანის სხვადასხვა ნაწილის ქავილით, ოდნავ დაბოხებული „ბლატნოი“ ხმით. იფიქრებდი, ეს ცხელსისხლიანი ქართველები ნეტავ, ასე რამ დაამუნჯაო

ლიდერი იბრძვის... ლიდერობისთვის

იაპონური ავტოგიგანტი „ტოიოტა“, რომელიც ამერიკული კორპორაცია „ჯენერალ მოტორსის“ შემდეგ, წარმოების მოცულობით მსოფლიოში მეორე ადგილზე იმყოფება, თანდათან ამცირებს მათ შორის არსებულ სხვაობას. ბოლო ფინანსური წლის მანძილზე, ამ კომპანიამ 7,4 მლნ ავტომობილი გამოუშვა, რაც შარშანდელთან შედარებით 10.3%-ით მეტია. „ჯენერალ მოტორსის“ ანალოგიური მაჩვენებელია 8,24 მლნ მანქანა. მიუხედავად ნედლეულის (კერძოდ, ფოლადის) და ზოგიერთი მაკომპლექტებელი ნაწილის გაძვირებისა, აგრეთვე იაპონური ვალუტის – იენის მიმართ დოლარის კურსის დაცემისა, კომპანიამ მოგების რეკორდულ ნიშნულს მიაღწია: ის 1,17 ტრილიონ იენს (8,6 მლრდ დოლარს) შეადგენს. აღსანიშნავია, რომ იაპონური კონცერნი ერთადერთი ავტომწარმოებელია, რომელიც მსოფლიოს ყველაზე ეფექტური კომპანიების ათეულში შევიდა, ამერიკული ბანკის – Citigroup – ვერსიით. ამ რეიტინგის შედგენისას, ისეთ მაჩვენებლებს ითვალისწინებენ, როგორებიცაა: ბრუნვა, შემოსავალი, აქტივების სიდიდე და კომპანიის საბაზრო ღირებულება. „ტოიოტამ“ საპატიო მე-10 ადგილი დაიკავა და ამით მსოფლიოს ყველაზე ეფექტურ ავტომწარმოებლად მოგვევლინა. შედარებისთვის ვიტყვით, რომ ამ რეიტინგში „დაიმლერ-კრაისლერი“ 33-ე, „ჰონდა“– 55-ე, „ფორდი“ და „ნისანი“ კი – 58-ე ადგილებზე აღმოჩნდნენ. რაც შეეხება „ჯენერალ მოტორსს“, რომელიც წარმოების მოცულობით საავტომობილო კომპანიებს შორის კვლავ პირველია, აღნიშნულ რეიტინგში 65-ე ადგილს დასჯერდა. „ფოლკსვაგენი“, „პეჟო“ და „ვოლვო“ ასეულშიც კი ვერ მოხვდნენ. ■

Tornado

ავსტრალიას უახლოვდება

ახალი მოდელი – Ford F6 Tornado – საგანგებოდ ავსტრალიისთვისაა გათვალისწინებული. სედანის – Ford F6 Typhoon – პლატფორმაზეა აგებული, პიკაპისა და მსუბუქი სატვირთო მანქანის ნაზავს წარმოადგენს და ფაქტობრივად, ჩვეულებრივი მსუბუქი ავტომანქანაა, რომელსაც ღია ძარა აქვს. რაც შეეხება ტექნიკურ მახასიათებლებს: მანქანა უკანაამძრავიანია, აღჭურვილია 4 ლ მოცულობის 6-ცილინდრიანი ბენზინის ძრავათი, რომელიც 367 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს და 6-საფეხურიანი მექნიკურ გადაცემათა კოლოფით. მიუხედავად მისი უტილიტარული დანიშნულებისა (მსხვილგაბარიტიანი ტვირთის გადაზიდვა), შესაშური კომფორტულობით გამოირჩევა. სალონში, ტყავისგან დამზადებული საკარძლები, კლიმატ-კონტროლი, მინების ელექტროამწეები, აუდიოსისტემა და უსაფრთხოების 2 ბალიშია. ავსტრალიაში „ტორნადო“ 32 ათასი ევროს ეკვივალენტად გაიყიდება, 3.660 ევროს დამატების შემთხვევაში კი, მომხმარებელს მაღალეფექტური სამუხრუჭე სისტემის – Brembo-ს შეკვეთაც შეეძლება.

მოძრავი სახლი

ზაფხულობით ტრადიციულად ყვავის ისეთი სეზონური საავტომობილო ჟანრი, როგორიცაა ბორბლებზე შემდგარი სახლი – ე.წ. კემპერი. როგორც წესი, ამ მანქანებს, რომლებიც კომფორტულობით ძვირად ღირებული ოტელის ნომერსაც კი არ ჩამოუვარდება, აქირავებენ. ისეთი გრანდების შემდეგ, როგორებიცაა VW California და Mercedes-Benz Marco Polo, მომხმარებლებს უფრო ხელმისაწვდომ ვარიანტებს შესთავაზებენ. მაგალითად, Renault Trafic-ის პლატფორმაზე ააგეს ორი მოდელი – Adria 3Way Space და Weinsberg X-Cusion. ისინი დაახლოებით ერთი და იგივე თანხა ღირს: „ადრია“ – 34.290 ევრო, ხოლო „ვაინსბერგი“ – 100 ევროთი ძვირი. ორივე ავტომობილი ძალზე პრაქტიკულია. პირველ რიგში, ეს პრაქტიკულობა იმით გამოიხატება, რომ მანქანები თავისუფლად ეტევიან სტანდარტულ მიწისქვეშა პარკინგებში. „ადრიას“ საკმაოდ ვრცელი სამზარეულო აქვს, სადაც ორკამფორიანი გაზის ღუმელი, ჭურჭლის სარეცხი მანქანა და 40 ლ მოცულობის მინიმაცივარია მოთავსებული. ქურას, 5-კილოგრამიანი გაზის ბალონი მოჰყვება. „ვაინსბერგის“ სამზარეულო უფრო ვრცელია, მაგრამ გაცილებით მომცრო – 2,8 კგ-იანი გაზის ბალონი აქვს, ამ მანქანებში გასათბობად გაზის გამოყენება გათვალისწინებული არ არის, ამ ფუნქციას დიზელის საწვავით მომუშავე კონვექტორები ასრულებს. საძილე ადგილები, სახურავის აწევის შედეგად წარმოიქმნება. ორივე მანქანა დიზელისძრავიანია, შესაბამისად – 1,9 და 2,5 ლ სამუშაო მოცულობის. ■

როდესაც 12 წლის ლინდსის დედამ, „უოლტ დისნეის კინოსტუდიის“ კასტინგის შედეგები შეიტყო, სიხარულის ნაცვლად, შიშმა აიტანა. მისი პატარა გოგონა ნამდვილი მსახიობის ცხოვრებას იწყებდა. ამ პროფესიას კი, დადებითი მხარეების გარდა, უამრავი უარყოფითი მომენტიც ახლავს თან. მათ შორისაა: თავისუფალი დროის დეფიციტი, ვარსკვლავური სენი, ტიტანური შრომა და გამუდმებით ჟურნალისტთა ინტერესის ობიექტად ყოფნა.

ლინდსი ლოხანი: ცხოვრება – რისკია! თუ ეს ასეა, მაშ ვავრისკოთ!!!

დინა და მაიკლ ლოხანებს კარგად ესმოდათ, რომ მათი ქალიშვილი სკოლის მერხთან ჯდომას და გეოგრაფიასა თუ მათემატიკაში მიღწეულ წარმატებებს აღარ დასჯერდებოდა. ადრე თუ გვიან, მშობლებს, შოუბიზნესის წინააღმდეგობრივ სამყაროში შვილის გაშვება მოუწევდათ. ლინდსის ვარსკვლავურ მომავალში კი, ეჭვი აღარ ეპარებოდათ.

მოდელი, მსახიობი და მომღერალი

ყველაფერი მაშინ დაიწყო, როდესაც ლინდსის 3 წელი შეუსრულდა და ოჯახურ თათბირზე გადაწყდა, რომ ბავშვს სამოდელო ბიზნესში უნდა გაეკვალა გზა. არჩევანი სწორი აღმოჩნდა, რაც დედის ანალიტიკური აზროვნებისა (დინა ლოხანი ნიუ-იორკის ერთ-ერთი რადიოსადგურის დამაარსებელია, მანამდე კი, დიდხანს უოლ-სტრიტზე ანალიტიკოსად მუშაობდა) და მამის საქმიანი ალღოს (მაიკლი – მრავალმილიონიანი შემოსავლის მქონე, მაკარონის იმპერიის დამფუძნებელია) წყალობით მოხდა. დამწყები მოდელისთვის მის ნორჩ ასაკს წარმატების მიღწევაში ხელი არ შეუშლია. სულ მალე, წითურთმიანი გოგონას სახემ ყველაზე პოპულარული სავაჭრო კომპანიების: Pizza Hut, Wendy`s, The Gap-ისა და სხვათა სარეკლამო პროსპექტები დაამშვენა (კირკიტა ბიოგრაფებმა საერთო ჯამში, 60-მდე საფირმო მარკა დაითვალეს).

აღსანიშნავია, რომ ლინდსი პრესტიჟული ამერიკული სააგენტო Ford-ის პირველი წითურთმიანი მოდელი იყო. მაშინ, როდესაც მისი თანატოლები თოჯინებით თამაშობდნენ და ინგლისურ ანბანს ეუფლებოდნენ, მომხიბლავი მის ლოხანი უკვე ფოტოკამერების წინ პოზირებდა და მთელ სამუშაო დღეს სტუდიაში ატარებდა. როგორც მოსალოდნელი იყო, მალე ლინდსი ნამდვილ პროფესიონალად ჩამოყალიბდა და სამოდელო ბიზნესს... ჩამოშორდა. სერიალის – „სხვა სამყარო“ – წყალობით, 10 წლის ლინდსი ლოხანი უკვე ტელევარსკვლავად იქცა.

გოგონა 12 წლის იყო, როდესაც რეჟისორ ნენსი მაიერსის საოჯახო კომედიაში – „ხაფანგი მშობლებისთვის“ – მთავარი როლი, უფრო სწორად – 2 მთავარი როლი შესთავაზეს: ლინდსიმ ტყუპი და განსახიერა. გმირთა ხასიათები იმდენად განსხვავებული იყო, მაყურებელი ვერ იჯერებდა, რომ ფილმში მხოლოდ ერთი მსახიობი თამაშობდა. კრიტიკოსებმა უმალ აღიარეს მისი ნიჭიერება. ლინდსიმ ნორჩ მსახიობთათვის დაწესებული პირველი პრიზი მოიპოვა და წლის საუკეთესო ახალგაზრდა მსახიობის ნომინანტთა სიაში აღმოჩნდა. სურათს დიდი წარმატება ხვდა წილად. მისი გამოსვლის შემდეგ, ახალგაზრდა მსახიობმა იმდენი შემოთავაზება მიიღო, რომ საქმეში დინა ლოხანი ჩაერია და ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ ლინდსი დროზე ადრე არ გამომშვიდობებოდა ბავშვობას.

ფილმში – „ინსპექტორი გაჯეტი“ – შეთავაზებულ პენის როლზე ოჯახმა უაპელაციო უარი თქვა. მშობლებს სურდათ, რომ გარკვეულ დრომდე, შვილი დიდი კინემატოგრაფის გამხრწნელი ზეგავლენისაგან დაეცვათ. კომპრომისი მალე მოინახა: ლინდსი სატელევიზიო ფილმებში გამოჩნდა, მაგრამ გადაღებების დაძაბული გრაფიკის გამო, გოგონას სკოლის მიტოვება მოუხდა და დაწყებითი განათლების მიღება კერძო პედაგოგების დახმარებით მოუწია. ლინდსის უკმარისობის გრძნობა მოსვენებას უკარგავდა. მას სიმღერაც სურდა. ამ ოცნებაზე რეჟისორ მარკ უოტერსის ფილმში – „ჭირიანი პარასკევი“ – შეთავაზებულმა მთავარმა როლმაც კი ვერ ააღებინა ხელი.

ლინდსი ლოხანი საახალწლო ზეიმზე (ნიუ-იორკი, 2005 წელი)

მსახიობი უილმერ ვალდერამა ირწმუნება, რომ ხმები მისი და ლინდსი ლოხანს შორის არსებული რომანის შესახებ სიცრუეა (ლოს-ანჯელესი, 2004 წელი)

სიმღერ-სიმღერით მოსიარულე

ლინდსი ირწმუნება, რომ ლაპარაკზე ადრე, სიმღერა ისწავლა. თავისუფალ დროს, რომელსაც ძალზე იშვიათად პოულობდა, გოგონა საყვარელ თოჯინებს კაზმავდა და საესტრადო ვარსკვლავთა კონცერტებს „მართავდა". სათამაშო მადონები, ლინდსის ხმით მღეროდნენ, რასაც „მაყურებელი" აღტაცებაში მოჰყავდა (რა თქმა უნდა, მაყურებელიც თავად იყო)... მშობლებმა შვილის ნიჭი სათანადოდ შეაფასეს და ვოკალისა და მუსიკის პედაგოგები დაუქირავეს. 15 წლის ასაკში, სიმღერის სურვილმა გოგონა იმდენად შეიპყრო, რომ მან მომავალი შედევრების ტექსტების წერას მიჰყო ხელი და ღირსეული პროდიუსერის ძიებაც დაიწყო. ემილიო ესტეფანი მის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდა. მის ანგარიშზე მუსიკალურ სამყაროში რამდენიმე გახმაურებული სახელი უკვე ირიცხებოდა. პროდიუსერი გოგონას ოცნებასაც არანაკლები ენთუზიაზმით მოეკიდა და ახალ სარბიელზე გამოსვლის მცდელობას მხარი დაუჭირა. 2002 წელს, ისინი აქტიურ მუშაობას შეუდგნენ და მალე წარმატებული ალბომის – Speak – გამოსვლით დაგვირგვინდა.

კრიტიკოსებმა ლოხანის მუსიკალური შემოქმედება მაშინვე შეამჩნიეს. მან პოპ-მუსიკის კორიფეთა შორის საპატიო ადგილი მოიპოვა. „ახალი ბრიტნი", „ახალი ეშლი სიმფსონი", „ახალი ჰილარი დაფი" – ასე მოიხსენიებდნენ კრიტიკოსები ამერიკის მუსიკალური ცის კაბადონზე ამოსულ ახალ ვარსკვლავს. ალბომი მართლაც წარმატებული აღმოჩნდა. ამის დადასტურება, მომღერლის მიერ კანადაში მიღებული ე.წ. პლატინის სტატუსი და ამერიკულ ჰიტაღლუმებში დაკავებული მაღალი ადგილები იყო. ლინდსის მწვანე თვალებისა და მელოდიური ხმის ტყვეობაში მოხვედრილ მსმენელს მის შემოქმედებაზე სხვა მუსიკოსთა გავლენის საკითხი არ აღელვებდა. მათზე ვერც ზოგიერთი კრიტიკოსის აგდებული გამონათქვამები და შეფასებები მოქმედებდა.

არც ერთი დღე სკანდალის გარეშე

ლინდსი ლოხანის თაყვანისმცემლებს მსახიობის პირადი ცხოვრება მის შემოქმედებაზე ნაკლებად როდი აინტერესებთ. მისი ყოველი, თუნდაც უმნიშვნელო ნაბიჯი ურთიერთგამომრიცხავი ჭორების მიზეზი ხდება. აღფრთოვანებული ფანატები მას ყოველ კვირას ათხოვებენ, მისი რჩეულის სახელი მუდამ იცვლება. ცოტა ხნის წინ, ყველა, ლინდსისა და ბრიუს უილისის რომანზე ლაპარაკობდა. საქმე კურიოზამდეც კი მივიდა: ლინდსის კიდევ ერთი „საქმრო", ცნობილი მსახიობი უილმერ ვალდერამა იძულებული გახდა, საკუთარი დედისთვის ეთხოვა, რომ მას გაზეთში საპროტესტო წერილი გამოექვეყნებინა: ჟურნალისტების მიერ შეთხზულმა რომანმა უილმერი იმდენად აღაშფოთა, რომ მისი რისხვა „ინტრიგან" ლინდსის დაატყდა თავს, რომელმაც თითქოსდა პოპულარობის მოსაპოვებლად გამოიყენა მისი სახელი. ნიუ-იორკის ერთ-ერთ კლუბში ფსევდოსაცოლის მიერ შესრულებული ცეცხლოვანი ცეკვის შემდეგ, ვალდერამამ განაცხადა: „ახლა ხომ ხედავთ, რომ მასთან საქმის დაჭერა არ შეიძლება: ის ხომ არანორმალურია – ჰგონია, რომ მისთვის მიუწვდომელი არაფერია. არავინ იცის, როდის რას მოიმოქმედებს"...

ლინდსის სკანდალური პოპულარობა მის კარიერას სულაც არ უშლის ხელს. პირიქით, ამგვარი იმიჯი მის ახალ როლს სწორედ რომ შეეფერება. ახალ სურათში – „ცუდი გოგონები" (2004) – მისი გმირი აფრიკის ჯუნგლიდან პირდაპირ არანაკლებ საშიშ ჯუნგლიში – ჩვეულებრივი სკოლის ჩვეულებრივ კლასში მოხვდა, მაგრამ 16 წლის კედი „სასკოლო ჯუნგლის" ბინადართა ჩვევებსა და ბრძოლის წესებს მალე ითვისებს...

რეალურ ცხოვრებაში კი, ახალგაზრდა მსახიობსა და მომღერალს სულ უფრო და უფრო ხშირად უხდება მსხვერპლის

ლინდსის თოჯინა სათამაშოების საერთაშორისო ბაზრობაზე იყო გატანილი (ნიუ-იორკი, 2005 წლის თებერვალი)

East News/LFI

როლის თამაში. ცოტა ხნის წინ, ლინდსი „ორგანიზმის გამოფიტვის" დიაგნოზით საავადმყოფოში აღმოჩნდა. ამის მიზეზი, მამის, მაიკლ ლოხანის სახელთან დაკავშირებული სკანდალი აღმოჩნდა: მაიკლს არაფხიზელ მდგომარეობაში ავტომობილის მართვაში სდებდნენ ბრალს. ახლახან ვარსკვლავი მძარცველთა მსხვერპლად იქცა. გასტროლების დროს, მისი სახლი გატეხეს და პირწმინდად გაძარცვეს. ბოროტმოქმედებმა მთელი ელექტროაპარატურა წაიღეს და მაცივარიც კი გამოაცარიელეს. ქურდებმა ლინდსის მხოლოდ ცარიელი ბოთლები დაუტოვეს... ■

ჯგუფი Destiny`s Child დაშლაზე ალაპარაკდა



ბარსელონაში გამართულ კონცერტზე ცნობილი ბრიტანული ჯგუფის – Destiny`s Child – წევრებმა ჯგუფის შესაძლო დაშლის შესახებ გამოაცხადეს. ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ გოგონები სოლო კარიერას აპირებენ. დაშლამდე ჯგუფი ჩრდილოეთ ამერიკაში ბოლო ერთობლივ ტურნეს გამართავს, რომელიც ვანკუვერში 10 სექტემბერს დასრულდება.

1998 წლიდან მოყოლებული, ჯგუფმა უამრავი ჰიტი გამოუშვა. მათ შორისაა Independent Women და Survivor. Destiny`s Child-ის ხმის ჩამწერი კომპანია Sony/BMG იუწყება, რომ დღემდე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ჯგუფისა და მისი სოლისტების – ბეიონსი ნოულზის, კელი როულენდისა და მიშელ უილიამსის მიერ ჩაწერილი 50 მილიონი ფირფიტაა გაყიდული. ჯგუფმა 2000 და 2001 წლებში Grammy-ს ორი პრემია მოიპოვა, 2002 წელს კი, მათ ტაიმ-აუტი აიღეს და სოლო პროექტებზე მუშაობდნენ. პაუზის შემდგომ, ჯგუფმა ახალი ალბომი – Destiny Fulfilled ჩაწერა, რომელიც 2004 წლის დასასრულს ამერიკული ჰიტადლუმების სათავეში მოექცა. დღეისათვის ახალი ალბომის 2,7 მლნ ასლია გაყიდული. Sony/BMG-ს ბრიტანული ქვედანაყოფი ჯგუფის მოახლოებული დაშლის შესახებ გავრცელებულ ხმებს არ ადასტურებს. ■

ჯეკი ჩანი ტაივანის მოსახლეობას მოდიშს უხდის

მსახიობმა ჯეკი ჩანმა ტაივანის მოსახლეობას 2004 წლის არჩევნების შესახებ წარმოთქმული უპატივცემულო სიტყვების გამო მოუბოდიშა: ჩანმა ამ არჩევნებს „მსოფლიოში უდიდესი ხუმრობა“ უწოდა, რაც ტაივანში მსახიობის ყველა ფილმის ჩვენების აკრძალვის საბაბად იქცა. ჯეკი ჩანმა ტაივანის პრესაში გამოქვეყნებული ხუთგვერდიანი ღია წერილით მოიხადა ბოდიში.

„მე, ჯეკი ჩანი, დიდი ადამიანი ვარ და ჩემ მიერ გამოთქმულ აზრზე პასუხს ვაგებ. მაგრამ ჩემთვის მიუღებელია ის ამბავი, რომ ზოგიერთებმა ჩემი სიტყვები გამოიყენეს, აზრი დაამახინჯეს და უსაფუძვლოდ გამამტყუნეს. ზოგიერთები ამბობენ, რომ ტაივანის მოსახლეობის გრძნობები შევლახე, მაგრამ ამ აზრს არ ვეთანხმები...“ – ნათქვამია ღია წერილში. ■

მრაიან მეი – მრიტანეთის იმპერიის კომანდორი

ვეტერანმა როკერებმა – ჯიმი პეიჯმა, ბრაიან მეიმ, მიკ იურმა და ჯონ მაიალმა – დიდი ბრიტანეთის სამეფო კარის სხვადასხვა ხარისხის ორდენები მიიღეს. პეიჯს, მაიალსა და იურს „ბრიტანეთის იმპერიის ოფიცრის“ (OBE) წოდება მიანიჭეს, მეი კი, „კომანდორი“ (CBE) გახდა. Queen-ის გიტარისტმა ბრაიან მეიმ დედოფლის წყალობა მუსიკალურ ინდუსტრიაში შეტანილი წვლილისა და ქველმოქმედებისთვის დაიმსახურა. მკითხველს შევახსენებთ, რომ 3 წლის წინ, ბუკინგემის სასახლის სახურავზე მეის გამოსვლა დედოფალ ელისაბედ მეორის მეფობის 50 წლის აღსანიშნავი ზეიმის დასკვნით აკორდად იქცა. Led Zeppelin-ის დამაარსებელმა ჯიმი პეიჯმა ჯილდო საქველმოქმედო მოღვაწეობისთვის მიიღო. მუსიკოსმა და მისმა ბრაზილიელმა მეუღლემ ბრაზილიელ ბავშვთა დახმარების ფონდი ჩამოაყალიბეს და ლათინური ამერიკის უპატრონო ბავშვებზე ზრუნვა იკისრეს. „თეთრი“ ბლუზის ლეგენდამ, ჯონ მაიალმა OBE-ს ლაურეატობა ბრიტანული კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის მიიღო, მიკ იურს კი ქველმოქმედება დაუფასდა. იური: ბობ გელდოფთან ერთად ის აქციების – Live Aid და Live 8-ს ორგანიზატორი გახლდათ. ■

ტომ კრუზი და უილ სმიტი ერთობლივ პროექტზე იცნობენ

ტომ კრუზი და უილ სმიტი თანამშრომლობის გზებს ეძებენ. „უილი და მე რაიმე შესაფერისს ვეძებთ. „ჰიტჩის მეთოდი“ ვნახე და ვფიქრობ, რომ ეს ყველაზე სასაცილო ფილმია იმ სურათებს შორის, რომლებიც უკანასკნელ ხანებში ვიხილე. კინაღამ სიცილით მოვკვდი. უილთან ერთად მუშაობა ძალიან მინდა“, – განაცხადა მსახიობმა.

სხვა ცნობილი ადამიანებიდან გადასაღებ მოედანზე ტომ კრუზი სიამოვნებით იმუშავებდა რეპერ აის კიუბთან და თავის საცოლესთან კეტი ჰოლმსთან. „მასთან ერთად მუშაობა ძალიან მინდა. ის შესანიშნავი მსახიობია. ოდესმე აუცილებლად ვიმუშავებთ ერთად“, – თქვა ტომმა.

უილ სმიტს უახლოეს ხანებში, ნიკოლას კეიჯის პარტნიორობა მოუწევს. მსახიობები განასახიერებენ ორ მამაკაცს, რომლებმაც მხიარულად გაატარეს შვებულება. ■



ბესტი ჰედოფილიც ყოფილა

1988 წლის „ოქროს ბურთის“ მფლობელი, ჯორჯ ბესტი სექსუალური ძალადობის მიზნით 13 წლის გოგონაზე თავდასხმისთვის დააკავეს. 59 წლის ბესტი 9 საათის განმავლობაში იმყოფებოდა დაკითხვაზე პოლიციის განყოფილებაში, რის შემდეგაც იგი თავდებით გაათავისუფლეს. რამდენიმე დღის წინ კი, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი მოთამაშე კვლავ დაიბარეს დაკითხვაზე. შეგახსენებთ, რომ ადამიანზე თავდასხმაში ბესტი პირველად არ უმხელიათ. არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ის თავის 34 წლის მეგობარ ქალზე თავდასხმის ბრალდებით დააკავეს. მაშინ დაზარალებული ირწმუნებოდა, რომ ფეხბურთელმა მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ბესტის აგენტმა, ფილ ჰიუზმა კი, ყველა ბრალდება კატეგორიულად უარყო. ლოთბაზარა ფეხბურთელმა ამ შემთხვევაშიც შეძლო მართლმსაჯულებისგან თავის დაძვრენა. საგულისხმოა ისიც, რომ მაისის დასაწყისში მისი ექიმების მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, ბესტს სულ რაღაც ორი კვირაღა უნდა ეცოცხლა. მაშინ ის მძიმე მდგომარეობაში კლინიკა Forest Meve-ში მოათავსეს, რომელიც ინგლისის ნაკრებისა და „არსენალის“ ყოფილ კაპიტანს ტონი ადამსს ეკუთვნის. ■

ტაისონი მისიონერობას აპირებს



მაიკ ტაისონი, რომელიც ცოტა ხნის წინ, კევინ მაკბრაიდთან დამარცხდა, აშშ-ის დატოვებასა და ერთ-ერთ ქრისტიანულ მისიაში გაერთიანებას აპირებს. „ვერ ვხედავ იმის საფუძველს, რომ კვლავაც გავაგრძელო რინგზე გამოსვლა, – ამბობს „რკინის მაიკი“, – როდესაც კარიერას ვიწყებდი, არაფერი გამაჩნდა, ამიტომ რაღაცის მიღწევა მსურდა. ახლა უკვე აღარაფერი მინდა. ვფიქრობ, რომ მისიონერი გავხდები. არსებობს ერთი ქრისტიანული ორგანიზაცია, რომელმაც ბოსნიაში, რუანდსა და სხვა ქვეყნებში გამგზავრება შემომთავაზა, რათა გაჭირვებულ ხალხს მედიკამენტებითა და საკვებით დავეხმაროთ. უბრალოდ მსურს, რაღაცით დავკავდე და ხალხს სარგებლობა მოვუტანო. როცა ამას არ ვაკეთებ, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ემოციურად მკვდარი ვარ... ამერიკაში წარმატებას ვერასოდეს მივაღწევ. აქ კეთროვანივით ვარ. გულშემატკივრებს ვუყურებ და ვგრძნობ, რომ მათ არ ვუყვარვარ. ისინი ძალზე ცუდად მიცნობენ იმისთვის, რომ შემიყვარონ. მათ მხოლოდ ის მოსწონდათ, რასაც ვაკეთებდი. ადამიანები თავიანთ სახლშიც კი არ შემიშვებენ, ნებას არ მომცემენ, რომ მათ გოგონას შევხვდე. მათ მხოლოდ გამრთობის როლში ვჭირდები... ახლა ჩემს მომავალ საქმიანობაზე ვფიქრობ. ბოლოს და ბოლოს, მინდა, საკუთარი თავი ხელში ავიყვანო და ბედნიერი კაცი გავხდე“. ■

Playboy-ის მოდელმა ოცნება აიხდინა

მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა მოკრივე ქალმა, Playboy-ის ყოფილმა მოდელმა მია სენტ-ჯონმა თავისი რვაწლიანი პროფესიონალური კარიერის განმავლობაში პირველად მოიპოვა IFBA-ს ჩემპიონის ტიტული, როდესაც ლიზ დრიუ დაამარცხა. სენტ-ჯონმა, რომელიც მალე 38 წლის გახდება, კრივიდან წასვლის შესახებ ჯერ კიდევ წლინახევრის წინ განაცხადა. მიუხედავად ამისა, ის კვლავაც აქტიურად განაგრძობს ასპარეზობას. წელს მიამ 3 ორთაბრძოლა ჩაატარა, შარშან კი 11 პაექრობაში მონაწილეობის მიღება მოასწრო. აღსანიშნავია, რომ სენტ-ჯონი ყველაზე მეტად კრისტი მარტინისა და ჯენიფერ ალკორნის წინააღმდეგ გამართული ბრძოლებით ამაყობს, რომლებშიც... დამარცხდა: საქმე ის გახლავთ, რომ ზემოთ ნახსენები ორივე მისი მეტოქე მსოფლიოს უძლიერეს ქალ მოკრივეთა რიგში შედიან, სენტ-ჯონს კი ყოველთვის აკრიტიკებდნენ სუსტ მოწინააღმდეგეებთან მატჩების გამართვის გამო. „ცხოვრებაში ხშირად მიხდებოდა თავის დაცვა. ერთხელაც მივხვდი – ორთაბრძოლები სიამოვნებას მანიჭებდა. მით უმეტეს, რომ ჩემი სამოდელო კარიერა უკვე დასასრულს უახლოვდებოდა. ახლა. როდესაც ტიტულს დავეუფლე, კრივს თავს დავანებებ, რომ რინგიდან გამარჯვებული წავიდე“, – ამბობს ლამაზმანი. ■

ბექჰემი მორიდებული ადამიანია

როგორც ცნობილია, ამჟამად არგენტინის ნაკრები გერმანიაში იმყოფება, სადაც კონფედერაციათა თასის გათამაშებაში მონაწილეობს. გუნდთან ერთადაა მადრიდის „რეალის“ მცველი, ვალტერ სამუელიც. მან დრო გამონახა და ადგილობრივ გაზეთ ჩლარინ-ს ინტერვიუ მისცა. „ძალიან თვითკრიტიკული ვარ და ვიცი, რომ „რეალში“ ცუდი სტარტი ავიღე. მაგრამ კლუბში ლუქსემბურგოს მოსვლის შემდეგ, სიტუაცია შეიცვალა. ეს არა მხოლოდ მე, არამედ მთელ გუნდს ეხება. მოვიდა გრაფესენიც, რომელმაც შემადგენლობა დაალაბალანსა... სპორტსმენს კარგ სამსახურს უწევს კრიტიკა, ის სტიმულს გაძლევს. როდესაც „ბოკა ხუნიორსში“ დავიწყე თამაში, ყველაფერი თავიდანვე გამომდიოდა, „რომში“ მალევე გავხდი ჩემპიონი. აქ საქმე ჯერ-ჯერობით ისე კარგად ვერ ამეწყო. მით უმეტეს მჭირდება კრიტიკული თვალით საკუთარი თავის დანახვა. უნდა შევეგუო კრიტიკას. არც ერთ ჟურნალისტზე განაწყენებული არ ვარ“, – დასძინა არგენტინელმა, რომელმაც ინტერვიუს დროს, დევიდ ბექჰემზეც ილაპარაკა: „ის ძალზე მორიდებული ადამიანია, ამას სრული სერიოზულობით ვამბობ. უბრალოდ, საქმე ის არის, რომ ტელეკამერების წინ ის ტრანსფორმირდება, მაგრამ გასახდელში ან შეკრების დროს ძალიან მშვიდი და ჩუმია. ბექჰემი კარგი ადამიანია, თუმცა მეტისმეტად ჩაკეტილი. ამასთანავე, ის არცთუ ისე კარგად ლაპარაკობს ესპანურად...“ ■

მეჩვიდმეტე სართულზე „ფერადი" მსოფლიო

„ქალაქელი" ფარშავანგები, ზღარბი, ციყვი, მგელი და ჯაჭვაჭი

ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მითხრეს — თბილისში ცხოვრობს კაცი, რომელსაც ხოხბები და ფარშავანგები მე-16 სართულზე ჰყავსო. კიდევ უფრო გავოცდი, როცა ეს უცნაური კაცი, ცნობილი მხატვარი თემურ დვალიშვილი აღმოჩნდა. მის აბსტრაქტულ სურათებსა და კოლაჟებს წარდგენა არ სჭირდება, ამიტომ შემოქმედი ამჯერად სულ სხვა კუთხით — როგორც ბუნების მოტრფიალე მინდა, გაგაცნოთ.

...თემურ დვალიშვილი მრავალსართულიანი კორპუსის მე-16 სართულზე ცხოვრობს, მე-17-ზე სახელოსნო აქვს. მასპინძელი სახურავზე მეპატიჟება, საიდანაც ხელისგულივით ჩანს მთელი თბილისი და სადაც მისი ფარშავანგები და სხვა ფრინველები დაუვიწყარ სანახაობას ქმნიან. ჩიტები მიფრინავენ, მერე უკან ბრუნდებიან. ამ ჯადოსნური სამყაროს მონახულებისას, ისეთი ემოციები გეუფლება ადამიანს, იმ სიძნელეებს ვეღარ აცნობიერებ, რომლებსაც ამდენი ფრინველისა და ცხოველის სახელოსნოში ცხოვრება ახლავს თან. ჩემი რესპონდენტი კი, უზომოდ შეყვარებული ფლორასა და ფაუნაზე, დაუჯერებელ ამბებს მიყვება.

ლელა ჭანკოტაძე

— ბავშვობიდან მიყვარს ფრინველები და ცხოველები. მათ გარეშე ჩემი ცხოვრება წარმოუდგენელია. საქართველოში მობინადრე ცხოველებიდან თითქმის ყველა მყოლია. ქვეწარმავლები მეჯავრება. ეს სიძულვილი ვერაფრით დავძლიე... გული მწყდება, საკუთარი სახლი და დიდი ეზო რომ არ მაქვს: ასეთ შემთხვევაში, ავიხდენდი ოცნებას — უამრავი ფრინველისა და ცხოველის გვერდით მეცხოვრა. სოფელიც არ გამაჩნია. თბილისში დაბადებული და გაზრდილი კაცი გახლავართ. წესით, ასფალტის მტვერი და რკინა-ბეტონის კონსტრუქციები უნდა მომწონდეს, მაგრამ მე ბუნების წიაღში ყოფნა უფრო მხიბლავს. მეოთხე კლასში ვიყავი, იადონი რომ მიყიდეს. გავიდა წლები, სამხატვრო აკადემია დავამთავრე. მაჩუქეს სახელოსნო, რომელიც თვალის დახამხამებაში ვოლიერად ვაქციე. ხოხბები და ფარშავანგები მე-17 სართულზე, ჩემს სახელოსნოში თავს შესანიშნავად გრძნობდნენ. პატარებს ვყიდულობდი, ვზრდიდი და შემდეგ, სხვებს ვჩუქნიდი, რადგან ისე სწრაფად მრავლდებოდნენ, რომ სახელოსნო ვეღარ იტევდა.

— ზოოპარკთან არ თანამშრომლობთ?

— არა. არასდროს მითანამშრომლია. დამოუკიდებლად ვახერხებ ხოხბებისა და ფარშავანგების გამრავლებას. ვინც ჩემ შესახებ იცის, ყველა ცდილობს, რომელიმე ფრინველი ან ცხოველი მაჩუქოს. მეც, თუ დავინახავ, რომ ადამიანი ბუნების ქომაგია, ყველაზე საყვარელ ბინადარსაც კი არ დავინანებ მისთვის. შაშვები, შოშიები, იაპონური მამლები, ავსტრიული და იაპონური ჩიტები ჩემი ხელიდან ჭამენ. საოცარი სიამოვნებაა... მზესუმზირას დავიყრი ხოლმე, ჩიტები წინ დამისხდებიან, ვარჩევ და რიგრიგობით ვაჭმევ. კორეული და ჩინური მწყრები ხედავთ, როგორი ლამაზები არიან!.. ერთი ხოხობი ავად გამიხდა და ცალკე გალიაში გადავიყვანე, უნდა გადავარჩინო. კრუხად უნდა დამჯდარიყო. მისი კვერცხები ჩვეულებრივ სოფლის ქათამს დავუწყვე. მალე პატარა ხოხბები მეყოლება... გინახავთ სხვაგან ფრინველები და ხელოვნების ნიმუშები, ერთად თავმოყრილი?.. მე ვხატავ, ჩიტები კი საამურად ჭიკჭიკებენ. სხვანაირად ცხოვრება ვერც წარმოიდგენია... ეს ნახატები უნიკალურია, მხატვრული კოლაჟის მეთოდითაა შესრულებული. სხვადასხვა ფერისა და ფორმის ქსოვილები ისეა ტილოზე გადატანილი, რომ ძნელად თუ ვინმე განასხვავებს საღებავებისგან. აქტიურად ვმონაწილეობ გამოფენებში, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე საზღვარგარეთ. ჩემი ნამუშევრები დაცულია, როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების კერძო კოლექციებში: გერმანიაში, ინგლისში, კორეაში, ჩინეთში, აშშ-ში, ჰოლანდიაში, რუმინეთში, ბულგარეთში და ა.შ.

ეს ნახატები უნიკალურია, მხატვრული კოლაჟის მეთოდითაა შესრულებული

— ცხოველები ან ფრინველები თქვენს ნახატებში ოდესმე თუ გაგიცვლიათ?

— იდგა 1980 წელი. მოსკოვიდან ჩამოიყვანეს სამეფო დოგის ლეკვი, რომელსაც 500 დოლარად ყიდდნენ. ვუთხარი იმ კაცს: ფული არ მაქვს, სამაგიეროდ, იმდენ ნახატს მოგცემ, რომ თუ გაყიდი, 5-ჯერ 500 დოლარს აიღებ-მეთქი. 5 საუკეთესო ნახატი მივეცი და ამის გამო არც მინანია. ცხოველი და ფრინველი ბევრჯერ მიყიდია, მაგრამ მე თვითონ არასდროს გამიყიდია. თუ ვიცი, რომ ადამიანი კარგად მოუვლის, ვაჩუქებ, მაგრამ გაყიდვა წარმოუდგენლად მიმაჩნია.

— მტაცებელ ცხოველს თუ უცხოვრია თქვენს სახელოსნოში?

— დათვის ბელი მყავდა, რომელიც ჩემს ძაღლთან საშინლად ჩხუბობდა ხოლმე. ძალიან საყვარელი იყო. მგელიც მყავდა. ჩემმა მეგობარმა მონადირეებმა მაჩუქეს. ნაგაზივით იზრდებოდა. რომ მომიყვანეს, 3-4 თვის იყო. რამდენიმე თვე ვზარდე, მაგრამ მერე ლენინგრადში წავედი და სახლში ვერ დავტოვე. გავაჩუქე.

— მგელთან ერთად როგორ ცხოვრობდით? არ გეშინოდათ?

— მგელზე მართლაც ბევრი უსიამოვნო ლეგენდა არსებობს. ძველი მითების მიხედვით, ის მზესა და მთვარეს ნთქავს, რის გამოც ქვეყანაზე წყვდიადი ისადგურებს. ხალხური გადმოცემებით ის ღამის წყვდიადის სიმბოლოა. უკრაინული ლეგენდების თანახმად, მგელი, ღმერთის ნებართვით, ეშმაკის მიერაა შექმნილი, მაგრამ ეშმაკს მაინც ეშინია მგლისა, რადგან ის ეშმაკსაც კი ერევა. თუმცა უკრაინის ზოგ ადგილას ბავშვს გულზე მგლის კბილს ჰკიდებენ — აქაოდა, მას დაიცავსო. ჩვენი მითების მიხედვით, კი ყველა მგელი, წმინდა გიორგის განკარგულებაში იმყოფება. ჩვენს ზღაპრებში ის საცოდავია და კრავისგან სულ მოტყუებული რჩება.

— რადგან მტაცებელ ცხოველებს შევეხეთ, იქნებ, მათი გაწვრთნის ისტორიაც გავიხსენოთ?

— რუსეთში XVI საუკუნეში მოთვინიერებულ დათვებს სოფელ-სოფელ დაატარებდნენ და უამრავ სასაცილო ილეთს აკეთებინებდნენ. საქართველოში ხალხს ეზოებში ჰყავდა მოთვინიერებული ირმები და შვლები, იშვიათად — დათვებიც. თუმცა, ცირკის არენაზე ლომებისა და ვეფხვების გამოყვანა გაცილებით გვიან მოხდა. მაგალითად, ცნობილია ასეთი ფაქტი. პარიზში 1840 წელს, ვინმე ანდერსენმა ვეფხვი მოათვინიერა. მას ერთი გოგონა ჰყვარებია. ყოველდღე მიდიოდა მის მამასთან და ქალიშვილის ხელს სთხოვდა. ბოლოს, მისი საქციელით შეწუხებულმა კაცმა უთხრა: სამხეცეში ვეებერთელა ბენგალიური ვეფხვი მყავს, ის მოათვინიერე და ქორწილზე დაგთანხმდებიო... ვეფხვი ისე ღრიალებდა ადამიანის დანახვაზე, რომ გალიაზე შავი ფარდა ჰქონდათ ჩამოფარებული. ანდერსენი მივიდა გალიასთან და ფარდა გადახადა. ვეფხვმა მის დანახვაზე დაიღრიალა, გააფთრებულმა ისკუპა და ტორები გალიიდან გამოყო, რათა დაუპატიჟებელი სტუმარი დაეგლიჯა. ანდერსენი არც განძრეულა. ვეფხვმა კი, რაკი ნახა, რომ ადამიანმა მისი ღრიალი აინუნშიაც არ ჩააგდო, კუდამოძუებულმა უკანვე გაბრუნდა და დაწვა. ეს იყო წვრთნის პირველი სეანსი. მეშვიდე დღეს, ანდერსენმა საყვარელი ქალის მამას სთხოვა, მისულიყო. იატაკზე ვეფხვი იწვა, მის მუცელზე კი ანდერსენი დაწოლილიყო... ამის შემდეგ, ანდერსენს გაწვრთნილი მხეცები ხშირად გამოჰყავდა ევროპის ცირკის არენებზე. ამავე წლებში, წვრთნას ხელი მიჰყო ვინმე ვან-ამბურგმა, რომელიც წარმატებით გამოდიოდა ინგლისის ცირკებში, მაგრამ ბოლოს, ლონდონის ცირკის არენაზე თავის მიერვე გაწვრთნილმა ლომებმა მრავალი ასეული მაყურებლის თვალწინ ნაფლეთებად აქციეს...

— თქვენ თუ გიცდიათ ცხოველების გაწვრთნა?

— მე მყავდა ზღარბი — იოჟიკა და ციყვი — ბელკა. ღამით ორივე ლოგინში მეწვინა. ლოყაზე თუ არ დამადებდნენ თავებს, ისე არ დაიძინებდნენ. ზღარბს თითს ვერავინ ადებდა — ყველას ჩხვლეტდა, მე კი მისი ეკალი ერთხელაც არ შემრჭობია. ხშირად ვისვამდი კალთაში და ვეფერებოდი. რომელ ოთახშიც შევიდოდი, ისიც შემომყვებოდა. განსაკუთრებით ცხვირზე მოფერება უყვარდა. ზღარბის ასეთი მოშინაურება საოცრად ძნელია, შეუძლებელიც კი. გაგებული მქონდა, ზღარბს ვერაფერი ერევაო, მაგრამ იოჟიკა ვირთხებმა დაკბინეს და სისხლისგან დაიცალა... ვერ წარმოიდგენთ, როგორ ვტიროდი. ჩვენ ხომ უახლოესი მეგობრები ვიყავით. ერთმანეთის ენაც კი გვესმოდა. როცა „მეძახდა“, მაშინვე ვპასუხობდი. ვგრძნობდი, რომ „მეუბნებოდა“ — კარი გამიღე, აივანზე უნდა გავიდეო, — ან პირიქით — ოთახში შემომიშვიო.... როცა დაიღუპა, მთელი ღამე „მეძახდა“ — ოთახში შემომიყვანეო. ნასვამი ვიყავი, თავს ცუდად ვგრძნობდი, ადგომა ვერ შევძელი... ვისაც ცხოველები ჩემსავით არ უყვარს, ის ამას ვერ გაიგებს... ციყვიც გაწვრთნილი იყო. როცა ეზოში ჩავდიოდი ან მაღაზიაში მივდიოდი, ისიც ნახევარ მეტრში უკან მომყვებოდა. თუ რომელიმე შენობაში შევიდოდი, მაშინვე მხარზე დამახტებოდა. ერთხელ ძაღლმა შეაშინა, გაიქცა და უზარმაზარ ხეზე ავიდა. ორი საათის განმავლობაში ქვემოთ ვიდექი და ვეხვეწებოდი, ჩამოსულიყო. ბოლოს, ხელი ჩავიქნიე და შინ წასვლა გადავწყვიტე. მაშინვე ჩამოხტა და მხარზე დამახტა. თითქოს ხელმეორედ დავიბადე, ისეთი სიხარული განვიცადე... მერე მოიწამლა. თვალებით მეხვეწებოდა, მიშველეო, მაგრამ ვერაფერი ვუშველე, ვერ გადავარჩინე. ძალიან შემეცოდა. ისე ვიტირე, ცოლი კინაღამ გადამერია.

— ეი. თქვენი ბინადრები ხიფათში ხშირად ეხვევიან?

— ჩემს ძაღლს მანქანამ გადაუარა. თვალი ბუდიდან გადმოუვარდა. თუ გადარჩებოდა, არ გვეგონა. მთელი კვირის მანძილზე, მკვდარივით იყო. ყველა მეუბნებოდა, გადააგდეო, მაგრამ გული ფეთქავდა, სანამ ცოცხალი იყო, როგორ შეველეოდი?! მერვე დღეს, ცოლმა გადმომძახა აივნიდან — თემურ, თემურ, მიკი წამოდგაო! გამოვიქეცი, ლიფტი არ მუშაობდა. მე-16 სართულზე სულ სირბილით ავედი... მიკი გადარჩა. საოცარი ძაღლი იყო — ცეკვავდა, მღეროდა... მერე შვილი შეგვეძინა. ცოლმა თხოვა — სანამ ბავშვი წამოიზრდება, ძაღლები გავაჩუქოთო. დავთანხმდი. მეგობარმა მომიყვანა ერთი პროფესორი, მის შვილთან ერთად. ძაღლები შეათვალიერეს. დოგს ვერ შევინახავთო, — თქვეს, — ვერც

ერთი ხოხობი ავად გამიხდა და ცალკე გალიაში გადავიყვანე, უნდა გადავარჩინო

ვისაც ცხოველები ჩემსავით არ უყვარს, ის ამას ვერ გაიგებს...

მეცხვარის მოვლას შევძლებთო. მიკის არც შეხედეს. მივხვდი, ცალთვალა რომ იყო, ამიტომ დაიწუნეს. ამ დროს, ცოლს ვთხოვე – ნარგიზა, მიეცი მიკის საშუალება, თავი გამოიჩინოს-მეთქი. ჩემმა ცოლმა უთხრა – მიკი, მიდი, „შალახო“ იცეკვეო. მიკიც ორ ფეხზე დადგა და მუსიკას აჰყვა. მერე ნარგიზამ უთხრა – მიკი, ცოცხი მოიტანე, გაზეთები მოიტანეო. მიკიმ ყველა მოთხოვნა შეუსრულა. მამა-შვილმა მის ფიზიკურ ნაკლს ყურადღება აღარ მიაქცია და წაიყვანა. დღემდე ცოცხალია... ბულტერიერი მყავდა. ძალიან ლამაზი და ღონიერი იყო, თანაც – უშიშარი. ერთი მეზობლის ბავშვი უყვარდა გამორჩეულად, ხშირად ეთამაშებოდა. ერთ დღესაც, ბავშვი ქვემოდან ეძახდა. ჩემი ძაღლი მე-17 სართულიდან უყეფდა. მერე მოულოდნელად, თავით გადაეშვა ძირს... შინ რომ დავბრუნდი, სადარბაზოს წინ უამრავი ხალხი დავინახე. ჩემი ძაღლი ძირს ეგდო...

— თქვენი კაჭკაჭის შესახებაც გამიგონია სასწაულები...

– ოთახში დაფრინავდა. გალია არ ჰქონდა. მოგეხსენებათ, მხატვრები ტილოს გადასაჭიმად პატარა ლურსმნებს ვიყენებთ. როგორც კი ამ საქმეს დავიწყებდი, მაშინვე მოფრინდებოდა და გვერდით დამიჯდებოდა; თვალს მოვაცილებდი თუ არა, ინახავდა. ლურსმანს მოპარავდა და თაროზე ერთ-ერთი სურათის უკან ინახავდა. ზოგჯერ იყო შემთხვევა, რომ ლურსმნების ყუთს სულ დააცარიელებდა... მაშინ ისე კარგად მქონდა მოწყობილი სახელოსნო, თბილისში სტუმარი რომ ჩამოვიდოდა, აუცილებლად ჩემთან მოჰყავდათ. ბევრი სტუმარი გაუოცებია ჩემს კაჭკაჭს. როცა ვხატადი, საათობით მიცქერდა, თვალს არ მაცილებდა. 1.000 დოლარს მაძლევდნენ, მაგრამ მაინც არ გავყიდე. ნახატებსაც ძალიან იშვიათად ვყიდი: არ შემიძლია.

— მაშ, რით ცხოვრობთ?

– უფლის ნებით და შეწევნით. ყველას უკვირს, რატომ არ ვყიდი სურათებს. რა ვქნა, მე ასეთი ვარ... ■

მე ვხატავ, ჩიტები კი საამურად ჭიკჭიკებენ. სხვანაირად ცხოვრება ვერც წარმომიდგენია...



„მიშა თოლიის გამო გახდა ქალი, ვანო კი ნერვიული კაცად იქცა...“

მას შემდეგ, რაც ჩვენს ეკრანებზე გასართობი გადაცემა — „შაბათის შოუ“ გაჩნდა, ვანო ჯავახიშვილმა, ვასო ფხაკაძემ, ნიკა გრიგოლიამ და სხვა დანარჩენმა მონაწილეებმა პოპულარობა ძალიან მალე მოიხვეჭეს და ხალხს მათ შესახებ ყველაფერი აინტერესებს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ირწმუნებიან — ცხოვრებაში სერიოზულები ვართ და აღარ გვეხუმრებაო, — ამ ინტერვიუმ ისე მხიარულად ჩაიარა, რომ თავი შოუს ჩაწერაზე მეგონა. ერთადერთი, ვისაც ხმა ვერ ამოვაღებინეთ, ჩაინიკა ანუ კობა ბარათელი გახლდათ: ბიჭებზე გაბრაზებული, კუთხეში მიმჯდარიყო და ბუზღუნებდა. ჩემი რესპონდენტები კი მშვენიერ გუნებაზე იყვნენ და ეს ინტერვიუსაც ეტყობა.

ნათია ქივიძე

— ჯერ ის გვითხარით, პროფესიით ვინ ხართ და „შაბათის შოუში“ როგორ მოხვდით?

ვასო:

– პროფესიით ვეტექიმი ვარ, ზოოვეტის ინსტიტუტი დავამთავრე. თეატრალურ ინსტიტუტშიც მინდოდა ჩაბარება, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა, რასაც ძალიან ვნანობ, რადგან ვფიქრობ, რომ მსახიობური ნიჭი ასე თუ ისე, მაქვს. ადრე, ფოთის ტელევიზიაში ვმუშაობდი, მერე გავიცანი დათო გოგიჩაიშვილი, რომელმაც შემომთავაზა, რომ „შაბათის შოუში“ მიმეღო მანაწილეობა. ასეც მოვიქეცი და ამას არ ვნანობ, რადგან ძალიან მომწონს ეს საქმიანობა. ისე, თუ ოდესმე ხუმრობას თავს დავანებებ, აუცილებლად ჩემს ძველ პროფესიას დავუბრუნდები.

ვანო:

– პროფესიით მათემატიკოსი ვარ. ტექნიკური საგნები მიყვარდა, უნივერსიტეტში მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ჩავაბარე და დავამთავრე კიდეც. რა თქმა უნდა, უნივერსიტეტის „კავეენში“ ვთამაშობდი. სხვათა შორის, ნიკაც უნივერსიტეტში გავიცანი. ერთად ვთამაშობდით „კავეენს“. შარშანწინ დათო გოგიჩაიშვილმა მონოლოგების ფესტივალი ჩაატარა. იქ გავიმარჯვე და ასე მოვხვდი აქ.

ნიკა:

– მე უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი დავამთავრე. დანარჩენი კი ვანომ გითხრათ.

— როცა ვინმეს როლს ასრულებთ, იცით, ამა თუ იმ ადამიანის ცხოვრების წესი, თუ ეს იმპროვიზაციაა?.. მაგალითად, ვასო, შენ ყველაზე დიდი პოპულარობა რედაქტორის როლმა მოგიტანა...

– კი, ყველა მაგას მეუბნება. ინტრიგაა, ეს, გენაცვალე, ინტრიგა!.. რედაქტორები როგორ ცხოვრობენ, ნამდვილად არ ვიცი, უბრალოდ მგონია, რომ ისინი ასეთები უნდა იყვნენ. რედაქტორი გიჟია და ჟურნალისტიც ისეთივე ჰყავს, როგორსაც ვანო ასრულებდა... რა თქმა უნდა, ყველა რედაქციაში ასე არ ხდება, მაგრამ ძირითადად, მაინც ასეა. დანარჩენ ადამიანებსაც ჩემი წარმოსახვის მიხედვით ვბაძავ. ჩვენ სხვადასხვა ტიპაჟის რამდენიმე ვარიანტი გვაქვს ხოლმე, მერე ყველა ერთად ვსხდებით და ვარჩევთ, ამა თუ იმ ტიპაჟს რომელი ვარიანტი მოუხდება. რედაქტორის სკეტჩის რეპეტიცია მე და ვანოს გავლილი არ გვქონდა, უბრალოდ, დაწერილი იყო და მეტი არაფერი. იქვე, სტუდიაში განვასახიერეთ პირველად და ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი გამოვიდა. ზოგჯერ ხდება ისე, რომ როლზე მუშაობას ვერ ვასწრებთ, ამიტომ პირდაპირ სტუდიაში, გადაღების დროს ვდგამთ ამა თუ იმ სკეტჩს. როცა დეკორაციას ვხედავთ, იქვე უფრო მოგვდის მუზა, რადგან თავი იმ სიტუაციაში წარმოგვიდგენია, რომელსაც ვქმნით. ჩვენთან იცი, რა ხდება? რაიმე სკეტჩი რომ დაიწერება, მაშინვე ვხვდებით, თუ ის როლი ვინ უნდა შეასრულოს. მაგალითად, ანდღულაძეს არაჩვეულებრივად გამოსდის ქალის როლი, ვანო საწყალ ადამიანებს თამაშობს კარგად და ა.შ.

ვანო:

– თანაც, ჩემნაირი ჟურნალისტები ხომ არ გყავთ რედაქციაში?!. სცენარით გათვალისწინებული არ იყო, რომ ვასოს „ინტრიგა, ინტრიგა“ ეძახა, არც ის ჟესტი გვქონდა წინასწარ მომზადებული, რომელსაც აკეთებდა. ეს სკეტჩი მთლიანად ვასომ „გაქაჩა“, თავისი იმპროვიზაციით. ასე ხშირად ხდება – ბევრი ხუმრობა იქვე, ჩაწერის დროს მოგვიფიქრებია ხოლმე, ამაში შეზღუდულები არ ვართ.

— ვანო, შენ ყოველთვის საწყალი ადამიანის როლი რატომ გაქვს? ცხოვრებაშიც ასეთი ხარ?

ეგ რა არის?! ერთხელ მანქანაში ვიჯექი, 6 წლამდე ასაკის ბავშვი მოვიდა და კაპოტზე დამიწვა

გატყუებთ. ვანომ ხუმრობა თავიდან, მიწისქვეშა გადასასვლელში დაიწყო და მერე „გაიქაჩა“

მერე რა?.. შენ ხომ, კლოუნი გამოძახებით იყავი!..

— არა, ცხოვრებაში საწყალი საერთოდ არ ვარ. ყველა მემდურის, გიჟი ხარ, გიჟიო. ღმერთმა დამიფაროს, საწყალი ვიყო! სულაც არ ვგრძნობ თავს მიტოვებულად და უბედურად, პირიქით — ძალიან მხიარული ვარ.

— კარგია ქმრის როლის თამაში?

— არა, კაცის ქმრის როლის თამაში არ არის კარგი. მიშა ერთ დღეს სექსუალურ ქალად რომ გადაიქცეს, კიდევ რაღაცას იფიქრებს კაცი... ისეთი ქმარი ნამდვილად არ ვიქნები, როგორსაც ვთამაშობ. ჩემი გმირი თავის სიმაღლეზე ვერ დგას, თუმცა, სკეტჩისთვის მართლა კარგი ტიპაჟია. ამ როლს უკვე ისე მივეჩვიე, ხანდახან ცხოვრებაში მე და მიშა რომ ვსაუბრობთ, მართლა ცოლ-ქმრის როლში შევდივართ.

— ხუმრობის ხასიათზე ყოველთვის ხართ?

— არა, მხოლოდ სამსახურში ვხუმრობთ. ცხოვრებაში ბევრად უფრო წყნარი და მშვიდი ვარ, ვიდრე ეს ეკრანზე ჩანს. ისე ვიღლები სამსახურში, რომ მეგობრებს როცა ვხვდები, ვეხვეწები — სამსახურზე არაფერი მკითხოთ-მეთქი. მთელი ჩვენი იუმორის ნაყოფს აქ ვტოვებთ და გარეთ აღარ გვეხუმრება. რა თქმა უნდა, ხალხისგან გარკვეულ მსალებს ვაგროვებთ, მაგრამ ისე არ არის, რომ ქუჩაში ვიდგეთ და ხალხი ვაცინოთ.

ნიკა:

— გატყუებთ. ვანომ ხუმრობა თავიდან, მიწისქვეშა გადასასვლელში დაიწყო და მერე „გაიქაჩა“ — წინ ქუდი ედო და ხალხი ხუმრობისთვის შიგ ხურდებს უყრიდა...

ვანო:

— მერე რა?.. შენ ხომ, კლოუნი გამოძახებით იყავი!..

— ნიკა, როგორ უთავსებ ერთმანეთს გამღვიძებლის როლსა და „შაბათის შოუს“ მსახიობობას?

— გოგო, „შაბათის შოუში“ მე სინამდვილეში არ ვარ — იქ ჩემი ძმაა, რომელიც ძალიან მგავს და ყველას მე ვგონივარ *(იცინის)*... რა ვიცი, ყველაფერს მშვენივრად ვუთავსებ ერთმანეთს, რადგან აქ ძალიან კარგი ანაზღაურება მაქვს. ფულის გამო, რას არ შევუთავსებ ერთმანეთს!.. მიშა ფულის გამო გახდა ქალი, ვანო კი ნერვიულ კაცად იქცა...

— მოდი, ცოტა კიდევ გვიამბეთ თქვენს შემოქმედებით სამზარეულოზე. როგორ გადიხართ ამა თუ იმ სკეტჩის რეპეტიციას და როგორი ურთიერთობა გაქვთ ერთმანეთთან კადრს მიღმა?

ვასო:

— სამზარეულო ძალიან კარგი გვაქვს: გაზი ახლა შემოვიყვანეთ, ვანო ქურასაც მოიტანს, ხოლო ქვაბებზე ჩვენი ჩაინიკა იზრუნებს...

ვანო:

— მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ყველანი ჯერ მეგობრები ვიყავით და მერე გავხდით თანამშრომლები. შესაბამისად, ეკრანს მიღმა ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. რაც შეეხება სკეტჩებს — რა თქმა უნდა, რეპეტიციას წინასწარ გავდივართ, თანაც არაერთხელ. ერთადერთი, ჩაინიკას ვაბრაზებთ ხოლმე, შენ გახდი მალე და შენ არ ჭამე საჭმელი-თქო! — ვეუბნებით. ამიტომ ჩვენზე თითქმის ყოველთვის გაბუტულია. მაგისთვის ჭამა იცი, რას ნიშნავს?..

— ალბათ, ქუჩაში თქვენი გამოჩენა ხალხის გამხიარულებას იწვევს...

ვანო:

— ამას წინათ, ჩემს ძმას საქმეზე გავყევი. ის სადარბაზოში შევიდა და მე მანქანაში დავრჩი. გავიხედე და 40-მდე ბავშვი ჩემკენ გამწარებული მორბოდა. სასწრაფოდ ჩემს ძმას დავურეკე, ახლავე ჩამოდი, თორემ ალყაში ვარ-მეთქი, — ვუთხარი. ძლივს გამოვასწარი...

ვასო:

— ეგ რა არის?! ერთხელ მანქანაში ვიჯექი, 6 წლამდე ასაკის ბავშვი მოვიდა და კაპოტზე დამიწვა. „გარიგება“ რომ არის, ფილმი, ხომ იცით, მარო რომ მიტოს დაუწვება, ზუსტად ისე. თან ეს ბავშვი გამწარებული დედამისს ეძახდა — ჩამოდი, ვასო ფხაკაძე მყავს დაჭერილიო!.. მერე, თავისი თანატოლებიც მოიხმო — მოდით, ნახეთ, ვასო როგორ დავიჭირეო!.. კინაღამ გავგიჟდი. კიდევ მოგიყვებით ერთ შემთხვევას. ქუჩაში ორი მთვრალი მამაკაცი ერთმანეთს ესაუბრებოდა. მე რომ დამინახეს, ერთმა უთხრა მეორეს — ეს ხომ იცი, ვინ არის? „202“-იაო. მგონი, უნდოდა ეთქვა, რომ ტელეკომპანია „202“-ის წარმომადგენელი ვიყავი და რა შუაში ვარ ამ ტელევიზიასთან, ვერ მივხვდი.

ნიკა:

— მეც მოგიყვებით ერთ ამბავს. ამას წინათ, მე და მიშა ანდღულაძე სამარშრუტო ტაქსით ვმგზავრობდით. ცოტა ხანში, ვიღაც გოგონა და მამაკაცი ამოვიდნენ. ეს გოგო დაჯდა, კაცმა კი, არ ვიცი, საიდან, მაგრამ არყით სავსე ჭიქა დაადრო. ისეთი მთვრალი იყო, ფეხზე ვერ დგებოდა. მძღოლს უთხრა — ადგილიდან არ დაიძრაო, — და ხმამაღლა გამოაცხადა — ამ ჭიქით ამ გოგონას გაუმარჯოსო და ყველა დამეთანხმეთო. მერე მე და მიშას შემოგვხედა და მიშას უთხრა — შენ, ძმაო, „ფარული კამერიდან“ არ ხარო? — და ჩავიდა. გაოცებულები ვუყურებდით ერთმანეთს. იმ გოგონას სადღეგრძელო კი, გულში ყველამ დავლიეთ...

■

მსახიობი ზურა შარია ფიქრობს, რომ იმ თვისებებს შორის, რომლებიც ღმერთმა ადამიანებს უბოძა, ერთ-ერთი გამორჩეული, სიყვარულის ნიჭია... თავად ზურა ამ ბოლო დროს, სერიოზულადაა შეყვარებული წყალქვეშა სამყაროზე. ის უკვე მესამე ხარისხის მყვინთავია. ზღვასა და წყალქვეშა სამყაროთი გატაცებული ზურა პირველ პაემანზე წამსვლელებს შესაბამის რჩევას აძლევს.

„ბიჭებს ვურჩევდი, გოგონებს პაემანი წყალქვეშ დაუნიშნონ“

მერი კობიაშვილი

— ზურა, პირველი შეყვარებული გახსოვთ?

— პირველად, 4 წლის ასაკში შემიყვარდა. მეზობელი გოგონა, რომელიც 2 წლით იყო ჩემზე უფროსი, ისე მომწონდა, მოსვენება დავკარგე. ეზოში სპილენძის ბეჭედი ვიპოვე. წარმოიდგინეთ იმ გოგონას სახლში მივაკითხე!.. კარი დედამისმა გამიღო. ბეჭედი მივეცი და ვუთხარი — ეს ჩემს სიყვარულს გადაეცით-მეთქი. ჩემს ასეთ გაბედულ ნაბიჯზე უფროსებმა ბევრი იხალისეს. მე კი, უპასუხო სიყვარულის გამო ვიტანჯებოდი... თუმცა, მინდა გითხრათ, რომ სკოლაში მისვლისთანავე, პირველი სიყვარული დამავიწყდა.

— სკოლაში ბევრი გოგო მოგწონდათ?

— ნამდვილად. დროს უქმად არ ვკარგავდი. ნულ ჯგუფში რომ ვსწავლობდი, ჩემი თანაკლასელი მომეწონა ძალიან.

— თქვენ ინტერესი ალბათ, კარგი სწავლით დაიმახსოვრა, არა?

— ლამაზი გოგონა იყო. პირველკლასელს, ვინმეს კარგი სწავლა ნაკლებად მაინტერესებდა... ჩემი დაჟინებული თხოვნით, ის გოგონა პაემანზე დავითანხმე. ეჭვი მაქვს, რომ მასაც მოვწონდი, რადგან პაემანზე უარი არ უთქვამს.

— პაემანზე მისვლის წინ ძალიან ნერვიულობდით?

— რა თქმა უნდა, გული გამალებით მიცემდა. მაგრამ მახსოვს, პირველივე პაემანზე დიდი მიღწევები მქონდა: შეყვარებულს, რომელსაც სკოლის ეზოში შევხვდი, ლოყაზე ვაკოცე! მას საპასუხოდ არ უკოცნია, თუმცა, არც წინააღმდეგობა გაუწევია ჩემთვის.

— სერიოზულად როდის შეგიყვარდათ?

— მერვე კლასიდან, პირველ გიმნაზიაში გადამიყვანეს სასწავლებლად. სწორედ მაშინ გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე, ია ცინცაძე. მისთვის პაემანი არ დამინიშნავს. ჩემი კლასელი იყო და ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს. ორივემ სკოლაშივე გავარკვიეთ, რომ ერთმანეთი გვიყვარდა. მაგრამ 11 კლასის დამთავრების შემდეგ, ჩვენი გზები გაიყო: მე თეატრალურ ინსტიტუტში გავაგრძელე სწავლა, მან — სამედიცინოზე. 3 წლის შემდეგ, კვლავ შევხვდი იას და ძველი ურთიერთობები განვაახლეთ. დაოჯახება მალევე გადავწყვიტეთ. უკვე 15 წელია, ერთად ვართ.

— სიყვარულს როგორ გამოხატავთ ხოლმე? რომანტიკოსი ხართ? ლექსების წერა გეხერხებათ?

— ჩვენში იმდენი კარგი პოეტია, ვერ გავთავხედდები და ლექსების წერას ვერ დავიწყებ. თუმცა, ვერც იმაში ვხედავ რაიმეს ცუდს, თუ ვინმეს სიყვარულმა ლექსი დააწერინა. მე კი, შეყვარებულობისას, უფრო აქტიური ვხდებოდი — ეს გრძნობა ძალას მმატებდა.

— როგორც წესი, ქალები თავს იფასებენ და არ ოჯერებენ, რომ ბიჭებს უყვართ. თქვენ სიყვარულის დასამტკიცებლად რაიმე გმირული საქციელის ჩადენა ხომ არ გიცდიათ?

— ჩემი აზრით, შეყვარებულმა არასოდეს არ უნდა იამყოს ჩადენილი ე.წ. გმირული საქმეების გამო. იმ ქალებს კი, ვისაც თავის დაფასება უყვართ, ვურჩევდი — ასე ნულარ მოიქცევიან. ხშირად ისინი ცხოვრების ბოლომდე თავდაფასებულები დადიან ხოლმე.

— ცალმხრივად თუ ყოფილხართ ოდესმე შეყვარებული?

— ჩემდა საბედნიეროდ, ცალმხრივად არასდროს ვყოფილვარ შეყვარებული. პატარ-პატარა გულისტკენები კი მქონია, შეყვარებული გოგონასგან მიღებული, მაგრამ სიყვარულისგან გატანჯულს თავი კედელზე არასდროს მირტყია... ცალმხრივად შეყვარებულებს კი, ერთ რამეს ვეტყოდი — მინცდამინც ნუ მოიკლავენ თავს. საკუთარ თავს ჩაგონონ და ხშირად გაუმეორონ — არ ვუყვარვარ და ნუ ვუყვარვარ, აუცილებლად შემხვდება ისეთი ადამიანი, ვინც ჩემს ღირსებებს დააფასებსო... უაზრო ტანჯვით ჯანმრთელობის გაფუჭება ნამდვილად არ ღირს.

— ოდესმე, რომელიმე ჰოლივუდელი ლამაზმანი თუ ჩაგვარდნია გულში?

— ეკრანზე ბევრი ქალი მომწონებია, მაგრამ მათი შეყვარება არც კი მიფიქრია. მარტო გარეგნობით ადამიანის შეფასება

მერვე კლასიდან, პირველ გიმნაზიაში გადამიყვანეს სასწავლებლად. სწორედ მაშინ გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე, ია ცინცაძე...

არ შეიძლება — მთავარია, ქალის შინაგანი სამყარო.

— ალბათ ბევრი თაყვანისმცემელი გყავთ, როგორც მსახიობს. თქვენდამი ინტერესს როგორ ამყლავნებენ ხოლმე?

— კარი არავის ჩამოულია ჩემთვის. თუმცა, ბევრს უთქვამს — ძალიან მოგვწონხარ, როგორც მსახიობი. მაყურებლების ასეთი ყურადღება ყველა მსახიობზე კარგად მოქმედებს და უფრო მეტის გაკეთების სურვილს აღუძრავს.

— სერიალში — „თენდება გვიან“ — ეროტიკული სცენების თამაშის შემდეგ, ბევრი გაკრიტიკებდათ. მაყურებლისგან ასეთი რეაქციის გამო, არ გიფიქრიათ — მსგავს სერიალში აღარასდროს ვითამაშებო?

— როცა მსახიობი ხარ, ნებისმიერი როლის თამაში უნდა შეგეძლოს. სხვათა შორის, ჩემი მეუღლე ამბობდა — მე არ მინერვიულია და ეს ხალხი რამ გადარიაო?!.

— ამბობენ, კაცის გულისკენ მიმავალი გზა კუჭზე გადისო. როგორ ფიქრობთ — კარგი მზარეული ქალები მართლა უფრო ადვილად იგებენ კაცის გულს?

— რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, როცა ქალი ცდილობს, კაცის გულისთვის გემრიელი საჭმელი მოამზადოს. მაგრამ არა მგონია, ვინმემ კარტოფილის კარგი შეწვისთვის შეიყვაროს ვინმე.

— თქვენ თუ გიცდიათ, კარგი კერძის მომზადებით ქალის მოხიბვლა?

— სიმართლე გითხრათ, კერძების მომზადება დიდად არ მეხერხება, მაგრამ ხანდახან მიყვარს სახლში საჭმლის მომზადება. ჩემი კულინარიული ნიჭით ძირითადად, შვილებს ვაოცებ ხოლმე.

— რას ურჩევდით ადამიანებს, რომლებიც პირველ პაემანზე წასასვლელად ემზადებიან?

— ბიჭებს ვურჩევდი, გოგონებს პაემანი წყალქვეშ დაუნიშნონ: ჩემი აზრით, ეს იდეალური და ძალიან ორიგინალური პაემანი იქნება.

— ვინც ცურვა არ იცის, ის როგორლა მოიქცეს?

— როგორ შეიძლება, რომ ბიჭმა ცურვა არ იცოდეს?! ასეთი რამ ვერ წარმომიდგენია. თუ ქალმა არ იცის ცურვა, კიდევ შეიძლება სიტუაციის გამოსწორება: ზღვაზე ან აუზზე მისვლის შემდეგ, ჩასვას ბიჭმა გასაბერ რგოლში, ცურვასაც ასწავლის, სიყვარულსაც აუხსნის და თან გოგოც ვერსად გაექცევა... ■



სოფო (მარჯვნივ) და მარიამ შარიები

ნელი ბიჩიკაშვილი: ორსულ ქალზე გაკეთებული ჯადო ბავშვზეც გადადის

ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს მომავლის წინასწარმეტყველების ნიჭი ბებიისგან გადაეცა მემკვიდრეობით. მას უამრავი ადამიანი ემადლიერება. როცა რაიმე პრობლემა აქვთ გადასაწყვეტი, ვერ ნელისთან მიდიან, ბიზნესმენები მისი რჩევის გარეშე ახალ საქმეს არ იწყებენ. ნათელხილვის უნიკალური ნიჭის წყალობითა და შელოცვებით მან უამრავი ქალი გადაარჩინა მოსალოდნელ უსიამოვნებას, ხალხი ნელისთან რაიონებიდანაც ჩამოდის.

— ამას წინათ, ჩემთან სამარჩიელოდ მოვიდა ახალგაზრდა ბიზნესმენი ქალი, რომელსაც თავისი ინდოელი პარტნიორი შეუყვარდა. 10 წელია, ერთად არიან, საქმროდ თვლიდა, მაგრამ ბიჭის დედამ ყველაფერი გააკეთა, რათა მის შვილს სხვა ქალი შეერთო ცოლად.

— ვინ მოაყვანინა?

— თავისი დისშვილი, 16 წლის გოგონა.

— ნათესავი?

— დიახ. მუსლიმნი ინდოელები ყოფილან და ნათესავებს შორის ქორწინება წესად ჰქონიათ. სადედამთილომ ქართველ სარძლოს ჯადოები გაუკეთა თურმე, რათა თავისი შვილისთვის ჩამოშორებინა და მიაღწია კიდეც მიზანს.

— თუ იმ ინდოელს ნამდვილად უყვარდა ქართველი ქალი, 10 წელი რას უყურებდა, მოეყვანა ცოლად?

— ინდოეთში მშობლებს დღემდე დიდი გავლენა აქვთ შვილებზე. უყვარდა, მაგრამ დედის თანხმობის გარეშე ვერ შეირთო. ეგონა, დაიყოლიებდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, ჯადოს ზემოქმედებით, დედაშვილი მოიყვანა ცოლად, ახლა საქორწინო მოგზაურობაში არიან, თურმე.

— გაწბილებული შეყვარებული რა ჭკუაზეა?

— ფეხმძიმედ დარჩა და ბავშვის გაჩენას აპირებს. ინდოეთიდან მეგობრებმა დაურეკეს და უთხრეს, რომ მისი შეყვარებულის ცოლიც ორსულად არის... როგორც ხედავთ, ერთმა ქალმა, რომელმაც ჯადო თავისი მიზნის მისაღწევად გამოიყენა, ერთდროულად სამი ადამიანი გაუბედურა, მაგიური ზემოქმედებით მან შვილის ნებელობა შეასუსტა და ისეთი გადაწყვეტილება მიაღებინა, რომელიც მას ხელს არ აძლევდა.

— სადედამთილომ ჯადო ქართველ სარძლოსაც გაუკეთა და შვილსაც?

— დიახ, ორივეზე მოახდინა მაგიური ზემოქმედება. ჩვენ უკვე დავიწყეთ გამოლოცვა, რათა ორსულ ქალს ჯადო ავხსნათ. თუ დროზე არ განეიტრალდა ნეგატიური პროგრამა, შესაძლოა, დედის ბოველიდან შვილზეც გადავიდეს. ბავშვმა რა დააშავა?! ჯადოს მოხსნა საკმაოდ რთული პროცესია, გარკვეულ დროსა და მოთმინებას მოითხოვს, მაგრამ ზოგს არ ჰყოფნის ნებისყოფა, როგორც კი თავს უკეთ იგრძნობს, ჰგონია, რომ ყველაფერი რიგზეა და აღარ აგრძელებს მკურნალობას. დაწყებულ საქმეს ბოლომდე უნდა მიყვანა, შუაგზაზე გაჩერება სასურველ შედეგს არ იძლევა.

P.S. დარეკეთ და ჩაეწერეთ წინასწარ! ქალბატონი ნელის მისამართია: წერეთლის პრ. №12 (მეტრო „წერეთლის“ გვერდით), II სადარბაზო, II სართული, ბინა №24; საკონტაქტო ტელეფონებია: 35.29.72; 893.30.65.51; 899.20.37.64

R

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(23 - 29 ივნისი)

ვერძი – 21/III-20/IV

ამ პერიოდში ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით მუშაობა მოგიწევთ. გაიჩენთ ახალ ნაცნობებს, თუმცა, ეს ნაცნობობა ძირითადად ზედაპირული სახის იქნება. წარმატების მისაღწევად ბევრი ენერგიის დახარჯვა მოგიწევთ, რაც თქვენს გარეგნობას დაეტყობა, ამიტომ, თავს მოუარეთ. შეეცადეთ, შეძლებისდაგვარად ყურადღება გამოიშინოთ ახლობლების მიმართ. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და მშვილდოსანთან, ნეგატიური – კირჩხიბსა და ლომთან. **პოზიტიური დღეები:** 23, 24, 29. **ნეგატიური დღეები:** 25, 26

კურო – 21/IV-21/V

მოსალოდნელია სასიკეთო ცვლილებები ცხოვრების მრავალ სფეროში, განსაკუთრებით ეს იმ კუროებს შეეხებათ, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია კომერციასთან. დიდ ნებისყოფას გამოიჩენთ, აგრეთვე გაიზრდება თქვენი სასიცოცხლო პოტენციალი. თუმცა, შესაძლოა, ამ ყველაფერმა თქვენში ამბიციურობის გაღვივება გამოიწვიოს, რასაც უნდა უფრთხოდეთ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და კირჩხიბთან, ნეგატიური – ვერძსა და ლომთან. **პოზიტიური დღეები:** 24, 26, 28. **ნეგატიური დღეები:** 23, 27.

მარჩხიბი – 22/V-21/VI

სულიერად გამდიდრების ხანა გიდგათ. აგრეთვე, იოლად შეძლებთ ილუზიებისგან გათავისუფლებას. კომფორტულ გარემოს შექმნით, როგორც საკუთარი თავისთვის, ასევე გარშემო მყოფებისთვის. ფინანსური საკითხების გადაჭრისას ნურავის ნუ დაეყრდნობით. კარგი იქნება, თუკი იზრუნებთ ძველი ვალების გასტუმრებასა და გასესხებული თანხების დასაბრუნებლად. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩხიბსა და მერწყულთან, ნეგატიური – კუროსა და ღრიანკალთან. **პოზიტიური დღეები:** 24, 25, 29. **ნეგატიური დღეები:** 23, 28.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ძირითად საზრუნავად, საკუთარი ცხოვრების შეცვლა გექცევათ, მით უმეტეს, რომ მზე კირჩხიბის ზოდიაქოში გადავიდა, ეს კი თქვენს წისქვილზე დასხამს წყალს. შეეცადეთ, დააგროვოთ ინფორმაცია, დაამყაროთ კონტაქტები, გადაწყვიტოთ ის პრობლემები, რომლებიც თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. შესაძლოა, გაიუმჯობესოთ მატერიალური მდგომარეობა. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და თევზებთან, ნეგატიური – ვერძსა და სასწორთან. **პოზიტიური დღეები:** 23, 26, 27. **ნეგატიური დღეები:** 25, 29.

ლომი – 23/VII-23/VIII

ბევრი რამ გაირკვევა, როგორც თქვენ წარსულთან, ისე მომავალთან დაკავშირებით. აუცილებელია, გამოიტანოთ სწორი დასკვნები ადრე დაშვებული შეცდომების გამო, რათა მომავალში მსგავსი რამ აღარ გაიმეოროთ. რთული მოლაპარაკებები გელით. ძალების მობილიზება მოგიწევთ, რათა ყველაფერი თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდეს. ურთიერთობები პოზიტიურია ლომსა და სასწორთან, ნეგატიური – მარჩხიბსა და თხის რქასთან. **პოზიტიური დღეები:** 23, 24, 25. **ნეგატიური დღეები:** 26, 27.

ქალწული – 24/VIII-23/IX

შესაძლოა, მყუდროება გარკვეულმა გარემოებებმა დაგირღვიოს, მაგრამ არ უნდა გადაუხვიოთ დასახულ კურსს. წარმატებას მოგიტანთ ნებისმიერი მოგზაურება და მოლაპარაკება. ნებისმიერ სიტუაციაში, რომელიც ბუნდოვანი მოგეჩვენებათ ბოლომდე უნდა გაერკვეთ, განსაკუთრებით, თუ ის ფინანსებს უკავშირდება. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და თხის რქასთან, ნეგატიური – ღრიანკალსა და მერწულთან. **პოზიტიური დღეები:** 24, 27, 29. **ნეგატიური დღეები:** 23, 25.

სასწორი – 24/IX-23/X

უსიამოვნო სიახლეები გელით, განსაკუთრებით – პროფესიულ სფეროში. არ გირჩევთ, ფინანსური საკითხების ამ პერიოდში გადაჭრას. საერთოდ, ეს არ გახლავთ ხელსაყრელი პერიოდი სერიოზული ცვლილებების განსახორციელებლად. მაგრამ გულს ნუ გაიტეხთ, ყველაფერი მალე გამოსწორდება. ურთიერთობები პოზიტიურია სასწორსა და მერწყულთან, ნეგატიური – ვერძსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები:** 23, 25, 26. **ნეგატიური დღეები:** 28, 29

ღრიანკალი – 24/X-22/XI

პოზიტიური პერიოდია შემოქმედებისთვის. სასიამოვნო გარემოში, საინტერესო ადამიანთა წრეში მოხვდებით და შესაძლოა, ახალ ნაცნობებთან ერთად რაღაც გეგმებიც კი დასახოთ. ნუ ჩაებმებით სარისკო და მით უმეტეს, საეჭვო საქმეებში. ყურადღება მიაქციეთ საკუთარ გარეგნობას. ურთიერთობები პოზიტიურია ღრიანკალსა და თევზებთან, ნეგატიური – კუროსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები:** 23, 27, 28. **ნეგატიური დღეები:** 24, 25.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

შესაძლოა, დაგეუფლოთ დეპრესიული განწყობილება, მით უმეტეს, რომ ამას თქვენი შერყეული მატერიალური მდგომარეობაც შეუწყობს ხელს. მოეშვით ექსპერიმენტებს, პრობლემები ძველი, ნაცადი ხერხებით მოაგვარეთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ აზრის გამოთ მისას, რათა თქვენ მიერ ნათქვამი სიტყვა თქვენსავე წინააღმდეგ არ გამოიყენონ. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და მშვილდოსანთან, ნეგატიური – მარჩხიბსა და სასწორთან. **პოზიტიური დღეები:** 25, 27, 29. **ნეგატიური დღეები:** 24, 26.

თხის რქა – 22/XII-20/I

თქვენთვის მეტ-ნაკლებად ნეგატიური პერიოდი დადგება, ამიტომ ნუ წამოიწყებთ ახალ საქმეებს. გაჭირვების შემთხვევაში, დასახმარებლად მიმართეთ მეგობრებსა და კოლეგებს. ყურადღება გამოიჩინეთ ასაკით თქვენზე უფროსი ადამიანების მიმართ. შესაძლოა, მათ მიერ მოცემულმა რჩევებმა წინსვლაში შეგიწყოთ ხელი. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და თევზებთან, ნეგატიური – ლომსა და მშვილდოსანთან. **პოზიტიური დღეები:** 24, 25, 26. **ნეგატიური დღეები:** 23, 27.

მერწყული – 21/I-19/II

საზოგადოებრივი საქმეების კეთებას მიჰყოფთ ხელს. შესაძლოა, სახელმწიფო ორგანოებთან შეხებამაც მოგიწიოთ, ეს კი ახლობლების წრეში თქვენი ავტორიტეტის გაზრდას შეუწყობს ხელს. თუ იაქტიურებთ, წარმატებასაც უფრო სწრაფად მიაღწევთ, თანაც – იმაზე უკეთეს შედეგს მიაღწევთ, ვიდრე თავადვე ელით. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩხიბსა და მშვილდოსანთან, ნეგატიური – ლომსა და ღრიანკალთან. **პოზიტიური დღეები:** 23, 27, 28. **ნეგატიური დღეები:** 25, 29.

თევზები – 20/II-20/III

მოგეცემათ შესაძლებლობა, გამოასწოროთ ადრე დაშვებული შეცდომები, ასევე, განახორციელოთ ყველა ის ჩანაფიქრი, რომელიც მხოლოდ თეორიულად გქონდათ „დამუშავებული“. შეეცადეთ, ყველა წვრილმანი დეტალურად გაანალიზოთ და მხოლოდ ამის შემდეგ იმოქმედოთ. ასეთ შემთხვევაში, წარმატებასაც უთუოდ მიაღწევთ. ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და ღრიანკალთან, ნეგატიური – ქალწულსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები:** 24, 26, 29. **ნეგატიური დღეები:** 23, 25..



28-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-გ; 3-ბ; 4-ა.
31-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-ბ.

ანეკდოტები

***

დედა ქალიშვილს გათხოვების წინ ჭკუას არიგებს:

— შვილო, არასოდეს დაუწყო ქმარს კამათი, მაშინვე ისტერიკა მოუწყე!

***

— ოფიციანტ, სად არის ჩემი შეკვეთილი მწვადი? ნახევარი საათია გელოდები, სადაცაა ჩამეძინება, — ნერვიულობს პენსიონერი.

— გაგაღვიძებ, ბაბუჯან, გაგაღვიძებ...

***

ყავარჯნიანი ცალფეხა ქირურგიულ კლინიკას მუშტს უღერებს:

— ჩემი ფეხი აღარ იქნება ამ კლინიკაში.

***

ახალ ქართველს ეკითხებიან:

— რა მოგეწონათ ყველაზე მეტად ამერიკაში ყოფნისას?

— ის, რომ ყოველ წუთს ვალუტის გადახურდავება არ მჭირდებოდა.

***

— ბრალდებულო, ახლა მომიყევით, თუ როგორ გახსენით სეიფი.

— არავითარ შემთხვევაში... დარბაზში ბევრი კონკურენტია.

***

— ბატონო ზემდეგო! შეიძლება, ტელევიზორს ვუყუროთ?

— კი, ოღონდ, არ ჩართოთ.

***

გუშინ დაუვიწყარი ეროტიკული საღამო მქონდა! ის — ლამაზ ქვედა საცვალსა და კომფორტულ ფართო საწოლში, მე კი მოპირდაპირე სახლში, საცვლით და ლურბინდით ხელში.

***

— ექიმმა მითხრა, რომ მაქვს სკლეროზი, რევმატიზმი, ასთმა, სტენოკარდია.

— კარგი, ახლა მითხარი, რა არ გაქვს?

— კბილები.

***

— ვასიკო, ეს რა ადგილები გაქვს გამოტოვებული საკონტროლო ნაწერში?

— მასწ. ეს რეკლამისთვისაა!

***

— მარო!.. ახლა რო მოვკვდე, იტირებ?!.

— ი!.. მარა, მე ხო ყველა სისულელეზე ვტირი.

***

იურისტი მამა შვილს ეკითხება:

— შვილო, სკოლაში რა წარმატებები გაქვს?

— მეხუთე კლასთან კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გაგრძელებულია.

***

— შვილო, წუხელ ისევ დავფრინავდი სიზმარში.

— ბებოჯან, რამდენჯერ გითხარი, რომ შენი წამლები სხვა ყუთშია.

***

— რა კარგია, რომ ტირილს მორჩი, — შვებით ეუბნება მამა ხუშტურიან ბავშვს.

— არ მოვრჩენილვარ, ვისვენებ.

***

სვანი პილოტი სადისპეტჩეროს გადასცემს:

— გვიშველეთ, ვვარდებით!

სადისპეტჩეროდან:

— თქვენი სიმაღლე და მდებარეობა გადმოგვეცით!

სვანმა:

— კაბინაში მარჯვნივ ვზივარ!.. ჩემი სიმაღლეა მეტრი და 81 სანტიმეტრი!

***

ნარკომანების საუბრიდან:

— ნიკუშ, რა იყო, ძმაო, წუხელ მთელი საღამო ტელეფონით ვიღაცას დეღას რომ აგინებდი?

— ძმაკაცს დაბადების დღე ჰქონდა და ვულოცავდი, ტო!



***

დილაა. სიძე სამსახურში მიდის. სიდედრი ეუბნება:

— მთელ ღამეს კოღო მკბენდა. დილით გავიღვიძე და მთელი ბალიში სისხლით იყო მოსვრილი.

— მდაა... ეტყობა, გული აერია...

***

დაზარალებულის ჩვენებიდან:

— 22 ივნისს ქუჩაში უცნობმა მამაკაცმა ჯერ ფიზიკური შეურაცხყოფა მომაყენა, მერე კი მცემა.

***

პოლიციელი:

— აბა, გახსენით თქვენი საბარგული, ეს თქვენი ავტომატია?

— არა, მიხაილ კალაშნიკოვის.

***

— ბრალდებულო მაიზერ, რატომ სცემეთ კაცი, რომელსაც საფულე წაართვით?

— საფულე ცარიელი იყო!

***

განცხადება:

„ახალგაზრდა მწერალს ესაჭიროება გამოცდილი მდივანი“.

განცხადება 20 წლის შემდეგ:

„გამოცდილ მწერალს ესაჭიროება ახალგაზრდა მდივანი“.

***

— ანზორია, რეიზა აღარ ხვდები იმ გოგოს?

— ცუდი გემოვნება ჰქონია.

— რაფერ შეატყვე?

— არ მევეწონე!..

***

ძველი ბროკერი კვდება. კონსილიუმი მსჯელობს:

— ახლა 38,5 გრადუსი აქვს, 41-ზე მოკვდება.

ბროკერმა თვალი გაახილა.

— 40,5-დან გაყიდეთ...

***

ბიოლოგიის გაკვეთილზე:

— აბა ბავშვებო, როგორ მრავლდებიან ზღარბები?

— ფრთხილად, მასწ!..

მამაკაცური აზროვნება გაქვთ თუ ქალური?



სუსტი და ძლიერი სქესის წარმომადგენლები არა მარტო ფიზიკური მონაცემებით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, არამედ აზროვნებითაც. მეცნიერების აზრით, ამის ერთ-ერთი მიზეზი ქალისა და მამაკაცის ტვინის აგებულებაში არსებული მცირეოდენი სხვაობაა. სწორედ ამ განსხვავების შედეგია ის, რომ სუსტი და ძლიერი სქესის წარმომადგენლების ტვინი მიღებულ ინფორმაციას სხვადასხვაგვარად ამუშავებს.

ქვემოთ დასმულ შეკითხვებზე შეარჩიეთ თქვენთვის ყველაზე მისაღები პასუხის ვარიანტი, ხოლო იმ შემთხვევაში თუ პასუხი არ გაქვთ, მინუსით მონიშნეთ შეკითხვა.

1. ხმადაბალი კნავილის გაგებისთანავე, შეგიძლიათ თუ არა მომენტალურად განსაზღვროთ კატის ადგილსამყოფელი?

ა) თუკი დავფიქრდები, შევძლებ;

ბ) მაშინვე განვსაზღვრავ;

გ) არ ვიცი.

2. რამდენად იოლად გამახსოვრდებათ ახალმოსმენილი მელოდია?

ა) იოლად მამახსოვრდება და მისი წაღიღინებაც შემიძლია;

ბ) მამახსოვრდება, თუკი მელოდია მარტივი და რიტმულია;

გ) ჩემთვის ეს რთულია.

3. ნაცნობი, რომელსაც მანამდე სულ რამდენჯერმე შეხვედრიხართ, ტელეფონით გირეკავთ. შეგიძლიათ თუ არა მისი ცნობა ხმით, პირველი რამდენიმე წამის განმავლობაში, ვიდრე ის თავის ვინაობას გაამხელდეს?

ა) შემიძლია. ეს ჩემთვის სულაც არ არის რთული;

ბ) ალბათ შემიძლია. მსგავს სიტუაციაში ზოგჯერ ვცნობ ხოლმე ადამიანს, ზოგჯერ კი ვერა (დაახლოებით 50/50-ზე);

გ) ალბათ ვერ შევძლებ, რადგან მსგავს სიტუაციაში ადამიანებს იშვიათად ვცნობ ხოლმე ხმით.

4. რამდენიმე დაქორწინებულ წყვილთან ერთად კომპანიაში ყოფნისას, თქვენთვის ცნობილი გახდა, რომ მათგან ერთ-ერთ ქალსა და მამაკაცს რომანი აქვს. შეძლებთ თუ არა მათი ვინაობის განსაზღვრას?

ა) სავარაუდოა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში შევძლებ;

ბ) ვვარაუდობ, რომ დაახლოებით 50%-ში შევძლებ;

გ) ნაკლებსავარაუდოა. ამის ძალზე მცირე შანსი არსებობს.

5. ხალხმრავალ წვეულებაზე ყოფნისას, თქვენ ხუთი უცნობი ადამიანი წარგიდგინეს. თუკი მეორე დღეს ლაპარაკში ვინმე შემთხვევით ახსენებს მათ, იოლად შეძლებთ თუ არა მათი სახეების გახსენებას?

ა) მათი უმრავლესობის გახსენებას შევძლებ;

ბ) რამდენიმეს სახეს აღვიდგენ;

გ) სავარაუდოა, რომ ვერც ერთის გახსენებას ვერ შევძლებ.

6. სკოლაში სწავლისას, გაგიიოლდათ თუ არა მართლწერის საფუძვლების შესწავლა და რამდენად გეხერხებოდათ თემების წერა?

ა) ერთიცა და მეორეც შესანიშნავად დავძლიე;

ბ) იოლად დავძლიე მხოლოდ ერთი მათგანი;

გ) დიდად არც ერთი მეხერხებოდა და არც მეორე.

7. ავტოსადგომზე მანქანის გასაჩერებელი ადგილი შენიშნეთ, მაგრამ იმისთვის, რომ თქვენ იქ მანქანის გაჩერება შეძლოთ, უკუსვლით უნდა დაბრუნდეთ და თანაც, მანქანის დაყენება ძალზე ვიწრო ადგილას მოგიწევთ. როგორ მოიქცევით?

ა) სხვა ადგილს მოვძებნი;

ბ) დიდი სიფრთხილით დავაყენებ მანქანას იქ, სადაც გადავწყვიტე;

გ) ამაზე არც კი დავფიქრდები: უკუსვლითაც დაბრუნდები და არც ვიწრო ადგილას მანქანის დაყენება გამიჭირდება.

8. თქვენთვის უცხო სოფელში რამდენიმე დღის გატარების შემდეგ, ვილაცამ გთხოვათ, გეჩვენებინათ საით მდებარეობს ჩრდილოეთი. შეძლებთ თუ არა მიმართულების განსაზღვრას?

ა) ალბათ ამის განსაზღვრას ვერ შევძლებ;

ბ) თუკი დავფიქრდები, შევძლებ;

გ) მაშინვე მივუთითებ ჩრდილოეთის მიმართულებაზე.

9. სტომატოლოგის მოსაცდელში ყოფნისას, რამდენად ახლოს შეგიძლიათ მიუჯდეთ თქვენივე სქესის წარმომადგენელს, ისე, რომ უხერხულობა არ იგრძნოთ?

ა) მანძილი შეიძლება 15 სმ-ზე ნაკლებიც კი იყოს;

ბ) 15-დან 60 სმ-მდე;

გ) 60 სმ-ზე უფრო მეტი.

10. ახალ მეზობელთან სალაქლაქოდ შეხვედით და სიჩუმეში დააფიქსირეთ, რომ სადღაც ონკანიდან წყალი წვეთავს. როგორ მოიქცევით?

ა) წყლის ხმას მაშინვე დავაფიქსირებ, მაგრამ შევეცდები, რომ ამას ყურადღება არ მივაქციო;

ბ) თუკი შევამჩნევ, ალბათ აუცილებლად ვეტყვი სახლის პატრონს ამის თაობაზე;

გ) ეს სულაც არ მაღელვებს.

დაანგარიშეთ ქულები:

მამაკაცებისათვის: „ა“ 10 ქულა; „ბ“ 5 ქულა; „გ“ -5 ქულა.

ქალებისათვის: „ა“ 15 ქულა; „ბ“ 5 ქულა; „გ“ -5 ქულა.

ტესტის შედეგები

მამაკაცთა უმრავლესობა, 0-დან 60 ქულამდე დააგროვეს; ქალთა უმრავლესობა — 50-დან 100 ქულამდე. შუალედური ვარიანტი — 50-დან 60 ქულამდე — მიუთითებს იმაზე, რომ თქვენ როგორც მამაკაცური, ასევე ქალური აზროვნების ელემენტების შერწყმა გახასიათებთ. მამაკაცები, რომლებმაც 0-ზე ნაკლები და ქალები, რომლებმაც 100-ზე მეტი ქულა დააგროვეს, თავიანთი აზროვნებით მკვეთრად განსხვავდებიან საპირისპირო სქესის წარმომადგენელთაგან. მამაკაცები, რომლებმაც 60 ქულაზე მეტი დააგროვეს, შესაძლოა, მიდრეკილნი იყვნენ ქალური ტიპის აზროვნებისაკენ; ხოლო ქალები, რომლებმაც 50 ქულაზე ნაკლები დააგროვეს, შესაძლოა, ასევე მიდრეკილნი იყვნენ მამაკაცური ტიპის აზროვნებისაკენ.

ავტომობილი მთვრალი მძღოლების წინააღმდეგ

უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის აგენტმა, ამერიკელმა დენის ბლუმერმა, გამოიგონა მოწყობილობა, რომელიც უმალ აფიქსირებს მძღოლის სისხლში ალკოჰოლის შემცველობას. ამის შემდეგ ავტომობილი ავტომატურად იბლოკება და მისი მართვა შეუძლებელი ხდება. სენსორი, რომლის ფასი 600 დოლარია, საჭეზე მონტაჟდება და ხელის შეხებისთანავე, დამოუკიდებლად ატარებს კანის ექსპრესანალიზს.

დენის ბლუმერმა მოწყობილობის დამუშავებას 12 წელი მოანდომა. მისი შექმნის საფუძვლად კი ის სერიოზული ავტოავარია იქცა, რომელიც ბლუმერის ვაჟს სიმთვრალის გამო მოუვიდა.

უკვე დაპატენტებული სენსორი, უახლოეს მომავალში ჩაეშვება წარმოებაში. თუმცა, როგორც მოძრაობის უსაფრთხოების ნაციონალური სააგენტოს თანამშრომელმა აღნიშნა, ესოდენ მაღალმა ფასმა შეიძლება სერიოზული დაბრკოლება შეუქმნას მის რეალიზაციას. „თანაც, იმ მძღოლებმა, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ ნასვამებიც მშვენივრად მართავენ ავტომობილს, ნაკლებსავარაუდოა, ამ სიახლის გამოცდა მოისურვონ“, – დასძინა მან. ■

ავსტრალიელებმა ცხვრის გაკრეჭაში ჩემპიონსი მოაწყვეს

ავსტრალიელებმა რამდენიმე დღის წინ უწვეულო ჩემპიონატი მოაწყვეს: ისინი ერთმანეთს ცხვრების გაკრეჭაში ეჯიბრებოდნენ. გამარჯვებულს, ჯილდოდ ოქროს მაკრატელი ერგო – როგორც ყველაზე სწრაფი და ყველაზე გაწაფული „პარიკმახერის“ სიმბოლო.

კონკურსი ავსტრალიის აღმოსავლეთით – დაბა ტუვუმბუში ჩატარდა. მთავარი პრიზის – „ოქროს მაკრატლის“ მოსაპოვებლად 17 ქვეყნიდან ჩასული 230 ფერმერი იბრძოდა.

ავტორიტეტული ჟიური არა მხოლოდ სისწრაფეს, არამედ შესრულებული სამუშაოს ხარისხსაც ანიჭებდა მნიშვნელობას: ცხოველი აკურატულად უნდა ყოფილიყო გაკრეჭილი და მატყლის ბღუჯა არსად არ უნდა დარჩენოდა. ადგილობრივთა გულის გასახარად, პრიზი ავსტრალიელს ერგო.

კონკურსის პირობების მიხედვით, მის მონაწილეებს მხოლოდ ავსტრალიური ცხვარი უნდა გაეკრიჭათ, ამიტომ უცხოელები მოულოდნელ დაბრკოლებას წააწყდნენ: ავსტრალიურ, მერინოსის ჯიშის ცხვარს კისერზე ძალზე ბევრი ნაკეცი აქვს, რაც გაკრეჭის პროცესს საგრძნობლად ართულებს. ■

პენსიონერმა 130 ათასი დოლარი იპოვა



გერმანელმა პენსიონერმა, თეთრეულის ჩასაწყობ კალათში – რომელიც ძველმანების ბაზრობაზე, ძალზე იაფად შეიძინა, 130 ათასი დოლარი იპოვა.

შინ დაბრუნებულმა ქალმა კალათის გარეცხვა დაიპირა და წარმოიდგინეთ მისი გაოცება, როცა მასში 110 ათასი დოლარის ღირებულების 2 ცალი სალაროს წიგნაკი და 20 ათასი დოლარი ნაღდი ფული აღმოაჩინა.

სინდისიერი ქალი ფულს არ დახარბდა, ნაპოვნის შესახებ, უახლოეს პოლიციის განყოფილებაში განაცხადა და დასძინა, რომ „ყველაფერს მშვიდად ძილი ურჩევნია“.

მოგვიანებით პოლიციელებმა დაადგინეს, რომ ფული ორი წლის წინ გარდაცვლილ ქალბატონს ეკუთვნოდა, რომელმაც მემკვიდრეობით არავის არაფერი დაუტოვა და როგორც ჩანს, ფული კალათში გადამალა. გარდაცვლილის ახლო ნათესავებს შორის, აზრადაც კი არავის მოსვლია, რომ მას ამხელა დანაზოგი ექნებოდა. ამჟამად ფული მემკვიდრეების ხელში გადავა, კალათის მყიდველს კი, 3 ათასი დოლარით დააჯილდოებენ. ■

10 წლის ბიჭი აუზში დაიხრჩო

აშშ-ში, ფლორიდის შტატში, იძიებენ ინციდენტის მიზეზებს, რომლის დროსაც 10 წლის ბიჭი Hotel Sheraton-ის აუზში დაიხრჩო.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 10 წლის კოდ დივერსი გასაბერ ლეიბზე იწვა და ხალხით სავსე აუზში, სხვა ბავშვებთან ერთად ბანაობდა. როცა ხალხმა აუზის ფსკერზე ბავშვის სხეული შეამჩნია, უკვე ძალზე დაგვიანებული იყო – ბიჭს ვეღარაფერი უშველეს.

კოდ დივერსი არდადეგებზე სტუმრად დეიდასთან და ბიძასთან იმყოფებოდა. აღსანიშნავია, რომ უბედური შემთხვევის დროს, მისი ნათესავებიც იმავე აუზში ბანაობდნენ.

გამოძიება გრძელდება, თუმცა ჯერჯერობით, პოლიცია მიიჩნევს, რომ ბავშვის სიკვდილში ბრალი არავის მიუძღვის და ეს მხოლოდ და მხოლოდ, უბედური შემთხვევა იყო. ■

ფოტოკუჩიოზები

ყველაზე ეროვნული მედია-პროექტი

მიიღეთ მონაწილეობა! ორშაბათობით იკითხეთ ჟურნალი **ᲠᲔᲠᲣᲚᲘ** შეავსეთ „ცოდნის კუპონი“ და მოიპოვეთ სტიპენდია

თქვენ 1-წლიანი ყოველთვიური სტიპენდია გეკუთვნით!

ᲑᲐ 93/10

პროექტი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ხორციელდება

პროექტის პარტნიორია თბილისის მერია და საკრებულო;

„ᲔᲒᲐᲚᲝᲜᲘ“ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲗᲐᲑᲐᲗᲘᲡ 18 ᲡᲗ-ᲖᲔ „ᲘᲛᲔᲓᲘᲡ“

შეხვედრამდე არხზე

ᲛᲘᲛᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲒᲐᲛᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ!